

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქველი ქართული ენის კათედრის წარმები



11

საიუბილეო

თბილისი 1968



თბილისის უნივერსიტეტის ბაზრმცემლობა

შიქღვნა
თბილისის უნივერსიტეტის
ერგასეულის წლისთავს
(1918—1968)

საქართველოს
საბჭოთავო რეპუბლიკის
მეცნიერებათა აკადემიის
(1981 - 1981)

ტელექტორი ჯ. ყანბე

ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. 11.

ს ა ი უ ბ ი ლ ე ო

ყინაარსი

ნრგასეულის წლისთავზე

ა. ყანიძე, ყესავალი სიტყვა, წარმოქმული დისერტაციის დაყვისას ᄆბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სსდომავზე 1920 წლის 9 მაისს	1
ა. ყანიძე, ᄆერი სუფიქსიანი ქალის სახელები ძველ ქართულში	7
ა. ყანიძე და ᄆ. ᄆისკარიშვილი, ᄆარანის ციხის წარწერა	17
ა. შანიძე და ᄆ. ცისკარიშვილი, Надпись Баранской крепости (Резюме)	26
ბ. ᄆმნაიშვილი, ᄆნებთი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში	27
ბ. ᄆუმბურიძე, შუოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში	55
ბ. ყანიძე, ყესავალი ᄆფრემ შცირის ᄆსალმუნთა თარგმანებისა (ღექსტი და შენიშვნები)	77
ბ. ᄆანელია, ძველი ქართულის ლექსიკიდან	123
ბ. შელიქიშვილი, ᄆოგი საკავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის მნიშვნელობისათვის ᄆონე სეტრიწის ნაწერებში	133
ა. შანიძე, Грузинская надпись XI—XII вв. из Армении	143

ბრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბზი, ᄆნდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I. (აქცენზია ა. ყანიძისა)	145
ბოთან შიშინოშვილი, ᄆონე ᄆამასკელის «ᄆარდამოცემის» ქართული თარგმანები (აქცენზია ბ. ᄆანელიასი)	159

ერგასეულის წლისთავზე

სრული ორმოცდაათი წელი გავიდა მას აქეთ, რაც ტბილისის უნივერსიტეტი დაარსდა დიდი ჯვანე ჯავახიშვილის შორსმჭვრეტელობით, შეუნელებელი მეცადინეობით და მეთაურობით. შუამომსწრე ვარ იმ დიდი აღფრთოვანებისა, რომლითაც შეეგება მთელი ქართველი ერი ამ დიდი ხნის ნანატრსა და სასიხარულო მოვლენას.

ტყავდაპირველად უნივერსიტეტი კერძო დაწესებულება იყო და ერთი ფაკულტეტისაგან შედგებოდა. შერმე და მერმე იგი ვეებერთელა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებად იქცა სახელმწიფოს დახმარებით და მზრუნველობით. ეს პროცესი, ისე როგორც მისი წიალიდან რამდენიმე უმაღლესი სკოლის წარმოშობა, ჩემთვის წინ ხდებოდა და მოვესწარი იმ დროსაც, რომ ქართველი ერი ზეიმობს ამ მეტად საპატიო დაწესებულების არსებობის ერგასეულის წლისთავს. თა სამართლიანადაც: ონივერსიტეტი შეიქნა ჩვენი კულტურული აღორძინებისა და წინსვლის მედროშე. ამ ხნის განმავლობაში მან დიდი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას: აღუზარდა მრავალი სპეციალისტი და მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ზერძოდ, ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების გაშუქებაში ამ ნახევარმა საუკუნემ დიდად წაგვწია წინ, რაც უმთავრესად უნივერსიტეტის მეცნიერ მუშაკთა შრომის შედეგია. ამასში თავისი წილი ქართული ენის კათედრასაც უძევს, რომელიც ერთი ძირი-

თადთაგანი იყო უნივერსიტეტის დაარსების დღი-
დანვე.

უს კათედრა თანდათანობით ისე მომძლავ-
რდა და გაიზარდა, რომ შესაძლებელი გახდა,
ორ კათედრად ქცეულიყო 1945 წელს: ძველი
ქართული ენის კათედრად და ხსალი ქართული
ენის კათედრად. ამის შემდეგაც ორივე კათედრა
განაგრძობდა დაძაბულ მუშაობას პედაგოგიურსა
და სამეცნიერო ასპარეზზე და დღეს უკვე სულ
სხვა ვითარება გვაქვს ქართულისა და მოძმე ენე-
ბის შესწავლის დარგში, ვიდრე ეს წინათ იყო.

ძველი ქართული ენის კათედრა დიდი კმა-
ყოფილებით ეგებება ამ დიად ზეიმს და ძვირფას
იუბილარს უძღვნის ამ მცირე ნაღვაწს კათედრის
შრომათა მორიგი ნომრის სახით¹.

ტ. შანიძე.

ძველი ქართული ენის კათედრის გამგე.

8.2.1968.

¹ ექვნიკური სიძნელეების გამო ამ კრებულში, სამწუხაროდ,
30-ე მოხერხდა მთავრული ასოების ყველგან გამოყენება.

ჯაკი მანიძე

ყესავალი სიტყვა,

წარმოთქმული დისერტაციის დაცვისას თბილისის
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე
1920 წლის 9 მაისს

კ ა ტ ო ნ ე ბ ო !

ბიდად ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს პირველ უმაღლეს სასწავლებელში პირველი დისერტაციის დაცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოებლად ბედმა მე მარჯუნა. ბედნიერი ვარ მით უმეტეს, რომ ჩემი დისერტაციის საგანია ერთი მოვლენა ქართული ენისა და სად, თუ არ საქართველოში, სად, თუ არ ჩვენს დედაქალაქში, სად, თუ არ ქართულ სამეცნიერო ტაძარში უნდა იყოს დაცული ასეთი დისერტაცია?

ღედნიერი ვარ უზომოდ, მაგრამ ამასთანავე ერთად მაფიქრებს ერთი გარემოება: ვაი თუ ჩემი პატარა შრომა არ შეეფერებოდეს იმ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორცაა სამეცნიერო ხარისხის მოპოების დაწესება ჩვენში. მაფიქრებს ეს გარემოება, მაგრამ თანაც ის მაძლევს გამბედაობას და მიმატებს მხნეობას, რომ დიდი საქმე საზოგადოდ მცირით დაწყებულია და ამიტომ ეგების ჩემი მცირელი შრომა, რამდენადმე მაინც, აკმაყოფილებდეს დღევანდელი დღის მოთხოვნილებას.

ქართული ენა, ის ენა, რომელსაც ჩვენ ვლაპარაკობთ და რომელზედაც ჩვენ ვმსჯელობთ, ვწერთ და ერთიმეორეს ვუზიარებთ ჩვენს აზრებს, მრავალი მხრითა არის საყურადღებო და საინტერესო და, მაშასადამე, ღირსი, რომ იგი შესწავლილ იქნეს ჯეროვნად და გამორკვეულ იქნეს მისი ბუნება და თვისება.

ოპირველეს ყოვლისა იგია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველ წუთს საჭირო იარაღი. ამჟამად იგი გადაქცეულია სახელმწიფო ენად, ე. ი. იმად, რადაც იგი ჩვეულებრივ ყოფილა საუკუნეთა განმავლობაში, შეჭრილია ჩვენი ცხოვრების ყოველგვარ სფეროში, იმით და მასზედ გვსურს დავიკმაყოფილოთ ჩვენი კულტურული მოთხოვნილება და, ცხადია, თავისთავად ცხადია, თუ როგორი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიპყრობილი მას შესასწავლად და გამოსაკვლევად.



შერმე იგია ენა, რომლის მნიშვნელობა გაცილებით უფრო ფართოა ვიდრე ჩვენი ერის ეთნოგრაფიული და საქართველოს სახელმწიფო საზღვრები. იგი სახუკვარი და საყვარელია ჩვენთვის, მაგრამ სხვებისთვისაც დიდი კულტურული ღირებულება აქვს. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ის გარემოება, რომ ქართულ ენას შეუნახავს კაცობრიობისათვის არა ერთი და ორი ძეგლი, რომელთა დედნებიც ან მთლიანად და სამუდამოდ დაკარგულია ან არადა ჯერჯერობით მაინც აღმოჩენილი არ არის, საკმარისია, რომ ქართულმა ენამ საპატიო ადგილი დაიჭიროს კულტურულ ენათა შორის. მაგრამ ქართული ენის მნიშვნელობა უცხოთათვის მარტო იმით როდი განისაზღვრება, რომ ქართულმა ნათარგმნმა ლიტერატურამ დადუბავს გადაარჩინა მსოფლიო ლიტერატურის ძეგლები. არა! იგი უფრო საყურადღებოა იმით, რომ მან მსოფლიო ლიტერატურას შესძინა თავისი ორიგინალური თხზულებანი. დავანებოთ თავი იმას, რომ სიბერძნე ბაღავარი ისა იმ რედაქციით, რომელიც მოედო საშუალო საუკუნეების განათლებულ ქვეყნებს, შემუშავდა ქართულ ენაზე. გაცილებით უფრო საყურადღებოა და მნიშვნელოვანი, რომ ქართულ ენაზე გაჩნდა მსოფლიო ლიტერატურის ერთი უდიდეს მარგალიტთაგანი, «ვეფხისტყაოსანი», რომელიც მარად ახალი, მარად მომხიბლავი და მარად წარმტაცი დარჩება მთელი კულტურული კაცობრიობისათვის.

ზისძინეთ ამას, რომ ჩვენ, სალიტერატურო ძეგლებს გარდა, მრავლად მოგვეპოვება საისტორიო წყაროები, რომელთაც დაუფასებელი ღირებულება აქვს როგორც ჩვენი, ისე ჩვენი მეზობლების წარსულის კვლევა-ძიებისათვის.

ქართული ენის აქტუალური მდგომარეობა ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში, ქართული სალიტერატურო და საისტორიო ძეგლები, ყველა ეს, რასაკვირველია, უაღრესი მნიშვნელობის რამეებია, მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, ქართულ ენას მაინც არ დაეკარგებოდა მნიშვნელობა. მას თავის-თავად, როგორც ენას, როგორც უმთავრეს ელემენტს ეროვნებისას, ყველა სხვა რისგანმე დამოუკიდებლად ექნებოდა ღირებულება, და ღირებულება მეტად დიდი. ენათმეცნიერების თვალსაზრისით ქართული ენა ერთ უშესანიშნავეს ენათაგანია: საინტერესო და საყურადღებოა მისი აგებულება, რომელსაც მეტისმეტი თავისებურობის ბეჭედი აზის: ფონეტიკა თუ მორფოლოგია, სინტაქსი თუ ლექსიკა, ერთი სიტყვით ყოველი მხარე ქართული ენისა, მდიდარი და მრავალფეროვანი, იზიდავდა და იზიდავს თავისკენ ყურადღებას. ბევრითი შემადგენლობა ჩვენი ენისა, განსაკუთრებით კი თანხმოვნები და მათი თვისება, ერთ უდიდეს პრობლემას შეადგენდა და შეადგენს ფონეტიკისათვის და ამ პრობლემის გამოცნობა და საბოლოო გადაწყვეტა მით უფრო სასურველია და საშურიც, რომ ამით ნათელი მოეფინებოდა არა მარტო ჩვენი ბევრების ბუნებას, არამედ მრავალი კავკასიური ერის ბევრებისასაც, ვინაიდან კავკასიის ერებს ჩვენებური ბევრითი სისტემა აქვთ. ახლა აიღეთ ჩვენი ფონეტიკური კანონები. ზმირად აქ ერთი ენის ფარგლებში ისეთს მოვლენას ვხედავთ, რასაც, მაგალითად, ინდოევროპულისა და სემიტური ოჯახის ორ მონათესავე ენას შორის თუ ექნება ადგილი. ფორმალური მხარეც არა ნაკლებ თავისებურია: სახელების მიმოსხრა, სიტყვათა წარმოება და, განსაკუთრებით კი, ზმნათა უღლება კაცს აკვირვებს თავისი ორიგინალობით. ზმნების უღლება — ეს ქვა-კუთხედი არა მარტო მორფოლოგიისა, არამედ საზოგადოდ მთელი ჩვენი გრამატიკული შენობისა, რადგანაც აქ თავს იყრის ყველა ნაწილი გრამა-



ტიკისა: ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი, რომლის ზოგიერთი მოცულობა (მაგალითად, ქვემდებარის დასმა სხვადასხვა ბრუნვაში დროთა მიხედვით) გაუგებარი იქნებოდა ზმნის უღლების სისტემის ცოდნის გარეშე. ერთსა და იმავე დროს ანგარიშის გაწევა და მხედველობაში მიღება როგორც სუბიექტის პირისა, ისე ობიექტის პირისა და ზოგ შემთხვევაში აგრეთვე ობიექტის რიცხვისაც — ეს ისეთი რამ არის უღლებაში, რომ თამამად შეიძლება ითქვას: ძნელად თუ მოიძებნება დედამიწის ზურგზე ენა, რომ ამ მხრივ ქართულს შეედრებოდეს.

ჟას შემდეგ, რაც ენათა შესწავლის საქმე წმინდა მეცნიერულ გზას დაადგა, მას შემდეგ, მაშასადამე, რაც ასიოდე წლის წინათ შედარებით შესწავლას ენებისს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ფრანც ბოპის წყალობით, ქართულ ენას მრავალი მეცნიერი აპყრობდა თვალს და მისი ბუნების გამოცნობას ცდილობდა. მე აქ არ გამოვუდგები ქართული ენის შესწავლის ისტორიას, აღვნიშნავ მხოლოდ უმთავრეს ეტაპებს, რომლებიც დამახასიათებელია ქართული ენის სხვა ენათა ჯგუფებთან გენეტიკური კავშირის ძებნისათვის.

ყო დრო, როცა ფიქრობდენ, რომ ქართული ენა ინდოეთ-ევროპის ენათა ოჯახის წევრიაო და ამისათვის საბუთებიც მოჰყავდათ. აკადემიკოსი მ. ბროსე, რომელსაც დიდი დეაწლი მიუძღვის ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე, ენათმეცნიერების მამამთავარ ფ. ბოპთან ერთად ამ აზრისა იყო. მაგრამ ქართულის ინდოევროპულობა მალე უკუგდებულ იქნა, რადგანაც ცხადი იყო მისი უსაფუძვლობა.

ყო გამოთქმული აგრეთვე მეორე აზრიც, ვითომ ქართული ენა თურანულ ენათა ჯგუფს ეკუთვნოდეს, მაგრამ ეგ აზრიც, მაქს მივლერის მიერ გამოთქმული, უკუგდებულ იქნა და

ყესი მოიკიდა მესამე მიმართულებამ, რომლის წარმომადგენლებია: კლაპროთი, შლაინერი, პოტი, ლეპსიუსი, ფრიდრიხ მივლერი და შიბიელი. ამათი მოსაზრებით ქართული ენა არც ინდოეთ-ევროპის ენათა ჯგუფს ეკუთვნის და არც თურანულისას, არამედ განცალკევებითა დგას. ამ აზრს მხარი დაუჭირა, განავითარა, დაასაბუთა და იგი ერთ მთლიან სისტემად ჩამოასხა პეტერბურგელმა პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა, რომლის შრომებმა (Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, СПб., 1872; О предполагаемом родстве грузинского языка с индоевропейскими и туранскими языками¹; О грамматической литературе грузинского языка, СПб., 1873) მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს ქართულისა და ქართულის მოძმე მეგრულ-ჭანურისა და სვანურის შედარებით შესწავლას. ალექსანდრე ცაგარელს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ჯერ საჭიროა ქართულის შესწავლა ისტორიულად და მისი კილოკაეების გამოკვლევა და აგრეთვე მეგრულ-ჭანურ-სვანურის შესწავლა, მათი ფონეტიკური შესატყვისობის კანონთა დადგენა, ფორმებისა და სიტყვების შედარება და სხვა. ამ მიზნით იყო, რომ მან მეგრულ-ჭანურისა და სვანურის შესწავლას მოჰკიდა ხელი და გამოსცა კიდევაც Мингрельские этюды (ორ წიგნად, 1880), რომელიც თავის დროზე ჩინებული შრომა იყო და რომელსაც ახლაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მაგრამ, სამწუხაროდ, კარგად დაწყებული საქმე მინელდა და თითქმის შეწყდა კარგა ხნის განმავლობაში.

¹ ЖМНП. 1872. Сентябрь.



სროფ. ა. ცაგარლის შრომათა მეოხებით სამოცდაათიან და ოთხმოცდაათიან წლებში თითქმის საბოლოოდ განმტკიცდა ის აზრი, რომ ქართული მეგრულ-ჯანურთან და სვანურთან ერთად შეადგენს დამოუკიდებელ ენათა ჯგუფს (რომელსაც იგი ივერიულს უწოდებდა და რომელსაც გენეტიკური კავშირი არა აქვს რომელსაჲმე ცნობილ ჯგუფთან).

სეთ მდგომარეობაში იყო საქმე, რომ ოთხმოცდამეცამეტე საუკუნის ბოლოს სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა ახალგაზრდა და მეტად ნიჭიერი ნიკო მარი, რომელმაც საკითხის მსვლელობას სულ სხვანაირი მიმართულება მისცა. მან წამოაყენა თეორია, რომლის მიხედვით ქართულსა და მასთან ერთად მეგრულ-ჯანურსა და სვანურს, გენეტიკური ნათესაობა სემიტური ენების ჯგუფთან აქვს (არაბულთან, ებრაულთან, ასურულთან და სხვ.). ამ თავის აზრს ნ. მარი თითქმის ყველა თანხმობაში იმეორებდა და ამის დასამტკიცებლად ზოგჯერ თითო-ორიოთხეულ საბუთებზე მოჰყავდა, მაგრამ ასეთი თეორიის დასამტკიცებლად სპეციალური გამოკვლევა იყო საჭირო, რასაც სპეციალისტები მოუთმენლად მოელოდნენ. და აი კიდევ 1908 წელს გამოვიდა მისი Основные таблицы в грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими.

ჩვენის შესავლად დაწერილ Предварительное сообщение-ში ავტორი შეეცადა, წამოაყენებინა მთავარი საბუთები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება კაცმა დაასკვნას, რომ ქართული თავის თანამომე ენებითურთ სემიტურ ენებს ენათესაება.

სპეციალისტები ამ შრომას გულგრილად შეხვდნენ. იქ მოყვანილმა საბუთებმა ვერ დაარწმუნა ვერც სემიტოლოგები და ვერც საზოგადოდ შედარებითი ენათმეცნიერების წარმომადგენელი, რომ ქართულს სემიტურ ენებთან ჰქონდეს გენეტიკური კავშირი. მიუხედავად ამისა, დაუღალავი ენერჯის პატრონმა ნიკო მარმა გასაოცარი სისწრაფით განაგრძო სვლა ერთხელვე არჩეული გზით და მერმინდელ შრომებში, რომელთა ჩამოთვლა ჩვენ შორს წაგვიყვანდა, თითქმის სულ მთლად ამ საკითხს დასტრიალებდა თავს.

ნიკო მარმა თავისი თეორია თანდათან გააფართოვა და შეეცადა. მას თავდაპირველად ქართული და მეგრულ-ჯანურ-სვანური სემიტური ოჯახის ახლო ნათესავად ჰქონდა წარმოადგენილი, მაგრამ მალე დააშორა. იაფეტურ ოჯახს, რომელშიაც თავდაპირველად ქართულისა, მეგრულ-ჯანურისა და სვანურის მეტი არა შედიოდა, მოემატა აფხაზური, შემდეგ ჩაჩნური, მერმე ლეკური¹ და სხვა დიდესტნის ენები და აგრეთვე ძველი კულტურული ენები, რომელთაც ჩვენ მხოლოდ წარწერებით ვიცნობთ: აქემენიდების წარწერების მეორე სვეტის ენა, ვანის სოლებრი წარწერების ენა, ეტრუსკულიც კი — ერთი სიტყვით, ისეთი მიმართულება მისცა მან თავის მუშაობას, რომ სპეციალისტთა წრეებში, ენათმეცნიერთა შორის, მისმა თეორიამ თანაგრძნობის ნაცვლად უნდობლობა ჰოვა. ერთად-ერთი სპეციალისტი, რომელმაც მისი იაფეტური თეორია გაიზიარა, იყო ჩვენი უნივერსიტეტის უდროოდ გარდაცვლილი პროფესორი იოსებ ყიფშიძე, რომელმაც თავისი მეგრული გრამატიკა მასწავლებლის თეორიის თანახმად ააგო და მისი ტერმინოლოგიაც დაიცვა. ევროპაში რომ ვისმე სპეციალისტს მი-

¹ «ლეკური» აქ «ხუნურის» მნიშვნელობით არის ნახვარი.



ელოს იგი, მე ჯერ არ ვიცი და არცა მგონია, რომ მიღებულ იქნეს, თუნდაც იმ სახით, რომელიც მას უკანასკნელად მისცა პროფ. ნ. მარმა.

შე დღეს აქ საჯაროდ უნდა განვაცხადო, რომ იაფეტური თეორია ჩემი მასწავლებლის ნ. მარისა, თეორია, დაფუძნებული ქართულისა და მისი მოძმე ენების სემიტური ჯგუფის ენებთან გენეტიკურ ნათესაობაზე, არ გამართლდა. ირკვევა, რომ ის ელემენტები, რომლებიც აახლოვებს ქართულს სუმიანთ ენებთან, ერთი ჩამომავლობისა კი არ არის, არამედ სულ სხვა ნიადაგზეა წარმოშობილი. სახელდობრ, ჩვენ აქ საქმე გვაქვს იმ გარემოებასთან, რომ ჩვენს ძველისძველ წინაპრებს მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკური კავშირი ჰქონიათ ერთ რომელიღაც სემიტურ ენასთან, იმდენად მჭიდრო, რომ ამას თავისი კვალი დაუტოვებია ჩვენს ენებში.

შაგრამ ასეთი გავლენა ხომ ინდოეთ-ევროპის ენებსაც მოუხდენიათ ქართულზე! ჩვენს ენაში არა ერთი და ორი სიტყვა მოიძებნება ისეთი, რომ უხსოვარი დროიდან იყოს შემოსული ინდოეთ-ევროპის საენო საგანძურებიდან და დროთა განმავლობაში ისე შეეცვალოს სახე, რომ მხოლოდ დეტალური განხილვისა და ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მათი ისტორია.

შეიძლება ითქვას, რომ პროფ. ნ. მარის იაფეტურმა თეორიამ, თავის სწრაფი განვითარებისა და არაჩვეულებრივი ცვალებადობის წყალობით, თვითვე უარყო თავისი თავი და, თუ სადმე აქვს მას კიდევ გავლენა, მხოლოდ არასპეციალისტთა წრეებში და ჩვენი ვალია, ამ გარემოებას ხაზი გავუსვათ.

შაგრამ ამასთან ერთად, რასაკვირველია, ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის დიდი ღვაწლი, რომელიც ნიკო მარს მიუძღვის ქართული ფილოლოგიისა და ქართული ენათმეცნიერების წინაშე. მას მრავალი ჩინებული შრომა აქვს, რომელთაც დიდი მკვლევრის ბეჭედი აზის, მრავალ-მხრივად უდგება სხვადასხვა საკითხს და იშვიათი ხერხითა და ოსტატობით სჭრის მათ. ფართო მომზადება და კარგი ცოდნა ენებისა საშუალებას აძლევს მას, ზედინედ წამოაყენოს ერთი-მეორეზე უმნიშვნელოვანესი საკითხები, გამოარკვიოს ეტიმოლოგიები და ამავნა უმთავრესად მისი ღვაწლი. მაგრამ მისი თეორია კი საერთოდ მისაღები არ არის.

შაშასადამე, უნდა აღვიაროთ, რომ ჯერ კიდევ არ დაჰკარგვია ძალა იმ დებულებას, რომელიც წამოყენებული იყო წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში და რომლის დედაბზრი ის არის, რომ ქართული, მეგრული (ჭანურითურთ) და სვანური შეადგენენ დამოუკიდებელ ჯგუფს, რომლის აღსანიშნავად შეგვიძლია ავიყვი ი ვ ე რ ი უ ლ ი დავტოვოთ, რომელსაც პროფ. ალ. ცაგარელი ხმარობდა, ან კიდევ ქ ა რ თ უ ლ ი ვისმართ, რომელიც აგრეთვე იხმარებოდა. მაგრამ რადგანაც ორთავე ტერმინს თავისი უხერხულობა აქვს, ამიტომ შეიძლება ჩვენი ენების ჯგუფისათვის, ე. ი. ქართულის, მეგრულისა (ჭანურითურთ) და სვანურისათვის გვეწოდებინა ტერმინი, ნაწარმოები ამ სიტყვების დასაწყისი მარცვლების მიხედვით: ქ ა მ ე ს უ რ ი.

ქართულ ენაზე მრავალ მკვლევარს აქვს მიპყრობილი თვალეები. მისი შემწეობით ჰსურთ ამოხსნან ძველი აღმოსავლეთის კულტურული ენები. აქემენიდების წარწერების ენას უკანასკნელად პროფ. ნ. მარიც ადარებდა ქართულს.



ვანის სოლებრი წარწერების ენას ქართულს უკავშირებდნენ, იყო ცდილობდნენ ქართულთან დაახლოვებისა და სხვ.

შმას გარდა, ჩვენს მეზობლად კავკასიაში დღესაც ცოცხალია მრავალი ენა, რომელთაც, როგორც ფიქრობდა ზოგი, გენეტიკური ნათესაობა უნდა ჰქონდეთ ქართულთან. უკანასკნელ ხანებში პროფესორი მარი ამტკიცებდა კიდევაც აბხაზურ-ჩერქეზულს, ჩაჩნურისა და დაღესტნის ენების (ლექურისა და სხვ.) იაფეტურობას, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხები, რომელთა გადაჭრას უადრესი მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ საკითხებია, საკითხები პრობლემების სახით წამოყენებული; და ამ პრობლემათა სისწორით გადასაწყვეტად დინჯი და აუჩქარებელი მუშაობაა საჭირო, საქმე, რომელიც მრავალი მუშაკის თანხმობრივ თანამშრომლობას მოითხოვს და მე იმედი მაქვს, რომ ამ მუშაობის დროს ჩვენი უნივერსიტეტი პირველ რიგში იქნება და თავის ავტორიტეტულ სიტყვას იტყვის სადაო საკითხების გამოსარკვევად და ამით დიდსა და დაუფასებელ სამსახურს გაუწევს მეცნიერებას.

ქვეყნი მსჯავრის დასადებად წარმოდგენილი წიგნი ერთი ნაწილია იმ საქმისა, რომლის მიზანია დიდისა და მნიშვნელოვანი კულტურულ-ისტორიული საკითხების გადაწყვეტა. მისი არე ვიწროდ არის შემოფარგლული, აღებულია ერთი მოვლენა მხოლოდ ქართული ენისა, მაგრამ დასკვნები, რომლებიც მიღებულია, საყურადღებოა არა მარტო ქართულისათვის. ცუდია, თუ ჩვენი მონათესავე ენების შედარების დროს არ ვიცით ნამდვილი ღირებულება, ვთქვათ, პრეფიქსებისა, რომელნიც ასე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩვენს ენებში და თუ ბრძანებით კილოს ვერ ვარჩევთ თხრობითისაგან. ეს, მე მგონია, ცხადია უველასთვის და აღარ განვაგრძობ სიტყვას.

ეს შრომა გრამატიკული მონოგრაფიაა ისტორიული თვალსაზრისით განხილული, რომელსაც საფუძვლად დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება უძევს.

ჯაკი მანიძე

ჯერი სუფიქსიანი ქალის სახელები ძველ ქართულში

1

ს ე რ ო ქ ა ვ რ ი ქალის სახელი იყო ძველად. მსგავსადვე დაბოლოებული ქალის სახელები იყო აგრეთვე ლ ა ტ ა ვ რ ი და გ უ ა რ ა მ ა ვ რ ი. ყველა ისინი ქართული წერილობითი ძეგლებიდან არიან ცნობილი.

ს ე რ ო ქ ა ვ რ ი ორჯერ გვხვდება «ქართლის მოქცევის» ტექსტში, რომლის უძველესი ნუსხა შემონახულია შატბერდის კრებულში (X ს.). ეს ტექსტი გამოსცა ე. თაყაიშვილმა «მოქცევის» ჭელიშურ ტექსტთან ერთად 1912 წელს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობაში¹. აქ მოთხრობილია, რომ, როცა წმ. ნინომ ქრისტიანობის ქადაგება ნაყოფიერად ჩაატარა ჯერ მცხეთაში და შემდეგ ერწო-თიანეთის მხარეს, თავისი მოღვაწეობის განსაგრძობად გაემგზავრა კახეთს. შემდეგ უნდოდა იქედან მცხეთას მობრუნებულიყო, მაგრამ გზაში ავად გახდა, შეჩერდა ბოდისში და იქ გარდაიცვალა. მისი ავადმყოფობის ამბავი გაიგეს და, ვიდრე მოკვდებოდა, მასთან შეიკრიბნენ ქვეყნის ბატონ-პატრონები («მეფენი ქუეყანისანი»), მათ შორის დედოფალი სალომე უქარმელი და პეროქავრა სივნიელი, და მთავრები, რომლებიც «პკითხვიდეს მას და ეტყოდეს: «ვინაა ანუ ვითარ მოშუერ შენ ქუეყანასა ჩუენსა მაცხოვრად ჩვენდა? ანუ სადამე იყო აღზრდაა შენი, დედოფალო? მაუწყე ჩუენ საქმე შენი. რაჲსა იტუჲ ტუუეობასა, ტუუეთა მქსნელო სანატრელო?» (გვ. 734). ამ ნაწივეტში «პეროქავრი» სახელობით ბრუნვაში დგას და პირდაპირ არ ჩანს, თუ რას წარმოადგენს ამ სახელის ბოლოკიდური ი, სახელობითი ბრუნვის ნიშანია იგი, თუ ფუძის კუთვნილება. ცოტა ქვემოთ კი წმ. ნინო უპასუხებს მათ: «მოიხუენით აღსაწერელნი წიგნისანი და დაწერეთ სიგლახაკმ ჩემი და უდები ცხორებაა ჩემი, რაჲთა უწყოდიან შევითაცა თქუენთა სარწმუნოვებაა თქუენი და შეწყნარებაა ჩემი... მაშინ მოსოლო -ისუენეს საწერელნი სალომე უქარმელმან და სივნიელმან პეროქავრი. და იყო სიტყუად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს» (გვ. 735). აქედან უკვე ცხადია, რომ პერო-

¹ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XLII აღწერა გამოცემულია ცალკე: Е. Такайшвили, Описание рукописей „Общества раси рос-ранения грамотности среди грузинского населения“, т. II, вып. 1—4, Тифлис, 1905—1912, გვ. 704—815.



ქ ა ვ რ ი - ს ბოლოკიდური ი ფუძისეულია, რაც იქიდან ჩანს, რომ სახელი *სალონი* თხრობითში დგას. რომ ბრუნვა მოთხრობითია, ამას აჩენს როგორც გარდასაღილი ზმნა, რომელიც .II სერიის ფორმაა წყვეტილის მწკრივისა («მოიხუნეს»; ავი ქვემდებარედ მოთხრობითი ბრუნვის ფორმას მოითხოვს), ისე ორივე სახელთან შეწყობილი მსაზღვრელი: «სალომე უქარმელ მან და სიენიელ მან პეროქავრი».

მნდა შეენიშნოთ მაინც, რომ ჰელიშურ რედაქციაში ეს სახელი ერთზე გვხვდება და ისიც პეროქავრ ფორმით: «ეტყოდეს დედოფალნი სალონი უქარმელ და პეროქავრ სიენელ» (გვ. 734). ი-მოკვეცილი ფორმა გვხვდება აგრეთვე ქართულიდან სომხურად ძველად ნათარგმნ «ქართლის ცხოვრებაში», სადაც იკითხება: *საკა ხკნ ათ ნა ქაყალირ ღ ღკნ ღკრ ღ ზღიოძაქრ შილ-ზჩენს ღ რაჟიოქჩინ ჭიჟიქციე* («მერმე მასთან მოვიდნენ მეფე და მისი ცოლი, და პელუქავრ სიენელი და დიდძალი ხალხი»)¹. სამაგიეროდ ბოლოკიდური ი შენახულია ლეონტი მროველის კომპილაციურ ნაშრომში, რომელიც ქართლის მოქცევებს ამბებს მოგვითხრობს: «მაშინ მსწრაფლ მოიხუნეს საწერელნი სალომე უქარმელმან და პეროქავრი სიენელმან»². ყველა ამ ფორმათაგან სწორია პეროქავრი, რომელიც შატბერდის კრებულიდან არის ცნობილი.

ზ ა ტ ა ვ რ ი. ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან ორი ლატავრია ცნობილი:

1) ორი იყო ადარნასეს ასული, რომელიც ცოლად გაჰყვა არჩილ მეფის ძეს ჯუანშერს (VIII ს.). ამის შესახებ «ქართლის მატრიანეში» ვკითხულობთ: «ამან ჯუანშერ შეირთო ცოლი — ნათესავი ბაგრატიონიანთა, ასული ადარნასესი, სახელით ლატავრი»³.

2) შორე ლატავრი იყო და მთავრის გიორგი ჩორჩანელისა, რომელიც სერაპიონ ზარზმელს მფარველობდა და ესმარებოდა ზარზმის ტაძრის აშენებაში. ამის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ სერაპიონის «ცხოვრებაში»: როცა გაიგო სერაპიონმა, რომ მისი მფარველი და შემწე გიორგი ჩორჩანელი გარდაიცვალა, «მივიდა საფლავსა ზედა მისსა, მოწლედ და თანაღმობით იტირა, და, ვითარცა ჯერ-იყო, მოიკითხა და ნუგეშინის-სცა დასა მისსა ლატავრის, რომელსა უკუანაასენელ თეკლაჲ ეწოდა»⁴.

ჩაწყვეტიდან ჩანს, რომ ეს ქალის სახელი დასმულია მიცემით ბრუნვაში (ლატავრი-ს); და, რაკი ბოლოკიდური ი შენახულია, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ფუძის კუთვნილებაა. მაშასადამე, პეროქავრი და ლატავრი, ბრუნ-

¹ «ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევისა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ. 1953 (თბ. უნივერსიტეტის გამოცემა), გვ. 126. ეს სომხურა თარგმანი შესრულებულია, როგორც გამორაკვია ბროსემ, 1279 და 1311 წლებს შორის (იქვე, გვ. 01—04).

² ქ. ცხ. I, 127. ანა დედოფლისეული ხელნაწერი ბოლოკიდურ ინს აკლებს, მაგრამ სხვა ხელნაწერებში არის დამახინჯებულად: პეროქავრი (A: პეროქავრ) სიენელმან AC, პერუქ ავრის-ველმან (RT; ავრისენელმან BRT), პეროქ ავრისინელმან Mm, პეროქ (ჭერუქ d) ავრისენელმან Ebd.

³ ქ. ცხ. I, 251.

⁴ ბასილი ზარზმელი. ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა (კ. კეკელიძე, აღრინ-დელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. 1935), გვ. 173.



ბეს თვალსაზრისით, ორივე ერთისა და იმავე ტიპის სახელებია, ორივეს ფუძე-სეული ი მოეპოვება ბოლოში; პეროქავრისთვის ამის მაჩვენებელია მოთხრობითი ბრუნვა, ლატავრისთვის კი — მიცემითი.

ამათგან ლატავრი ჩვენ დროს ადადგინეს და შემოიღეს ლატავრის ფორმით; ცნობილია, მაგ., ს. შანშიაშვილის სუთ-მოქმედებიანი დრამა «ლატავრა» და ზ. ფალიაშვილის ოპერა ამავე სათაურით.

ღუარამავრი. ეს ქალის სახელი გვხვდება ატენის სიონის წარწერაში, რომელიც მოთავსებულია საკურთხეველის სამხრეთის კალთაზე. იგი დათარიღებულია ორგვარად: ჰიჯრის წელთაღრიცხვით და ქართული ქრონიკონით. წარწერა ასე იკითხება:

«ღრმანებთა ღმრთისაჟთა, თუესა ნოვენბერსა თოთხმეტსა, დღესა ოთხშაბათსა, ქამსა ღამისასა, ს(არკინოზთა) წელსა სკგ, ქრონიკონსა ნჟ აღესრულა კურთხეული დედოფალი გუარამავრი. ღმერთმან...»

წარწერა, რომელიც გამოაქვეყნა თეიმურაზ ბარნაველმა, ქართული ქრონიკონით გვაძლევს $(780 + 57 = 837)$ 837 წელს; ამასვე უდრის ჰიჯრის სათვალავიც 223, გადმოყვანილი ჩვენს წელთაღრიცხვაზე¹.

ბედოფალი გუარამავრი, რომელიც უთუოდ ატენის სიონის ტაძარში ან მის ეზოშია დასაფლავებული, ადგილობრივი მთავრის მეუღლე უნდა იყოს, მაგრამ სხვა წყაროებიდან ის ცნობილი არ არის.

ეს სახელი წარწერაში სახელობითი ბრუნვის ფორმით არის მოყვანილი, მაგრამ, თუ მივიღებთ მსგეველობაში იმ გარემოებას, რომ საკუთარ სახელებს ძველ ქართულში ბრუნვის ნიშანი არ სჭირდებოდათ სახელობით-მოთხრობით-წოდებითში, უნდა დავასკვნათ, რომ ბოლოკიდური ი (გუარამავრი) ამ შემთხვევაშიც ფუძის ნაწილია. მაშასადამე, მოყვანილი ქალის სახელები (პეროქავრი, ლატავრი, გუარამავრი) — ყველა უკვეცელ ხმოვანზე ფუძე-დაბლოებული სახელია.

2

ძედგენილობის თვალსაზრისით სამივე ქალის სახელი რთული ჩანს, კომპოზიტია, და თვითეული მათგანი ასე დაიშლება: პეროქ-ავრი, ლატ-ავრი, გუარამ-ავრი. ამათგან პეროქ და გუარამ კაცის სახელებია სპარსული წარმოშობისა.

პეროქ იგივეა, რაც პეროზ. განსხვავება მათ შორის წმინდა დიალექტურია: პეროზ სამხრეთ-დასავლური კილოს კუთვნილება ჩანს, პეროქ კი — ჩრდილო-აღმოსავლურისა. საქართველოსა და სომხეთში ეს სახელი უფრო პეროზ-ის ფორმით არის ცნობილი. მაგ., ბოლნისის V საუკუნის წარწერაში იკითხება: «ოც წლისა პეროზ მეფისა ზე»². სომხურ წყაროთაგან შეიძლება დავიმოწმოთ, მაგ., სებეოსის ისტორია, სადაც ეს სახელი რამდენჯერმე გვხვდება *Պերოզ*-ის (პეროზ-ის) ფორმით. საზოგადოდ, პეროზ — ეს არის სასანიანთ დროიდან შემოსული ფორმა, რომელიც შემდგომ შეცვალა

¹ თეიმურაზ ბარნაველი. ატენის სიონის წარწერები. 1957. საქ. სსრ-ის მეცნ. აკადემიის გამოცემა, გვ. 15—16.

² იგულისხმება პეროზ I, რომლის მეფობა 459—484 წლებში მოდის.



ახალი სპარსულიდან შემოსულმა ფეროზ-მა. არაბული ენის გავლენით **ფეროზ** სახელი ფეროზ-ად იქცა (فِرْوَز) **ჩაბრუზ**, **ჩირუზ**).

ჩაც შეეხება პეროჟ ფორმას, რომელიც პირველი ნაწილია პეროჟ ავრი-სა, იგი სხვა დიალექტიდან მოდის: პეროჟიზ «გამარჯვება», პეროჟავრ «გამარჯვებული»¹. იმავე დიალექტიდან მოდის ჰერეთის ისტორიიდან ცნობილი კაცის სახელი ვარაზ-პეროჟ (*Վարազ-Պերոժ*)², ამას გარდა, ანონიმის «გეოგრაფიაში» დასახელებულია მხარეები: პრაპოტ-პეროჟ, ორმიზდ-პეროჟ და სპანდარან-პეროჟ, რომლებიც ფაიტაკარანში შედიოდნენ³. ამას შეიძლება დავსძინოთ სახელი სომხეთში მდებარე ციხისა, რომლის შესახებ ჯუნშერის ისტორიაში ვკითხულობთ: «წარემართა ვასტანგ შესღვად საბერძნეთა და მიიწივნეს სომხითს და მოერთნეს პეროჟაკაფას, სადა-იგი ციხე აეგო პირველ ქსენებულსა ფეროზს, ერისთავნი სომხითისანი»⁴. საყურადღებოა, რომ ციხის სახელში პეროჟ იკითხება, რაც ძველი ფორმაა, მაგრამ მისი აშენება მიეწერება ფეროზს, რაც ახალი ფორმაა.

ჩქედან ჩანს, რომ პეროჟავრი, თავისი შიშინა ბგერით (ჟანით), როგორც ეს «ქართლის მოქცევის» ამბავში იკითხება, სრულიად კანონიერი ფორმაა.

ღუარამავრი სახელში შემავალი გუარამ კაცის სახელი იყო, და თანაც საკმაოდ გავრცელებული ჩვენში ძველად. ცნობილია რამდენიმე გუარამი, მაგ., გუარამ კურაპალატი, მთავარი ქართლისა, რომელმაც იწუო ჯვარის ეკლესიის შენება მცხეთაში, გუარამ მამფალი, აშოტ I-ის ძე, და სხვები. ამ სახელისაგან მომდინარეობს გვარი გვარამია, ხოლო მისი კნინობითი (გუარამა) ფორმისაგან — გვარამაძე.

ღუარამ სპარსული სახელია. მისი საშუალო-სპარსული ფორმა ვაპრამ-ის ფორმით არის ცნობილი, რომელიც სომხურშიც არის გადმოსული (*Վահրամ*).

ღვევე ვაპრამ, ჰაეს ჩავარდნით, ქართული წყაროებიდანაც არის ცნობილი, მაგ., ვარამ გაგელი, მე-13 საუკუნის პოლიტიკური მოღვაწე.

სხალ სპარსულში ვაპრამ-მა ბაპრამ-ი მოგვეცა, რომელიც ქართულში ჰაეს ჩავარდნით იხმარება: ბარამ. ეს სახელი კარგად ცნობილია ნოდარ ციციშვილის «შვიდი მთიებიდან»:

«მონათლეს, ვაქსა დაარქვეს სახელად ბარამ სვიანი»

(32),

«ბარამს მამისა სიკვდილი გულს ცეცხლად მოედებოდა»

(42) და სხვ.

ეს სახელი დღესაც არის აქა-იქ ჩვენში; მისგან ნაწარმოებია გვარები ბარამიძე და ბარამია.

¹ Пехлевийско-персидско-армянско-русско-английский словарь. Составил Р. Абрамян, Ереван, 1955, გვ. 210; Hübschmann, AG, 68.

² მოსე კალანკატუელის ჰერეთის ისტორია (*Պատմութիւն Աղւստանից աշխարհի*), გამოსცა მიკერტიჩ ემიანა. მოსკოვი, 1860, გვ. 71.

³ Մ. Տ. Նրեմյան, Հայաստանը ըստ «Աշխարհացիցի». Նրևան, 1963 (რუკითურთ).

⁴ ქ. ცხ. I, 159.

ღუარამ-ის პარალელური ფორმაა გურამ, რომელიც დღეს ჩვეულებრივი სახელია ჩვენში. მისგან ნაწარმოებია გვარი გურამიშვილი.

სასანიანო ხანის სპარსულ ვაჰრამ (უკეთ ჭაჰრამ) ფორმის წინ განის განვითარება თვით სპარსულშივე უნდა მომხდარიყო და იქედან პირდაპირ უნდა შემოსულიყო ჩვენში.

ქართულ ბარამ-ში, როგორც ვთქვით, ჩავარდნილია ჰ, სამაგიეროდ სომხურში იგი შემონახულია (*Բահրամ* ბაჰრამ) და მისგან გვარიც არის ნაწარმოები: ბაჰრამიან.

ჰომ ნათელი იყოს, თუ რა ურთიერთობაა გუარამ-სა, გურამ-სა და ვაჰრამ-ს შორის, უნდა ვიცოდეთ, რომ, სპარსული ენის ისტორიიდან ცნობილი წესის მიხედვით, ვა ჯგუფმა გარკვეულ შემთხვევებში გუ მოგვცა. მაგ., ვარდ > გულ (რდ კომპლექსი ლ-დ იქცა, როგორც აქ: სარდალ-ი > საღარ-ი, სპასალარი). ეს გულ («ვარდის» მნიშვნელობით) დღეს გვაქვს ისეთ ნასესხებ კომპოზიტიში, როგორცაა გულაბ-ი («ვარდის წყალი»). განის დართვა თვით სპარსულ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო.

შეგვარად, სახელები გუარამ, გურამ, ბაჰრამ, ბარამ, ვარამ — ყველა ერთნია წარმოშობით.

ძეუ კომპოზიტი ქალის სახელები ჰეროქავრი და გუარამავრი პირველ ნაწილში ნათლად გვიჩვენებენ კაცის სახელს (ჰეროქ-სა და გუარამ-ს შესაბამისად), მასვე ვერ ვიტყვივით ერთბაშად ლატავრი-ს შესახებ. ანალოგიის ძალით უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც პირველ ნაწილში კაცის სახელი იგულისხმება, მაგრამ რომელი? ლატ- ასეთი სახელი არ არის ცნობილი; სამაგიეროდ კარგად ცნობილია რატი, რომელიც ძალიან გავრცელებული იყო რაჭის ერისთავთა საგვარეულოში. თვით გეოგრაფიულ სახელს რაჭა-ს საფუძვლად რატი უძევს: ეს სახელი სვანურია წარმოშობით და ნიშნავს «რატიანოს», «სარატიოს»: *რატი-შა > რატშა > რაჭა.

ჰაც შეეხება თვით რატი სახელს, რომელიც დღეს მხოლოდ გვარებშია შემორჩენილი (რატიშვილი, რატიანი)¹, მისი წარმოშობის საკითხი ამჟამად ჩემთვის მთლად ნათელი არ არის. შეიძლება ის იყოს დატ-ი (*Ṛaati*), რომელიც ცნობილია ბერძნულ-სომხური წყაროებით სპარსეთსა და სომხეთში (*Justi, Iranisches Namenbuch*, 81); მაგ., მოსე ხორენელი ახსენებს მონადირეთ უხუცესს დატ-ს (*ყ-Ṛaati*-ს) ვალარშაკ მეფის დროს (სომხეთის ისტორია II, 7; II, 11); რატი შეიძლება იგივე იყოს, რაც დატ-ი, მაგრამ საკითხი ისმის ი ხმოვნის შესახებ, რომელიც ბოლოკიდურად მოუდის ქართულ სახელს, სადაც იგი უთუოდ ფუძისეულია.

ჰატავრი-საგან, პირველი თანხმოვნის დისიმილაციის გზით, ადვილად მივიღებდით ლატავრი-ს, მაგრამ რჩება მაინც ასახსნელი სახელის ბოლოკიდური ინის დაკარგვის ამბავი: გამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო რატი-ავრი და არა რატავრი.

სწეა თუ ისე, მე მიმაჩნია მაინც, რომ ლატავრი წარმომდგარია რა-

¹ სვანეთში 1921 წ. მე ვიცნობდი ერთ მესტიელს, რომელსაც სახელად რატიანი ერქვა და გვარადაც რატიანი იყო (რწიან რწიან).



ტავრი-სგან და რომ ამ ქალის სახელის პირველ ნაწილში იმაღლებოდა ცხელი სახელი რატი.

შაშასადამე, გამოდის, რომ ყველა ავრი სუფიქსიანი სიტყვები ძველად გამოყენებული ყოფილა ქალის სახელებად, ხოლო ეს სუფიქსი დართული ჰქონია კაცის სახელს. როგორც ვხედავთ, აქ იგივე მოვლენაა, რაც სააკდუსტ-ისა და გურანდუსტ-ის შემთხვევაში: სააკ-ი და გურამ-ი კაცის სახელებია, სააკდუსტ-ი და გურანდუსტ-ი კი — ქალისა. დუსტ (دست) სპარსულად აღნიშნავს «ასულს, ქალს, ქალიშვილს, გოგონას». აი ამ სიტყვის დართვით ნაწარმოებია სააკდუსტ (შემოკლებით საგდუსტ), გურანდუსტ (მიღებული გურამ-დუსტ-ისაგან) ძველ ქართულში და ხოსროვიდუსტ სომხურში¹ და სხვა. სწორედ ამ ტიპის წარმოებაა ქალის სახელებიც: პეროქავრი, ლატავრი და გუარამავრი.

ტლიშნულ სახელებში ავრი მეორე ნაწილია კომპოზიტისა, მაგრამ იგივე ავრი პირველ ნაწილად შედის აჭრიორდ-ში, რომელიც საზოგადო სახელია და «ქალიშვილს» ნიშნავს სომხურად. ეს სიტყვა ძველად ასე იწერებოდა:

აღრიორდ (აჭრიორდ), მაგრამ შემდეგ აუ ჯგუფი ო-დ იქცა და ორიორდ-ი მოგვცა, როგორც ეს მოხდა ბერძნულ სახელ Πασλιος-ში, რომელიც ძველად იწერებოდა **Πασლიος** და პაულოს-ად გამოითქმოდა, შემდეგ კი პოლოს-ად იქცა და უკანასკნელ — პოლოს-ად. ქართულმა კი აჭ დიფთონგი არ იცის, ისე როგორც არ იცის დიფთონგები ეჭ და იჭ. დიფთონგის მეორე ნაწილი ასეთ შემთხვევაში ვ თანხმოვანს გვაძლევს და გვაქვს ავ, ევ, ივ, ამის მავალითებია: პავლე, ევტიხი, ივლიანე. ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ ერთისა და იმავე წარმოშობის სიტყვამ სომხურში აუ მოგვცა (აჭრი-ორდ **აღრიორდ**), ქართულში კი — ავ (გუარამ-ავრი, პეროქ-ავრი, ლატ-ავრი).

3

ქა არის ეს ავრი? იგიც სპარსული წარმოშობის სიტყვა უნდა იყოს და იმასვე უნდა ნიშნავდეს, რასაც დუსტ, ე. ი. «ასულს, ქალს, ქალიშვილს». ოლონდ ისინი (ავრი და დუსტ) სხვადასხვა დიალექტური წრის სიტყვები ჩანან. ამიტომ, მაგ., რაკი, როგორც ზემოთ ვნახეთ, გურამ-ი და გუარამ-ი ერთია, ერთია აგრეთვე გურანდ-დუსტ-ი (მიღებული გურამ-დუსტ-ისგან) და გუარამ-ავრი.

საზოგადოდ, სპარსეთში ძველად მიღებული ყოფილა, ეწარმოებინათ ქალის სახელი კაცის სახელისაგან დუსტ-ისა ან ავრი-ს დართვით. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, მიღებული იყო ასულის სახელს ფუძედ მამის სახელი ჰქონოდა.

ჩიკო მარი არ შეჰხვებია ავრი-ს, რომელიც მოიპოვება ქართულ ქალის სახელებში (როცა ის წერდა, მაშინ გუარამავრი არ იყო ცნობილი, ცნობილი იყო მხოლოდ პეროქავრი და ლატავრი). მაგრამ მან სწორად აღნიშნა, რომ სომხ. აჭრიორდ-ი თავისი შედგენილობით და ორივე ნაწილის მნიშვნელობით იგივეა, რაც ქართული «ქალი-შვილი». მან ამ სომხური სიტყვის

¹ 3. აჭარიანი. სომხურ პირთა სახელების ლექსიკონი, II, 1944, გვ. 538—540 (სომხ.).

პირველ ნაწილს გვერდში ამოუყენა -უ ჰ ი, ანუ უფრო სრული -უ რ ჰ ი. მელიც სუფიქსად იხმარება მრავალ სახელში¹. იგი დაერთვის არსებით და ზედსართავ სახელებს, რომ აწარმოოს სპეციალურად სახელი, რომელიც მიგვითითებს, რომ ვისაც ის აღნიშნავს, მდებარა. მაგ., *ჟორქ* (ქურმ) — „ქურმი“, *ჟორქ-მოსქ* (ქერმუჭი) — „ქურმი ქალი“, *ჟორქ* (ვკაჟ) — „მოწამე“, *ჟორქ* (ვკაჟუჭი) — „მოწამე ქალი“; *ჟორქ* (თაგავორ) — „მეფე“, *ჟორქ* (თაგუჭი) — „ღედოფანი“, *ჟორქ* (სურბ) — „წმიდა“, *ჟორქ* (სგრბუჭი) — „წმიდა ქალი“ და სხვ.

ეს -უ ჰ ი (-უ რ ჰ ი) სუფიქსი სომხურში იხმარება ქალის სახელთა საწარმოებლად ვაცის სახელთაგანაც: *სამკათ* (სემბატ) ვაცის სახელია (ქართულად სუმბატ), *სამკათოსქ* (სემბატუჭი) — ქალისა; *სოროქ* (ხოსროვ) ვაცის სახელია, *სოროქოსქ* (ხოსროვუჭი) — ქალისა.

სოგორც ზემოთ ვთქვით, ამ -უ ჰ ი-ს ძველი ფორმაა -უ რ ჰ ი. მოსე ხორენელის ისტორიაში (II, 37) მოხსენებულია სუმბატ ბივრატის ძის ორი ასული, რომელთა სახელები მამის სახელისაგან არის ნაწარმოები: *სამკათოსქ* (სემბატანუჭი) და *სამკათოსქ* (სემბატურჭი).

სხვათა შორის, ამ -უ ჰ ი სუფიქსს პოულობს გ. წერეთელი მცხეთის ბერძნული წარწერის ქართველთა მეფის მითრიდატის დედის სახელში, რომელსაც ამ მეფეების აზრით, ამასასუჭი ჰქმევია, რომელიც წარწერაში *ΙΑΜΑΣΑΣΠΟΙ*-ს ფორმით არის წარმოდგენილი². შესაძლებელია, მაგრამ მანც აქ ერთი საკითხი იმის: თუ კი მ. ხორენელს ეს სუფიქსი -უ რ ჰ ი-ს ფორმით მოჰყავს, შეიძლებოდა კი, რომ ისეთ ძველ დროს, როგორცაა 75 წ. (I ს. ჩვენი წელთაღრიცხვით), რ არ ჰქონოდა მას? ამ დროს ეს სუფიქსი, ბერძნული ასოების გადმოცემით, თითქო უფრო *ΟΥΠΙ* ან *ΟΠΙ* უნდა ყოფილიყო.

სოგორც ქართულში ვესვდება ორნაირად ნაწარმოები ქალის სახელი *გურამავრი* და *გურანდუხტ* (გურამ-დუხტ), ისე სომხურშიც ხოსროვ-ისგან, რომელიც ვაცის სახელია, ნაწარმოებია ქალის სახელები: *ხოსროვუჭი*, *ხოსროვიდუხტ* და *ხოსროვანუჭი* (ან *ხოსროვანუჭი*)³.

წ. შარი სწორად აღნიშნავდა, აჭრიორდ-ში შემავალი აჭრი-სა და სუფიქსად ქცეული -უ რ ჰ ი-ს იგივეობას. ამიტომ, თუ ეს სწორია (მე კი მგონია, რომ სწორია), უნდა ვიფიქროთ, რომ აჭრი-ში დაკარგულია ჰ. უფრო ძველი ფორმა იქნებოდა *აურჰი * *აურქ*. საზოგადოდ, სპარსულ რჰ ბგერებთან სიტყვებს, თუ ისინი გადმოდიან სომხურსა და ქართულში, ეს ენები სხვადასხვანაირად ეპყრობა: სომხური კარგავს რ-ს და გვრჩება ჰ, ქართული კი — პირიქით: კარგავს ჰაესა და გვრჩება რ. ამისი კარგი მაგალითია სომხ. *ჟინს* (ზოპ-ელ) და ქართ. ზორ-ვა. ამიტომ სრულიად ბუნებრივი ჩანს, რომ უ რ ჰ ი-მ სომხურში უ ჰ ი მოგვცეს, ქართულში კი ა ვ რ ჰ ი-მ — ა ვ რ ი. აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ სომხური აჭრი-ორდ-ის აჭრი ქართული ფონეტიკური

¹ Н. Марр. Непочатый источник истории Кавказского мира: ИАН, 1917, гв. 314.

² გ. წერეთელი. მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს დროსა. თბილისი, 1956, 17—18.

³ ჰ. აჭარიანის «სომხ. პირთა სახელების ლექსიკონი», ტ. II, 1944, 538—542 (სომხ.).



ფორმით არის წარმოდგენილი და თვით ეს კომპოზიტი (აჭრი-ორდი-საგან, როგორც ამას ნ. მარიც ფიქრობდა)¹ სრულიად ემთხვევა ქ. «ქალიშვილ»-ს და მ. «ოსურისქუა»-ს როგორც ფორმით, ისე მნიშვნელობით.

საყურადღებოა, რომ «ქალიშვილი» დასავლური კილოებიდან არის შემოსული საერთო ქართულში. ასეთი სიტყვის შექმნა საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც ოსურ-მა, რომელიც ქართ. ასულ-ის შესატყვისია, ჯერ «ქალისა», შემდეგ კი «ცოლის» მნიშვნელობა მიიღო მეგრულში, და «ასულის» მნიშვნელობის გამოსატყვა სხვაგვარად უნდა მოხერხებულიყო. საამისოდ იგივე ოსური იქნა გამოყენებული («ქალის» მნიშვნელობით), მაგრამ სქუას დართვით (ოსური-სქუა). მსგავსადვე გაკეთდა ქართული ქალიშვილი-ც, იმიტომ რომ დასავლურ კილოებში ქალ-მაც «ცოლის» მნიშვნელობა მიიღო. თუ, მაგ., ერწო-თიანელისათვის ჩემი ქალია ამას ნიშნავს: «ჩემი ასულია», იმერლისათვის იგივე «ჩემი ქალია» სულ სხვას ნიშნავს: «ჩემი ცოლია».

ამიტომ ვფიქრობ, რომ სომხურში აჭრი-ორდი-რომელიც ქართული ან კოლხური კილოს გავლენით არის გაკეთებული, მით უმეტეს, რომ აჭრი ქართულ ქალის სახელებშია დადასტურებული ავრი-ს სახით, თვით სომხურში კი სათანადო მაწარმოებელია -ურჰი ანუ -ურჰი.

ჯაკვი-ს წინა ფორმად *აურჰი აღვადგინეთ. ისიც ვთქვით, რომ სომხურში აჭ დიფთონგი ო-ს გვაძლევს. ამიტომ სრულიად შესაძლებელია, რომ აურჰი-ის მოცეა *ორჰი, რომელსაც ნ. მარი -ურჰი-ს ვარიანტად ვარაუდობდა¹. ოლონდ ნ. მარს ვერ დავეთანხმებით, თითქო ამთ გენეტიკური კავშირი ჰქონდეს ქ. ასულ-თან და მ. ოსურ-თან. ეს მისი მოსაზრება იმიტომ არის მიუღებელი, რომ ორჰი-სა და ურჰი-ში (ისე როგორც ქ. ავრი-ში) ბოლოკიდური ი ფუძისეულია, ქართულ-მეგრული სიტყვების ბოლოკიდური ი კი (ასულ-ი, ოსურ-ი) ბრუნვის ნიშანია. ფუძედ გვჩვენებს, მაშასადამე, ასულ და ოსურ, რომელთა ორჰი-ურჰი-სთან დაკავშირება გაჭირდება. -ავრი (მიღებული -ავრი-სგან) და -ურჰი ისევე ირანული ჩანს წარმოშობით, როგორც დუსტ, რომელიც მათ მსგავსად შეიძლება კაცის სახელს დაერთოს და ქალის სახელი აწარმოოს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მოიპოვება ავრი-ს ეტიმოლოგიური ახსნის ცდა. მზია ანდრონიკაშვილი ფიქრობს, რომ «პეროქავრი მიღებულია საშ. სპ. ფორმიდან *perōžvar = Perož + var* ძვ. ირ. *bāra „მქონე, -ოსანი, მოსილი (ძღვეით მოსილი; შდრ. ვიკტორია)»². მაგრამ ეს არ არის სწორი. ასეთი ახსნისას არ არის გათვალისწინებული, რომ (პეროქ)ავრი-ს ი ფუძისეულია და მისი *bāra*-სთან დაკავშირება შეუძლებელია.

ორჰი-ს ეტიმოლოგიური ახსნა მოეპოვება J. Markwart-სა და E. Benveniste-ს. პირველის აზრით, ქალის *Busmiropuria* სახელის *puria* არისო «iber. *-puri < *-purhi = სომხ. -urhi, -uhi, «Tochter» (aus mp. puhr, ap. puθra

¹ Н. Марр. Наричательное значение «qega» в миттанских женских именах: ИАН. 1920, გვ. 123.

² მზია ანდრონიკაშვილი. ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან. I, 1966, 489.



„Sohn“).¹ ხოლო მეორე ასე მსგელობს: თუ სომხ. **ჭაყალი** (თავისუფალი „მეფე“) სიტყვას ნათელი ახსნა-განმარტება მოუპოვება (*tāga-bara — «გვირგვინოსანი»), იგივე არ შეიძლება ითქვას სიტყვის შესახებ, რომელიც მისი მდებარეობითაა. **ჭაყალა** (თავუპი «დედოფალი»), სადაც მისი ნაკლებ ნათელი ბოლო -უჰი აუხსნელი რჩება. ჩვენ მას ასე აღვადგენთ: *taga-brhryā, რომელიც გახდა *-wrhri > *-wrhi, საიდანაც -urhi, -uhi; -w- ხმონად იქცა -r-ს წინ, როგორც patuhas-ში („დასჯას“ ნიშნავს) < *paturhas < patwrlas < patfrās. დაბოლოება -უჰი რომ ამგვარად დამკვიდრდა მნიშვნელოვანსა და დამახასიათებელ სიტყვაში, მან მიიღო ფუნქცია, აღნიშნოს მდებარი პირები ხელობის სახელებსა და წარმომავლობის ზედსართავეებში. ახალ სომხურში გააკეთეს ჰა ა უ ჰ ი («სომხის ქალი»), პ ა რ ი ზ უ ჰ ი («პარიზელი ქალი»), უ ს უ ც რ უ ჰ ი («მასწავლებელი ქალი») და სხვ. (იმოწმებს აბელიანის «ახალი სომხური ენის გრამატიკას», გვ. 44)².

ამგვარად გამოდის, რომ, ბენვენისტის აზრით, უჰი დაბოლოება, რომელიც პირველად თავუჰი («დედოფალი») სიტყვაში გაჩნდა, შემდგომში განზოგადდა და გამოყენებულ იქნა მდებარეობის აღსანიშნავად სახელებში. მაგრამ ამ შემთხვევაში ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი კაცის სახელებსაც დართოდა ქალის სახელთა საწარმოებლად.

შეგონია, რომ თავუჰი წარმოდგა თავაგორუჰი-ს შემოკლებისაგან და აღნიშნავს «გვირგვინოსან ქალს», «ქალ მეფეს»: თავ(ავორ)-უჰი. ეს სიტყვა ისეთი შედგენილობისაა, როგორც ქართ. დედოფალი (<დედა უფალი), სადაც დედა «ქალს» აღნიშნავს. ქართულში ამის საპირისპიროდ მამამა-უფალი-ც გვაქვს, რომელმაც მამფალი მოგვცა, მაგრამ სომხურ თავაგორ-ს არ დასჭირდა კიდევ დამატება რისამე, პირდაპირ აღნიშნოს, რომ კაცია.

ძე სომხ. თავაგორ-ს (რომელიც სიტყვა-სიტყვით «გვირგვინოსანს» ნიშნავს), ქართულად «უფლად» ვთარგმნით და შეეუპირისპირებთ მათგან შესაბამისად ნაწარმოებ თავუჰი-სა და დედოფალ-ს, ვნახავთ, რომ განსხვავება მათ შორის ის არის, რომ სომხურ კომპოზიტს მდებარეობის აღმნიშვნელი სიტყვა ბოლოს აქვს, ქართულს კი — თავში.

ქართ. -ავრი ქალის სახელს აწარმოებს კაცის სახელისაგან; ასევე ქალის სახელს აწარმოებს დუხტ, რომელიც «ასულს», «ქალს» ნიშნავს (გურანდუხტ, სააკდუხტ, მირანდუხტ, ბაკურდუხტ და სხვ.). აური-ორდი-ს ქართული შესატყვისი «ქალი-შვილი» გვიკარნახებს ავრი-ში (ანუ აჭრი-ში) «ქალის» ან «ასულის» მნიშვნელობა ვეძიოთ და, თუ სომხ. აჭრი მიღებულია აჭრი-საგან, რომლის ვარიანტებია აღდგენილი *-ორპი და რეალურად არსებული -ურპი, ამაშიც «ქალის» ან «ასულის» აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ვეძიოთ ირანულ სამყაროს ენებში, საშუალი სპარსულის კილოებში. საშუალი სპარსულის

¹ Die Bekehrung Iberiens und die beiden ätesten Dokumente der Iberischen Kirche. Caucasia. VII. Leipzig, 1931. გვ. 128. შწმ. 2 (ამ -puria-ს შესახებ ნ. ქვემოთ Bayly-ს აზრი).

² E. Benveniste. Etudes iraniennes (Transactions of the Philological Society. 1945 (London), p. 74.



მასალა, სამწესაროდ, ძალიან ცოტაა მოღწეული, და, რაც მოღწეულია, მისი მნიშვნელობა შეუფერებელი შრიფტით არის შესრულებული. ამიტომ, არაა გასაკვირველი, რომ სათანადო სიტყვა ერთბაშად და ადვილად ვერ მოინახოს.

ქალის სახელის მსგავს წარმოებას აღნიშნავენ ქრისტიანულ სოლდურში (სოლდური ირანულ ენათგანია), სადაც *pwrič* ('girl') აწარმოებს ქალის სახელს კაცის სახელისაგან. ამგვარი სახელი დადასტურებულია ასურულში (სირიულში): *bwsmypwrya* 'Busmiropuria'¹.

ჯერ ი-იანი სახელი ძველად საქართველოში უთუოდ ბევრად მეტი იყო, ვიდრე მოღწეული წერილობითი წყაროებით არის ცნობილი. -უჰი-იანი (-ურჰი-იანი) სახელები კი სომხურში ძალიან ბევრია. სხვათა შორის, ღვთისმშობლის შეიდე ეპითეტოგან ხუთი უჰი-ს დართვით არის ნაწარმოები: სგრბუჰი («წმიდა»), თაგუჰი («დედოფალი»), ტირუჰი («უფალა»), მაქრუჰი («უბიწო»), ისკუჰი («ვეშმარიტი»)².

¹ H. M. Bayly, *Adversaria indoiranica*: ESOAS, Vol. XIX (1957), P. I, 57.

² ჰ. აჯარიანი. სომხურ პირის სახელთა ლექსიკონი, II, 1944, 390; IV (1948), 661 (სომხ.).

ტკვი მანძე და ჴასო ცისკარიშვილი

ჴარანის ციხის წარწერა¹

ჩოგმბერიანი რაიონის ცენტრია სომხეთის სსრ-ში, თბილისიდან 90—95 კილომეტრის მანძილზე. ჰაერის ხაზით 60-იოდე კილომეტრი იქნება. იქ მიმავალი გზა ორია:

- ა) თბილისი — მარნეული, სადასლო, ლამბალო, კოდბი, ჩოგმბერიანი,
- ბ) თბილისი — წითელი ხიდი, შიხლო, კოდბი, ჩოგმბერიანი.

ღს მეორე გზა უფრო მოკლეც არის და წითელ ხიდს აქეთ უფრო კარგიც, მაგრამ შიხლოდან ჩოგმბერიანისაკენ უბრალო საურმე გზა მთა-გორებზე მიდის და მანქანით ასვლა ან ჩამოსვლა მხოლოდ დარშია შესაძლებელი. თბილისიდან პირდაპირ ჩოგმბერიანს მიმავალი ავტობუსი პირველი გზით დადის (მარნეულ-სადასლოზე გავლით). ჩოგმბერიანის რაიონი უშუალოდ მარნეულისას ეკვრის.

ჩოგმბერიანი მოზრდილი დასახლებული პუნქტია მთის ფერდობზე, პატარა ხევის მარცხენა ნაპირას, კოდბიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით. მას შველად ბარანა პრქმევია. იგი კოდბზე მომცროა, მაგრამ რაიონის ცენტრად ეს აურჩევიათ. ხელისუფლება ცდილა მის გამშვენებას. არის რამდენიმე კარგი ახალი შენობა, სადაც დაწესებულებანი და სკოლებია მოთავსებული. არის პატარა ბაღიც, წყალსადენი, რაიონული გაზეთი «წიაწან» («ცისარტყელა»).

ტი ამ დაბის მასლობლად აღმოჩნდა ქართული წარწერა ციხის აგების შესახებ.

1966 წლის ზაფხულში ქართული წარწერისთვის ყურადღება მიუქცევია ჩოგმბერიანის 8-წლედის სკოლის გამგეს სამუელ² ჩილინგარიანს, რომელიც თავისი კუთხის სიძველეებით არის დაინტერესებული, და ამის შესახებ უცნობებია ერევანში პროფესორ კარო (კარაპეტ) დაფადარიანისთვის³, რომელსაც შემოუთვლია მისთვის, წარწერის ამბავი ა. შანიძეს აცნობე თბილისში.

ს. ჩილინგარიანი ივლისის დამდეგს თბილისის ჩამოსულა, მაგრამ ვერ მნახა. სამაგიეროდ საქართველოს მუზეუმში შეჰხვედრია ვასო ცისკარიშვილს და ქარ-

¹ ეს ნარკვევი ჩემი დაწერილია, მაგრამ წარწერის წაკითხვა და შენიშვნები არსებითად ვ. ცისკარიშვილისა და ჩემი შრომის შედეგია. ა. შ.

² სომხურად სამუელ გამოითქმის.

³ სომხურად დაჭადარიანია, რუსულად Кафадарян-ს წერენ (ასევეა დაფანციანი და დაჭარიანი, რომლებიც რუსულად Капанцян-ად და Казарян-ად იწერება).



თული წარწერის შესახებ მისთვის უამბნია. ვასო ცისკარიშვილი მოხარულია ჩემთან
3 ივლისს, კვირას დილით, და წარწერის ამბავი მითხრა.

შე იმ დღეს წყნეთში ასვლას ვაპირებდი, მაგრამ ვამჯობინე ნოემბერიანში გამგზავრება ვასოსთან ერთად და წარწერის ნახვა. ასეთი გადაწყვეტილება მოეწონა ვ. ცისკარიშვილსაც, რომელიც კარგად ცნობილია წარწერების სიყვარულით და მათი გამოცემით¹.

ნოემბერიანის მისასვლელი გზები შევამოწმეთ რუკაზე, შემდეგ დავეშვიოვერის დაღმართზე და ჩავედით ავტოსადგურში, სადაც გვითხრეს, რომ ნოემბერიანს პირდაპირ მიმავალი ავტობუსი ნავთლულიდან გადისო. ჩვენ ვამჯობინეთ, დრო არ დაგვეკარგა, და ბოლნისს მიმავალ ავტობუსს გავჰყევით მარნეულამდე. იქ მიინც ცდა მოგვიხდა სამ საათამდე, რომ გავჰყოლოდით. სოფელ სადახლოს მიმავალ ავტობუსს.

სადახლოს რომ მივედით, იქიდან ფეხით მოგვიხდა ორი კილომეტრი გზის გავლა. დებედის ხიდამდე, გაუფარეთ რკინის გზის სადგურს, რომელსაც აგრეთვე სადახლო ჰქვია, გადავიარეთ ხიდი და შევედით სოფ. ლამბალოში, რომელიც სომხეთის სსრ-ის ფარგლებშია. მოგვიხინოდა და სასადილოში პური ვჭამეთ. ცოტადენი ცდის შემდეგ გავჰყევით ადგილობრივი მიმოსვლის ავტობუსს.

ღზაში ჩვენი ურადლება მიიქცია საირიგაციო მშენებლობამ, რომელსაც სომხეთში, როგორც ჩანს, არანაკლები ურადლება ექცევა, ვიდრე საქართველოში ან სხვაგან სადმე. სხვათა შორის, გავიარეთ პატარა პუნქტი, სადაც ორ-სართულიანი კონტა სახლები აუგიათ, რაც საბჭოთა ხელისუფლების მშენებლობის ერთი ნიმუშთაგანია.

ცივარეთ საკმაოდ დიდი აღმართი და დავეშვიოთ კოლებისაკენ. კოლბი საკმაოდ მოზრდილი დაბაა. იქიდან მალე ნოემბერიანში მივედით. უკვე ექვსი საათი იყო, ახალგაზრდებს ფეხბურთის მოედანზე გახურებული თამაში ჰქონდათ.

ჩიკითხეთ სამუელ ჩილინგარიანი, მაგრამ ის შინ არ აღმოჩნდა. გვითხრეს: საცა არის, უნდა დაბრუნდეს თბილისიდანო. აღარ დავეცადეთ სამუელის მოსვლას. მოგვიყვანეს მისი შვილი ჰაიკი, მე-9 კლასის მოწაფე, რომელსაც ცოდნოდა წარწერის ადგილიცა და ჩემ შესახებაც გაეგონა მამისგან. დრო რომ არ დაგვეკარგა, გავსწიეთ სასაფლაოსკენ, რომელიც მდებარეობს სოფლის გაღმა თითქმის ერთი კილომეტრის მანძილზე დაბის ცენტრიდან. ჰაიკმა სხვა ჰაიკი წამოიყვანა. თავისი ამხანაგი. დავეშვიოთ ხევში, ავჰყევით გზას აღმართ-აღმართ და მივედით სასაფლაოზე, რომელსაც გერეზმანუტ-ს ეძახიან.

სასაფლაოს გორაკის გვერდები მეტად დაქანებულია ჩრდილოეთის მხარეს, საკმაოდ — აღმოსავლეთისა და დასავლეთისაკენ და ნაკლებ — სამხრეთისაკენ, სადაც მაღალი მთებია ამართული.

ტქ გორაკის მაღლობთან, ჩრდილო-დასავლეთის მხარეს, სომხურ-წარწერიანი და წარუწერელ საფლავის ქვებს შორის ვნახეთ ქართულ-წარწერიანი ქვა, სიგანით მეტრზე მეტი, სიმაღლით ცოტა ნაკლები. ქვა იდვა მიწაზე ბრტყლად, თავით ჩრდილოეთისაკენ, წარწერით ზემო მხარეს. მცირეოდენი ახალი ამონატეხი ერთ ადგილას პირველ სტრიქონში, ალბათ, საქონლის ფეხის დაბიჯების ბრალია. სასაფლაო შემოუკავებელია და საქონელი დადის (ჩვენ იქ ცხვრები და თხვები

¹ ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1959.

გვიჩვენა რაიონში მოპოვებული არქეოლოგიური ნივთები, სხვათა შორის დედა
ტალი ერთი შენობისა (სვეტისა?), რომელსაც შემორჩენია შემდეგ მსახურისა

ა.ჩ.ს

ღ.ს.ა (ღ.ს.ა?)

ს.ს.ს

ღ.ს

47

ტ

სალეოგრაფიული ნიშნის მიხედვით ეს წარწერა მე-12—მე-13 საუკუნისა
უნდა იყოს. ნაპოვნია კოლბს ქვემოთ (მგონი დუვალი ახსენა), მიწას რომ
ოხრიდნენ ავტოგარაქისათვისო, გვითხრა ს. ჩილინგარიანმა. იქ ყოფილა სხვა
ქართული წარწერებიც, მაგრამ არ შეუნახავთ.

სამუელმა გვიამბო, რომ მას ქართული წარწერა ეგულეა კიდე შორს მთა-
ში. სასურველია, ისიც იქნეს გამოკვლეული.

წორმეტიოდე საათი იქნებოდა, რომ, ჩვენდა იღბლად, კერძო მანქანა (მსუ-
ბუქი ავტო) ვიშოვეთ, გამოვემშვიდობეთ ს. ჩილინგარიანს და გამოვსწით
თბილისისკენ. კოლბს რომ გამოვსცდით და აღმართს შევედევით, მძლომა
გვეითხა: ხომ არ ინებებთ, სხვა გზით წავიყვანოთო, წითელ ხიდაზე გავლით,
რომელიც უფრო მოკლეც არისო. ჩვენ სიამოვნებით დავეთანხმეთ.

ხარგი ამინდი იყო, ავტომ გადაუხვია მარჯვნივ, გორ-გორ დავეშვით და
მალე შიხლოში ჩამოვედით. იქიდან ხიდი გადმოვიარეთ და მის ახლოს სრამის
პირას, ხიდს ცოტა ზემოთ, მშვენიერი ახალ-მოწყობილი რესტორანი ვნახეთ,
სადაც ბორჯომის წყლით წყურვილი მოვიკალით. აქ კვირა-უქმეებში აუარებელი
ხალხი იყრის თავს საქეიფოდო, გვითხრა მძლომა.

ქიდან მალე დავიძარით და სამ საათზე უკვე თბილისში ვიყვენით. ვასომ
მუზეუმს მიაშურა, მე კი შინ მოვედი. ოცი მანეთი რომ მივეცი, მძლოცი კმა-
ყოფილი დარჩა და მეც.

თბილისში მოსვლისთანავე წერილი მივსწერე ერევანში პროფ. კარო დაფა-
დარიანს და ვაცნობე, რომ ქართულ-წარწერიანი ქვა თუ კიდე დარჩა თავის
ადგილას ნოემბერიანის სასაფლაოზე, მას კიდე მეტი გაფუჭება მოელის და სა-
ჭიროა, ან ერევანში გადაიტანოთ ან თბილისს გადმოვიტანოთ დროებით, რომ
გავწმინდოთ, წავიკითხოთ, შევისწავლოთ და შემდეგ დაგიბრუნოთ-მეთქი.
მალე სომხეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოვალეობის აღმასრულე-
ბელმა ხაჩატურ მუშელიანმა მაცნობა, რომ ქართულ წარწერიან ქვას ერევანს
გადმოვიტანოთ და ამის შესახებ დამატებით ვაცნობებთო. შემდეგ 15 აგვისტოს
წერილით იმავე ხ. მუშელიანმა მაცნობა, რომ ნოემბერიანის ქართულ-წარწერი-
ანი ქვა უკვე მუზეუმში გვაქვს, არქეოლოგიური ნივთების საცავში, და სპეცია-
ლისტებს ყოველთვის შეუძლიათ მისი შესწავლაო.

წერილის შინაარსი გავაცანი ვასო ცისკარიშვილს. გადავწუვიტეთ ერევანს
წავსულიყავით 23 აგვისტოს და თვითმფრინავის ბილეთები წინასწარ შევიძინეთ.
მაგრამ ამასობაში, საუბედუროდ, პროფ. ვარლამ თოფურია გარდაიცვალა, რამაც
ყველას თავზარი დაგვცა. წასვლა აღარ ეგებოდა, თვითმფრინავის ბილეთები

ქვემოთაა
განმარტებული

დავაბრუნეთ და ერევანს წასვლა 26 აგვისტოსთვის გადავდეთ. უდროოდ ვარ-
დაცვალებული მეცნიერი 25-ს მივაბარეთ დიდუბის პანთეონის მიწას.

26 აგვისტოს, პარასკევს, ვ. ცისკარიშვილმა 5 საათზე გამომიარა. გავს-
წიეთ, გზაში მსუბუქი ავტომანქანა ვიშოვეთ და აეროღრომზე ნაადრევად გა-
მოვეცხადდით.

ირევანს მიმავალმა თვითმფრინავმა რომ ავეიტაცა ჰაერში, ერთ საათში
უკვე ერევანის აეროღრომზე გაჩნდით. ვასომ ჰაერით მგზავრობა ვერ მოიხდი-
ნა და გადავწყვიტეთ იქიდან დაბრუნება მატარებლით. მოვთავსდით «არმენია»
სასტუმროში, რომელიც ლენინის მოედანზეა, ქალაქის ცენტრში.

საუზმის შემდეგ ისტორიის მუზეუმს მივაშურეთ, სადაც დირექტორად ჩემი
ძველი მეგობარი, ცნობილი არქეოლოგი პროფ. კარო ლაფაძარიანი მეგულეობ-
და. იქ გვითხრეს, ამჟამად დირექტორია მორუს ჰასრათიანიო.

ჩუწვიეთ დირექტორს, ჩემს ძველ ნაცნობს მორუსს, მის კაბინეტში, სადაც
ხ. მუშელიანიც ენახეთ. მცირეოდენი მეგობრული საუბრის შემდეგ ჩავვიყვანეს
სარდაფში, სადაც მოუთავსებიათ ნოემბერიანიდან მიტანილი ქართულ-წარწერა-
ნი ქვა.

სირველ დღეს, პარასკევს, 26 აგვისტოს, საკმაოდ წავსწიეთ წინ წარწერის
წაკითხვის საქმე, მაგრამ ზოგი სიტყვის ამოკითხვა ვერ შევძელით. ვსთხოვეთ
დირექციას, რომ მეორე დღისთვის ქვა აეწიათ მალლა და რამეზე დაედგათ, რომ
ქვემო სტრიქონების ასოებს უფრო ადვილად მივსდგომოდით ამოსაკითხად.
თხოვნა შეგვისრულეს და შაბათს ჩვენ თვალს წინ წარწერიანი ქვა იატაკიდან
40 სანტიმეტრის სიმაღლეზე ასწიეს და ოდნავ ირიბად დააყენეს. რადგანაც ფოტო-
სურათი არ იყო, ძაფების საშუალებით ქვას კვადრატები გავუკეთეთ, რომ ასო-
ების განლაგება მიახლოებით გადმოგვეწერა (ორი ძაფი განდაგან პარალელურად
გავაბით და რამდენიმე ზემოდან გადმოვუშვიეთ პარალელურადვე). გავზომეთ.

ქვის ზომა: ს ი გ ა ნ ე მალლა 118 სმ. ს ი მ ა ლ ლ ე: მარცხნივ 75 სმ.
დაბლა 116 სმ. მარჯვნივ 78 სმ.
ს ა ს ქ ე ზემოთ 9—15 სმ.
ძირს 18 (მარცხნივ) — 25 (მარჯვნივ)

ჩინათ წაკითხულს ცოტა მივუმატეთ შაბათსაც, ცოტა კვირას დილითაც და
ასე თუ ისე წარწერის აზრი საერთოდ გამოირკვა. აღმოჩნდა, რომ იგი მოგვი-
თხრობს ციხის აგების ამბავს დიმიტრი მეფის დროს.

შაბათს კარო ლაფაძარიანმა გვენახა და სადილად მიგვიწვია მეორე დღის-
თვის. კარგად ვისიამოვნეთ პურად ოჯახში. იმავე კვირა საღამოს ქალაქი დავა-
თვალიერეთ, რომელიც ძალიან გაზრდილა და დამშვენებულა. მატარებლის
ბილეთები წინასწარ გვექონდა შექმნილი, გამოვემგზავრეთ და მეორე დღეს დი-
ლით მშვიდობით დავბრუნდით თბილისს.

ძალიან გვაწუხებდა, რომ არ გვექონდა წარწერის ფოტოსურათები. მაგრამ
საქმე რამდენადმე მერმე გამოსწორდა: ოთხიოდე თვის შემდეგ ერევანს საგან-
გებოდ გაემგზავრნენ ვ. ცისკარიშვილი და ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილი,
რომელთაც წერილი გავატანე მუზეუმის დირექტორის სახელზე.

7 იანვარს 1967 წ. ალექსანდრე ჯავახიშვილმა წარწერა, რომელიც კიდევ
გაუწმენდელი იყო, გადაიღო ექვსჯერ. ამისთვის დასჭირდათ ქვის მობრუნება,



რომ ვიწრო კორიდორში საკმაო მანძილი ყოფილიყო აპარატიდან გეგმავდნენ ობიექტამდე.

შევე 7 იანვარს ისინი დაბრუნდნენ მატარებლითვე და 8 იანვარს 11 საათზე ვასო ცისკარიშვილი უკვე ჩემთან იყო და მთავრობის წარწერის გადაღების შესახებ და შემდეგ ფოტოსურათიც მომიტანა.

სამწუხაროდ, გაუწმენდელი წარწერის ფოტოსურათი ბევრს არას გვშველის. ამიტომ ვასავებია, რომ ამ ჩვენს ცნობას წარწერის შესახებ წინასწარი ხასიათი აქვს. ამ წინასწარი გამოცემის მიზანია, მევლევართ მიაწოდოს ერთი ახალი უტყუარი წყარო სომეხ-ქართველთა წარსულის შესასწავლად.

შედაი, სომეხთა ისტორიის მუზეუმი, სადაც ეს ნოემბერიანის ქართულ-წარწერიანი ქვაა დაცული, არ დააყოვნებს წარწერის გაწმენდას და ხელს შეუწყობს მის მეცნიერულ შესწავლას¹.

წარწერის ვითარება

წარწერას თავში ჯვარი უზის: სიტყვებს შორის ორ-ორი წერტილი სხედს. ასოები ღრმად ჩაჭრილი არ არის ქვაში. ასოთა მოხაზულობის მხრივ აღსანიშნავია ჩინის ვერტიკალის ოდნავი ჩამოგრძელება (მესამე სტრიქონსა და მეშვიდეში), ძაეს დაბლა დაშვებული ფრთა, სანის ფართო ქვედა ნაწილი, ვიწრო C, ონის მრგვალი მუცელი და შედარებით მაღალი ყელი და შ, რომელსაც ხაზი მარჯვნივ არ გადაუდის.

ხოგი სიტყვა შემოკლებით არის დაწერილი და ქარავმა აზის. ქარავმა მოკლე სწორი ხაზია.

შოგვევს ჯერ ფოტოსურათი, შემდეგ ხელით გადმონახატი, შესრულებული ელენე მაჭავარიანისაგან², და, უკანასკნელ, ჩვენი ტრანსკრიფცია და შენიშვნები.

ტრანსკრიფცია

წინასწარი ვარაუდით წარწერა შეიძლება ასე წარმოვადგინოთ სტრიქონ-სტრიქონ (აღდგენილი ასოები აქ კაუბშია ჩასმული):

† 𐌆𐌗: 𐌒𐌖: [𐌒𐌘𐌚𐌚𐌚𐌚𐌚𐌚 𐌒𐌗𐌒] (𐌒𐌘𐌒)𐌘𐌒𐌒 𐌒𐌒 𐌒𐌒

𐌒𐌒𐌒[𐌒]𐌒𐌒𐌒𐌒𐌒: 𐌒𐌒𐌒𐌒𐌒: 𐌒𐌒𐌒𐌒𐌒 𐌒𐌒 𐌒

𐌒𐌒: 𐌒𐌒𐌒: 𐌒𐌒 𐌒𐌒𐌒 𐌒𐌒: 𐌒𐌒𐌒𐌒𐌒𐌒𐌒 𐌒𐌒

†𐌒𐌒 𐌒𐌒𐌒: 𐌒𐌒𐌒: 𐌒𐌒𐌒: 𐌒𐌒

𐌒𐌒 [𐌒]𐌒 [𐌒𐌒]𐌒𐌒 𐌒𐌒𐌒: 𐌒𐌒 𐌒𐌒𐌒 𐌒

𐌒𐌒: 𐌒𐌒𐌒𐌒 [𐌒𐌒]𐌒𐌒 [𐌒]𐌒𐌒 𐌒𐌒𐌒: 𐌒:

𐌒𐌒 𐌒𐌒: 𐌒𐌒 𐌒𐌒 𐌒𐌒𐌒 𐌒𐌒 𐌒𐌒𐌒 𐌒𐌒 𐌒𐌒: 𐌒

𐌒𐌒𐌒: 𐌒𐌒: 𐌘𐌒𐌒𐌒 𐌒𐌒: 𐌒𐌒𐌒𐌒𐌒 𐌒

𐌒𐌒𐌒[𐌒𐌒 𐌒]

¹ ამ წერილის გამოქვეყნება პირველად სომხეთში მიხდოდა სომხურ ენაზე, მაგრამ გავიგე, რომ წარწერის გამოცემას აპირებს პარიზის მურადიანი, რომელმაც ასპირანტურა თბილისის უნივერსიტეტში გაიარა კ. კეკელიძის ხელმძღვანელობით (ძველ ქართულში მე ვამეცადინებდი).

² ფოტოსურათი და ხელით გადმონახატი ნახე ცალკე ფურცელზე.



(დიდთა ქამთა ოჯერი და საშიში). შემდეგ **ႦႠ** არის მხოლოდ-ლოდნელი, მაგრამ უკანასკნელი ასო **Ⴀ** ასე თუ ისე ჩანს, წინა ორი კი — არა. შემდგომ ორი თუ სამი ასოა გაურკვეველი და შემდეგ გარკვევით არის **ს**, და პნელია იმის თქმა, თუ რა ეწერა იმის წინ. ამიტომ არ ვიცით, როგორ წავიკითხოთ მოსალოდნელი რიცხვითი სახელი, რომელიც მიცემითში დგას: (ერთ)სა, (ხუთ)სა თუ სხვაგვარად. **ႦႠႦႦ** არ იწვევს ეჭვს. უკანასკნელი **ႦႦ** რიგიანად იკითხება.

ႦႦႦ სტრიქონი. **ႦႦ**-ში შუა ასოს თავში აქვს მოტეხილი. წინა სიტყვებთან დაკავშირებით ეს ამას მოგვცემს: **ႦႦႦ** (ესე ციხე ავაგე). შემდეგ **ႦႦ** რიგიანად იკითხება. შემდგომი სამი ასო აღდგენილია: **ႦႦ**. მერმე კი გარკვევით იკითხება **ႦႦ** მცირე წინთ ბოლოში¹. შემდეგ ორი ასო არ ჩანს, მერმე გარკვევით იკითხება **ႦႦ**, რაც ამას გვაძლევს წინა ასოების დამატებით: (აფხაზ)თა მეფისასა და.

ႦႦ სტრიქონი. გვარიანად იკითხება პირველი ორი სიტყვა, ორივე ქარაგმიანი: **ႦႦ** (შემდგომად ჩუენსა). შემდეგ ორი გაურკვეველი ასოს ადგილია, თითქოს **ႦႦ** არის, ქარაგმითურთ თავზე (დმერთ-მან) და მერმე თითქო **ႦႦ** იკითხება, რომელსაც ორი წერტილი მოსდევს. მერმე ფოტოს საშუალებით გაჭირებით ეს ამოვიკითხეთ: **ႦႦႦ**. უკანასკნელი სიტყვის **Ⴀ** გამოპრჩენიათ სტრიქონში და თავზე დაუწერიათ. უკანასკნელი ასო **Ⴆ** მშვენიერად ჩანს. მის წინ ალბათ **Ⴆ** არის და არა **Ⴆ**, როგორც წინათ გვეგონა. ყველა ეს მთლიანად ამას გვაძლევს: შემდგომად ჩუენსა დმერთმან თქუენ ესეთი ქამი მოგეც(ი)ნ.

ყმდგომი ორი ასოს წაკითხვა ეჭვს არ იწვევს: **ႦႦ**, თუმცა უასს თავში ვერტიკალი არ უჩანს. უკანასკნელი ასოებია **ს**.

ႦႦ სტრიქონი. იგი თავიდანვე კარგად იკითხებოდა: **ႦႦႦ**: **ႦႦ**: **ႦႦႦ**.

ႦႦ სტრიქონი. ადგილის უქონლობის გამო ორი უკანასკნელი სიტყვა წერილი ასოებით მიუწერიათ ბოლოს. აქ იკითხება: **ႦႦႦ**. სანების ნაკვალევი ჩანს, უკანასკნელ ასოს (ჩარს) ჩამომტვრეული აქვს ქვედა ნაწილი მარჯვნივ.

ადგილის უქონლობით უნდა აიხსნას, რომ ქრონიკონი, რომელიც ბოლოშია მოსალოდნელი, არ დაუსვამთ.

ხემორე თქმულის შემდეგ წარწერა, ქარაგმების გახსნით, შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

ქ მე, ივანე [აბულეთის ძემან(?), ათაბაქმან] და ამირ-სპასალარმან, დმანისი წავიღე და ციხე ავიღე და კირი თანა ჩამოვიტანე. ესე ქუეყანაჲ დიდთა ქამთა ოჯერი და საშიში [იყო. [ერთ]სა თუესა ესე ციხე ავ-

¹ უნდა შევნიშნოთ მაინც, რომ იტრი გარკვევით იკითხებოდა ორიგინალზე, ქვაზე. ფოტოზე კი არაფერი ჩანს, გარდა პირველი ასოს ქვემო ნაწილისა.

აგე მეფობასა დიმიტრი აფხაზთა მეფისასა. და
შემდგომად ჩუენსა ღმერთმან თქუენ ესეთი ქამი მოგეცინ, რომელ სა-
დგომი თქუენი ბაღდადი იყოს ერთგულებასა შინა
დიმიტრისასა. ამინ

ციხე, რომლის აგებაზედაც საუბარია აქ, ალბათ იქ იდგა, სადაც დღეს ნოემბერიანის (ბარანის) სასაფლაოა. რა ერქვა მაშინ ამ ადგილს, არ ვიცით! ციხის ნაშთი ამჟამად იქ არ არის. შეიძლება წარწერიანი ქვა სხვა ადგილიდან იყოს მოტანილი, მაგრამ არა შორიდან. უოველ შემთხვევაში ამ საკითხს საგანგებოდ უნდა შესწავლა. რატომ იყო ეს ადგილი «ოქერი», არ ვიცით, ან რად იყო საშიში, რომ საჭირო გახდა მისი გამაგრება ციხის აგებით? საიდან, ვისგან ან ვის ელოდა შიში? ამის შესახებ პირდაპირ არაფერია ნათქვამი წარწერაში.

მაგში იქ სახელით მოხსენებული ამირსპასალარი, ალბათ, ივანეა. იგი ამასთანავე სხვა თანამდებობის მქონეც არის, რადგანაც წარწერაში ნათქვამია: და ამირსპასალარმან-ო. ალბათ იგი იყო ათაბაქი ანუ ათაბაგი (თუ სწორად ამოვიკითხეთ ამ სიტყვის ოთხი უკანასკნელი ასო).

ზიდად სამწუხაროა, რომ ატმოსფეროს მოვლენების გავლენით და, განსაკუთრებით, საქონლის ფენის ბიჯებით (თხებისა, ცხვრებისა და სხვათა) სწორედ საკუთარი სახელებია იმდენად დაზიანებული, რომ თითქმის არაფერი იკითხება. მაინც რაღა საკუთარი სახელები დაზიანდა!

მუ «ათაბაქი» სწორად არის ამოკითხული, მაშინ ივანე ათაბაქი და ამირსპასალარი შეიძლება იყოს ერთ-ერთი აბუღეთის ძეთაგან, რომელნიც «სადუნისგან ლტოლვილნი», «ყონღარდას თანა მოაკუდინა ხუტლუ-ბულა, ძემან სადუნისამან»².

ესასრკვევია, რას ნიშნავს «სადგომი თქუენი ბაღდადი იყოს». ბაღდადი სპარსული სიტყვაა და ნიშნავს «ღვთის ბოძებულს». ამ სახელით ცნობილია ქალაქი, რომელიც 762 წელს აბასიდებმა დააარსეს და რომელიც დღეს ერაყის დედაქალაქია. ქვემო იმერეთშიც არის ხანისწყალზე დაბა, რომელსაც ბაღდადი ერქვა (ადგილობრივი გამოთქმით ბაღდათი) და რომელსაც ამჟამად ოფიციალურად მაიაკოვსკი ეწოდება. როდის დაერქვა მას ბაღდათი და რა შემთხვევის გამო, არ ვიცით.

ერაყის ბაღდადი კარგად ცნობილი იყო ძველად ჩვენშიც. სხვათა შორის, იგი მოხსენებულია რკონის სიგელში (1259 წლისაში): ოდეს «ბაღდადი გატეხეს თათართაო», ნათქვამია იქ. ამ გატეხაში (1258 წ.) ქართველთა ჯარებიც იღებდნენ მონაწილეობას. რომ ეს ქალაქი კარგად ცნობილი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ ძველი ანდაზაა შემორჩენილი დღევანდლამდის: «თაფლი იყოს, თორემ ბუზა ბაღდადიდან მოვაო». მაგრამ ციხის აგების წარწერაში «ბაღდადი» უნდა ნიშნავდეს არა ამ ქალაქს, არამედ «საბედნიეროს». მაშასადამე, «სადგომი თქუენი ბაღდადი იყოს», ამას უნდა ნიშნავდეს: თქვენი სადგომი საბედნიერო იყოს თქვენთვის, ღმერთმა გიბედნიეროსო.

¹ გვეონია, რომ ციხე იქვე იდგა და პირობით ამ ადგილს ბარანას ეწოდებთ. ამითაიხსნება ამ წერილის სათაური.

² ქამთაღმწერელი (ქ. ცხ. II, 282).



ქედან ჩანს, რომ ამირსპასალარმა რომ ციხე ააგო, მან მეტროპოლიტის დააყენა შიგ და ციხისთავს ჩააბარა, რომელსაც ბედნიერება უსურვა დიმიტრი მეფის ერთგულებაში ყოფნით. სამწუხაროდ, ციხისთავის ვინაობა არ ჩანს.

ჩინ არის ეს დიმიტრი აფხაზთა მეფე? თითქო უფრო დიმიტრი თავდადებული უნდა იგულისხმებოდეს, რომლის მეფობა 1270—1289 წლებზე მოდის. მაგრამ დაცდაა საჭირო, ვიდრე წარწერა გაიწმინდებოდეს.

ძველი ციხეები ბევრია ჩვენში, მაგრამ მათი წარწერები არ შემონახულა. მით უფრო საყურადღებოა ბარანის ციხის წარწერა, რომელიც ძველი ხანისთვის ფრთად-ერთია¹.

ხიდეგ ბევრის თქმა შეიძლება ამ წარწერის შესახებ, მაგრამ ამჯერად შეიძლება ამით დავეკმაყოფილოდეთ.

А. Шанидзе и В. Цискаришвили

НАДПИСЬ БАРАНСКОЙ КРЕПОСТИ

Резюме

Барана — прежнее название Ноемберяна, центра северного района Армянской ССР на границе с Грузинской ССР. На кладбище этого местечка лежал камень с грузинской надписью, который в августе 1966 г. перевезен в Ереван и хранится в Историческом музее Армении. Надпись сильно попорчена и с трудом поддается чтению. Особенно досадно, что пострадали собственные имена. В ней речь идет о постройке крепости: «Я, Иван (.....атабек?) и главный военачальник («амирспасалар»), взял Дманиси и привез с собой известе. Этот край долгое время был без хозяина и страшен. В течение одного (?) месяца я построил эту крепость в царствование Димитрия, царя (абхаз)ов. После нас Бог да даст вам такое время, чтобы ваше местопребывание было вам на благоденствие в верном служении царю Димитрию».

Упомянутый в надписи царь Димитрий — это, по всей вероятности, царь Грузии Димитрий II (1270—1289 гг.).

¹ იოსებ ორბელიმა გამოაქვეყნა (ХВ, V, 1917, 147—150) ოთხი სომხური წარწერა, რომლებიც მოგვითხრობენ კარის (ყარსის) ქალაქის ზღუდის ბურჯების აგების ამბავს 1184-სა და 1234 წლებში. სამ მათგანში რუსუდან მეფეა მოხსენებული. მოგვყავს ერთი მათგანის თარგმანი: «ქრონიკონსა 683-სა (=1234). მადლითა დეთისათა და მოწყალებითა ჩვენი მეფის რუსუდანისათა ჩვენ, კარის ქრისტიანებმა, დიდებმა და მცირეებმა, ავაშენეთ ეს ბურჯები სასხენებლად ჩვენდა და პატრონისა ჩვენისა».

შვანე შმნაიშვილი

რნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში

1

ღვარი ქართულში მკვეთრად გამოხატული გრამატიკული კატეგორიაა. იგი სავსეა მრავალფეროვანი ფორმებით, იდიომატური გამოთქმებით.

ძველი ქართული კიდევ მეტად მდიდარი იყო გვარის ფორმებით, რომელნიც ახალ ქართულში შედარებით გამარტივდა, დაიხვეწა და გარკვეული შაბლონები შეიქმნა. ძველ ქართულში კარგად არის ასახული გვარის კატეგორიის თანდათან ჩამოყალიბების პროცესის გზები, შეუნელებელი ჭიდილი ძველსა და ახალს შორის, ამ ნიადაგზე წარმოქმნილი პარალელური ფორმები, რომლებიც ერთმეორის გვერდით არსებობენ. ამ ჭრელ ფორმებს ზოგჯერ შესაძლებელია ძველი ქართული სალიტერატურო ენა აძლევდეს საკვებს, ხოლო ზოგჯერ, დასაშვებია, სხვადასხვა კილოებში ჰქონდეს ფესვები გადგმული. უმეტესად ენაში ორივე ეს ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს და ქმნის ნაირ-ნაირ ფორმებს, ფორმათა წარმოების სიჭრელეს.

ღვარის საკითხი ქართულში, ძველსა და ახალში, ვრცლად აქვს შესწავლილი და გაშუქებული ა. შანიძეს თავის მრავალრიცხოვან შრომებში, რომელთაგან აქ საკმარისია მივუთითოთ მისი «ქართული გრამატიკის საფუძვლები» (1953), «ნასახლარი ზმნები ქართულში» (თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, 1919—1920, იგი ჩვენი მეცნიერების გარიჟრაჟზე შეიქმნა), «აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით» (საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 4, 1943), «ქართული ენის გრამატიკა», სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც აგერ თითქმის მესამედი საუკუნეა ქართველ ახალგაზრდებს ასწავლის მშობლიურ ენას, მის ბუნებას, მეცნიერულ საფუძვლებს, მის კანონებს, მათ შორის გვარის კატეგორიას და მასთან დაკავშირებულ მეცნიერულ და პრაქტიკულ საკითხებს.

ღვარის საკითხს ქართულში (განსაკუთრებით, ვნებითს გვარს) ეხებიან აგრეთვე სხვა ავტორებიც, როგორც, მაგალითად, ვ. თოფურიძე («ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში»: თბ. უნივ. მოამბე, X, 1930, 295—302; «ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II. 1. ედ ბოლოსართი ზმნაში»: ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940, გვ. 533—536; «მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში»: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 9, 1942), ქ. ლომთათიძე



«თბეა ტიპის ზნათა ისტორიისათვის ქართულში»: იკე, IV, 1953, გვ. 129—135); გ. მაჭავარიანი («უნიშნო ვნებითი» ქართველურ ვნებში»: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959, გვ. 101—130), ლ. ნოზაძე («ინენიანი ვნებითის ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში»: იკე, IX—X, 1958, გვ. 129—135; «პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის ქართულში»: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 63—72); ფ. ერთელიშვილი («დღნ (ენ) ვნებითობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის»: თბილ. უნივ. შრომები, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, ტ. 93, 1960, გვ. 77—91).

ჩვენ აქ გვსურს შევეხოთ ვნებითი გვარის ზნათა წარმოების ზოგიერთ დამახასიათებელ თავისებურებას ძველ ქართულში, აღვწუსოთ ისინი უმთავრესად ახლად მოპოვებული მასალების მიხედვით და შევეცადოთ, ავსხნათ ამ თავისებურების გამომწვევი მიზეზები, მისი გენეზისი.

2

სრეფიქსიანი (ინიანი და ენიანი) ვნებითი, როგორც ცნობილია¹, ჩვეულებრივ პირველადი ზნებიდან იწარმოება (მაღავს-იმალეების-ემალების), მაგრამ ზოგჯერ აგრეთვე ნასახელარ ზნებსაც ახასიათებს².

ეს წესი ძველ ქართულში უფრო მკვეთრად და გამოკვეთილად ჩანს: იქ ნასახელარ ზნებს უმთავრესად სუფიქსიანი ვნებითი მოეპოვებათ: ცოფ-ი — განცოფ-ნ-ა, კაც-ი — განკაც-ნ-ა, ლალ-ი — განლალ-ნ-ა, სუბუქ-ი — აღსუბუქ-ნ-ა, დიდ-ი — განდიდ-ნ-ა, ცხად-ი — განცხად-ნ-ა, ჭაბუკ-ი — განჭაბუკ-ნ-ა, ბნელ-ი — დაბნელ-დ-ა, ძლიერ-ი — განძლიერ-დ-ა, მწენ — განმწენ-დ-ა და მისთ. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ნასახელარ ზნებს იქაც (ძველ ქართულშიც) არა სუფიქსი, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ პრეფიქსი (ი და ე) აწარმოებს, მაგალითად:

ნიანი

1. დიდ-ი: იგი თავადი... იდიდებოდა ყოველთაგან: ლ. 4, 15; ოდესცა იდიდა იესუ: ი. 12, 16; რათა იდიდოს ძმ ღმრთისა მისგან: ი. 11, 4; რათა იდიდენ კაცთაგან: მ. 6, 2.

ყველა აქ მოყვანილი მაგალითი უზმნისწინაა. გან ზმნისწინით კი ვვაქვს ძველ ქართულში ჩვეულებრივ მოსალოდნელი (ენ) სუფიქსიანი წარმოება, მაგალითად:

ჩუმცა განდიდნების მოხუჭაჲ, რათა არა განდიდნეს შურის-გებაჲ: სწავ. 150, 21; რამეთუ განსდიდენ და განსძლიერდი და სიმდიდრე შენი განდიდნა: დან. 4, 19; რათა არა განვდიდნე და განვრცნე: იგავ. 10, 9; რამეთუ განსდიდნე ღმრთისა თანა და მოილო ნეტარებაჲ: კიმ. I, 179, 34.

¹ ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 297.

² იქვე, გვ. 297—298.

2. ერთ-ი: დღესა კვრიაკესა შეიერთა განყოფილება ცისა და ქუეყანისა: სწავ. 218, 19; ოდეს შეიერთნენ დაყუდება და შიში ღმრთისა: სწავ. 22, 17.

3. თოვლ-ი: განითოვნეს ივინი სელმონს: ფს. 67, 15.

ზმნა ნაწარმოებია არა თოვა-საგან, არამედ თოვლ-ისაგან: თოვლსავით გათეთრდნენო. ამიტომ მოსალოდნელი იყო ვნებითის ფორმის სუფიქსური წარმოება, რაც გვაქვს კიდევ გიორგისეულ რედაქციაში: განთოვლდენ. სუფიქსიანი ფორმები არის აგრეთვე სხვა ხელნაწერებშიც: განსთოვლდეს BC, განსთოვდეს D, განთოვლდეს E. თავდაპირველად A-შიც განთოვლდეს ყოფილა¹.

4. კეთრ-ი: ერთი სიტყუა თქუა განკითხვისა მარიამ და მისთვს განკეთრებულ იქმნა იგი, ვითარცა თოვლი. მარიამ წინაწარმეტყუელი იყო და განკითხვისათვს განიკეთრა: სწავ. 277, 13. განკეთრებულ იქმნა (აღწერითი წარმოება) და განიკეთრა (ორგანული წარმოება) შინა-არსით ერთი და იგივეა. საინტერესოა მხოლოდ, რომ ორგანული წარმოებისას ორივე ხელნაწერში (მესამეს ეს ძველი არ მოეპოვება) ვნებითის პრეფიქსულ წარმოებას მიმართეს და არა სუფიქსურს.

5. კინი-ი: რათა დიდთა ქებათა და შესხმათა მიმთხუევად ღირსი არა დაიკინებოდის ბიწიანად მქონებელთა მიერ ბაგეთა სულისათა: ასურ. 144, 12.

6. მარილ-ი: უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რათა-მე დაიმარილოს: მ. 5, 13; ლ. 14, 34; ყოველივე ცეცხლითა დაიმარილოს: მრ. მ. 49; უკუეთუ მარილი განწბილდეს, რა-მე შეიმარილოს: მრ. 9, 50C.

7. მარტვრ-ი, მარტვლ-ი: იმარტვრა: თუალთ. 34, 4; იმარტვლნეს წმიდანი იგი: კიმ. 11, 83, 23.

8. მსახურ-ი: მომავალ არს პირუტყვ თივის მჭამელი, რომელი იმსახურების წელითა კაცთათა: ეტ. VI, 94, 8; ძტვა კაცისა არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა ვისგანმე, არამედ მსახურებად და მიცემად სულისა თვისსა სანსრად მრავალთა: მრ. 10, 45.

9. მტერ-ი: ანგელოზნი და მთავარანგელოზნი არა იმტერებიან და არცა იშურებენ თითოეული მათი: სწავ. 267, 17.

10. მტკიცე: დაჰნერგენ ივინი, და დაიმტკიცნეს ძირნი, შევილიერ იქმნნეს: იერ. 12, 27. ოშკის ხელნაწერში ძველი ქართულისათვის ჩვეულებრივი ენიანი ფორმაა: დაემტკიცნეს. ფორმა ვნებითია. შესაძლებელი იყო აგრეთვე: დამტკიცნეს (ენ სუფიქსით).

11. მწიფე: ზოგი ოდენ დაიმწიფის აღმოცნებულისა მის: S 6, 165v, 2. სხვაგან გვაქვს უფრო მოსალოდნელი ენ სუფიქსიანი ფორმა: არა აქუს ნება, რათამცა მომწიფნა კეთილად: S 97, 112rb, 13.

12. ნადირ-ი: ოდესმე ფრჩხილითა ოდენ შევარდის მახესა და მოინა-

¹ ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, გამოსცა მზექალა შანიძემ, 1960.



დიორის იგი: სწავ. 279, 36. ფორმა ვნებითა: დაიჭირება, დაჭერა (იქნება, მასში გაეზმება, გაბმულ იქნება. მოქმედებითი ჩვეულებრივ ნულიანი საარვისთ-თი იწარმოება: კითხვითა მით მოჰნადირებ და აღამს ღმერთი ცხორებად: ფს. გვ. 456, 23; რაათამცა მონადირეს იგი სიტყუთა: მრ. 12, 13C; რაათა მონადირონ იგი სიტყუთა: იქვე DE; რაათამცა მოგნადირეთ სიტყუთა მონადეს ღმერთისა: Onuc. 48, 6; ნადირებით მოგნადირეს მე, ვითარცა სირი, მტერთა ჩემთა: აღწ. 96, 3; წარმონადირეს ყრმანი ჩემნი: გოდ. იერ. 4, 18; რაათა არა მოგნადირონ მტერთა შენთა უწყა-ლოდ: სწავ. 291, 4.

13. ნაწილ-ი: ესე არს ჯორცი ჩემი, რომელი თქუენთს დაინაწი-ლების და მიგეცემის მისატყვევებლად ცოდვათა: კვრიაკისათს 204, 31B.

ჯრის ენ სუფიქსიანი მაგალითიც: დანნაწილნეს: ოსე 10, 2 (თბ-გამოც.).

14. ოჯერ-ი: გამოაჩინე პირი შენი სიწმიდესა ზედა შენსა, რომელი-იგი მოიოჯრა შენთს: დან. 2, 17. ჩვეულებრივ, რასაკვირველია, დონიანი ფორ-მები გვაქვს ვნებითისათვის, მაგალითად: ყოველი სამეუფოა, გავთული თავსა ზედა მისსა, ალოჯრდის: მ. 12, 25C; ყოველი მეუფებაა, რომელი განევთის თავსა თვსსა, მოოჯრდის: მ. 12, 25; ლ. 11, 17.

15. სადილ-ი: და იწყეს განცხრომად, რომელ არს განცხრომად სულისა, და ისადილებიან, რომელნი შესწირვენ წმიდასა შესაწირავსა: ბოლნ. 40, 18; ჰრქუა მათ იესუ: მოვედით და ისადილენით: ი. 21, 12DE; მო-ვდით, ვისადილნეთ. იქვე C; და ოდეს ისადილნეს, ჰრქუა სიმონ-პეტრე იესუს: ი. 21, 15. აღნიშნული ფორმები ვნებითია. ვნებითია აგრეთვე ამ შინაარსის მქონე მეორე ზმნა სამხრობა — სამხარ-იდან ნაწარმოები.

16. სამხარ-ი: მაშინ ეპიფანე ასწავებდა ტაბლასა მას ზედა, რომელნი-იგი ისამხრებოდეს: სავ. წიგ. 11, 119, 13; ხოლო ქარინოს ჰრქუა მათ, რომელნი-იგი ისამხრებოდეს: იქვე, 119, 14; და უბრძანებდა იგი სამ-ხარსა მას ზედა. და ისამხრნეს იგინი: იქვე, 72, 9.

სარველი ისამხრებოდეს ხელნაწერში ასე იკითხება: ისამხრე-ბდეს. თუ აქ გადამწერს უბრალო ლაფსუსი არ მოსვლია და ო ისე არ გა-მორჩენია, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ფორმის გაგებაში აზრთა სხვადასხვა-ობა ძველადაც ყოფილა (ხელნაწერი 982 წელს არის გადაწერილი), ზოგს იგი ვნებითად არ მიაჩნდა და ოდ-ის ნაცვლად დ-თი წერდა. სუბიექტად, ალბათ, მო-თხრობითს შეუწყობდა, როგორც ჩვენ ვიქცევით დღეს: ისადილეს მათ, ისამხ-რეს მათ.

17. საჭურის-ი: არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭუ-რისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თვსნი სასუფეველისათს ცათაჲსა: მ. 19, 12. აქ პირველი გამოისაჭურის-ნეს ვნებითია (გამოსაჭურისებულ იქნენ), ხოლო მეორე — სათავისო ქცევის ფორმა (მათ გამოისაჭურისეს თავი). ეს დამთხვევა ინიანი ვნებითისა და სათა-ვისო ქცევისა შემთხვევითი არაა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

18. სოველ-ი: შეისოვლა უფლისა ფერჯი: კურთხ. იაკ. 190, 16; შე-სოვლოს ფერჯი მისი ზეთითა: იქვე, 184, 9; ერთი ნაწილი შეისოვლოს

და ერთი ნაწილი არა შეიხოვლოს, და ნაწილსა მას, რომელი არა შეიხოვლოს, იგი განმეც: ამოს 4, 7 პარ.; შეიხოვლნენ ფერქნი მისნი ზეთითა: კურთხ. იაკ. 186, 12. დღეს, როგორც მოსალოდნელი იყო (ძველ ქართულშიც), დონიანი ფორმა გვაქვს: დასველდა, დასველდეს.

19. ტ ვ ნ - ი: დალაღებნ და ქვითა და ი ტ ვ ნ ე ი ნ: მრ. 5, 5C; ერთ გზის ქვითა განვიტ ვ ნ ე: 2 კორ. 11, 25; იგი თავადი არს უფალი ჩემი სტეფანე, რომელ-იგი ქვითა განვიტ ვ ნ ე ურწმუნოთა მიერ ჰურიათა იერუსალემს: ისტ. ქრ. 1, 295, 37.

20. ქ ო რ წ ი ლ - ი: ნაშობნი ამის სოფლისანი იქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ა ნ და განქორწინებენ: ლ. 20, 34; არცა იქ ო რ წ ი ნ ე ბ ი ა ნ, არცა განქორწინებენ: ლ. 20, 35; ჭამდეს და სუმიდეს, იქ ო რ წ ი ნ ე ბ ო დ ე ს და განქორწინებდეს: მ. 24, 38; ლ. 17, 27; რაქამს მკუდრეთით აღდგენ, არცა იქ ო რ წ ი ნ ე ბ ო დ ი ა ნ, არცა განქორწინებდენ: მრ. 12, 25; არცა იქ ო რ წ ი ნ ე ბ ო დ ი ა ნ, არცა განქორწინებდენ: ლ. 20, 35C; რომელნი არა წესიერებით იქ ო რ წ ი ნ ე ს: თუალთ. 70, 27; რომელნი იქ ო რ წ ი ნ ე ს სიხარულითა მეუღლისათა: სწავ. 224, 10B. AC ხელნაწერში კი გვაქვს: რ ო მ ე ლ თ ა ი ქ ო რ წ ი ნ ე ს. ეს უკვე აღარ არის ვნებითი. როგორც ჩანს, ძველად ამ ფორმის გაგებაშიც სხვადასხვა აზრისა იყვნენ: თუ ზოგი მას ვნებითად თვლიდა და სუბიექტს სახელობითში უწყობდა, ზოგს, ეტყობა (დღევანდელსავით), სათავისო ქცევად მიაჩნდა (პირდაპირი ობიექტი ახლაც არა ჩანს) და სუბიექტს მოთხრობითში უთანხმებდა. შდრ. ზემოთ განხილული ის ა მ ხ რ ე ბ ო დ ე ს (გვ. 30).

21. დ მ ე რ თ - ი: ერთმან ორთა ამათგანმან განაღმრთო და მეორე იგი განიღმრთო: მრავ. 299, 2. ჩვეულებრივია ამ ზმნის ვნებითის ენ სუფიქსით წარმოება, მაგალითად: წადიერებთა მისითა ღმრთისა მიმართ განღმრთნეს იგინი: მრავ. 297, 34.

22. შ ი შ უ ე ლ - ი: განმუარცულ იქმნა იგი ურწმუნობისაგან და განიშოშულა საფასეთაგან: S 11, 94v, 3; აღდგა და განუყო ყოველი მონაგები მისი გლახკათა და განიშოშულა წამებისათუს: S 62, 31va, 3; ოდეს-იგი განიშოშულოს მკერდი შენი და ცხადად გამოჩნდეს წერილი იგი გულისა შენისა: სწავ. 131, 1. დღეს, რა თქმა უნდა, გვაქვს წესის მიხედვით ნაწარმოები დონიანი ფორმა: გა შ ი შ ე ლ დ ა. ასეთი ფორმა გვექონდა ძველადაც: შემმო-სელი ცათაჲ ღრუბლითა გან შ ი შ უ ლ დ ი: სს. პ. 151, 7; გან შ ი შ უ ლ დ ი შენ სათნობათა მოგებითა: სს. პ. 154, 66.

23. ც ხ ა დ - ი: რაათა არავის უთხრან, ვიდრემდის თუთ იგინი განიცხადნენ: კიმ. 11, 75, 18A (=A19).

საკმაოდ უჩვეულო ფორმაა ძველი ქართულისათვის. იქ მოსალოდნელი იყო ჩვეულებრივ განეცხადნენ (რელატიურად) ან განცხადნენ (აბსოლუტურად). მეორე ხელნაწერში (C=A95), როგორც სქოლიოში ჩატანილი ფორმა უჩვენებს, მართლაც ენ სუფიქსიანი აბსოლუტური ფორმა ყოფილა, ოღონდ გამო ზმნისწინით: გამოცხადნენ.

24. წ ი ლ - ი: რომელ განიწილა ორგან: თუალთ. 88, 17; რომელნი განიწილნეს მთასა მას გარიზინს და გებალს: თუალთ. 94, 13.

7 ნ ი ა ნ ი

1. ერთ-ი: შებრძულდა წყლული მისი და შეეერთა ძუალი ძუალსა და ძარღვ ძარღუსა და განიკურნა: კიმ. 1, 246, 34; ნათელ-იღეთ სახელისა მიმართ მისისა და ეზიარენით საიდუმლუთა მისთა და შეგუერთენით ქრისტიანეთა: ურთ. 184, 26.

2. მეგობარ-ი: სხუანი ვინმე მივიდეს მეცნიერებითა ძეთა მისთაათა და დაემეგობრნეს მათ: ურთ. 17, 2.

3. მკვდრ-ი: დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა და დაემკვდრა კადარნაუმს: მ. 4, 13; სიტყუა იგი ქორციელ იქმნა და დაემკვდრა ჩუენ შორის: ი. 1, 14; ყოველთა მათ ადგილთა მიმოდამკვდრნეს: თუალთ. 45, 9; მოვიდის და დაემკვდრის მუნ: მ. 12, 45.


4. მორჩილ-ი: სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან თქუენ: ლ. 10, 20; ეშმაკნიცა დაგუემორჩილებიან სახელითა შენითა: ლ. 10, 17.

5. მოწაფე: რომელთა დაემოწაფე: ლ. 1, 4C; იგი უფალ არს შენდა, რომელსა დაემოწაფო: სწავ. 177, 26.

6. მტერ-ი: ხოლო ჰეროდე ჰემტერა მას და უნდა მოკლვად მისი: მრ. 6, 19C; და არავის ემტერებოდის ყოლადვე: სწავ. 208, 23BC; ...ემტეროს: იქვე A.

7. მტკიცე: დაემტკიცა სახლი იგი: კიმ. 1, 258, 21; მეუსულად განემტკიცნეს ფერწი მისნი და კოჭნი: საქმე 3, 7C; ...განუმტკიცნეს: იქვე L; დაჰნერგენ იგინი, და დაემტკიცნეს ძირნი: იერ. 12, 1 (ოშკი); ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევთის თავსა თვსსა, ვერ დაემტკიცის: მ. 12, 25; რაათა პირითა ორისა ანუ სამისა მოწამისათა დაემტკიცოს ყოველი სიტყუა: მ. 18, 16; განვემტკიცნეთ და მწნედ დადგეთ: S 97, 210ra, 12; განეშოროს ისრაჴლი შჯულისა მისგან, და ნათესავნი, რომელ დაშთენ, დაემტკიცნენ: ისტ. ქრ. 1, 290, 28.

ამ სასახლარი ზმნიდან ვნებითი, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ (გვ. 29), ინითაც იწარმოება, მაგრამ გვაქვს აგრეთვე მესამენაირი, ეს სუფიქსიანი წარმოება, რომელიც საქმის ნამდვილ ვითარებას უფრო შეეფერება და ძველ ქართულში უფრო სშირიც არის, მაგალითად: არა თუ ცეცხლითა განილევის, არამედ მადლითა განმტკიცნების: სინ. მრ. 191, 12; უფროს-და განმტკიცნებიან ქრისტიანობასა ზედა: რიფს. 166, 28; ყრმაჲ იგი აღორძნდებოდა, განმტკიცნებოდა სულითა: ლ. 1, 80; წიგნთა და მამათა მიერ მოძღურებითა განმტკიცნებოდის: მრავ. 314, 10; შენდამი განვმტკიცენ მე საშოთგან: ფს. 70, 6; მეუფებასა ზედა ჩემსა დავმტკიცენ: დან. 4, 33; რაათამცა კრებული ესე განმტკიცნა სარწმუნოებითა: მრავ. 266, 11; და დამტკიცნა სარწმუნოებაჲ: კიმ. 11, 187, 36; და დამტკიცნა ჴეშმარიტებაჲ: სინ. მრავ. 182, 6; და დამტკიცნეს სიტყუანი იგი: მრავ. 265, 13; განმტკიცენ, იოსებ, ქალწულისა მიმართ და შიშით განეკრძალე მსახურებად მისა: კიმ. 1, 185, 22; და უკუეთუ ეშმაკი თავსა თვსსა განევთა, ვითარ დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი: ლ. 11, 18; დამტკიცებით დამტკიცენ სიტყუანი ჩემნი თქუენ ზედა ბოროტებად: იერ. 44, 29.



ცმნაირად, ამ ერთ ნასახელარ ზმნაში გვაქვს სამი სახის ვნებითი: **ინიანი** (დამტკიცნეს), **ენიანი** (დამტკიცნეს) და **ენ სუფიქსიანი** (დამტკიცნეს). გვაკლინა მხოლოდ დონიანი, რომელიც დღევანდელ ქართულში ერთადერთია (დამტკიცდა).

8. მუშაკ-ი: შენცამცა და ემუშაკე მუშაკობასა ამას ჩემსა: ურთ. 37, 8.

9. ნერგ-ი: აღიფხუერ და დაენერგე ზღუასა შინა: ლ. 17, 6.

10. რულ-ი: და ჩუენ ყოველთა, ვითარცა მთრვალთა, მიგუერულე-ბოდა: ისტ. ქრ. I, 301, 24; და დაყოვნებასა მას მის სიძისასა მიერულა უოველთა და დაიძინეს: მ. 25, 5.

11. სახლი: და ვითარ დაესახლნეს პალატსა მეფისასა; ბალ. 98, 2.

12. სრულ-ი: აღესრულების მათ ზედა სიტყუა იგი: მ. 13, 14; სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების: მრ. 9, 48; საკრველებათა ძალნი აღესრულებინან სანატრელისა ილარიონის მიერ: ასურ. 175, 194; ოდეს ყოველი ესე აღესრულებოდის: მრ. 13, 4C; აღესრულა თქუმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისა: მ. 2, 17; აღესრულნეს დღენი იგი მსახურებისა მისისანი: ლ. 1, 23; რაათა აღესრულოს სიტყუა იგი: მ. 1, 22; ვითარ-მე აღესრულნენ წერილნი იგი: მ. 26, 54.

შაგრამ არის აგრეთვე მოსალოდნელი დონიანი წარმოებაც: და აღესრულა ნება მისი, და განსრულდა გულის-თქუმა მისი: S 62, 63, 17—18. აქ საინტერესო ისაა, რომ ენიანი და დონიანი წარმოება გვაქვს ერთსა და იმავე ზმნაში ერთმანეთის გვერდიგვერდ: აღესრულა, მაგრამ: განსრულდა! აქ მწკრივიც ერთნაირია: წყვეტილი. ერთადერთი, რაც მათ განსხვავებს, ზმნისწინია: აღესრულა და განსრულდა. ეს მეორე შემთხვევაა, როცა ზმნისწინთან დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ვნებითი: შდრ. იდიდა, მაგრამ: განდიდნა. შემთხვევითია ეს?

13. შტენ-ი (შენ-ი): აღეშენების ერი იგი სიტყუათაგან მისთა: კამ. I, 86, 29; რაათა დაემჟუნენ ცოდვანი, რომელნი აღეშენებინან საცთურად: სინ. მრავ. 181, 16; ხოლო ესე ვითარცა ისწავა წმიდამან ქრისტეს მოწამემან ანგელოზისა მისგან, და აღეშენა: გულანდ. 223, 14; და მოვიდა, და ეშენა ქალაქსა მას, რომელსა პრქვან ნაზარეთ: მ. 2, 23C.

სხლა კითხვა ისმის: ნასახელარია კი ეს ზმნა?

სმაზე უნდა ვუბასუხოთ დადებითად, რამდენადაც სახელის მარტივ ფუძედ უკვე გვაქვს შტენ (→შენ) ფორმა, მაგალითად: რომელსა ადგილსა დღეს შტენ არს წმიდა ტაძარი იგი: ანტიოქ. 106, 14; არცაღა მიეახლნიან, სადა სოფელი შტენ არს: სვან. 485a; მას ქამსა სსუა მონასტერი არა შენ იყო მათ ქუეყანათა: ხანძთ. (ისტ. ქრ. I, 242, 35); რომლისა ტაძარნი შენ იყენეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა: ზარზ. 154, 12; და აღაშენა სოლომონ... უდაბნო იგიცა და შტენიცა: ვ მეფ. 9, 17—18; ხოლო ეკლესიანი ყოველთა მათ ადგილთა... ეგნეს მშუდობით, შტენი და დამტკიცებულნი: საქმე 9, 31. ამ მარტივ ფუძეზეა აღმოცენებული აღაშენა, აღეშენა და სხვა მსგავსი ფორმები.

სხალ ქართულში, რა თქმა უნდა, დონიანი ფორმები გვაქვს (აშენდა, აშენდეს...), რომლის სათავეც თვით ძველ ქართულში გვევდება: ფრიად აღეშენდი ამათთა ხილვითა: ლიტ. ქრ. 175, 19. მართალია, ხელნაწერი, რომლიდანაც



ეს მაგალითია ამოღებული, XIII საუკუნისაა, მაგრამ მსგავსი ფორმები შეგვხვდება არაა შეუძლებელი.

14. შორ-ი: რომელი არა განეშორებოდა ტაძრისა მისგან: ლ. 2, 37; განეშორა მას განბოკლება იგი: მრ. 1, 42C; სხვთ გზით განეშორნეს და წარვიდეს სოფლად თჳსა: მ. 2, 12; განმეშორენით ჩემგან: მ. 7, 23; თავადი განეშორის უდაბნოდ და ილოცავენ: ლ. 5, 16; განეშოროს მამა ძისაგან და ძე მამისაგან: ლ. 12, 53C.

15. ცხად-ი: ესე სამ გზის განეცხადა იესუ მოწაფეთა მათ: ი. 21, 14C; აჰა ესერა მესამედ გამოგეცხადე შენ: გულანდ. 212, 28; თუ ნანდვლვე გამოგეცხადა ეგე ქამთა ამათ ჩუენთა: ისტ. ქრ. 1, 299, 6; ანგელოზი უფლისაა გამოეცხადა ჩუენებით იოსეფს ეგკატეს: მ. 2, 19C; (გუამნი) გამოეცხადნეს მრავალთა: მ. 27, 53; რაათა მეორედცა და მესამედცა გამოეცხადოს: ისტ. ქრ. 1, 297, 18.

მაგრამ, როგორც ვნახეთ (გვ. 31), მოიპოვება ამ ნასახელარი ზმნის საკმაოდ იშვიათი ინიანი ფორმაც (განიცხადნენ). ეველაზე ხშირი მაინც ისევე ენ სუფიქსიანი ვნებითია. ნასახელარ ზმნას სწორედ ის შეეფერება. აი მაგალითები: ესე უოველი მცირედ-მცირედ გამოცხადნების წარმართებითა ღმრთისა სიტყუსაათა: კიმ. 11, 168, 29; ოდეს იორდანეს განსცხადენ კაცთა ქსნისათჳს: სას. პ. 107, 144; განცხადნა სახელი მისი: მრ. 6, 14; არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს: მ. 10, 26; რაქამს გამოცხადნეს ცხორება იგი ჩუენი, მაშინ თქუენცა გამოსცხადნეთ დიდებითა: ხანძთ. 141, 7; რაათა გამოცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი: ლ. 2, 35C; რაათა განცხადნენ საქმენი მათნი: ი. 3, 21C.

ნასასრულ, არის ერთი დონიანი სახეობაც: დაუვენ ქუაბსა შინა სხუანი ათნი დღენი და გამოგიცხადდეს შენ საიდუმლოჲ დიდი და მრავალი ადგილსა მას: აპოკრ. 90, 10 (ეს მაგალითი იკითხება სვანურ მრავალთაგანში, =A19).

შეგვარად, ეს არის ერთადერთი ნასახელარი ზმნა, რომელსაც ძველ ქართულში ოთხივე სახის ვნებითი მოუბოვება: ინიანი (განიცხადა), ენიანი (განეცხადა), ენ სუფიქსიანი (განცხადნა) და დონიანი (გამოგიცხადდა). სხვადასხვა ტიპის ვნებითის ჩამოყალიბების ისტორიისათვის ამ ფაქტს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

ქატომ მიმართავენ მაინც ე-ს ასე ხშირად ნასახელარ ზმნებში? სხვა მიზეზს გარდა, აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ ტიპის ზმნების მეორე მაწარმოებელი ენ სუფიქსი ჩვეულებრივ აბსოლუტურ ფორმებს იძლევა (განცხადნა), მაშასადამე, როცა რელატიური ვნებითის მიღება სურთ, ამისთვის მხოლოდ ენიანი ფორმებია მოსარგებელი (გამოგიცხადა). მაშასადამე, რელატიური ფორმებისათვის საერთოდ და აქაც ენიანი ფორმებია გამოყენებული.

ჩვენ ზემოთ ვთქვეით, რომ ენ სუფიქსი ჩვეულებრივ აბსოლუტურ ფორმებს აწარმოებს. ამას განმარტება უნდა. აღნიშნულ სუფიქსს არ შეუძლია რელატიური ფორმების მოცემა, ასე ვთქვათ, თვით, მარტო თავისი საშუალებით. მაგრამ რადგანაც ვნებითის ნიშანი ამ შემთხვევაში სუფიქსია, საჭიროებისას რელატიური ფორმების მისაღებად ენა იყენებს სასხვისო ქცევის პრეფიქსებს, რის გამოც ფორმა რელატიური (ორპირიანი) ხდება: განრისხნა (იგი),



მაგრამ: განურისხნა (იგი მას). ასევე ითქმის აგრეთვე დონიანი ვნებითის შესახებ: გამოჩნდა, მაგრამ: გამოუჩნდა (გამომჩინდა, გამოგჩინდა). რიანი ვნებითი ამ საშუალებას მოკლებულია. ამიტომ არის, რომ ინიანი ვნებითებს მხოლოდ აბსოლუტური ფორმების წარმოება შეუძლიათ.

3

შეორე მხრივ, არის შემთხვევები, როცა პირველადი ზმნური ფუძიდან ვნებითი ენ და დ სუფიქსების საშუალებით იწარმოება. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა დიდი ხანია აღნიშნულია. ასე, მაგალითად, ნაჩვენებია, რომ გან-ტეხ-ა (მან იგი) ზმნისაგან დონის დართვით მიღებულია განტუდა (—გან-ტხდა,) გან-ხეთქ-ა-საგან—გან-სთქდა (—გან-სთქდა), დაჰქსნა-საგან — დაჰქსნდა¹. ასეთი მაგალითები ძველ ქართულში იშვიათი არაა. ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს. მაგრამ ვნახოთ ჯერ სათანადო მაგალითები.

ენ სუფიქსიანი

1. ბორგ (სი-ბორგ-ილ-ი): ხოლო კაცმან მან ყოველი იგი ყოფილი უთხრა ცქირსა. და იგი უფროასლა აღბორგნა და შესძინა სიბრმე სიბრმესა ზედა: ხანძთ. 145, 28.

შაგრამ უფრო ხშირად ვნებითის ფორმას დ აწარმოებს: აღბორგდა კარაული იგი და გარდამოაგდო იგი: კიმ. 1, 337, 29; მაშინ მიესყუღად კარაული იგი ზნოანი აღბორგდა: სპ. წიგ. 11, 93, 36; აღბორგდა ეშმაკი: ლიტ. ქრ. 313, 8.

შიზეზი ნ-ს ნაცვლად დ-ს გამოყენებისა შეიძლება იყოს ფუძეში ბოლოკი-დური გ-ს წინ რ-ს არსებობა, ვნებითის საწარმოებელი დ სწორედ მას უწევს ანგარიშს, ე. ი. საფუძველი ფონეტიკურია.

2. ბუშ: იხილა და დაბუშნა, განიცადა და ძარღუნი დაჰქდეს: S 97, 172va, 8; და არცაღათუ ერთი ასოთაგანი მისთაა შებუშნა გუამსა მისსა: S 11, 247, 7 ქვ.; შებუშნეს ყოველი გუამი მისი: სწავ. 188, 8.

3. დუმ-ილ-ი: კუაღადცა ვიტყუ და არა და ვ დუმნებო: სწავ. 88, 28AB; აწნუ დასდუმნებო: ისტ. ქრ. 1, 299, 36; მაშინდელსა მას შეცოდებასა შენსა და ვ დუმენ: კიმ. 1, 139, 20; ჰრისხვიდეს მას მრავალნი, რაათამცა და დუმნა: მრ. 10, 48C; იგი დუმნა: მ. 22, 12; იგინი დუმნეს: მრ. 3, 4; უკვრდა სიტყუს-გებაა მისი და და დუმნეს: ლ. 20, 26C; და დუმენ და დაიყავ პირი: მრ. 4, 39; დუმენ და დაიმაღე: კიმ. 1, 211, 10; ნეფსით დასდუმნო: სწავ. 88, 10; გუამი დაშრტის და ენაა და დუმნის: სწავ. 140, 21; რაათა და დუმნეს: ლ. 18, 39; და ღათუ ესენი დუმნენ, ქვანი დაღადებდენვე: ლ. 19, 40; რაათა და დუმნენ: მ. 20, 31.

¹ ა. შანიძე. ნასახელარი ზმნები ქართულში: თბილ. უნივ. მოამბე, I, 1919—1920, გვ. 89; მისივე: ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 298; ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან. II. 1. ელ ბოლოსართი ზმნაში: ენიმის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 534.



შაგრამ ამის გვერდით გვაქვს აგრეთვე დონიანი ფორმები: კულადა ვიტუქ და არა და ვ დ უ მ დ ე ბ ი: სწავ. 88, 28C; ისილე, უფალო, და ნუ და ს დ უ მ დ ე ბ ი: ფს. 34, 22C; და და დ უ მ დ ე ბ ი ნ პირი: სწავ. 60, 11C; და და დ უ მ და ამისგან: სწავ. 203, 3C. შევნიშნავთ ბოლოს, რომ მ-სა და ვ-ზე დაბოლოებულ ფუძეებში დ-ს გამოყენება ჩვეულებრივია. დონი ჩვეულებრივ 5 თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებში გვაქვს: ლ, რ, ნ თანხმოვანებზე დაბოლოებული, როგორც წესი, ის ყოველთვის მოუდის, მ-სა და ვ-ზე დამთავრებულთ — სანახევროდ.

4. დ უ ღ - ი ღ - ი: ნუ აღ ს დ უ ღ ნ ე ბ ი: კურთხ. იაკ. 54, 1; ნუმცა ას დ უ ღ ნ ე ბ ი: თუალთ. 22, 30; 23, 1; და აღ დ უ ღ ნ ა გულის-წყრომიტა მეფე: კიმ. 11, 185, 35; აღ დ უ ღ ნ ა გულის-წყრომიტა: სინ. მრავ. 118, 33.
5. ვ რ ც (ე ღ - ი): გან ვ რ ც ე ნ, იაფეთ, შორის ნათესავთა: სას. პ. 50, 120; გან დ ი დ ნ ა და გან ვ რ ც ნ ა ერი იგი ღმრთისაჲ ისრაჴლი: ეესტ. 167, 3; გან ვ რ ც ნ ა პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა: სას. პ. 190, 43; რათა არა გან ვ დ ი დ ნ ე და გან ვ რ ც ნ ე: იგავ. 10, 9 ლავ.; და იყოს ნათესავი შენი ვითარცა ქვშაჲ ზღუჯაჲ და გან ვ რ ც ნ ე ს ზღუადმდე: დაბ. 28, 14.
6. თ ე ნ: ხოლო გან თ ე ნ ა¹ რა: ზარზმ. 155, 19. სხვაგან ერთ-ერთი ნ დაკარგულია: მწუსრი შაბათსა, რომელი გან თ ე ნ ე ბ ო და ერთშაბათად: მ. 28, 1; და დღე იგი იყო პარასკევი, შაბათად გან თ ე ნ ე ბ ო და: ლ. 23, 54; ვითარცა გან თ ე ნ ა: მ. 27, 1; მრ. 15, 1; ი. 21, 4C.

შაგრამ ძველსავე ქართულში გვაქვს უკვე დონიანი ფორმებიც: გან თ ე ნ - და: ასურ. 201, 18GH; ბალ. 98, 224 BCDJ; აწ აღიმსთუე და წარვედ და გზას-მცა გა გ ი თ ე ნ დ ე ბ ი ს: I მეფ. 29, 10.

7. ლ ი გ: ვითარცა ესმნეს ვიპარქოზსა სიტყუანი ესე წმიდისა ევგენიასნი, გან ლ ი გ ნ ა სიტყუათა მისთა ზედა და არარაჲ პოვა, რამცა მიუვო მას: კიმ. 11, 83, 33; შეშინდა და გან ლ ი გ ნ ა ფრიად: S 11, 110v, 11; მაშინ წარეკეთა სასოებაჲ ჰაბაშთა მათ, და გან ლ ი გ ნ ე ს და არა უწყოდეს, რამცა-იგი ევეს: სინ. მრავ. 277, 23.
8. ქ ღ ა ვ - ი ღ - ი: მას ქამსა აღ ქ ღ ა ვ ნ ე ს, რომელნი-იგი გარემოს დგეს, ყოვლით მოქალაქითურთ; და და დ უ - ვ ე ს და იტყოდეს: კიმ. I, 137, 27.
9. რ ი ს - ე - ა: ნუ გან რ ი ს ხ ნ ე ბ ი, ჴ ლუსია: საკ. წიგ. 11, 84, 124; ამისთჳს გან ვ რ ი ს ხ ე ნ შენ ზედა: ხანძთ. 156, 10; ღმერთი შენი სახი-ერი და მდაბალი იგუემა და არა გან რ ი ს ხ ნ ა: სწავ. 7, 1, 25; გან რ ი ს ხ ნ ა უფალი იგი მისი: მ. 18, 34C; გან რ ი ს ხ ნ ე ს (იგინი) ორთა მათ ძმათათჳს: მ. 20, 24; გან უ რ ი ს ხ ნ ა მას უფალი იგი თჳსი: მ. 18, 34; და მყის გან უ რ ი ს ხ ნ ი ძმასა შენსა: სწავ. 71, 22; რომელი გან უ რ ი ს ხ ნ ე ს ძმასა თჳსსა ცუდად: მ. 5, 22.

შაგრამ ზშირია აგრეთვე დონით ნახმარი ფორმები: ნუ გან რ ი ს ხ დ ე ბ ი, ჴ ლუსია: საკ. წიგ. 11, 84, 127; გან რ ი ს ხ და დიკო მსაჯული: S 62, 39va, 3 ქვე; ნუუუუ გან რ ი ს ხ დ ე ს უფალი: ფს. 2, 12C; და გან უ რ ი ს ხ და მას უფალი იგი თჳსი: მ. 18, 34 ლატ.; გან გ ი რ ი ს ხ დ ე ს: 2 შჯ. 6, 15 ლატ.

ღშირია აგრეთვე შე ჰ რ ი ს ხ და, შე ჰ რ ი ს ხ დ ე ს და მსგავსი ფორმები,

¹ გამოცემაში: განთენა.

მაგრამ ამაზე სხვა დროს. საერთოდ ძველ ქართულში სშირად გვხვდება ვენების პარალელური (ენ სუფიქსიანი და დონიანი) წარმოება. ახალ ქართულში, რა თქმა უნდა, მხოლოდ დონიანი ფორმები გვაქვს.

10. სივ: განსივნა მუცელი მისი: კიმ. I, 242, 7; დიდად განსივნის მუცელი მისი და იწყის ტირილად ყრმამან მან გაბერვისა მისგან: კიმ. I, 268, 3; მუნქუესეე სარცხუნელი მისნი განუსივნეს და მიიწივნეს ვიდრე მუქლის თავადმდე¹ მისა: კიმ. I, 298, 7; რომელთა აღუსივნის მუცელი თვისი: თუალთ. 20, 13.

11-12. სუქ, სხუ: განსუქნა, განსხუნა, განიშუა: ვალობ. (ფს.) 2, 15; ამისთვს რამეთუ განდიდნეს და განმდიდრეს და განსუქნეს და განბოხნეს: იფრ. 5, 27. განსხუნა (= გამსხვილდა) ზოგ რედაქციასა და ხელნაწერში განსხუა-ს სახითაა წარმოდგენილი; აქ ნ დაკარგული უნდა იყოს.

13. ქიქ: ენისაგან განქიქნების ცნობა: აღწ. 233, 8 (= S97, 14ra, 5); განქიქნა: ანტიოქ. 350, 18.

14. ყუაფილ-ი: უქმთა უდაბნოთა აღჰყუავენ, ვითარცა ფინიკი: სას. პ. 118, 76; ეკლესიასა შინა, ვითარცა ფინიკი, აღჰყუავენ შენ მაღლითა: სას. პ. 202, 38; აღყუავენა ნაყოფი ქსნისა ჩუენისა: სას. პ. 278, 166; მორჩი იგი კურთხევისა აჰა ესერა სახელსა ღმრთისასა აღყუავენა: Опис. 265, 20.

ტრის აგრეთვე დონიანი ფორმაც: და აღჰყუავედი, ვითარცა მცენარე: სას. პ. 117, 55.

საც შეეხება ისეთ ფორმებს, როგორცაა: აღყუაველნა (მრავ. 291, 5B) და აღყუაველდა (იქვე C), ესენი ყუაველ სახელს ეყრდნობიან და ახლა აქ არ გვაინტერესებს.

15. ყუდ: და დაყუდნა ზღუად იგი: თუალთ. 48, 18; და იხარეს, რამეთუ დაყუდნა: ფს. 106, 30C; ...დაყუდნეს: იქვე ლ; უკუეთუ თავით თვისით დაყუდნეს: სწავ. 150, 7.

სწავ არის პარალელურად დონიანი ფორმები: დაყუდდა ზღუად იგი და ღელვანი მისნი: ეფრ. 96, 14; მაშინდა დაყუდდეს კაცნი და აღასრულნეს ესრეთ: ეფრ. 102, 3.

16. წუხ-ილ-ი: ნუ შეწუხნებიან და ნუცა მოიწყინებნ მსახურებასა მას მისსა: სწავ. 176, 39; შევწუხენ მე ფრიად ვიდრე სიკუდილადმდე. მესუსტ. 69, 5; ხოლო ესე ყოველი ოდეს გესმა, შეჰწუხენ ფრიად და არა ინებე წარგებად მონაგებთა მათ შენთა: ბოლნ. 69, 12; შეწუხნა ჰეროდე მეფე: მრ. 6, 26; რამეთუ ღმრთისათვის შესწუხენით: 2 კორ. 7, 10; იგინი შეწუხნეს ფრიად: მ. 17, 23; შევწუხნით და შეგუელმინ ყოველი შინაგანი ჩუენი: სწავ. 31, 2; უმჯობეს არს ჩუენდა, რაათა შევწუხნეთ სმენითა ამისითა და არა შევერდომითა: სწავ. 79, 23.

სწავს პარალელურად დონიანი ფორმებიც, მაგალითად: მაშინ შეწუხდეს იგინი ფრიად განშორებისა მისისათვის: ეფრ. 96, 24; რაათა არა შეს-

¹ გამოც. მუსლის-თავადმდე.



წუხდეთ, ვითარცა-იგი სსუანი, რომელთა არა აქუს სასოება: ქართული ენის ენციკლოპედია, 4, 13 ლატ.

17. ჭუფილ-ი: ნუ შეჭუფენების ადამ: ლიტ. ქრ. 6, 47; ვგრეცა ესე შეჭუფნა: სინ. მრავ. 210, 11; შეჭუფნა პირი შენი: დაბ. 4, 6 პარ.; შეჭუფნა და თქუა: ლიტ. ქრ. 5, 6.

ბო ნი ა ნ ი

1. სი-ბორგ-ილ-ი. ნ. ზემოთ ენ სუფიქსიანები, გვ. 35.
2. ბრკოლ: დაეჭბრკოლდები მე: სინ. მრავ. 25, 19; რომელნიმე ღმრთეებით დაჭბრკოლდებიან ჯორცთაგან: მრავ. 300, 13; შეჭბრკოლდებიან: 1 პეტ. 2, 87; ყოველნი დაბრკოლდებოდეს მისა მიმართ: მ. 13, 57; მაშინ დაბრკოლდებოდინ მრავალნი: მ. 24, 10; დაჭბრკოლდებოდინ: 1 პეტ. 3, 7; დაბრკოლდეს (იგინი): მ. 15, 12; მეყსულად დაბრკოლდინ: მ. 13, 21; მე არასადა დაებრკოლდე: მ. 26, 33; ყოველნივე დაჭბრკოლდეთ ჩემდა მომართ: მ. 26, 31C; სსუანი ყოველნი დაბრკოლდენ შენდა მიმართ: მ. 26, 33.
3. ბრყვლ: მონაგებნი სოფლისანი ტკივილ თუალთა არიან და მისვან დაბრყვლდინ და ვერ შეუძლიან ხილვად სიმდიდრე იგი ზეცისაჲ წარუვალი: სწავ. 193, 34AC; ...დაბრყვლდიე და ვერ შეუძლიე: იქვე B.
4. ბრძვლ: შებრძვლდა წყლული მისი: კიმ. 1, 246, 34; შებრძვლდინ წყლული შენი: იქვე, 246, 33.
5. ბრძვნ: და შებრძვნდებოდინ ასონი ურთიერთას მოსწრაფებით: სწავ. 211, 22A. B ხელნაწერში იკითხება შეიბრძვნვოდინ და ამით ეს ზმნა ინიანთა კლასში გადადის; C-ში კი გვაქვს შეიბრძვილვოდინ და ესეც ინიანთა ჯგუფს განეკუთვნება.
შენიშვნა: ბრძვნ და ბრძვლ (ბრძვილ) ფუძეები ფონეტიკური ვარიანტები უნდა იყვნენ; ამიტომ შეიძლებოდა ისინი ერთად განგვეხილა.
6. ბრწყინ: ნათელი გამობრწყინდა მათ ზედა: მ. 4, 16; ვითარცა ელვად რაჲ გამობრწყინდის მზის აღმოსავალით: მ. 24, 27; მაშინ მართალნი გამობრწყინდენ: მ. 13, 43.
7. გრუნ: ვაჲ მე, შვილო ჩემო, ვითარ გავგრუნდი წარწყმედასა შენსა ზედა: სვან. 234a.
8. დუმ-ილ-ი. ნ. ზემოთ ენ სუფიქსიანები, გვ. 35—36.
9. ვიწყ: დაავიწყდა პური მიღებად: მ. 16, 5; მრ. 8, 14.
10. ზრახ: მაშინ აზრახდა იგი ბერძულითა ენითა განმარტებულად: ეფრ. 101, 14.
11. ზრუნ: ნუ შეზრუნდები: აპოკ. 22, 5; ნუ შეზრუნდები: იქვე, 9, 43.
12. თენ: ნ. ზემოთ ენ სუფიქსიანები, გვ. 36.

13. კაფ: და უკუეთუ ოქროდ და ვეცხლი და ფასი, რომელი განკფდებოდა იგი უყუარდეს, მიცემულ არს შენდა ამიერითგან: თეკლა, 23, 27; ...განკფთების: იქვე A; ვისიძვე და ვიმრუშე და ვიავაზაკე და განკფდი ცოდვასა შინა: სწავ. 205, 18; განკფდი მე ყოველთა ზედა მტერთა ჩემთა: ურთ. 167, 25.

მაგრამ მოიპოვება აგრეთვე ინიანი ფორმაც: ქორცნი განკაფნეს: Опис. 129, 3.

14. კლ: მოაკლდების სოფლისა ამისგან: კიმ. 1, 241, 31; ხედავა, ფებრონია; ვითართა კეთილთა დააკლდი და ვითარსა უშუერებასა მიეცი: პარხ. 658a; მოაკლდა ღვნო: ი. 2, 3; და მყის მოაკლდა, ვითარცა კუამლი: კიმ. 1, 236, 3; რაქამს მოაკლდეთ ამიერ სოფლით: ლ. 16, 9.

15. კსინ: შეჰკსინდის იგი ცუდთა და უნდოთა რამე საქმეთათჳს კაცსა მართალსა და ცრუსა: სწავ. 239, 25.

16. კვრ: განუკვრდებოდა ერსა მას: მ. 7, 28; დაუკვრდებოდა ყოველთა: მრ. 1, 27; მათ შეეშინა და დაუკვრდა: ლ. 8, 25; იხილეს იგი და განუკვრდა: ლ. 2, 48.

17. ორძნ: თესლი იგი აღმოჰსცენდის და განორძნდების: მრ. 4, 47; ყრმაჲ იგი აღორძნდებოდა, განმტკიცნებოდა სულითა: ლ. 1, 80; აღორძნდა და იქმნა იგი ხე: ლ. 13, 19; რაქამს აღორძნდის, უფროჲს არნ იგი ყოველთა მხალთა: მ. 13, 32.

18. რისხ-ვ-ა. ნ. ზემოთ ენ სუფიქსიანები, გვ. 36.
სთქ ნ. ხეთქ.

19. ტყ (+ტყხ): ეკრძალენით, ნუ აღტყდებით: მ. 24, 6C; ერი შესტყდებოდა და არა უტევებდეს პატიოსანსა გუამსა და წმიდათა ნაწილთა მისთა დამარხვად: კიმ. 1, 165, 5; ეროდე... რისხვით აღატყდა: მრავ. 312, 37; აღ(ა)ტყდა რისხვით გულის-წყრომაჲ მისი: ეტ. VI, 97, 17; ხოლო უკუეთუ რტოთა მათგანი ვინმე გარდასტყდეს: რომ. 11, 17; განუტყდეს: გამ. 22, 10.

მაგრამ არის აგრეთვე ინიანი ფორმაც: მრავალ-გზის წარემატე და განიტყხე და შეიმუსრე¹ პირი შენი: S 35, 197rh, 19.

20. ყუაფ-ი-ღ-ი. ნ. ზემოთ ენ სუფიქსიანები, გვ. 37.

21. ყუდ. ნ. ზემოთ ენ სუფიქსიანები, გვ. 37.

22. შუენ: სამითა ამით ჯერითა შევიმკვე და სამითავე ამით განეშუენდი: ზირ. 25, 1; სათნოებათა საკვრველებითა განჰშუენდი: სას. პ. 117, 52; საღმრთოჲ შური აღიდე და განჰშუენდი: იქვე, 66; აწ განეშუენდი: იქვე, 68, 4; განვრცნეს და განდიდნეს, ეგოდენცა განეშუენდეს: აღწ. 177, 4-5.

23. ჩნ: ვინ გამოჩნდა ესრჳთ ისრაჳლსა შორის: მ. 9, 33; რომელნი გამოჩნდეს დიდებითა: ლ. 9, 31; ელვაჲ რაჲ გამოჩნდის კილითგან ცისაჲთ: ლ. 17, 24; ოდეს ძმ კაცისაჲ გამოჩნდეს: ლ. 17, 30.

24. ცბუნ: შეეცბუნდი, თუ რომლითა სატანჯველითა გკუემო შენ:

¹ შეიმუსრე ხელნ.



- ადწ. 176, 15; შეცბუნდა¹ ევა და დაიჯერა სიტყუა იგი: კიმ. ქ. 179, 5; რასათჳს შესცბუნდით, რასათჳს დაჯსნილ იქმნენით ესრეთ: სკმპ 36, 23, 17.
25. ცენ, ცენ: ჯორცთა მისთაგან აღმოსცენდების დიდება: საკ. წიგ. 11, 12, 38; აღმოსცენდებოდა დიდება: იქვე; აღმოსცენდა ჯეჯლი იგი: მ. 13, 26; ეკალი იგი აღმოსცენდეს: მ. 13, 7; რაქამს დაეთესის, აღმოსცენდის: მრ. 4, 32C; სადა აღმოსცენდის სიმდაბლც, მუნცა აღმოეცენის გალობა: S 35, 131va, 9 ქვ. მაგრამ ძველ ქართულშივე გვხვდება ენიანი ფორმებიც: აღმოეცენა (აღმოეცენა B) მისგან წყალი: ისტ. ქრ. 11, 93, 34.
26. ცხო(ვ)ნ: არა ხოლო თუ პურითა ცხოვრების კაცი: მ. 4, 4; რამეთუ ცხოვრდებოდა არაწმიდად: ლ. 15, 13; რაოდენნი შეეხებოდეს, ცხოვრდებოდეს: მრ. 6, 56; არამცა ცხოვრდა უოველი ჯორციელი: მრ. 13, 20; რაოდენთა შეახეს, ცხოვრდეს: მ. 14, 36; შე-ხოლო თუ-ვახო ფესუსა სამოსლისა მისისასა, ვცხოვრდე: მ. 9, 21; რათათქუენ ჰსცხოვრდეთ: ი. 5, 34; რათა არა ჰრწმენეს და ცხოვრდენ: ლ. 8, 12.
27. ძრწუნ: ნუ შეჰსძრწუნდებით: მრ. 13, 7; ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი: ი. 14, 12; შეძრწუნდა ზაქარია: ლ. 1, 12; რაჲსა ესოდენ შესძრწუნდით: მ. 8, 26; შეძრწუნდეს და თქუეს: მ. 14, 26.
28. ძკუნ: განძკუნდა მჯდომი იგი: კიმ. 1, 316, 22; განძკუნდა გულის-წყრომაჲ მეფისაჲ: ისტ. ქრ. 11, 61, 24; განძკუნდა ტკივილი: საკ. წიგ. 11, 27, 5; განძკუნდა გულის-წყრომით ღუქსი: იქვე, 79, 8.
29. წუხ-ილ-ი. ნ. ზემოთ ენ სუფიქსიანები, გვ. 37—38.
30. ხეთქ—ხთქ—ჰთქ—სთქ: განჰსთქდებოდეს ბადენი მათნი: ლ. 5, 6; ესოდენ იყო და განსთქდა ბადც იგი: ი. 21, 11; მოსთქდა ქვაჲ იგი ეელისაგან მისისა: პარს. 694a; ჩაუთქდა ზედა ქუახსა მას და შთაუცთა ფერჯი იგი ვნებული აქლეჲსა განჰებულსა მას: ისტ. ქრ. 11, 95, 21; კლდენი განსთქდეს: მ. 27, 51; განსთქდიან თხიერნი იგი: მ. 9, 17C; რათა არა განსთქდენ თხიერნი იგი: მ. 9, 17E.
31. ქსენ: რათა შჯული იგი მოსესი ნუმცა დაჰქსნდების: ი. 7, 23C; ოდეს დაჰქსნდებოდიან მათნი ბორცუთა თანა: S 97, 181r^b 9; განჰქსნდა კრულებაჲ ენისა მისისაჲ: მრ. 7, 35; მაშინ დაჰქსნდეს ქელნი მსაჯულთანი: ისტ. ქრ. 11, 59, 21; რაქამს დასნეულდის, დაჰქსნდის და ძქოლაჲ შეედვის: სწავ. 139, 26; უკუეთუ განუტევენე უზმანი ვანად მათა, დაჰქსნდენ გზასა ზედა: მრ. 8, 3.
- დაჰქსნდა დაჰბადა-ს ტიპის ზმნის ვნებითა (სათანადო მოქმედებითა დაჰქსნა), ამიტომ მას ფორმა ორპირიანი აქვს, შინაარსი ერთი პირის გაგებას იძლევა. ამის გამოა, რომ მის პარალელურად ორნაირი ფორმა იხმარება: ფორმის შესაფერისად ენიანი ვნებითი გვაქვს, შინაარსის შესატყვისად — ინიანი. პირველის მაგალითია: განექსნა კრულებაჲ იგი ენისა მისისაჲ: მრ.

¹ გამოცემაშია: შეცბონდა.



7, 35C. განეცხნა აქ ნიშნავს გაიხსნა; მეორის ნიშნავს: ეველესნა და ნი... და იქსნეს: ისტ. ქრ. II, 101, 9. აქ შინაარსი და ფორმა ხელისუფლების კიდებული მიდის: ორივე ერთ პირს აღნიშნავს.

ამ ტიპის ზმნათა აქ მოყვანილი სია არ იჩემებს სისრულეს, მსგავსი ზმნებზე გაცილებით მეტია.

ყვიძლება ერთი შეხედვით დუმ-ნ-ა||დუმ-დ-ა, აღბორგ-ნ-ა||აღბორგ-დ-ა. შეწუს-ნ-ა||შეწუს-დ-ა და მსგავსი ფორმები ნასახელარ ზმნებად მოგვეჩვენოს, როცა მათ გვერდით გვაქვს სათანადო სახელები: დუმ-ილ-ი, სი-ბორგ-ილ-ი, წუს-ილ-ი და სხვა. მაგრამ არა: ეს უკანასკნელი ფორმები საწყისებია და თვით არის დამყარებული პირიან ფორმებზე: დუმ-ს—დუმ-ილ-ი, ბორგ-ი-ს—სი-ბორგ-ილ-ი, წუს-ს—წუს-ილ-ი. ფუძეს დართული სი, ილ აფიქსები ა. შანიძეს სწორედ საწყისების მაწარმოებლად მიაჩნია¹. მაშასადამე, აქ ჩვენ საქმე გვაქვს პირველადს ზმნებთან და არა ნასახელარ ზმნებთან.

ამგვარად, ირკვევა, რომ პრეფიქსიანი ვნებითები უცხო არ არის ნასახელარ ზმნებისათვის (დაიმარლოს, მოიოჭრა, დაესახლნეს). ისინი ენაში ბლომად გვხვდება. მეორე მხრივ, ასევე ხშირად გვხვდება სუფიქსიანი ვნებითები პირველადს (არა ნასახელარ) ზმნებში (განტყდა, განძვნდა, აღმოსცენდა). ამგვარი ფორმებიც ბევრია ძველ ქართულში. მესამე მხრივ (და ეს მეტად საინტერესოა) ხშირია შემთხვევა, რომ ერთსა და იმავე დროს მოგვეპოვება პარალელური ფორმები: ერთსა და იმავე ზმნას აქვს პრეფიქსიანი ფორმებიც და სუფიქსიანიც: ორი. სამი და, იშვიათად, ოთხივეც. როგორც ზემოთ ვნახეთ, ძველ ქართულში ერთდროულად გვაქვს:

აღმოცენა და აღმოსცენდა; მოიოჭრა და აღოჭრა; განიკაფნეს და განკუფდეს; განიტყხა და განტყდა; დაიმწიფა და მომწიფნა; იდიდა და განდიდნა; განიღმრთო და განღმრთნა; განიშიშულა და განშიშულდა; აღესრულა და განსრულდა; აღეშენა და აშენდა... განემტკიცნა, განემტკიცა და განიმტკიცა; განცხადნა, განცხადდა, განეცხადა და განიცხადა და სხვა.

ესევე ხშირია პარალელური სმარება თვით სუფიქსიანი ვნებითებს შორისაც. მაგალითად, ერთდროულად არის:

აღბორგნა და აღბორგდა; დადუმნა და დადუმდა; შეწუსნა და შეწუსდა; აღყუავნა და აღყუავდა; განრისხნა და განრისხდა; დაყუდნა და დაყუდდა; დაშაენა და დაშაენდა; დაღამნა და დაღამდა; განცრუენა და განცრუედა; განლაღნა და განლაღდა; დაგლახენა და დაგლახაკდა და სხვანი.

ყველაფერი ეს გვაქვს ძველ ქართულში, კარგ ხელნაწერებში, ამასთან არა ერთჯერ და ორჯერ, არამედ ხშირად.

პით უნდა აიხსნებოდეს ეს სიჭრელე? ჩვენ მართებული ვგვგონია მოსაზრება, რომ ვნებითის ეს ჭრელი ფორმები ძველ სალიტერატურო ქართულში სხვადასხვა დიალექტურ წრეს თუ ფენას უნდა ჰქონდეს შემოტანილი².

ტქ შეიძლება ვივარაუდოთ სამი ფენა მაინც, რომელთაგან ერთს, ძირითადად, პრეფიქსიანი ფორმები ეკუთვნის, მეორეს ენ-სუფიქსიანი, ხოლო მესამეს

¹ ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 582—583.

² ლ. ნოზაძე. პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 70—71.



მეს — დონიანი. ინიანისა და ენიანი ვნებითების დაცილება შეუძლებელია, რადგან ისინი სულ სხვადასხვა შინაარსით იხმარება: ერთი ერთპირიან ფორმებს აწარმოებს, მეორე — ორპირიანებს. სამაგიეროდ არც დონიანი და ენ სუფიქსიანი ვნებითების გაერთიანება და ერთი კილოსადმი მიკუთვნება იქნებოდა სწორი, რამდენადაც ისინი სავსებით ერთ შინაარსს შეიცავენ და ენაში მათი ერთდროული თანაარსებობა არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა. ისინი ძველ სალიტერატურო ქართულში სხვადასხვა კილოდან შემოვიდნენ. და რადგან ორივეს ერთი ფუნქცია ჰქონდა, დადგა საკითხი ერთი მათგანის გაძევებისა. დონის შემცველი კილოს გავლენა უფრო ძლიერი გამოდგა, მან თანდათან გააძევა ხმარებიდან ენ სუფიქსიანი ფორმები და თვით გაბატონდა. დღეს ერთადერთი სუფიქსიანი ფორმა სწორედ ისაა.

ჟაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია, რომელსაც შემდეგში გამოწვლილვით შესწავლა და დასაბუთება ესაჭიროება. ჩვენთვის აქ მთავარი იყო თვით ამ სიჭრელისა და ნაირგვარი ფორმების გამოვლენა და ჩვენება.

4

ინიან ვნებითებს ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს: გარკვეულ შემთხვევებში (უმთავრესად II სერიის მწკრივებში) ისინი გარგვნილად მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ფორმებს ემთხვევიან. თუ ერთ შემთხვევაში მოიყვანა სათავისო ქცევისაა (ამან მოიყვანა იგი იესუასა: ი. 1, 42), მეორეში იგივე ფორმა ინიანი ვნებითა² (ძმაა შენი მოსრულ არს, და მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჭამებული, რამეთუ ცოცხლებით მოიყვანა იგი: ლ. 15, 27). პირველ შემთხვევაში მას ორი პირი შეეწყობა: მოიყვანა მან იგი, მეორეში — ერთი: მოიყვანა იგი, ე. ი. მოყვანილ იქნა (სხვის მიერ), მოვიდა. ეს ზმნა შემთხვევითი და ერთადერთი არაა. ასეა თითქმის ყველა ნორმალური ზმნა, რომელთაც სათავისო ქცევის ფორმაც აქვს და ინიანი ვნებითიც. მაშასადამე, ეს არის ამ ტიპის ზმნათა საერთო დამახასიათებელი თავისებურება, საერთო თვისება.

საბოლოო ხდება ეს ასე? სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინიანი ვნებითი მომდინარეობს სათავისო ქცევისაგან, რომ გვარის

ჩვენ არ გვეჩვენება სარწმუნოდ ლ. ნოზაძის მოსაზრება, თითქოს ენიანი ვნებითი თავიდანვე ორპირიან ფორმებსაც აწარმოებდა და ერთპირიანებსაც, რომ (ფორმის) პირთა რაოდენობასთან მას კავშირი არ ჰქონდა (ლ. ნოზაძე, ინ-ენიანი ვნებითის ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში: იკე, IX—X, 1958, გვ. 129—135). ამის დასამტკიცებლად მის მიერ მოყვანილი მაგალითების დიდი ნაწილი ე. წ. დაჰბადა-ს ტიპის ზმნებია, ხოლო ამ ზმნების განსაკუთრებული ისტორია კარგად აქვს ახსნილი ა. შანიძეს (პრეფიქსები, გვ. 74—83). მეორე ნაწილი შეცდომით არის მოყვანილი და არ გამოდგება მისი მტკიცებისათვის: განეახლა და ზოგი სხვა არის არა ვნებითი, არამედ მოქმედებითი (II თურმეობითი — განეახლებინა. ავტორს გათვალისწინებული არა აქვს II თურმეობითის ძველებური წარმოება). დასასრულ, თუ ავტორის მსჯელობა სწორია, და ენიანი ვნებითი აწარმოებდა როგორც ორპირიან, ისე ერთპირიან ფორმებს, მაშინ რაღა საჭირო იყო ინიანი ვნებითი? ინიანი ვნებითი კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ ერთპირიან ფორმებს აწარმოებს, რატომ ვერ აწარმოებდა ისიც ორპირიან ფორმებს? ყველა ამასზე არა ჩანს პასუხი. ამიტომ ავტორის მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია.

ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 309.



მაწარმოებელი ი წარმოშობით არის სათავისო ქცევის ნიშანი ი, რომ ვნებითის ფორმა ისტორიულად სათავისო ქცევის ფორმაა, ვნებითის ფორმა ისესხა, შინაარსი შეუცვალა მას (პირდაპირი ობიექტი ჩამოაკლო), აგებულება, ფორმა კი იგივე დარჩა.

ეს შესედულება ეკუთვნის ა. შანიძეს. ავტორმა ეს მოსაზრება ჯერ კიდევ 1926 წელს წამოაყენა ქართული ზმნის ქცევის კვლევასთან დაკავშირებით¹, ხოლო შემდეგ სპეციალურად განიხილა და დაასაბუთა თავის ფუნდამენტურ შრომაში².

ჩვენ ქვემოთ წარმოვადგენთ ამგვარ საზიარო ფორმებს, რომლებიც ძველი ქართულის ტექსტებში შეგვხვდებოდა, და დავალაგებთ გვერდიგვერდ, რომ უფრო ნათელი იყოს მათი წარმოშობის საერთო საფუძველი. ასეთი ფორმები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 11 სერიის მწკრივებში გვხვდება, პირველ სერიისში აქტივისა და პასივს თავ-თავისი დამატებითი ნიშნები აქვთ და ამით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. აი ასეთი საზიარო ფორმებიც:

1. მოი დ გ ა — დაი დ გ ა

მაშინ კაპრაულნიცა მოი დ გ ნ ა სამსახურებელად ლაერისათჳს: კიმ. 11, 152,3 (მოქმ., სათ. ქც.). შდრ. დაი დ გ ა ყოვლად მჴნე იგი გუამი მისი მასვე მღჳმესა შინა: ასურ. 142, 3 (ენ.). პირველ ფორმაში პირდაპირი ობიექტი მხოლოდობითი რომ ყოფილიყო, გვექნებოდა: მო-ი დ გ ა. მო-ი დ გ ა მან იგი, და-ი დ გ ა იგი.

2. დაი დ ე ვ — დაი დ ე ვ

დაი დ ე ვ გულსა შენსა, და გიჩუენო შენ: ისტ. ქრ. 1, 298, 2 (მოქმ., სათ.). შდრ. საფლავსა დაი დ ე ვ მოკუდაეთაებრ: ასურ. 177, 35ბ (ენ.). შდრ. კიდევ ვნებითის პირველი პირის ფორმა: დ ა ვ ი დ ე ვ მე ნებსით მღჳმესა ამას ქუესკნელსა ბნელსა შინა: ასურ. 139, 31.

3. დ ა ვ ი ვ ი წ ე ე — დ ა ვ ი ვ ი წ ე ე

მცირისა გემოასათჳს დ ა ვ ი ვ ი წ ე ე ცეცხლი იგი ჯოჯოხეთისაჲ: სწავ. 229, 15 (მოქმ., სათ.). შდრ. დ ა ვ ი ვ ი წ ე ე მე, ვითარცა მკუდარი, გულითა და ვიქმენ ვითარცა ჭურჭელი წყმედული: სწავ. 223, 3 = ფს. 30, 13 (ენ.).

4. ა დ ვ ი ვ ს ნ ე თ — ა დ ვ ი ვ ს ნ ე თ

რაჲთა ა დ ვ ი ვ ს ნ ე თ პირნი ჩუენნი დბდებითა შენითა: სწავ. 65, 10 (მოქმ., სათ.). შდრ. მოვედით, მ ნაკლულევაანო, და ა დ ვ ი ვ ს ნ ე თ ამის მადლისაგან: სწავ. 188, 24 (ენ.).

5. გ ა ნ ი კ ი თ ხ ო ს — გ ა ნ ი კ ი თ ხ ო ს

რომელმან გ ა ნ ი კ ი თ ხ ო ს, იგიცა გ ა ნ ი კ ი თ ხ ო ს ღმრთისაგან: სწავ. 149, 10B. აქ პირველი «განიკითხოს» მოქმ. გვარია (სათავისო ქცევა: განიკითხოს მან იგი), მეორე — ვნებითი (განიკითხოს იგი, ე. ი. განიკითხულ იქნება იგი ღმრთისაგან).

6. გ ა მ ო ი პ ა რ ა — მ ი ი პ ა რ ა

გ ა მ ო ი პ ა რ ა თავი თჳსი: 1 მეფ. 25, 1 (მოქმ., სათ.). შდრ. რომელი-იგი მოკუდა და დაეფლა და მ ი ი პ ა რ ა მოწაფეთა მათ მიერ: თუალთ. 82, 27 (ენ.).

¹ ა. შანიძე. ქართული ზმნის საქცევი: თბ., უნ. მოამბე, VI, 1926, გვ. 332—333.

² ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძველები, I, 1953, გვ. 363—365.



7. შეიპყრა — შეიპყრა

პეროდე მაშინ შეიპყრა იოვანე: მ. 14, 3 (მოქმ., სათ.); შეიპყრა იგი: ლ. 5, 1 (მოქმ.); არაფინ შეიპყრა იგი: ი. 8, 20 (მოქმ.). შდრ. შეიპყრა ესე მსახურთაგან: S 62, 81ra, 3 ქვ. (ვნ.); და პირველ საზრდელისა მიღებადმდე ერისაგანთა მიერ შეიპყრა იგი: პარს. 1201 (ვნ.); არამედ შეიპყრა მათ მიერ: ექუსთ. 68, 6 (ვნ.). შდრ. აგრეთვე პირველი პირის ვნებითის ფორმა: მპარვად შეეიპყარ და ქუეყანასა უცხოთა მონებად მიეცე: S 97, 264va, 10. შეეიპყარ აქ ნიშნავს: შეპყრობილ ვიქენ.

8. შეიპყრას — შეიპყრას

და განვპარტო მასქ ჩემი და შეიპყრას გარემოდგმითა მისითა: ეზექ. 17, 20 (მოქმ.). შდრ. უკუეთუ ვინმე შეიპყრას და დაეცეს: S 97, 88vb, 17 (ვნ.).

9. შეიპყრენით — შეეიპყრენით

შეიპყრენით ეგენი ცოცხალნი და მოსრენით: 4 მეფ. 10, 14 (მოქმ.); შეეიპყრენით მელნი მცბიერნი, განმრუენელნი საყურძნისა ჩემისანი: სახისმეტყ. 18, 29 (მოქმ.). შდრ. მოვიდა მეფისა ბრძანებად და შეეიპყრენით სამეფოთაგან: სვან. 230b (ვნ.).

10. გამოისაჭურისნეს — გამოისაჭურისნეს

არიან საჭურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურისნი, რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა: მ. 19, 12. ამ მაგალითში პირველი გამოისაჭურისნეს ვნებითის ფორმა (გაისაჭურისნეს იგინი კაცთაგან), სოლო მეორე — მოქმედებითისა სათავისო ქცევით (რომელთა გამოისაჭურისნეს თავნი თჳსნი).

11. ისხნეს — ისხნეს

რომელთა შვილ ისხნეს და აღიზარდნეს, მოწევენასა სიკუდილისასა ვერად ირგეს: სწავ. 224, 12 (მოქმ.). შდრ. ისხნეს იგინი პირ-დაქცევით ქუეყანასა ზედა: ისტ. ქრ. 11, 106, 39 (ვნ.).

12. წარიტაცა — აღიტაცა

მეცემან ბოროტმან წარიტაცა: თუალთ. 71, 33 (მოქმ.). შდრ. ჯორცითა აღიტაცა წმიდაჲ ნერსე: ურთ. 79, 3 (ვნ.).

13. წარიტაცის — წარიტაცოს

მრავალ გზის წარიტაცის იგი (ეშმაკმან): ლ. 8, 29 (მოქმ.). შდრ. ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაეტევოს: ლ. 17, 34 (ვნ.), ე. ი. ერთი მოტაცებულ იქნება და მეორე კი დარჩება (დატოვებულ იქნება).

სეთივე ვნებითა აგრეთვე შემდეგი ფორმებიც: ვიხილე მე დღეს, რცა მივიტაცე მე სულითა და აღვედ მე ბორცუსა ერთსა მცირესა: კიმ. 1, 307, 14; მივიტაცე მე ქალაქად: ისტ. ქრ. 1, 299, 4; იხილა ყრმამან მან ამალღებული თავი თჳსი ჰაერთა შინა ცისათა და მიიტაცა იგი კიდემდე ქუეყანისა: კიმ. 1, 231, 4; და მერმე მიიტაცა სამოთხედ: იქვე, 231, 6.

14. შეგიტყუვა — შევიტყუე

ვითარ შეგიტყუვა¹ შენ ეშმაკმან გარდასლვად მცნებათა: კიმ. 1, 301, 31

¹ გამოცემაშია: შევიტყოვა.

(მოქმ.). შდრ. ვითარმცა აღრე-აღრე შე ვ ი ტ ყ უ ე შე ნ მიერ: კიმენი 179, 3 (ვნ.).

15. იქმენ — იქმენ

უცხო იქმენ თავი შენი სიმდაბლისაგან ღმრთისა: S 35, 197va, 14 (მოქმ.). შდრ. მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ: მ. 25, 21; გნებავეს, ვითარმცა ცოცხალ იქმენ: ი. 5, 14 (ვნ.).

16. იქმნენს — იქმნენს

და იქმნენს საყოფელნი ჯურელთა შინა ქუეყანისათა: ურთ. 23, 15 (მოქმ.). შდრ. ტვროსს თუმცა და სიღონს იქმნენს ძალნი, რომელნი იქმნენს თქუენ შორის: მ. 11, 21 (ვნ.); შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნენს, ვითარცა მკუდარნი: მ. 28, 4 (ვნ.); იქმნენს მეგობარ პილატე და ჰეროდე ურთიერთას: ლ. 23, 12 (ვნ.).

17. იქმნენ — იქმნენ

და შეიმოსეს ორთავე მათ ნეტართა სამოსელი სამდაბიოჲ, რაათა უცნაურ იქმნენ თავნი თუისნი ვერ ცნობისათუის მათისა: ისტ. ქრ. 85, 36 (მოქმ.). შდრ. არქუ ქვათა ამთ, რაათა პურ იქმნენ: მ. 4, 3 (ვნ.).

18. აღმოიყვანეს — აღმოიყვანა

აღმოიყვანეს ყრმაჲ იგი იერუსალმად: ლ. 2, 22 (მოქმ.). შდრ. მაშინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ: მ. 4, 1 (ვნ.); სიყუარულითა სიკუდილი დაითრგუნა, ჯოჯოხეთი წარმოიტყუენა და ადამ აღმოიყვანა: სწავ. 207, 24 (ვნ.). შდრ. კიდევ: რაათა მათ მიერ აღმოიყვანეთ მღვმისაგან ბნელისა: S 36, 147b, 5 (ვნ.).

19. აღიყვანა — აღიყვანა

მერმე წარიყვანა იგი ეშმაკმან მან და აღიყვანა იგი მთასა ფრიად მაღალსა: მ. 4, 8 (მოქმ.). შდრ. მაშინ იესუ აღიყვანა სულისა მისგან უდაბნოდ გამოცდად ეშმაკისაგან: მ. 4, 1C (ვნ.).

20. მოვიყვანე — მოვიყვანე

მოვიყვანე ძმ ჩემი შენდა: მრ. 9, 17D (მოქმ.). შდრ. ეგვბტელ მოვიყვანე ჭელთაგან უცხოთაათა: საკ. წიგ. 11, 20, 37 (ვნ.). შდრ. კიდევ: რამეთუ ყოველნივე მის მიერ არარაჲსაგან არსად მოვიყვანენით: ასურ. 13, 21 (ვნ.); დღესა კურიაკესა გამოვიყვანენით ჯოჯოხეთით: სწავ. 218, 10 (ვნ.).

21. მოიყვანეთ — მოიყვანეთ

მოიყვანეთ იგი აქა: მრ. 9, 19 (მოქმ.). შდრ. ვინაჲცა მოიყვანეთ: დაბ. 3, 19 ლავ. (მოქმ.). შდრ. კიდევ: რაათა შეიყვანნეთ თქუენ მამისა ჩემისა ზეცათაჲსა: S 36, 16b, 17 (ვნ.).

22. მოიყვანა — მოიყვანა

(იესუ) მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი შორის მათსა: მრ. 9, 36 (მოქმ.); და მოიყვანა იგი (ეშმაკმან) იერუსალმად. ლ. 4, 9 (მოქმ.); ამან მოიყვანა იგი იესუსა: ი. 1, 42 (მოქმ.). შდრ. ძმად შენი მოსრულ არს, და მამამან შენმან დაკლა ზუარჯი იგი ჭამებული, რამეთუ ცოცხლებით მოიყვანა იგი: ლ. 15, 27 (ვნ.); ვინაჲცა მოიყვანა: დაბ. 23 ლავ. (ვნ.).

23. მიიყვანა — მიიყვანა

თავადმან მიიყვანა მამად მის ყრმისაჲ და დედაჲ: მრ. 5, 40 (მოქმ.); მაშინ მიიყვანა პილატე იესუ: ი. 19, 1 (მოქმ.). შდრ. იყო სიკუდილი გლახაკისაჲ



მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა: ლ. 16, 22 (გნ.)
და პირველ საზრდელისა მიღებადმდე ერისაგანთა მიერ შეიპყრა იგი და მი-
იყვანა წინაშე კეისრისა: პარხ. 1201 (გნ.).

24. იყო — იყო

და ვითარცა ფრიად სარგებელ იყო ქმამან მან სწავლად ბერისა: ლიმ. 9, 19
(მოქმ.). შდრ. იყო იგი მდიდარ ფრიად: მ. 19, 22; რომლისა თანა იყო
სული არაწმიდა: მრ. 5, 2.

25. იყვენით — იყვენით

იყვენით თავებისა თქუენისა მეგობრებ ფასისაგან სიცრუვისა: ლ. 16, 9C
(მოქმ.). შდრ. უკუეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით: ი. 8, 39 (გნ.);
უკუეთუმცა ბრმანი იყვენით: ი. 9, 41 (გნ.); უკუეთუმცა სოფლისაგანნი
იყვენით: ი. 15, 19 (გნ.).

26. დააცევ — დაიცევ

წმიდარ გრიგოლ საკურველთ-მოქმედო, შენდა შევედრებული მვევალი შენი საჰაკ-
დუსტ დააცევ ყოვლისაგან ბოროტისა: საჰაკდუსტის წარწერა (ისტ. ქრ.
1, 2) (მოქმ.). შდრ. ვიდოდე ყოველსა ჰასაკსა ქრისტესსა და ძალითა მისითა
უბიწოდ დაიცევ: მრავ. 301, 17 (გნ.). შდრ. აგრეთვე: და დავიცევ ქალ-
წულადვე: სინ. მრავ. 174, 11 (გნ.); მშვლობით განვერი და უენებელად დავი-
ცევ ლოცვითა მის ბერისათა: ლიმ. 19, 20 (გნ.).

27. მოიცვა — მოიცვა

მოვიდა და მოიცვნა ჰურიანი: ისტ. ქრ. 1, 289, 21 (მოქმ.). შდრ. ამისთჳს
მწრაფლ მოიცვა იერუსალმში ვესპასიონის მიერ: იქვე, 289, 23 (გნ.).

28. დავიცვნეთ — დავიცვნეთ

ვევედრნეთ ღმერთსა, რათა მოგვვლინოს ჩუენ შიში მისი, რათა დავიცვ-
ნეთ გონებანი და ასონი ჩუენნი სიწმიდით, რათა დავიცვნეთ ცოდვისა-
გან: სწავ. 142, 7. აქ პირველი «დავიცვნეთ» მოქმედებითა სათავისო ქცევით,
მეორე — ვნებით.

ღმგვარი მაგალითების მოყვანა ადვილად შეგვეძლო განგვეგრძო, მაგრამ აქ
მოყვანილიც საკმარისია, რომ აშკარად დაინახოთ სათავისო ქცევისა და ინიანი
ვნებითის ფორმების გენეტური კავშირი. აქ ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ პირ-
ველისაგან მომდინარეობს მეორე, რადგან (ინიანი) ვნებითის სუბიექტი სხვა არა
არის რა, თუ არა სათანადო (სათავისო ქცევიანი) მოქმედებითის პირდაპირი
ობიექტი, რომელიც კონვერსიის შედეგად სუბიექტად იქცა. სწორედ ამიტომაც,
რომ როცა პირველ შემთხვევაში (სათავისო ქცევის ფორმაში) პირდაპირი
ობიექტი მხოლოდობითია, კონვერსიისას მიღებულ ვნებითის ფორმაში სუ-
ბიექტიც მხოლოდობითია (დავიცვა შენ მან — დაიცევ შენ), მაგრამ პირვე-
ლის მრავლობითის მეორის მრავლობითი ეფარდება (დავცვენეს ჩუენ მან —
დავიცვნეთ ჩუენ). ა. შანიძის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დებულების საფუძ-
ველზე ნათელი ხდება, რომ გვარის კატეგორია ქართულში გაცილებით უფრო
გვიან არის ჩამოყალიბებული, ვიდრე პირი, რიცხვი, ქცევა და სხვები. ამიტომ
ამ ტიპის ვნებითების ჩვენებებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა ქარ-
თული ზმნის სხვადასხვა კატეგორიების ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარ-
ების ისტორიისათვის.



ძველ ქართულში ა. შანიძე გამოყოფს ე. წ. დაჰბადა-ს ტიპის ზმნებს. ეს ისეთი ზმნებია, რომელთაც შინაარსი, ვაგება ორი პირისა აქვთ (მოეპოვებათ სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი), ხოლო ფორმა უჩვენებს, რომ მათ ოდესღაც მესამე პირიც უნდა ჰქონოდა — ირიბი ობიექტი, რასაც ადასტურებს ამ (ირიბი) ობიექტის ნიშნის შემონახვა: მან იგი დაჰბადა, დაჰნერგა, დაჰფლა, დაჰჭმა, აღჰმართა, განჰმზადა, დასთესა და სხვანი¹. აქედან ჩანს, რომ ამ ტიპის ზმნათა ვნებითი ადრე ორპირიანი უნდა ყოფილიყო, ე. ი. ენით უნდა ყოფილიყო ნაწარმოები (იშვიათად სხვა საშუალებითაც: დაჰსწნდა). ამ აზრს ადასტურებს ძველ ქართულის მონაცემები, იქ დაჰბადა-ს ტიპის ზმნებს ვნებითის საწარმოებლად მართლაც ე მოეპოვებათ, მაგალითად: დაეზადა, დაენერგა, დაეფლა, დაეჭმა, აღემართა, განემზადა, დაეთესა და სხვა. შინაარსი კი ამ ვნებითებსაც, როგორც სათანადო მოქმედებითებს, ერთი პირით ნაკლები აქვთ, ე. ი. შეიცავენ არა ორი პირის, არამედ მხოლოდ ერთი პირის ვაგებას, ე. ი. ისინი ერთპირიანებია². ამიტომ დაეზადა რომ გადმოვიტანოთ ახალ ქართულზე, იქნება: დაიზადა (გაჩნდა, შეიქმნა), დაენერგა — დაინერგა, დაირგო, დაეფლა — დაიფლა, დაეჭმა — დაიჭმო (დაიკეტა, დაიხურა), აღემართა — აღიმართა, განემზადა — გამზადა, დაეთესა — დაითესა. დღეს ასეთი ზმნები ერთპირიანებია, ამის შესატყვისად ინით არის ნაწარმოები (და არა ენით). სხვანაირად რომ ვთქვათ, დღეს ამ ზმნების ფორმა და შინაარსი საქმის რეალურ ვითარებას შეეფერება: ვნებითებს მხოლოდ ერთი პირის ვაგება აქვთ, მათ ფორმაც ერთპირიანი ვნებითისა აქვთ — ინიანი.

შაგრამ ფორმის ეს შეწყობა შინაარსთან, ეს გარდაქმნა ახალ ქართულში არ ჩასახულა და არ განვითარებულა. ამას სათავე თვით ძველ ქართულში ჰქონდა. თვით ძველ ქართულში ვსვდებით შემთხვევებს, როცა ამ ტიპის ზმნათა ფორმა შინაარსს ემსგავსება, როცა ორპირიანი ვნებითის ფორმა ერთპირიანის ფორმად იქცევა, ე. ი. ენიანი ვნებითი ინიანად შეიცვლება. ეს პროცესი უკვე დაწყებულია ძველი ქართულის ადრინდელ ძეგლებში, თვით სახარების ენაშიც ვსვდებით მას აქა-იქ (და ი თ ე ს ის: მრ. 4, 32D), IX—X საუკუნეების ხელნაწერებში ამნაირი შემთხვევები მოხშირებულია, შემდეგ და შემდეგ კი ეს პროცესი თანდათან ვითარდება და დღეს უკვე დასრულებულად შეიძლება ჩაითვალოს (ძველი ვითარების გადმონაშთია მო ე მ ზ ა და).

სქ ვუჩვენებთ აღნიშნული პროცესის მაგალითებს ძველი ქართულიდან.

1. და-ბ ა დ ე ბ ა: და რამეთუ³ თუით⁴ ჯელმწიფედ და ვ ი ბ ა დ ე ნ ი თ, ამისთვის⁵ გუეძიებედ⁶ ჩუენ⁷ ეშმაკნი მარადის: ეპ. ანტ. 29, 2; შენ დაჰ-

¹ ა. შანიძე. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, 1920, გვ. 74—83 (გადმობეჭდილია ა. შანიძის თხზულებათა I ტომში, 1957, გვ. 174—180).

² ივე.
³ რამეთო. ზ.
⁴ თოით ზ.
⁵ ამისთვის ზ.
⁶ გოეძიებედ ზ.
⁷ ჩოენ ზ.



- ბადენ ყოველნივე, და ნებითა შენითა იყენეს და დაიბადნეს: გამოცხ. 4, 11A; რომელ არა ქმნულ არს, ვინაჲთგან კაცნი დაიბადნეს: გამოცხ. 16, 18B.
2. და-თესვა: და ოდეს დაითესის, აღმოკდის და იქმნის იგი უფროჲს ყოველთა მხალთა: მრ. 4, 32D; რაქამს-იგი დაითესა სიტყუაჲ წმიდისა; სახერობსა: S 11, 204, 10; უმსჯავროებისა წილ, რომელსა ვიქმოდეო, განვითესენით შორად ქუეყანად: სწავ. 147, 7.
 3. აღ-მართება: პრქუა მას...: აღდგ ფერქთა შენთა ზედა მართლ. და აღიმართა და იწყო სლვად: საქმე 14, 10 ლავ.
 4. და-ყენება: რაქამს პატიოსან იყო მარხვაჲ; და იყენა სიკუდილი: იგი: სინ. მრავ. 102, 9. ჩვეულებრივ არის დაეყენა.
 5. აღ-შენება: და თქუენცა, ვითარცა ლოდნი ცხოველნი, აღიშენებით სასლად სულიერად: 1 პეტ. 2, 5C; მას ქამსა განიბნინეს ენანი გოდლისა მისთვის, რომელი აღიშენებოდა ბოროტად: სინ. მრავ. 181, 15; სადა-იგი ტაძარი და საკურთხეველი აღიშენა: თუალთ. 79, 32.
 6. და-ქშევა: კარი სარწმუნოებისა განმიღებიაო წინაშე შენსა, რომელი განსაცდელთაგან არა დაიქშევის: თარგ. გამოცხ. 3, 8; დაიქშევიან. კარნი სინანულისანი და მოტევებისანი: ურთ. 166, 34; ოდეს-იგი შეშფოთნეს სტომაქი და დაიქშევიდ თუალნი: სწავ. 60, 11B; ...დაჯქშევიდ...: იქვე C; შენ გამო განდებად არს კარი სამოთხისაჲ მის, რომელ დაიქშავებაგან: მრავ. 263, 3; და დაქშას, ვითარცა დაიქშა პირისაგან ძრვისა: დღეთა მათ ოზია მეფისა იუდაასთა: ზაქ. 14, 5; ქალაქნი ბღუარით კერძონი დაიქშნეს, და არავინ იყო განმდებელ: იერ. 13, 19; ბჭენი მისნი არა დაიქშნენ დღისი: გამოცხ. 21, 25A; თარგმ. გამოცხ. 21, 25AB; ოდეს-იგი შეშფოთნეს სტომაქი და დაიქშნენ თუალნი: სწავ. 60, 11A; რაჲთა დაჯქშნენ წმიდანი ეკლესიანი: S 11, 25, 13; რაჲთა დაიქშნენ ეკლესიანი ქრისტიანეთანი: S 11, 224v, 14.
- ჰევევლო აქვე მოგვესენებინა ამ ტიპის ზმნის დაჰქსნა-ს ვნებითიც; რომელიც, სხვათაგან გარჩევით, დონით არის ნაწარმოები, მაგრამ დაკარგულა ირიბი ობიექტის ნიშანიც აქვს: დაჰქსნდების, დაჰქსნდა, დაჰქსნდეს. სწორედ ამ ჰაეთი ამქლაფენებს ის, რომ დაჰბადა-ს ტიპისაა (დაჰქსნა — დაჰქსნდა). რიგ შემთხვევებში ვნებითის ფორმებში ჰ არა ჩანს, რითაც, ერთი შეხედვით, გვერდში უდგება აღიშენა, დაითესა და მსგავს ფორმებს, მაგალითად: რომელნი არა არიან ღმერთ, არამედ დაქსნდებიან: საქ. წიგ. 11, 23, 36, დაქსნდა: S 97, 163vb, 4; დაჰქსნდა იგი ცხოვრებისაგან: საქ. წიგ. 11, 133, 26. მაგრამ შეიძლება ეს მოვლენა უფრო მარტივადაც აიხსნას: ჰ-ს დაკარგვა ფონეტიკური მიზეზით იყოს გამოწვეული, რასაც ადგილი აქვს სხვა შემთხვევებშიც. ამიტომ არ შემოგვაქვს ეს ფორმა ზემოთ წარმოდგენილ სიაში.

სრუფიქსიანი ვნებითების ერთ ჯგუფს ძველ ქართულში კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს: მათი (საერთოდ კუმშვადი) ფუძეები | სერის მწკრივებში არ იკუმშება და გვაქვს: იზარდების, იზარდებოდა, იზარდებოდის (და არა: იზრ-

დების, იზრდუბოდა, იზრდებოდის), ითარგმანების, ისაჯების, იშალების, დების, მოეცალეების, იცვალეების, იჭამების, მოეწადების და სხვა. ამ ზმნათა ფუძეები (აქტივისა და პასივისა) || სერიის მწკრივებში საერთოდ არ იკუმშება: გაზარდა — გაიზარდა, თარგმანა — ითარგმანა, დასაჯა — დაისაჯა, გაშალა — გაიშალა, გამოცადა — გამოიცადა, მოაცალა — მოეცალა, შეცვალა — შეიცვალა, შეჭამა — შეიჭამა, მოჰკადა — მოეწადა და სხვა. რაც შეეხება აქტივის ფუძეებს | სერიაში, ზოგი მათგანი იკუმშება, ზოგიც — არა. სახელდობრ იკუმშება ის ფუძეები, რომელთაც თემის ნიშნად აქვთ ი სუფიქსი, სხვები კი უკუმშველია. ამიტომ, ერთი მხრივ, ვვაქვს:

ზარდა — ზრდ-ი-ს
საჯა — სჯ-ი-ს

გამოცადა — გამოსცდ-ი-ს
მოჰკადა — მოჰკდ-ი-ს

მაგრამ, მეორე მხრივ, არის:

შალა — შალ-ავ-ს
ცვალა — ცვალ-ებ-ს

ითარგმანა — ითარგმან-ებ-ს.

ქატომ მაინც და მაინც იკუმშავს ფუძეს და სხვა სუფიქსები (ავ, ებ...) არა? შესაძლებელია, ამის მიზეზი ის გარემოება იყოს, რომ პირველი წყების მაგალითების შეუკუმშველობის შემთხვევაში ისინი || ხოლმეობით დაემთხვეოდნენ: გაზარდ-ი-ს, და-საჯ-ი-ს; გამოცად-ი-ს, მოჰკად-ი-ს სწორედ მეორე ხოლმეობითია. ამ შემთხვევაში ეს კუმშვა ორი მწკრივის დამატებით განმასხვავებელ ნიშნად არის გამოყენებული, ე. ი. ხდება ფონეტიკური პროცესის გრამატიზაცია. მსგავსი მოვლენები ჩვენს ენაში სხვაგვარაა ცნობილი¹.

ქაც შეეხება ამ ზმნათა ვნებითებს, როგორც უკვე ვთქვით, მათი ფუძეები | სერიის მწკრივებში არ იკუმშება. აქ უკვე გარჩეული აღარაა ზემოთ აღნიშნული ორი ჯგუფი (სჯის, ცვალეს), აქ ამ ტიპის ვნებითი ყველა უკუმშველია. დავეძნ ბოლოს, რომ ახალ ქართულში აქ აღნიშნულ ზმნათა ფუძეები იკუმშება როგორც პასივში, ისე აქტივში (შლის — იშლება, ცლის — იცლება, ცვლის — იცვლება).

ტლსანიშნავია, რომ მოცემულ ზმნათა ფუძეებში ყველგან ერთი და იგივე ზმოვანი გვაქვს, ეს არის ა (ზარდ, ცვალ, ცალ...). აქ ისიც არის საინტერესო, რომ 10 ზმნიდან, რომლებიც ჩვენი მსჯელობის საგანს შეადგენს, სამში ფუძისეულ ა-ს ლ მოჰყვება (შ-ალ, ც-ალ, ცვ-ალ), ორში — რ და დ (გუ-არ, ზ-არ-დ, ც-ად, ჳ-ად). ამათ შეუერთდებოდა სხვა მსგავს ელემენტებიანი ფორმებიც, რომელთა მაგალითები აქ არაა წარმოდგენილი, მაგრამ ენაში უთუოდ არის: აღ-იანი: გათალა — გაითალეების, გაგალა — გაიგალეების, დაღალა — დაიღალეების; არ-იანი: აღმოთხარა — აღმოითხარების, დაღუარა — დაიღუარების, შესუარა — შეისუარების, დაუარა — დაიუარების, შესარა — შეისარების, აღმოიწუაღა — აღმოიწუადების და სხვა.

სომ არ არის აქ აღ, არ, ად ძველი სუფიქსები?

ახლა მოვიყვანთ სათანადო მაგალითებს ძველი ძეგლებიდან.

1. გ უ ა რ: მიიგუარები...

¹ გ. ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1948, გვ. 210.



2. ზარდ: ...მხალი, რომლითა ვიზარდები: ბალ. 122, 20C; მწკანთა-
გან ვიზარდები: S 35, 159rb, 8; მისგან ესე იზარდების: S 36,
13b, 9; ჩუენცა ვიზარდებით: ასურ. 115, 20; აღვიზარდებოთ
და ნაყოფი გვზილავს: კიმ. 11, 71, 5; ძალნიცა იზარდებოდ
ნაბიჭე-
ვისა მისგან უფალოთა მათთაჲსა: S 97, 31ra, 6; პავლშს თანა იზარდებო-
და ბაგინსა მას შინა: ისტ. ქრ. 1, 297, 3; იზარდებოდეს ნატყუენა-
ვისა მისგან: Опис. 179, 22; ვითარცა საცხოვარნი მდელთათა იზარდე-
ბოდეს: ურთ. 34, 7; იზარდებოდეს მცენარისაგან მალნარისათა:
იქვე, 73, 10.

შაგრამ ძველ ქართულშივე უკვე დაწყებულია ამ ფუძის შეკუმშვის პროცე-
სი: ...მხალი, რომლითა ვიზარდები: ბალ. 22, 204 BCDEJ; ჩუენცა ვიზრ-
დებით: ასურ. 115, 20E; რათა ამიერ ვიზრდებოდოცა: იქვე, 134, 18;
...ვიზრდებოდოცა: იქვე CD. ასეთი ნეოლოგიზმი შედარებით მოგვიანო
ხელნაწერებში ჩნდება პირველად, მერმე და მერმე თანდათან მატულობს, დღეს კი
მხოლოდ ამნაირი, შეკუმშული ფორმები გვაქვს.

3. თარგმან: რომელი ითარგმანების: ი. 1, 38, 42; 9, 7; 20, 16C;
რომელი ითარგმანების ძედ ღმრთისა: ისტ. ქრ. 1, 290, 22; რო-
მელ გამოითარგმანების: ი. 1, 38C; 1, 41C; ისტ. ქრ. 1,
301, 16, 18.

4. საჯ: შენ და ისაჯები, რომელი განრისხებულ ხარ: ბოლნ. 43, 6;
რომელი არა და ისაჯების: Опис. 189, 9 ქვე; აწ უკვე სამართლად
ვიდრემე და ვისაჯებოთ ჩუენ ღმრთისა მიერ: სწავ. 95, 1; რამეთუ
უბრალოდ და ვისაჯებოთ: S 11, 149v, 7; ფარისეველნი და ისაჯე-
ბიან: უდაბნ. 48ra; და ისაჯებიან¹ შუდ წილ უფროჲს გლახა-
თაჲსა: ბალ. 137, 12; არამედ და-ხოლო-ვისაჯებოდე² და მრცხუე-
ნოდა აღსარებად: აღწ. 240, 20; მაშინ კაცად-კაცადსა დაფარულნი
ემხილებოდინ და საქმეთაებრ და გულის-თქუმათა და ისაჯებოდინ:
სწავ. 123, 12.

შეგვხვდა ერთი შეკუმშული ფორმაც: სადა ძმად იგი შენი ურბანოს და ი-
სჯების: ქრისტ. 191, 33 (თუ ეს კორექტურული შეცდომა არაა).

5. შალ: რამეთუ შეთხზულებაჲ ესე ცხორებისა ჩუენისაჲ დღითი-დღედ და ი-
შალები: სწავ. 252, 24 (=აღწ. 80, 10 ქვე).

6. ცად. გამოიცადებოდა ეშმაკისაგან: მრ. 1, 13; ლ. 4, 2; ვინ-მემცა
იყო, საყუარელნო, რომელიმცა არა განიცადებოდა, ოდესღა თვთ
იგი თავადი უფალი განიცადებოდა უდაბნოსა ზედა ეშმაკისაგან. და
პეტრშ, თავი იგი მოწაფეთაჲ, განიცადებოდა ზღუასა ზედა: ბოლნ.
19, 24, 25, 27.

ტრის აგრეთვე შეკუმშული ფორმებიც: განვიცდებით: ასურ. 136,
34; განვიცდებოდით: იქვე, 136, 33, 36; განვიცდებოდეთ:
იქვე, 136, 36CD. მაგრამ ასეთი მაგალითები მოგვიანო ხანის ძეგლებში დასტურ-
დება მხოლოდ.

¹ გამოცემაშია: და ისაჯებიან.

² დახვისაჯებოდე (←დახვისაჯებოდე) (?).

7. ცალ: არა მოეცალები გამომიებად: S 35, 134ra, 14.
 8. ცვალ: და ნუცამცა იცვალე ბი გულის-სიტუა ჩემი შენგან: სჯ. წიგ. 1, 31, 23; არცა მიდრკების და არცა შეიცვალე ბი: S 11, 15v, 10; იცვალე ბო და ხატი პირისა მისისა: კიმ. 1, 129, 33; და იცვალე ბო დეს მის ზედა ათორმეტნი მტარვალნი: ქრისტ. 186, 39.
 9. ჭამ: ვითარ-იგი იჭამე ბი ქურციკი და ირემი: 2 შჯ. 12, 22 პარ; და თითოეული ჩუენი განლაღებულ არს მოუყასსა თვსსა ზედა, და შევი-ჭამე ბით ურთიერთას: სწავ. 266, 27; მისცის თევზი და არა იჭამე-ბინ: პარხ. 766b; შევიჭამე ბინ ცეცხლისა მისგან: S 35, 289ra, 3; და არცა ვსძულობდეთ და შევიჭამე ბო დით ურთიერთას: სწავ. 268, 21.
 10. ჯად: მოსესხე ხარ სასტიკი, რომელი არა გარდაიქადე ბი: სწავ. 220, 4; აღწ. 79, 12 ქვე; ყოველთა ამათ დათათვს საშჯელი შენ მიგექადე ბი: ლიმ. 59, 18; ჩემთვის შენ არა მოგექადე ბი: სწავ. 243, 5; შენ რაჲ მოგექადე ბი: სწავ. 81, 13; S 36, 42b, 17; ცოდვად შენი ყოველი დედაკაცსა მას მოგექადე ბი: სწავ. 122, 22; და მიექადე ბო დის თითოეულსა თვისი ვალი: ასურ. 137, 30; რაქამს-იგი სიტუაჲ მიგუექადე ბო დის ყოველთავე საქმეთა ჩუენათვს: სწავ. 15, 22.
- რის ერთი შეკუმშული მაგალითი ისევ იმავე ხელნაწერში: მიექადე ბო დის თითოეულსა თვისი ვალი: ასურ. 137, 30D. ხელნაწერი გვიანდელია და ძველ ქართულზე სწორ წარმოდგენას არ იძლევა.

7

საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს წმე და ზმნის ვნებითის ფორმები. აქ გვაქვს 4 სახის წარმოება: ა) ენ სუფიქსიანი მარტივი წმიდ ფუძით (წუვეტილ-ში რომ ავიღოთ მაგალითები: გან-ვ-წმიდ-ენ, გან-ს-წმიდ-ენ, გან-წმიდ-ნ-ა), ბ) ისევ ენ სუფიქსიანი, შეკუმშული წმიდ ფუძით (გან-ვ-წმიდ-ნ-ი, გან-ს-წმიდ-ნ-ი, გან-წმიდ-ნ-ა), გ) ინიანი (გან-ვ-ი-წმიდ-ე, გან-ი-წმიდ-ე, გან-ი-წმიდ-ა) და დ) უნიშნო წმიდ ფუძით (გან-ვ-წმიდ-ი, გან-ს-წმიდ-ი, გან-წმიდ-ა). მაგალითები:

ა) და შემდგომად მისა მრავლითა საქმითა განწმიდნე ბი: სწავ. 54, 30A; რომელმან ისიძვა, განწმიდნე ბი სინანულითა: იქვე, 281, 15B; ამით განწმიდნე ბი ბუნებაჲ და ადვილად მიეახლები ღმერთსა: აღწ. 237, 24; ტირილითა და აღსაარებითა ცოდვათათა განწმიდნე ბით კუალად: სწავ. 133, 4C; განბოკლებულნი განწმიდნე ბიან: მ. 11, 5C; რაათა მუნ დაწმიდნე ბო დის წყალი: კიმ. 11, 210, 4; მეყსეულად განწმიდნა იგი კეთროვნებისა მისგან: მ. 8, 3CE; განეყარა მისგან კეთროვნებაჲ იგი და განწმიდნა იგი: მრ. 1, 42; ივინი... განწმიდნეს კეთროვნებისა მისგან: ლ. 17, 14; არა ესენი ათნი განწმიდნეს: ლ. 17, 17C; მნებაჲს (განწმედაჲ შენი), განწმიდენ: მ. 8, 3C; ვითარცა მოწაფე ქრისტესი, განწმიდენ: მრავ. 301, 17; განწმიდენით წინაშე უფლისა, ესე შჯული იყავნ თქუნდა: მრავ. 270, 30; და განწმიდნე მე ცოდვისაგან დიდისა: ფს. 18, 14E; განწმიდნე: 4 მეფ. 5, 11; ინანდი, რაათა განწმიდნე: სწავ. 289, 21; რაქამს განწმიდნეთ: მრავ.



295, 34; და ყოვლითა სათნოებითა განეწმიდნეთ ყოველთაგან ცოდვითა: სწავ. 26, 27.

ბ) კეთროვანნი განეწმიდნებიან: ლ. 7, 22D; მეყსეულად განეწმიდნა იგი კეთროვნებისა მისგან: მ. 8, 3D; მნებას (განწმედაა შენი), განეწმიდნი: მ. 8, 3E.

გ) ტირილითა და აღსარებითა ცოდვათათა განვიწმიდებით კულად: სწავ. 133, 4B; ვითარცა-იგი წყლისაგან და სულისა განვიწმიდებით პირველად: სწავ. 133, 3; ...განვიწმიდებით... იქვე C; განვიწმიდებით გუამისაგან, რომელი ჰვიეს ჰეშმარტად: სინ. მრავ. 247, 24; ყოვლითა სათნოებითა განვიწმიდნეთ ყოველთაგან ცოდვათა: სწავ. 26, 27B.

დ) და შემდგომად მისა მრავლითა საქმითა განეწმიდები: სწავ. 54, 30BC; რომელმან ისიძგა, განეწმიდები სინანულითა: იქვე, 281, 15; კეთროვანნი განეწმიდებიან: მ. 11, 5; ლ. 7, 22; განეწმიდებიან: ებრ. 9, 23 ლაგ., ლატ.; ყოველივე იგი სისხლითა განეწმიდებოდა: ებრ. 9, 22 ლაგ.; ეშმაკეულნი განეწმიდებოდეს¹: კიმ. 1, 270, 12; განეწმიდა მისგან წყლულებად იგი სენისა მის: კიმ. 1, 317, 34; და რომელთა თანა იყო ფაქლი იგი და მდიერი, განეწმიდეს: მესუეტ. 34, 17; იგი... ყოველთაგან გესლთა უკეთურებისა მისისათა განეწმიდეს მცირედთა დღეთა: სწავ. 43, 23B; მნებას (განწმედაა შენი), განეწმიდი²: მ. 8, 3D; ღრუბელი გარდასწმიდის ცით: იობ. 7, 9; და განეწმიდე მე ცოდვისაგან დიდისა: ფს. 18, 14; განსწმიდე: 4 მეფ. 5, 10, 13.

სეთია ამ ზმნის ფორმების საკმაოდ ჭრელი სურათი. მაგრამ ეს ყველაფერი ასე თუ ისე გარკვეულ წესს მისდევს. ამგვარი პარალელური ფორმები ჩვენ ზემოთ ბლომად გვექონდა მითითებული (განმტკიცნა, განცხადნა...). მაგრამ ამათ გვერდით გვხვდება ნარევი ფორმები, რომლებიც ერთ წესს არ მისდევს. ასე, მაგალითად, გვაქვს ერთდროულად ორმაგი საშუალებით (ინითა და ენ სუფიქსით) გამოხატული ფორმები, მაგალითად: გან-ი-წმიდ-ნ-ების: S 35, 23rh, 8; გან-ი-წმიდ-ნ-ებიან: ებრ. 9, 3 (ქუთ.); გან-ი-წმიდ-ნ-ებოდეს: ებრ. 9, 22 (ქუთ.). ცალ-ცალკე ორივე სახეობა გავრცელებულია ძველ ქართულში (უფრო მეორე), მაგრამ 2 აფიქსით ერთდროულად წარმოება უცხოა მისთვის (შდრ. დღევანდელი შეეშინდა, სადაც ე-ცა გვაქვს და დ-ც³).

სხევე უჩვეულოა განეწმიდები: კიმ. 1, 297, 34, სადაც, თუ ფორმარიამე შეცდომით არაა დაბეჭდილი, დ-ს წინ უკვე განვითარებულა. თუ მართლაც ხელნაწერში ასეა, მაშინ ამას გარკვეული მნიშვნელობა ექნება ამ ფუძეში ნ-ს განვითარების ისტორიისათვის.

ზასასრულ, განეწმიდნი-ც (მრ. 1, 41C; ლ. 5, 13C) არ არის მთლად წესიერი ფორმა. მის გაჩენას ა. შანიძე იმით ხსნის, რომ წესიერი განეწმიდენ (ბრძ.) არ არეულიყო მოქმედებითის ბრძანებითისავე ფორმაში, როცა

¹ გამოცემაშია: განეწმიდებოდეს. ორივე (NU) ხელნაწერში განეწმიდებოდეს ყოფილა.

² ე-წმიდი. ეს სხვანაირად არ გაიხსნება.

³ ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 311.



პირდაპირი ობიექტი მრავლობითშია: **გ ა ნ წ მ ი დ ე ნ** (შენ იგინი) სწორია. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული ჰრელი ფორმების წარმოშობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს გარემოებაა. ჩვენი ზმნა არის ერთად-ერთი ზმნა, რომლის ენ სუფიქსიანი ვნებითიც სრულიად ემთხვევა მოქმედებითის ფორმებს, რომლებშიც პირდაპირი ობიექტის მრავლობითობაა ასახული. ამას კი ის გარემოება იწვევს, რომ ორივე კატეგორიის მაწარმოებელი ენ-ს სუფიქსი, რომელიც ფუძეს ერთვის (მოქმედებითს წინ რაიმე სხვა მაწარმოებელი არა აქვს). შდრ., მაგალითად:

მოქმ.

ვნებ.

წყვეტილი

გან-ვ-წმიდ-ენ	მე	იგინი	გან-ვ-წმიდ-ენ მე
გან-ს-წმიდ-ენ	შენ	„	გან-ს-წმიდ-ენ შენ
გან-წმიდ-ნ-ა	მან	„	გან-წმიდ-ნ-ა იგი
გან-ვ-წმიდ-ენ-თ	ჩუენ	„	გან-ვ-წმიდ-ენ-თ ჩუენ
გან-ს-წმიდ-ენ-თ	თქუენ	„	გან-ს-წმიდ-ენ-თ თქუენ
გან-წმიდ-ნ-ეს	მათ	„	გან-წმიდ-ნ-ეს იგინი

|| ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი

გან-წმიდ-ენ	შენ	იგინი	გან-წმიდ-ენ შენ
გან-წმიდ-ენ-ი-ნ	მან	„	გან-წმიდ-ენ-ი-ნ იგი
გან-წმიდ-ენ-თ	თქუენ	„	გან-წმიდ-ენ-თ თქუენ
გან-წმიდ-ნ-ედ	მათ	„	გან-წმიდ-ნ-ედ იგინი

|| ს ო ლ მ ე ო ბ ი თ ი

გან-ვ-წმიდ-ნ-ი	მე	იგინი	გან-ვ-წმიდ-ნ-ი მე
გან-ს-წმიდ-ნ-ი	შენ	„	გან-ს-წმიდ-ნ-ი შენ
გან-წმიდ-ნ-ი-ს	მან	„	გან-წმიდ-ნ-ი-ს იგი
გან-ვ-წმიდ-ნ-ი-თ	ჩუენ	„	გან-ვ-წმიდ-ნ-ი-თ ჩუენ
გან-ს-წმიდ-ნ-ი-თ	თქუენ	„	გან-ს-წმიდ-ნ-ი-თ თქუენ
გან-წმიდ-ნ-ი-ან	მათ	„	გან-წმიდ-ნ-ი-ან იგინი

|| კ ა ვ შ ი რ ე ბ ი თ ი

გან-ვ-წმიდ-ნ-ე	მე	იგინი	გან-ვ-წმიდ-ნ-ე მე
გან-ს-წმიდ-ნ-ე	შენ	„	გან-ს-წმიდ-ნ-ე შენ
გან-წმიდ-ნ-ე-ს	მან	„	გან-წმიდ-ნ-ე-ს იგი
გან-ვ-წმიდ-ნ-ე-თ	ჩუენ	„	გან-ვ-წმიდ-ნ-ე-თ ჩუენ
გან-ს-წმიდ-ნ-ე-თ	თქუენ	„	გან-ს-წმიდ-ნ-ე-თ თქუენ
გან-წმიდ-ნ-ე-ნ	მათ	„	გან-წმიდ-ნ-ე-ნ იგინი.

ტი ასეთი დამთხვევის აცილების სურვილია ერთ-ერთი მიზეზი ზემოთ გან-ნილულ ფორმათა სიჭრელისა. სხვა მიზეზებზე უფრო ადრე გვექონდა საუბარი და აქ აღარ გავიმეორებთ.

1 ა. შანიძე. ნასახლარი ზმნები ქართულში: თბილ. უნივ. მოაზგე, ტ. I, 1919—1920,



„სანზრახული გვექონდა აქვე განგვეხილა ვნებიანი გვარის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც, როგორცაა, მაგალითად: შუპრისხნა მან თუ შუპრისხნა იგი, შეწყუძნა და დასწყუძნა, შეიშინეს და მიიმართეს, მოიქცეს და დაირღუეს, იბოვა და იქადაგა, იმაღლოდა და ემაღლებოდა, ერჩდა და ეკიცხევდა, განტყუნის, დაადგრნა, დაფცუვენით, მიიქცნენ და მიექცნენ, საწყისის წარმოება ვნებიანი გვარის ზმნებში, როდის იწყება გათანაბრება მოქმედებითი გვარის ზმნებთან, აქვს თუ არა ენიან ვნებითს (საერთოდ, ორპირიან გარდაუვალ ზმნებს) მესამე სერიის ფორმათა ორგანული წარმოება და სხვა. მაგრამ, რადგანაც აქ საუბარი გაგვიგრძელდა, ამ საკითხებზე სხვა დროს ვიტყვი.

ზურაბ ზუმბურიძე

შყოფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ქართულში

ძველ ქართულს მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოსახატავად საკუთარი ფორმები არ გააჩნდა და ამ მიზნით ძირითადად კავშირებითის ფორმებს იყენებდა. საერთოდ ქართულში კავშირებითის სულ ოთხი მწკრივი მოგვეპოვება: თითო-თითო აწმყოსა და შყოფადის წრეში და ასევე II-სა და III სერიაში. ამათგან შყოფადის კავშირებითი შყოფადისაგან იწარმოება, მასზე გვიანდელია და შყოფადის თხრობითი კილოს ფუნქციით, ცხადია, არასოდეს ყოფილა გამოყენებული. შედარებით გვიანაა ჩამოყალიბებული III სერიის ფორმებიც, მათ შორის — მესამე კავშირებითი, რომლის სმარებაც ძველ ქართულში ძალზე იშვიათია და მას თხრობითი კილოს გამოსატვა აგრეთვე არ ეკისრებოდა. რაც შეეხება დანარჩენ ორ მწკრივს — პირველსა და მეორე კავშირებითებს, მათ ძველ ქართულში სისტემებზე ვხვდებით როგორც კავშირებითის, ისე თხრობითი კილოს გადმოსაცემად¹.

შომავალი დროის თხრობითი კილოს გადმოსაცემად კავშირებითი პირველისა და მეორის გამოყენების მაგალითები ძველ ქართულ ტექსტებში ყოველნაბიჯზე ვხვდებით და საგანგებო ჩსრეკა არ ესაჭიროება. ამიტომ ჩვენ საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშით დავკმაყოფილდებით. აი ერთი ადგილი ძველი ქართული ოთხთავიდან:²

«ნეტარ იყენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათაჲ.
ნეტარ იყენენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ
იყენენ.

ნეტარ იყენენ მშუდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანაჲ.

ნეტარ იყენენ რომელთა ჰშიოდის და ჰსწყუროდის სიმართლისათჳს,
რამეთუ იგინი განძღენ.

ნეტარ იყენენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალენენ.

ნეტარ იყენენ წმიდანნი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

ნეტარ იყენენ მშუდობის მოქმედნი, რამეთუ იგინი ნაშობ ღმრთის
იწოდენენ.

¹ ა. შანიძე. ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა): სასკოლო სახელმძღვანელოში — «ძველი ქართული ენა და ლიტერატურა», შეადგინეს ა. შანიძემ, აღ. ბარამიძემ და ილ. აბულაძემ, 1936, გვ. 289.

² ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია (სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით), გამოსცა ა. შანიძემ: ძველი ქართული ენის ძეგლები, 2, თბილისი, 1945.



ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს ნახსენებნი ველი ცათაჲ.

ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გუუედრიდენ თქუენ და გდევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუაჲ ბოროტი თქუენდა მიმართ სიცრუევით ჩემთვის» (მათე, 5, 3—11).

შოყვანილ ნაწყევტში გვხვდება პირველი კავშირებითის ფორმებიც (ჰშიოდის, ჰსწყუროდის, გუუედრიდენ, გდევნიდენ) და მეორე კავშირებითისაც (იყვნენ, იყვნეთ, დაიმკუდრონ, განძღენ, შეიწყალნენ, იხილონ, იწოდნენ, თქუან). ყველა ესენი ნახმარია მომავალი დროის თხრობითი კილოს გაგებით.

შოყიყვანთ კიდევ ორიოდე მაგალითს როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური ძველი ქართული ძეგლებიდან:

ესე აღსუასრულო და დასუბეჭდო ნაყოფსა მას მათსა და წარვიდე თქუენ მიერ სპანიად. ესე უწყი მე; მო-რ-ა-ვი დოდი თქუენდა, სავსებითა მით კურთხევითა ქრისტესითა მოვიდე (ჰრომ. 15, 28—29, ხანმეტი ლექც.)¹.

მეყსეულად შემდგომად ღირისა მის მათ დღეთაჲსა მზე დაბნელდეს და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თვისი და ვარსკულაფნი გარდამოცვვენ ზეცით და ძალნი ცათანი შეჰიძრნენ. და მაშინ გამოჩნდეს ნიში ძისა კაცისაჲ ცათა შინა და მაშინ ჰეტყებდენ ყოველნი ტოჰმნი ქუეყანისანი და იხილონ ძმ კაცისაჲ მომავალი დრუბელთა თანა ცისათა ძალითა და დიდებითა დიდითა (მათე, 24, 29—30; ხანმეტი ლექც.)¹.

სათონ ყავნ უფალმან... გულსა ყოვლისა ქრისტეს მოყუარისა ერისა მორწმუნისასა, რომელნი აღმოიკითხვიდენ (აბო, 48, 5—7, აგიოგრაფ. ძეგლ. 1)².

წყისი მონაზონებისაჲ მათ შორის აღორძინებულ არს და უფროსად ყუაოდის და აღდმატოს მომავალთა ქამთა (იქვე, ხანძთ. 269, 4—5).

და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი (იქვე, შუშან. 11, 3—4).

არავინ გიტეოს ქრისტეს მსახურ ყოფად და, თუ მშჯლობით არა განუტეო სიცოფმ ევე, ტანჯვაჲ დიდი მოიწიოს შენ ზედა (იქვე, ევსტ. 32, 1—3).

შოგორც ვხედავთ, მომავალი დროის გადმოსაცემად ნახმარია ხან პირველი კავშირებითის, ხან კი მეორე კავშირებითის ფორმები. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან ასპექტის მიხედვით: პირველი კავშირებითი უსრულ ასპექტს გვიჩვენებს, მეორე კავშირებითი — სრულს, დროისა და კილოს მხრივ კი მათ შორის განსხვავება არ არსებობს.

შომავალი დროის გადმოსაცემად ძველ ქართულში გვხვდება აგრეთვე ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი მეშველ ზმნასთან ერთად. ამ მხრივ ძველი ქართული რამდენადმე ჰკავს ძველ ბერძნულს, სადაც მომავალი დროის გად-

¹ ხანმეტი ლექციონარი. გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ: ძველი ქართული ენის ძეგლები, I, თბილისი, 1944.

² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V—X სს.), ილაპაბულაძის რედაქციით, თბილისი, 1964.



მოსაცემად გვხვდება როგორც კავშირებითი კილოს ფორმები, ისე მიმდებარეობს და ინფინიტური კონსტრუქციები მოდალურ ზმნებთან ერთად¹. მასდარული კონსტრუქციით ძველ ქართულში გადმოიცემა მოქმედება, რომელიც მონავალში უთუოდ უნდა შესრულდეს, ე. ი. მყოფადს ასეთ შემთხვევაში კატეგორიულობის, აუცილებლობის გაგება აქვს².

შომავალი დროის გამოსატვის ეს საშუალებაც ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად გვხვდება. ამიტომ აქაც მხოლოდ რამდენიმე მაგალითის მოყვანით დავკმაყოფილდებით:

ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო (იქვე, შუშან. 13, 21).

შენდა ეგდენ ყოფად არს ფერქითა შენითა სლვაჲ, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა ოთხთა გამოგილონ (იქვე, 21, 6—8).

მე აქა არღარა მოქცევად ვარ... ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილისს ყოფად არს საპურობილესა და თავი მოკუეთად არს ჩემდა (იქვე, ევსტ. 34, 31—35, 1).

შფოთნი და განსაცთელნი შემთხუევად არიან ადგილსა მასნამუშაკევსა შენსა (იქვე, სერაპ. 340, 2—3).

ღრპირიან ფორმებში მეშველ ზმნად წარმოგვიდგება უც (როცა გრამატიკული სუბიექტი მხოლოდითია), ან უსხენ (როცა სუბიექტი მრავლობითია): დაპურობად უც პატივი შენი (=შენი თანამდებობა უნდა დაიჭიროს, შენი თანამდებობის დაჭერას აპირებს); შეყუარებად უც მასკეთილი სარწმუნოებაჲ ქრისტჳს ღმრთისაჲ და მოძულებად უსხენ კერპნი ჳელით-ქმნულნი³.

საინტერესოა, რომ მყოფადის გადმოცემისას კავშირებითი და მასდარული კონსტრუქცია ზოგჯერ ერთმანეთს ენაცვლება ძველ ქართულ ძეგლთა სხვადასხვარედაქციაში:⁴

ყოველნივე დაპბრკოლდეთ ჩემდა მომართ (მათე, 26, 31C).

თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემდა მომართ (იქვე, DE).

რაჲ-მე უკუე ყოფად არს ჩუენდა? (მათე, 19, 27C).

რაჲ-მე იყოს აწ ჩუენთჳს? (იქვე, DE).

მარტუ ჩუენ: ოდეს ყოფად არს ესე (მათე, 24, 3C).

მითხარ ჩუენ: ოდეს იყოს ესე (იქვე, DE).

¹ С. В. Меликова - Толстая. Будущее время в греческом языке: Ученые зап. ДГУ, серия филологических наук, вып. 15, 1952; Б. Б. Мительман. Будущее время в языке древне-греческого эпоса (Автореферат кандидатской диссертации), Москва, 1952.

² ა. მარტიროსოვი. მასდარული კონსტრუქციის კენეზისისათვის ძველ ქართულში: იკე, VII, 1955.

³ ი. იმნაიშვილი. სამი სინური ხელნაწერი და მათი ენა: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, 1963, გვ. 205—206.

⁴ ი. ქავთარაძე. მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში: იკე, XII, 1953, გვ. 199. ნ. კოტინოვი. ვითარებითში დასმული მასდარის ფუნქციები ძველ ქართულში: ი. გოგებაშვილის სახ. თედავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, V, 1964, გვ. 101.



და ძე კაცისაჲ მიცემად არს მღღელთ მოძღუართა და მწიგნობართა ბართა (მარკ. 10, 33C).

და ძმ კაცისაჲ მიეცეს მღღელთ მოძღუართა და მწიგნობართა (იქვე, DE) და სსვ.

ჰოგორც სამეცნიერო ლიტერატურაში არის აღნიშნული, «ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი და მასთან დაკავშირებული სათანადო კონსტრუქციები ძველ ქართულშივე შედარებით ახალი წარმონაქმნი ჩანს. იგი ჩანასახის სახეს ატარებს. ასეთმა მასდარმა ვერ მოასწრო მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე მიეღო და ისე გამოვიდა ხმარებიდან, რომ მისი კვალიც კი აღარ შერჩა ახალ სალიტერატურო ქართულს»¹.

ცმრივად, მყოფადი ახალ ქართულში მასდარის მეშვეობით ვეღარ ვაღმოიცივ-მა. მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოხატვის ფუნქცია დაკარგა აგრეთვე კავშირებითმა. სამაგიეროდ ეს ფუნქცია იკისრა ზმნისწინიანმა აწმყომ, რომელ-მაც ცალკე მწკრივის სახე მიიღო. ეს ძირეული ცვლილებანი, რაც მომავალი დროის გამოხატვის მხრივ მოხდა ქართულში, ცხადია, ერთბაშად არ განხორციელბულა: მყოფადის გამოხატვის ახალი სისტემის ჩანასახებს ჩვენ ძველი ქართულის წიადშივე ვხვდებით; მეორე მხრივ, დღემდე ვამჩნევთ ძველი სისტემის თვალსაჩინო კვალსაც. სწორედ ამგვარ მოვლენებზე გვინდა უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ.

ჰოგორც ვიცით, მყოფადის გამოხატვის ახალ გზაზე დადგომა ასპექტის სისტემის შეცვლასთან არის დაკავშირებული. ა. შანიძეს, რომელმაც პირველმა გამოიკვლია ეს საკითხი, აღნიშნული აქვს, რომ «ჯერ კიდევ ძველი ქართულის ძეგლებში კანტი-კუნტად მოიპოვება ახალი სისტემის ნიმუშები. მაგალითად, ზაქარია წინასწარმეტყველის ერთი ადგილი (13, 7) ასეა დამოწმებული მათესა და მარკოზის თავში: «წერილ არს: და ვსცე მწყემსი და განიბინენ ცხოვარნი» (მათ. 26; 31; მარკ. 14, 27). მაგრამ ასეა ზოგ რედაქციაში, ზოგში კი სხვაგვარად იკითხება: «და ვსცემ მწყემსსა და განიბინენ ცხოვარნი». ბელნაწერები ამ საკითხში ასეა განაწილებული: ადიშურსა და ათონურში ორგანვე «დავსცე მწყემსი» იკითხება (იგივეა ორსავე ადგილას აგრეთვე გიორგი მთაწმიდლის რედაქციაში, როგორც ეს ნაბეჭდი წიგნებიდან ჩანს), ჯრუჭისა და პარსლისაში მათეს თავში არის: «დავსცე მწყემსი», მარკოზისაში კი — «დავსცემ მწყემსსა»... ტბეთურში კი ორგანვე «დავსცემ მწყემსსა» არის, როგორც ამას გამოცემა აჩენს. არავითარი ეჭვი არ არის, რომ აქ მომავალი დროის თხრობითი კილოს მნიშვნელობით არის ნახმარი როგორც «დავსცე», ისე «დავსცემ» ფორმა (ბერძნულში აქ იკითხება წინადადება მყოფადის ფორმით $\alpha\alpha\tau\acute{\alpha}\zeta\omega\ \tau\acute{\omega}\nu\ \pi\omicron\upsilon\mu\acute{\epsilon}\nu\alpha\varsigma$; სომხურიც მას მისდევს: հարկը դնովին). ეჭვი არ არის არც იმაში, რომ ერთ შემთხვევაში მომავლის ფორმა თხრობითი კილოსი ძველი სისტემით არის გამოხატული («და ვსცე მწყემსი» — II სერია, II კავშ.). მეორე შემთხვევაში კი — ახალი სისტემით («დავსცემ მწყემსსა» — I სერია, მყოფადი)»².

¹ ა. მარტიროსოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 59.

² ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 276—277. იხ. აგრეთვე მისი იგივე: Изменение системы выражения глагольной категории вида в грузинском и его последствия: სზმ, III, № 9, 1942.

მგვარი მაგალითების რიცხვი ძველი ქართულიდან შეიძლება გავსარკვევლოთ. მივმართოთ ჯერ V—X საუკუნეთა ქართულ ორიგინალურ ძეგლებს.

ვისტათი მცხეთელის მარტვილობის დასასრულს, სადაც ევსტათის თავის მოკვეთის ამბავია აღწერილი, ავტორი აღნიშნავს, რომ მარზაანის მსახურებს, რომლებსაც ევსტათის მოკვლა დაევალებს, არ უნდოდათ მოეკლათ იგი, მაგრამ ერთმა მათგანმა თქვა: ჩვენ მოგვკლავენ, თუ მაგას ცოცხალს დაეტოვებთო. ეს აზრი ნაწარმოებში შემდეგი სიტყვებით არის გადმოცემული:

ჩვენ მოვსწყდებით, უკუეთუ ეგ ეგოს ცოცხალი (ავიოგრ. ძეგლები, I, 45, 9).

შოვსწყდებით აქ უთუოდ მომავალ დროს გადმოგვეცემს, ფორმაც მას დღევანდელი მყოფადისა აქვს, ფრაზის მეორე ნახევარში კი მომავლის მნიშვნელობითვე ნახმარია მეორე კავშირებითის ფორმა (ეგოს).

შგავს ვითარებას გვიჩვენებს გობრონის მარტვილობის შემდეგი ადგილი:

რომელი ამას ქუეყანასა ზედა დამდაბლდეს, იგი ცათა შინა ამალღლების ქრისტჳ იესუსს მიერ უფლისა ჩუენისა (იქვე, 183, 24).

ტჳაც როგორც მთავარი, ისე დამოკიდებული წინადადება მომავალ დროს გამოხატავს, მაგრამ მის გამოსაცემად დამოკიდებულ წინადადებაში ზმნა ნახმარია კავშირებითის ფორმით (დამდაბლდეს), მთავარში კი — მყოფადით (ამალღლები), ერთი ხელნაწერი — E არქაულ ვითარებას იცავს და ზმნას აქაც კავშირებითში წარმოგვიდგენს: ამალღდეს.

სხლებური მყოფადის რამდენიმე ნიმუში გვხვდება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში:¹

მოკლედ შენ ხანცთას მამასახლისად დასდგები (ავიოგრ. ძეგლები, I, 318, 41).

სრულიად მოჰმკიან ვიდრე მწუხრადმდე იფქლსა მას კეთილსა (იქვე, 292, 24).

ჭეშმარიტთა ქრისტეანეთა შეილსა მწვალებელი მღდელი ვერ მოჰნათლავს, დადაცათუ უნათლავი მოკუდებოდის (იქვე, 312, 15).


აი კიდევ რამდენიმე მაგალითი ძველი ქართული ტექსტებიდან, როცა მომავალი დრო ახლებურად არის გადმოცემული:

ღირსი ესე მამაა ჩუენი... მოვლიდის მოწაფეთა თჳსთა ყოველსავე ქამსა შინა, რათა არა ჰოოს დაქსნილი უდებებთა და განუმზადებელი დღისა მისიჳს უცნაურისა, რომელსა შინა მოსრული სიძე იგი განწმედილთა სულთა მოუწოდს (მოუწოდდეს C) განმზადებულთა და შემკობილთა შესღვად სასძლოსა ცათასა (ასურ. მოღვაწეთა ცხოვრება,² 49, 15).

და რომელნი მივიდენ ადგილსა მას, მიიღებენ ევლოგიად წყლისა მისგან და მხლისა (იქვე, 184, 15).

¹ M. V. Мирзашვილი. Язык «Жития Григория Хандзтийского» (Автореферат кандидатской диссертации). Тбилиси, 1966, зб. 31.

² ასურულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, გამოსცა ილია აბულაძე: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, I, თბილისი, 1955.



საქმენი ესე, რომელთა იტყუთ, თუნიერ ჩემსა არა წარემა ჩს^ს (სერაპიონ ზარზმელი¹, 157, 8).

მიიწევის ყრმაჲ ესე დიდებასა მეფობისასა, რომელ არავინ მიწვენულ არს ეგევითარსა მეფობასა და სიმაღლესა ქუეყანასა ჰინდოეთისასა (ბალაგარიანი², 9, 35).

მე ესრე ვჰგონებ, ვითარმედ დიდებაჲ ესე, რომელსა მიემთხუევის (მიიწევის 4) ყრმაჲ ესე, არა არს ამის სოფლისა დიდებაჲ, არამედ ესრეთ ვჰგონებ, ვითარმედ დიდი წინამძღუარი იყოს გზასა მას ჭეშმარიტებისასა (იქვე, 10, 7).

შხვაგვს მაგალითებს შეიცავს აგრეთვე «მამათა სწავლანი», იოანე მოსხის «ლიმონარი» და ძველი ქართული ენის სხვა თვალსაჩინო ძეგლები.

ტლსანიშნავია, რომ ძველი ქართველი მწიგნობრები ზოგჯერ ბიბლიური წიგნებიდან მოტანილი ციტატების შეცვლასაც კი არ მორიდებიან და დედნიეული კავშირებითი ფორმები დამოწმებისას მყოფადით შეუცვლიათ. მაგალითად, «ქართლის მოქცევაში», სხვათა შორის, დამოწმებულია ერთი ადგილი მათეს სახარებიდან, რომელიც ოთხთავის უძველეს რედაქციებში ასე იკითხება:

აომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მან მე შემიწყნაროს (რომელმან შეგიწყნარნეს თქუენ, მე შემიწყნარა C); და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი (მათე, 10, 40).

ეს ციტატი «ქართლის მოქცევაში» შემდეგნაირად იკითხება:

რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარებს, და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნარებს მომავლინებელსა ჩემსა (ავთოვრ. ძეგლები, I, 117, 5—7).

ათოვორც ვხედავთ, ოთხთავში დაცულია ძველი ნორმა და მომავალი დროის გადმოსაცემად ზმნები წარმოდგენილია კავშირებითის ფორმით, «ქართლის მოქცევის» ტექსტში კი დამოწმებული ადგილი რამდენადმე შეცვლილია და კავშირებითის ნაცვლად ორჯერ ნახმარია მყოფადის ფორმა: შემიწყნარებს, შეიწყნარებს.

ტსევე შეცვლილია ოთხთავიდან დამოწმებული ერთი ადგილი იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში:

უოველი, რომელი დაიმდაბლებდეს თავსა თვსსა, იგი ამალღდების (იქვე, 197, 33).

ეს არის ციტატი, რომელიც ოთხთავში ორჯერ გვხვდება (მათე, 23, 12; ლუკა, 18, 14) და ორივეგან ზმნები ნახმარია კავშირებითის ფორმით: რომელმან დაიმდაბლოს თავი თვსი, იგი ამალღდეს (ლუკას სახარების DE რედაქციაში იკითხება: აღმალღდეს). იოანე ზედაზნელის ცხოვრების 4 რედაქციაში ეს ციტატი ზუსტად ასევე არის მოტანილი, C რედაქციაში კი შეცვლილია და ერთი ზმნა პირველი კავშირებითის ფორმით წარმოგვიდგება (დაიმდაბლებდეს), მეორე კი — მყოფადის ფორმით (ამალღდების).

¹ «ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა», კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკლევით, თბილისი, 1935.

² ბალაგარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკლევდა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ: ძველი ქართული ენის ძეგლები, 10, თბილისი, 1957.



შომავალი დროის გამოხატვის მხრივ უურადლებას იპყრობს აგრეთვე ირანული ზედაზნეულის ცხოვრების შემდეგი ადგილიც:

მისთვის ჯერ-არს, რაათა უოველმან, რომელმან ჯელ-უოს საღმრთოსა მსახურებასა, ითხოვოს მისგან, რომელი-იგი უსუად მომნიჭებელ არს ღმერთი, და მისცემს საზრდელსა, ვითარცა იტყვს იაკობ მოციქული: «უკუეთუ ვინმე ნაკულუევან არს თქუენგანი სიბრძნითა, ითხოვენ, და მოსცეს მას ღმერთმან ნიჭთა განმყოფელმან» (ავიოგრ. ძეგლები, I, 193, 13—18).

სა ავტორი თავის თხრობაში სმარობს ზმნისწინით ნაწარმოებ მყოფადს — მისცემს, მაგრამ იქვე დამოწმებულ ციტატაში (იაკობ 1, 5) იგივე ზმნა იმავე მნიშვნელობით წარმოდგენილია კავშირებითის ფორმით — მოსცეს. ამრიგად, ამ შემთხვევაში ავტორი თავს იკავებს ზმნის ფორმის შეცვლისაგან ციტატაში, თუმცა თვითონ კა მყოფადის გამოხატვის ასალ გზას მიმართავს. სხვა შემთხვევებში კი, როგორც ვნახეთ, ციტატებშიაც არის შეტანილი გარკვეული ცვლილებანი მომავალი დროის გამოხატვის მხრივ.

შოთაძის ასალი სისტემის დამადასტურებელია დის და ვალს ზმნათა გაზიჯვნა დროის მიხედვით და ვალს ზმნის გადანაცვლება მყოფადში, რისი უძველესი ნიმუშიც, ჩვენ მიერ განხილული მასალის მიხედვით, აბოს წამებაში უნდა გვექონდეს:

მოვალს ქამი, ოდეს სიცოცხლისა ამის მოძღურებასა არა თავს-იღებდენ, არამედ გულის თქუმისაებრ თვისისა თავით თვისით შეიკრებდენ მოძღურებასა ქაეილითა უურთაათა და ჭეშმარიტებისაგან სასმენელნი გარე მიიქცინენ და ზღაპრებსა მიექცენ (ავიოგრ. ძეგლები, I, 49, 24).

საქაც ჩვენ ციტატთან გვაქვს საქმე: დამოწმებულია პავლე მოციქულის მეორე ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ (4, 3—4), სადაც იკითხება: იყოს ქამი (=იქნება დრო), აბოს წამებაში კი ნათქვამია: მოვალს ქამი (=მოვა დრო).

ჩალს ზმნა მყოფადის შინაარსით რამდენჯერმე გვხვდება სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში:¹

გარნა მე ვერღა მიხილო ოდესცა სოფელსა ამას, რამეთუ აღრე წარვალ ამიერ (170, 1);

მე, ძმანო, აჰა ესერა წარვალ შემდგომად მცირედთა დღეთა, სოლო თქუენ იძიეთ მამა და წინამძღუარი (175, 30);

უბრძანებდა, რაათა დრო-უოს და თვთ მოვალს ქამი, რაათა იქმნეს მონაზონ (178, 13).

სოგორც ცნობილია, ზოგი ზმნა ასალ ქართულში მყოფადს ზმნისწინით უფრ აწარმოებს და სხვა გზას მიმართავს. ძველ ქართულ ტექსტებში დასტურდება ამგვარი მყოფადის რამდენიმე ნიმუშიც:

არა გიცნობიესა, რამეთუ სიტყუანი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა გექნებოან შენ? (ავიოგრ. ძეგლები, I, აბო, 70, 19).

და ნეტარ არიან, რომელნი აღასრულებდენ ჯსენებასა მისსა, რამეთუ დიდსა მადლსა ღირს იქმნებოან (იქვე, მოქცევაჲ ქართლისაჲ, 91, 1).

წარვედ და კუერთხი ესე ჩემი ჩაყავ მტყუარსა, სოლო იგი გზა-გცემს

¹ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, კ. კეკელიძის რედაქციით და გამოკვლევით, თბილისი, 1935; ნ. გოგუაძე. «სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების» ტექსტისა და ენის საკითხები: ფილოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1964, გვ. 19.



და განვედ ქმელად (იქვე, ცხოვრება შიოხის და ევაგრესი, 219, 37) გინებსა, ყრმაო, განსუიდის კარაულისა ამის, რამეთუ ვიყიდი? (ცხოვრება ეპიფანე კვპრელისა¹, 93, 4).

ყოველივე ამის შემდეგ მოულოდნელი არ არის, რომ ძველ ქართულ ტექსტებში შეგვხვდეს მყოფადის წრის სხვა მწკრივთა ფორმებიც. მართლაც, ზმნისწინის მეშვეობით ნაწარმოები ხოლმეობითის (პირობითის) რამდენიმე ნიმუში გვაქვს, მაგალითად, დავით გარეჯლის ცხოვრების ერთ ადგილას:

რასა მწუხარე ხარ, სათნოო უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესო? რამეთუ უკუეთუმცა შთასრულ იყო ვეშაბი იხი წყალთა შინა, მიერ წარვიდოდა ზღუათა შინა და მას შინა თევზთა ჭამითა განდიდნებოდა ფრიად და მრავალთა ნავთა დააქცევდა ზღუათა შინა და მრავალთა სულთა წარსწყემედა წყალთა შინა (ავიოგრ. ძეგლები, I, 232, 24—28).

ხემოთ განხილული ჩვენთვის საინტერესო ფორმებიდან ზოგი შესაძლოა გადამწერთა კალამს ეკუთვნოდეს, რაკი ზოგიერთი ძველი შედარებით გვიანდელი ხელნაწერებით არის ჩვენამდე შემონახული. ასეთი ვარაუდი განსაკუთრებით სარწმუნოა, როცა ახლებურ მყოფადს რომელიმე ხელნაწერში კავშირებითის ფორმიანი ვარიანტიც მოუპოვება. მაგრამ, ფფიქრობთ, ჩვენ მიერ დამოწმებული ფორმების ნაწილი მაინც ძველი ნუსხებიდან უნდა მოდიოდეს და გვიანდელ გადამწერთა კალამისათვის მთლიანად მათი მიკუთვნება სწორი არ იქნებოდა. რომ მყოფადის მწკრივი ძველი ქართულის წიადში არის ჩასახული, ამას განსაკუთრებით მკაფიოდ ადასტურებს უკუთქმითი ბრძანებითის ფორმები, რომლის მაგალითები ტექსტებიდან ჩვენ ჯერჯერობით არ განგვიხილავს.

ჩართქმით ბრძანებითს ძველ ქართულში საგანგებო მწკრივები მოეპოვებოდა, უკუთქმითს კი საკუთარი ფორმები არასდროს ჰქონია და მუდამ სხვა მწკრივთა ფორმებს სესხულობდა და სესხულობს დღესაც. უკუთქმით ბრძანებითში სხვადასხვა მწკრივის ფორმები გვხვდება იმის მიხედვით, თუ რა სახის უარყოფასთან გვაქვს საქმე და რომელი უარყოფითი ნაწილაკია გამოყენებული.

საერთოდ ქართულში ცნობილია სამი სახის უარყოფა: მარტივი უარყოფა (არ ნაწილაკიანი), შესაძლებლობის უარყოფა (ვერ ნაწილაკიანი) და აკრძალვა (ნუ ნაწილაკიანი)². ამათგან შესაძლებლობის უარყოფა ბრძანებითს ვერ ეგუება, რადგან ის მაშინ იხმარება, როცა მოქმედება არ სრულდება სუბიექტის სურვილისა და ცდის მიუხედავად, როცა სუბიექტს არ ძალუძს მოქმედების შესრულება. ცხადია, ასეთ პირობებში ბრძანება სრულიად უადგილო და შეუფერებელია. ამიტომ ვერ ნაწილაკი უკუთქმით ბრძანებითში არასდროს გვხვდება. რაც შეეხება არ და ნუ ნაწილაკებს, უკუთქმით ბრძანებითში თავისუფლად იხმარება როგორც ერთი, ისე მეორე, ოღონდ არ ნაწილაკის დართვისას ზმნა კავშირებითის ფორმით წარმოგვიდგება («არ გააკეთო»), ნუ ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი კი თანამედროვე ქართულში აწმყოს ან მყოფადს იყენებს. თუ მოქმედება, რომლის აღკვეთასაც მოითხოვენ, უკვე დაწყებულია, გამოიყენება აწმყოს ფორმა («ნუ აკეთებ»), ხოლო თუ მოქმედება

¹ საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაიშვილმა, თბილისი, 1966.

² ვ. თოფურიძე. ორმაგი უარყოფა ქართულში: წელიწადული, 1924, გვ. 77—78; ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 630.



ჯერ არ დაწყებულა, მის ასაკრძალავად გამოიყენება მყოფადის ფორმა («ნუ გააჟეებ»).

ვაეშირებითისა და თხრობითი კილოს ფორმათა მონაცვლეობა უკუთქმით ბრძანებითში ძველი ქართულიდან მოდის. მათ შორის ამქამად ცნობილი მიმართებაც ძველ ქართულშივე გვხვდება: არ ნაწილაკთან — კავშირებითი, ნუსთან — თხრობითი კილო:

ნუ შჯით (ნუ დასჯით C), რათა არა დაისაჯნეთ (მათე, 7, 1).

შართალია, ნუ ნაწილაკთან ზმნა საერთოდ შესაძლებელია კავშირებითის ფორმითაც წარმოგვიდგეს¹, მაგრამ ნუ ნაწილაკთან უკუთქმით ბრძანებითში უკვე ძველ ქართულში გაბატონებულია თხრობითი კილოს ფორმები, კერძოდ — აწმყო. ასე, მაგალითად, ხანმეტ ლექციონარში² სუთჯერ გვხვდება ნუ ნაწილაკი და აქედან სამჯერ აწმყოსთან, ორჯერ — აწმყოს ხოლმეობითთან, კავშირებითთან კი — არც ერთხელ. ოთხთავის უძველეს რედაქციებში, როგორც ი. იმნაიშვილის მიერ შედგენილი სიმფონია-ლექსიკონიდან ჩანს, ნუ უარყოფითი ნაწილაკის ხმარების 150-მდე შემთხვევა დასტურდება და აქედან მხოლოდ 8-ჯერ გვხვდება იგი კავშირებითთან, დანარჩენ შემთხვევათაგან კი ზმნა ყველაზე ხშირად აწმყოს მწკრივში დგას (ზმნისწინით ან უზმნისწინოდ).

ჩამბობთ, აწმყოს მწკრივში დგასო, მაგრამ რომელი დრო იგულისხმება ამ ფორმებში? შინაარსის მიხედვით, ახლანდელი დრო ბრძანებით კილოს ნაკლებად ეგუება, რადგან ბრძანების შესრულება მხოლოდ მისი გაცემის შემდეგ შეიძლება, ერთი მოსდევს მეორეს, მაშინ როცა ახლანდელი დროისათვის აუცილებელია მოქმედებისა და უზნობის მომენტთა ერთდროულობა³. მაგრამ რადგან ესა თუ ეს მოქმედება ბრძანების მომენტში შეიძლება უკვე დაწყებული იყოს, ამიტომ მაინც მიჩნეულია, რომ ასეთ შემთხვევაში ახლანდელი დრო გვაქვს. სწორედ ასეთ ვითარებაში იყენებს თანამედროვე ქართული აწმყოს უკუთქმითი ბრძანებითისათვის. მაგრამ როცა სუბიექტს მოქმედება ჯერ არა აქვს დაწყებული, ბრძანება (წართქმითი თუ უკუთქმითი) მხოლოდ მომავალი დროის გაგებას შეიცავს, მომავალი დრო აქ მკაფიოდ არის გამოკვეთილი და ახლანდელი დროისაგან გამიჯნული. ამგვარ ვითარებაში ახალ ქართულს უკუთქმითი ბრძანებითისათვის მყოფადის მწკრივი აქვს გამოიყენებული. ცხადია, ანალოგიურ პირობებში ესა თუ ის ფორმა ძველ ქართულშიაც მომავალი დროის გაგებას ატარებს. სწორედ აქ უნდა ჩასასულიყო თავდაპირველად მყოფადი, როგორც აწმყოსაგან განსხვავებული, ცალკე მწკრივი.

სათანადო მაგალითები, როცა უკუთქმითი ბრძანებითისათვის გამოიყენებუ-

¹ სათანადო ნიმუშები მოიპოვება როგორც ძველ, ისე ახალ ქართულშიც. გავისენოთ ნ. ბარათაშვილი: «ნუ დაევიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის! ნუ დაშიოტიროს სატრფომ გულისა, ნუ და დამეცეს ცრემლი მწუსარის!» (ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 212).

² ხანმეტ ლექციონარი, გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ: ძველი ქართული ენის ძეგლები, I, თბილისი, 1944.

³ ბრძანებითი სრულიად ვერ ეგუება წარსულ დროს, თუმცა წართქმითი ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს იყენებს (ფ. ერთელიშვილი. რატომ იყენებს II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს: თსუ შრომები, ტ. 61, 1956).



ლია ზმნისწინიანი აწმყოს ფორმები (ნუ ნაწილაკის დართვით), სოლო შენსა არსის მიხედვით მხოლოდ მომავალი დრო იგულისხმება და, ამრიგად, ზმნა მყოფადის გაგებას შეიცავს, საკმაოდ ხშირად გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში, მათ შორის ისეთებშიც, რომლებიც X საუკუნემდე არის შექმნილი. დავეყრდნობით მხოლოდ რამდენიმე მაგალითის დასახელებით ოთხთავიდან:

და რომელსა უნდეს სესხების შენგან, ნუ გარემიიქცევ პირსა შენსა მისგან (მათე, 5, 42).

და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა (მათე, 6, 13).

რაქამს გხადოს ვინმე ქორწილსა, ნუ დასჯდები პირველსა საინახესა (ლუკა, 14, 8).

ესე ათორმეტნი წარავლინნა იესუ, ამცნებდა მათ და პრქუა: გზასა წარმართთასა ნუ მიხუალთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხუალთ (მათე, 10, 5).

უკუეთუ გრქუან თქუენ: უდაბნოსა არს, ნუ განხუალთ (მათე, 24, 26).

ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღოროთა, რაათა არა დათრგუნონ იგი ფერჯითა მათითა (მათე, 7, 6).

რაქამს გვსმოდინა ბრძოლანი და პამბავნი ბრძოლათანი, ნუ შეჰსძრწუნდებთ, რამეთუ ჯერ-არს ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული (მარკოზ, 13, 7) და სხვანი.

ტმგვარი მაგალითები საკმაოდ ხშირად გვხვდება X საუკუნემდე გადაწერილ სხვა ტექსტებშიაც. ასე რომ, ამ მოვლენის სიძველე არც მაშინ შეიძლება იწვევდეს რაიმე ეჭვს, როცა ხელნაწერი შედარებით გვიანდელია. აი, ზოგიერთი ნიმუში ორიგინალური ქართული აგიოგრაფიული ძეგლებიდან:¹

ნუ წარსწყემედ სახლსა ამას სადედოფლოსა (შუშანიკ, 16, 5).

და თუ რაჲმე შეგცოდეთ... მოგვტევენ და ნუ მოიქსენებ მედგრობათა ჩემთა (იქვე, 26, 23).

შვილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვავჭრი ქრისტეანედ და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განუშორებთ (აბო, 66, 13—15).

და ნუ მომაგებ საქმეთა ჩემთაებრ, არამედ ევედრე შენ წმიდათა მოწამეთა, რაათა ყონ ჩემთვს წყალობაჲ (დავით და ტარიჭან, 190, 8).

ნუ შეიწყენარებ წამერთცა ამათ (იოანე ზედაზნელი, 204, 2).

ხოლო თქუენ ნუ შესძრწუნდებთ, არამედ განმტკიცენით და განძლიერდით (დავით გარეჯელი, 239, 40).

ამას მონასტერსა შინა სენაკებსა თანა ეგუტერსა ქამის-საწირვად ნუვინ აღაშენებს (გრ. ხანძთელი, 307, 39).

მომივსენენ სამწყსონი შენნი და ნუ დაიდუმებ მოღუაწებასა ჩუენთვს ქრისტვს მიმართ (იქვე, 314, 34).

ნუ დამივიწყებ ჩუენ (იქვე, 258, 5; 314, 32).

¹ მაგალითები მოგვაქვს უკანასკნელი გამოცემიდან: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტურჯის ძეგლები, I, ი. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1964.



ნუსადა დამივიწყებთ ლოცვასა თქუნესა (იქვე, 315, 11).
 ნუ დაამიძიმებთ ჩემ ზედა სათხოველსა (სერაპიონ ზარზმელი,
 326, 43).

აწცა ჩუენ უძღურთა და უღირსთა შვილად შენდა სახელდებულთა ნუ
 ოდეს დამივიწყებ (იქვე, 346, 25) და სხვა.

სოგორც უკვე ვთქვით, ჩენი აზრით, უკუთქმითი ბრძანებითის ასეთ ფორ-
 მებში უნდა ჩასახულიყო პირველად მყოფადის შინაარსი. შემდგომ ეს შინაარსი
 ზმნისწინიანი აწმყოს სხვა (არა ბრძანებითი კილოს) ფორმებზეც გავრცელდა.
 მომავალი დროის თხრობითი კილოს გავებით ზმნისწინიანი აწმყოს ხმარების მა-
 გალითები ძველ ქართულში მეტად იშვიათია, XI საუკუნიდან კი ერთბაშად მატუ-
 ლობს, თუმცა მომავალი დროის გამოხატვის ძირითად საშუალებად ერთხანს
 კვლავ კავშირებითის მწკრივი რჩება.

ესე, მაგალითად, გიორგი მთაწმიდლის თხზულებაში «ცხოვრება იოვანესი
 და ეფთჳმესი» (XI ს.), როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ასპექტის ახალ სის-
 ტემაზე გადასვლისა და მყოფადის ცალკე მწკრივად გამოყოფის პროცესი უფრო
 წინ არის წაწეული: «ნათლად ჩანს, რომ დაწეებულია ზმნისწინის მიერ მოპოვე-
 ბა მაპერფექტივებელი ძალისა და ამ ნიადაგზე I სერიის სამი ძველი მწკრივისაგან
 ახალი მწკრივების გამოყოფა: ზმნისწინიანი ფორმები მყოფადის წრის მწკრი-
 ვებად მიდის, უზმნისწინონი კი — აწმყოს წრისად. რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ
 არ არის საყოველთაო მოვლენა. ძირითადად ამ საკითხში გ. მთაწმიდელი ძველ
 ნორმებს მისდევს... მაგრამ უეჭველია, რომ მომავალი დროისა და თხრობითი
 კილოს ფუნქცია აქვს ზმნებს ამ წინადადებაში: პირველად სულთა თქუნეთა
 წაიწყმედთ და მონასტერი უწესოდ გავა (68, 6—8)».¹

შედეგად გამოკვლევაში ა. შანიძეს მოყვანილი აქვს მყოფადის მწკრივის
 სხვა ნიმუშებიც ზემოხსენებული თხზულებიდან: გაუჯმენ (95, 4); უკუ-
 ეთუ უწურთელად მიგიშუნე, უწყოდეთ, ვითა მას საუკუნესა მწარედ გაისჯე-
 ბით, უკუეთუ კულა მე აქა მცირედ გწუართნე და მადლობით მიითუალოთ,
 მრწამს ღმრთისაგან, ვითა მის საუკუნოვსა განკითხვისაგან განერებით
 (68, 9—12); იგინიცა შეწუსდე ბიან (83, 7).

ბაასლოებით ასეთივე სურათია გიორგი მცირის «გიორგი მთაწმიდლის
 ცხოვრებაში», რომელიც აგრეთვე XI საუკუნის ძეგლია (დაწერილია არა უგვიან-
 ნეს 1068 წლისა)². აქ გვხვდება ახლებური მყოფადის შემდეგი მაგალითები:
 უკუეთუ უგუნურებით ქელ-ვყო, კადნიერებისა ბრალსა შთავევარდები
 (104, 11); აქა მოგცემ სულსა ამის ყრმისასა და წინაშე ღმრთისა გთხოვ
 (161, 18); რაქამს ერთგვის გვცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა
 მარჯულ და არცა მივდრკები თ, თუ ღმერთსა უნდეს (178, 24).³

სოპყავს რა ეს მაგალითები, თხზულების ენის მიმოხილვისას ნ. გოგუაძე
 აღნიშნავს: «აწმყოს ფორმის მყოფადისეული გავებით ხმარება ძალზე იშვი-

¹ ა. შანიძე. გიორგი მთაწმიდლის ენა იოანეს და ეფთჳმეს ცხოვრების მიხედვით: გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი (ძველი ქართული ენის ძეგლები, 3), თბილისი, 1946, გვ. 75.

² კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 228.

³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI—XV სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1967.



ათია; ეს თითო-ოროლა ნიმუში შეიძლება მხოლოდ იმისთვის გამოვიყენოთ, როგორც ვთქვათ: მყობადის წარმოების ჩანასახი «გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაშიც» ჩანსო». ¹

ძუ «იოვანეს და ეფთუმეს ცხოვრებასა» და «გიორგი მთაწმიდლის ცხოვრებაში» ახლებური მყოფადის ფორმები მხოლოდ თითო-ოროლა მოიპოვება; დაახლოებით იმავე პერიოდისა და ისეთივე მოცულობის ძეგლში — ქართული პატერიკის ექვთიმე ათონელისეულ თარგმანში ² ამგვარი ფორმები რამდენიმე ათეულს აღწევს. მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს:

არს დღე ერთი, შეილნო, წელიწადსა შინა, რომელ უკუეთუ მას დღესა შინა ვინმე იპოოს შრომასა შინა, ფრიად განმდიდრდეს... უკუეთუ მოვიდეს დღე იგი კურთხეული და იპოვნეთ თქუენ უდებ და უქმ დღესა მას და არა გპოვნეს თქუენ დღემან მან მოსწრაფებით შრომასა შინა, უწყოდეთ, რამეთუ შრომადა და ჭირი თქუენი ყოვლისა მის წელიწადისა ცუდად იქმნების, და ვერ განმსდიდრდებით (I, 19).

კულადა სხუასა ქამსა ინება მთავარებისკოპოსმან მისლვად-მისსა და წარავლინა პირველად, თუ გა-ძ-ი-უ-ღ-ე-ბ-ს-ა კარსა ბერი. ხოლო ბერმან მიუმცნო და პრქუა მას: უკუეთუ მოხვდე, განგიღებ, და უკუეთუ შენ განგიღებ, ყოველთა განუღებ (II, 4).

რაქამს მოვიდეს კაცსა ზედა განსაცდელი, მაშინ ყოვლით კერძოვე განმრავლდებიან მის ზედა ჭირნი და გულის-კლებანი (VII, 11).

ესეზომსა შრომასა ვიქმთ სასუფეველისათვის ცათაჲსა, დავიმკვდრებთ-მეა მას? (X, 16. შდრ. იქვე: მე მრწამს, რამეთუ დავიმკვდროთ).

სული მსგავს არს წყალსა, უკუეთუ განსწმედდე, კეთილად გამოდის წმიდად, უკუეთუ უდებ ჰყო და მიაქციო მიწადა და ნეხვ ზედა, უჩინო იქმნების და წარწყმდების (X, 22).

უკუეთუ კულა ძირი არა გამოჰნახო და არა აღმოჰფხურა, და შტოთა რაზომცა ჰკაფდე, იგი სხუასა მორჩსა გამოიღებს (X, 32).

უკუეთუ არა ვყო სიტყუსაებრ ბერისა, წინა-ა-ღ-უ-ღ-ე-ბ-ი-ღ-მ-ერ-თ-ს-ა (X, 41).

და თუ გრქუას შენ, ვითარმედ დაისჯები; ნუღარა იქმ საქმესა მას (XI, 33).

შემინდვე, მამაო, არა აღვდგები, ვიდრე არა წარხვდე შენ (11, 7). უკუეთუ ღმერთი არა შეგუეწევის, წყალი ჩუენ არა გუაქუს (III, 23).

დადაცათუ მკუდარი აღადგინოს მრისხანემან მონაზონმან, ღმერთი არა შეიწირავს მისგან (X, 6).

უკუეთუ არა დაიმჭიროს კაცმან გულის-სიტყუაჲ ესე, ვერ წინა-ა-ღ-უ-ღ-ე-ბ-ის-ენებათა (XI, 5).

¹ ნ. გ. გუაძე. «გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების» ენა: ფილოლოგიური ძიებანი, I, თბილისი, 1964, გვ. 37.

² შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები; I, ქართული პატერიკის ერთი ძველი რედაქციის ექვთიმე ათონელის თარგმანი XI ს. ხელნაწერის მიხედვით. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. დვალმა, თბილისი, 1966.

ნუ მოიგებ ყოლადე ესევითარსა რასამე, რამეთუ უკუეთუ შიგვიდეს მპარავი ანუ ავაზაკი სენასა შენსა, ივმაროს რამე შენისა ჭურჭლისაგან, რამეთუ ესე ყოველი აღმოუგდება სინანულსა გულისაგან და წსენებასა სიკუდილისასა (VII, 15) და ა. შ.

ამავე თხზულების ენაში გვხვდება მყოფადისაგან ნაწარმოები სოლმეობითის მწკრივის ფორმებიც:

გარქუ თქუენ, მით არა შევიქმ, რამეთუ ვიცოდე, ვითარმედ არა შესწუსდებაოდეთ, სოლო მისდა თუმცა არა მექმნა, შესწუსდებაოდა, რამეთუ აქუნდა გულისკლება და იტყოდა, ვითარმედ ბერსა რამე ასმი ჩემთს (X, 7).

პოგორც ვხედავთ, აწმყოს წრის მწკრივებისაგან მყოფადის წრის მწკრივთა გამოყოფის პროცესი ამ ძეგლში უფრო შორს არის წასული და ახალი სისტემა მომავალი დროის (თხრობითი კილოს) გადმოსაცემად საკმაოდ სშირად იხმარება. მაგრამ იმავე ფუნქციით გაცილებით უფრო სშირად მაინც კავშირებითის ფორმები გვხვდება, ე. ი. ძველი სისტემა ბატონობს.

საერთოდ საფარაულებელია, რომ მყოფადს თავდაპირველად მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში, განსაზღვრულ სინტაქსურ კონსტრუქციებში მიმართავდნენ, ერთ დროს მისი ხმარება ალბათ გარკვეულ სტილისტურ მოვლენებთანაც იყო დაკავშირებული. მაგალითად, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის, რომ ძველ ძეგლებში მყოფადი განსაკუთრებით სშირად დასტურდება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, სადაც მთავარი წინადადების შემასმენლად წარმოგვიდგება ზმნა მყოფადის ფორმით, დამოკიდებულისა კი — კავშირებითის ფორმით (მაგალითები იხ. ზემოთ: ჩუენ მოვსწყუდებაით, უკუეთუ ეგე ეგოს ცოცხალი; ყოველი, რომელი დაიმდაბლებათ თავსა თვსსა, იგი ამალღებდის; არა აღვდგები, ვიდრე არა წარსვდე შენ; და სხვა).

საფიქრებელია, რომ მყოფადის მწკრივის დამკვიდრებას სალიტერატურო ქართულში და მისი ხმარების სფეროთა გაფართოებას განსაკუთრებით შეუწყობდა საერო მწერლობამ, რომელიც ნაკლებად იზღუდავდა თავს ძველი გრამატიკული ნორმებით და უფრო ბუნებრივ, ცოცხალ სასაუბრო მეტყველებას ემყარებოდა. ის ფაქტი, რომ «ვისრამიანისა» და «ვეფხის-ტყაოსნის» ენაში მყოფადის მწკრივი გაცილებით სშირად გვხვდება, ვიდრე იმავე ეპოქის სასულიერო მწერლობის ძეგლთა ენაში, თავისთავად მეტყველებს. მართალია, საერო მწერლობის ეს ძეგლები, სამწუხაროდ, შედარებით გვიანდელი ხელნაწერებით არის ჩვენამდე მოღწეული, მაგრამ გადამწერლებს არ შეეძლოთ მათი ენის არსებითად შეცვლა. ეს განსაკუთრებით ითქმის პოეტური ხელოვნების ისეთ შედევრზე, როგორცაა «ვეფხის-ტყაოსანი». «ვეფხის-ტყაოსანი» თავიდან ბოლომდე ერთ მხატვრულ ყალბაში ჩამოსხმული პოეტური ქმნილებაა, რომლის ტექსტში ყოველგვარი ჩარევა, გარდა ენობრივი ნორმებისა, პოეტური ნორმების გათვალისწინებასაც მოითხოვს. გრამატიკული ფორმის შეცვლას შეიძლება მოჰყვეს მხატვრული ფორმის დარღვევა, რისი შეწყნარებაც შეუძლებელია. ასე რომ, პოეტური ფორმა ზოგჯერ განსაზღვრავს ამა თუ იმ გრამატიკული მოვლენის კანონზომიერებას «ვეფხის-ტყაოსანში».

უნახოთ, რა ვითარებაა «ვეფხის-ტყაოსანში» მომავალი დროის გადმოცემის მხრივ. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, «ვეფხის-ტყაოსანში» უფრო ჩვეუ-



ლებრივია ძველებური ფორმა მყოფადისა, მაგალითად, «მე წავიდე, ვილაშქრო და ვინაპირო» და შემდგომი, თუმცა ახალი წარმოების შემთხვევებიც არის. მაგ., «დღეს არა, სვალე მოვევლები»¹.

შართალია, მომავალი დროის თხრობითი კილოს აღსანიშნავად «ვეფხისტყაოსანში» კავშირებითი უფრო სშირად გვხვდება, ვიდრე მყოფადი, მაგრამ ეს უკანასკნელიც არ არის იშვიათი. ზოგჯერ ორივე მწკრივი ერთ ფრაზაშია მოქცეული:

უსენ მითხრა: «არ მინახავს ძოდანიოგან მეფე ჩენი.

მივაზირებ, წავალ, ვნახავ, ვუღარბაზო, ვუძღვნა ძღვენი
(1163, 2—3);

ზსლებური მყოფადის ფორმები პოემაში იმდენჯერ გვხვდება, რომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ამ მხრივ მისი ენა ახალ საფეხურს წარმოგვიდგენს. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს, როცა მომავალი დრო მყოფადის მწკრივით არის გამოხატული:

მივეწვი, შევიყრებით ერთმანეთის ცემა-ქლელად,
ანუ მომკლავს, ანუ მოვკლავ, დაიძალვის მეტის-მეტად (216, 3—4);

ყრმამან უთხრა: «თუ მიჩვენებ, ვნახავ; დიდად გავიხსარებ,

სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი მინდორს თავს ვარებ,

არას ვუზამ უგემურსა, არაოდეს გავამწარებ;

რაცა ჩემგან ეამების, ვაამებ და შევიუყარებ (279);

ვიცი, არ მოგკლავს შიმშილი, რაზომცა ღია ირები:

შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები,

ნუთუ კვლა ღმერთმან წყალობით გაგიადილოს ჭირები,

მაგრა, თუ მოვევდე, გაზრდილო, ვისგანღა დავიტირები? (824);

ქმარი რა მიგრძნობს, მოცამკლავს, ვერღარა მომეთარების
(1151, 3);

უცილოდ თავსა მოვიკლავ, გულსა დავიცემ დანასა,

თქვენ დავსოცს თქვენი პატრონი, სოფელს ვერ დაჰყოფთ ხანასა (1194, 1—2);

შენ მეკდარსა ვნახავ, დავიწვი, ვითა აბელი კვესითა (1301, 3);

ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა (1302, 4);

უთხრა: «ძმაო, რა გარდისდის შენგან ჩემსა ჭირნახულსა!

ღმერთი მოგცემს წყალობასა, მისგან ზეცით შესახულსა!

თუ ვერა ვიქმ საწადელსა შენსა, შენთვის განზრახულსა,

არა ვნახავ სახლსა ჩემსა, არ დარბაზსა, არცა ხულსა» (1471) და ა. შ.

პოგორც ვხედავთ, «ვეფხისტყაოსანში» უკვე გვხვდება არა მარტო ზმნის-წინიანი მყოფადი, არამედ მყოფადის მნიშვნელობით იხმარება ზოგჯერ უზმნის-წინო ფორმებიც (მიჩვენებ, მიგრძნობს, ეამების, ვაამებ...). აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ზმნისწინიანი ფორმებიც აწმყოს და არა მყოფადის შინაარსს ატარებენ; მაგალითად:

აწ მე მინდა ნახვა მისი, ვისგან დამწვავს ცეცხლი ცხელი (663, 4);

რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა (874, 4);

ავთანდილ მისი გაყრილი ტირის, ხმა მისწვდებას ცათამდის (952, 1);

ფერხთა ზევევის, აკოცებს, აღარ შეხედავს ზე წულად (1484, 2) და სხვა.

1 ა. შანიძე. ძველი ქართული ენა (მოკლე მიმოხილვა): სასკოლო სახელმძღვანელოში — «ძველი ქართული ენა და ლიტერატურა», შეადგინეს ა. შანიძემ, აღ. ბარამიძემ, ილ. აბულაძემ, მე-13 გამ., თბილისი, 1954, გვ. 303.



შაგრამ ასეთი მაგალითები «ვეფხის-ტყაოსანში» შედარებით მცირეა. წინათ საინტერესო სურათს გვიჩვენებენ ის ფუძემონაცვლე ზმნები, რომელთაც წინათ აწმყოს გაგება ჰქონდათ, შემდეგ კი მყოფადში გადაირიცხნენ (ჰკითხავს, იტყვის, ნახავს, მოვა და სხვანი). ეს ზმნები «ვეფხის-ტყაოსანში» გვხვდება როგორც ახლანდელი, ისე მომავალი დროის გაგებით, ე. ი. ხან აწმყოს მწკრივს განეკუთვნებიან, ხან მყოფადს. მაგალითად, მსგავსად ძველი ქართულისა, აწმყოა:

- რა სთქვი, რას იტყვი, არ მესმის (885, 1);
- აეთანდლო იტყვის: «დავიწყო კადრება საუბნარისა» (66, 3);
- მომავალი ცასა შესტირს, ეუბნების, ეტყვის მზესა (957, 1);
- მეფე ჰკითხავს: «რას იცინი, ანუ ჩემგან რა შევრცხვენა?» (64, 4);
- ვეფხისა ტყავი აცვია, ცუდად უჩნს სტავრა-ნახლები,
- აღარა ნახავს სოფელსა, ცეცხლი სწვავს ახალ-ახლები (690, 3—4);
- ქალო, არ იცი, სით მოვალ, რა ჭირნი მომითმენიან (236, 1);
- ცნა მეფემან, ტარიელი მარტო მოვა, მოჰპირს ტანსა (1514, 2);
- ასმათს უც სორცი ირმისა, იქმს მასპინძლობა-კვეთასა (1497, 2) და სხვ.

სარაღელურად გვხვდება მაგალითები, სადაც მსგავს ფორმებს მყოფადის გაგება აქვთ:

- მისსა ვერ იტყვის ქებასა ყოველი ბრძენთა ენები (658, 1);
- ასრე არ სჯობდეს, არ გეტყვი, ნუ მეჭვ რასაცა თნებასა (880, 4);
- თუ ნახო, ჩემი უამბე, გკითხავს ამბავსა ძმისასა (947, 4);
- კელა მოვალ, გნახავ პირითა არ მტერთა საწუნელითა (735, 2);
- რაცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგვცთების (1035, 2);
- უშენოსა პატრონობა ვის მივანდო, ვინ იქმს კარგა? (163, 2) და სხვანი.

ზოგჯერ აწმყო და მყოფადი ფუნქციურად ახლოს დგანან და თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში ძნელი სათქმელია, საშუალი ქართულის რომელიმე ფორმა ახლებურ მყოფადად უნდა მივიჩნიოთ, თუ ძველი სახის აწმყოდ. მაგალითად, რუსთველის ცნობილ ფრაზაში — «მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად» — იტყვის აწმყოდაც შეიძლება იქნეს გაგებული და მყოფადადაც. ასევე ძნელი სათქმელია, აწმყოა თუ მყოფადი ისეთი ფორმები, როგორიცაა წაიყვან, აღუფხვრი, გასწირავს, ცნობილ სტროფში:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
 ყოველი შენი მონდობილი ნიდაგმცა ჩემებრ ტირსა!
 სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
 მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან ვანაწირსა (951) და სხვა.

საეარაუდოა, რომ მსგავს შემთხვევებში ზოგჯერ მაინც მყოფადის შინაარსი იგულისხმებოდეს, მაგრამ ასეთი საჭოჭმანო მაგალითების ჩაუთვლელადაც «ვეფხის-ტყაოსანში» ახალი სისტემა ხმარების სისპირით თითქმის უტოლდება ძველს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ სპეციფიკურ შემთხვევას, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზოგიერთი ტიპის დამოკიდებულ წინადადებაში, სადაც მყოფადი და კავშირებითი ღღესაც ენაცვლებიან ერთმანეთს, ძველად კავშირებითი უფრო ხშირად გვხვდებოდა. ასე, მაგალითად, პირობითი დამოკიდებული წინადადების ზმნა-შემასმენელი ძველ ქართულში ჩვეულებრივ კავშირებითში იდგა, ზოგჯერ კა



გვხვდებოდა აგრეთვე აწმყოში ან სოლმეობითში: «პირობითობის თუ კუთუ კავშირების შემცველი დამოკიდებული წინადადების შემასმენელი შესაძლებელია შეგვხვდეს კავშირებითის (I ან II), აწმყოს, სოლმეობითის მწკრივთა ფორმებში. არ ჩანს წარსული დროის (წყვეტილი, უწყვეტილი, თურ-ნიობითი) მწკრივები»¹. მყოფადის მწკრივის გაჩენის შემდეგ, საშუალ ქართულში, იწყება მყოფადის გამოყენება ზემოსხენებულ შემთხვევაშიაც (თუკი პირობა მომავალში უნდა შესრულდეს), მაგრამ პირველ ხანებში მაინც კავშირებითი სჯარბობს, შემდგომ კი უფრო და უფრო სშირდება მყოფადის სმარების შემთხვევები და დღეს უკვე კავშირებითი შედარებით იშვიათია.

«წეფხის-ტყაოსნისათვის» უკუეთუ//უკეთუ კავშირი საერთოდ უცხოა, თუ კავშირიანი პირობითი დამოკიდებული წინადადება კი პოემაში გვხვდება 150-მდე შემთხვევაში. აქედან მომავალში შესასრულებელი პირობა იგულისხმება 100-ზე მეტ შემთხვევაში. მათ შორის 40-ზე მეტ მაგალითში გვხვდება მყოფადის მწკრივი:

თუ არ მომკლავ, არ მოვევდები, მრთელი ვარ და მოუკლავი....

კვლა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედა თავი (240, 2—4);

აწ რაცა ვითხრა, თუ ამა საქმესა დამმორჩილები,

რასაცა ეძებ, მიძხვდები, უცილოდ არ ასცილდები;

თუ არ მომიხმენ, ვერ ჰპოვებ, რაზომცა ცრემლსა ჰმილდები (254, 1—3);

ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შე-ღ-ამრჩებიან (347, 4);

მაგრა თუ ჭირსა არ დასთობ, ლხინი რა დასათობია (965, 4) და ა. შ.

სოგორც ვთქვით, ასეთია 40-ზე მეტი მაგალითი, დანარჩენებში კი ზმნა კავშირებითში დგას (მათ შორის სჯარბობს II კავშირებითი, იშვიათია I კავშირებითი და მხოლოდ ორიოდეჯერ გვხვდება III კავშირებითი); მაგალითად:

მოშიარე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი (15, 1);

ვარდი თუ გახმეს, ეგრეცა გვმართებს მისივე ჯერობა (37, 2);

ფიცით ვითხრობ: შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი...

სრულად მოესწყდე სამოთხესა, ქვესკნელს ვიყო დასანთქმარი (133, 1—3);

ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს (806, 3);

დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუსდებოდეს (924, 4);

ეს ამისად ნიშნად კმარის, შენ თუ ჩემთვის ცრემლსა ჰღვრიდე (937, 3);

კვლაცა ვჰკადრე: მე თუ, მზეო, შენთვის ფიცი გამეტეხოს,

ღმერთმან აწვე რისხვა მისი ზეცით ჩემთვის გაამესოს! (532, 1—2) და ა. შ.

სმრივად, «წეფხის-ტყაოსანში» მომავლის შინაარსის შემცველ პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება როგორც მყოფადი, ისე კავშირებითის მწკრივები, მაგრამ სჯარბობს ეს უკანასკნელი. მათ შორის შეფარდება დაახლოებით ასეთია: 40% მყოფადი — 60% კავშირებითები.

ღიდევ უფრო სშირად გვხვდება კავშირებითები პირობითის (ან დროის გარემოებითს) დამოკიდებულ წინადადებაში, როცა კავშირი (თუ, რომ) გამოტოვებულია; მაგალითად:

¹ ფ. ერთელიშვილი. რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, პიპოტაქისის საკითხები, თბილისი, 1963, გვ. 105.

მხესა მთვარე შეეუაროს, დაიღვეს, და-ცა-ჭნების (126, 2);
არ მოგბრუნდე, მომიგლოვე, მიტირე და მივაგლახე (157, 4);
მკედარი მნახო, დამიტირე, სულთქმა გაათანისთანე (307, 3);
ხვარაზშმა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალა?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი სრმალია? (565, 3-4);
სწყუროდეს, წუალსა ვინ დაღვრის კაცი უშმაგო, ცნობილი? (919, 1) და სხვა.

ყეადარეთ საპირისპირო მაგალითები, სადაც დამოკიდებული წინადადების შემასმენლად წარმოდგენილია ზმნა მყოფადის ფორმით:

არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა (544, 4);
არ შემიძურობს, არ დაედგები (737, 3);
არ გამიშვებს, გავიპარვი, წავალ მათგან შეუვებლად (750, 1) და სხვანი.

ხაფშირებითი და მყოფადი პარალელურად იხმარება აგრეთვე რა კავშირ-
რინ დროის გარემოებითს დამოკიდებულ წინადადებაში, როცა იგი მომავალ
დროს გადმოგვცემს. ასეთია «ვეფხისტყაოსანში» სულ 56 წინადადება. აქედან
49 წინადადებაში მომავალი დრო გადმოცემულია კავშირებითით:

რა ვარდმან მისი ვეფვილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წვა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (35, 2-3);
რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯაშისა შემტყუებარი (662, 1-2);
რა მოგშორდე, მასხენებდი (785, 1);
რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა (1191, 4);
რა გათენდეს, არ დაედგები (1372, 1) და მისთანანი.

შმის საპირისპიროდ მყოფადი დასტურდება მხოლოდ 7 წინადადებაში:

რა დრუბელი მიეფარვის, შვე ხმელეთსა დაარდილებს (713, 3);
არ გამიშვებს, გავიპარვი, რა იმედი გარდმიწყდების (769, 3);
ქმარი რა მიგრძნობს, მო-ცა-მკლავს (1151, 3);
(იხ. კიდევ: 742,3; 848,2; 989,3; 1475,1).

სოგორც ვხედავთ, ასეთ სინტაქსურ კონსტრუქციებში კავშირებითთა ხმა-
რება გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე მყოფადის მწყკრვისა. ეს არც არის გა-
საკვირი. მყოფადის მწყკრვის, ისევე როგორც ყოველგვარ ენობრივ ფორმას,
თავისი ფუნქციები ერთბაშად არ შეუძენია, მისი გამოყენების არე დროთა გან-
მავლობაში თანდათან ფართოვდებოდა; დღეისათვის მყოფადს უკვე მკაფიოდ
გამოკვეთილი ფუნქციები მოეპოვება, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა
მას კავშირებითი შეიძლება ენაცვლებოდეს. ითქმის როგორც «თუ არ დაგე-
მორჩილონ, გაუჯავრდი», ასევე «თუ არ დაგემორჩილებიან, გაუ-
ჯავრდი», «ღმერთმა ერთი რად აცხონოს, თუ მეორე არ წაწყემდოს»
და «ღმერთი ერთს რად აცხონებს, თუ მეორეს არ წაწყემდეს»;
«როცა მოგშორდე, გამიხსენე» და «როცა მოგშორდები, გამიხსე-
ნე» და ა. შ. ცხადია, ასეთ შემთხვევებში კავშირებითს განსაკუთრებული გამძლე-
ობა გამოუჩენია, გვიან დაუწყია თავისი პოზიციების დათმობა, ალბათ იმიტომ,
რომ პირობითი თავისი შინაარსით ახლოს დგას კავშირებითთან, ხშირად იგივე
ითქმის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შესახებაც.

ყეძილება დავასვენათ: გარკვეულ სინტაქსურ კონსტრუქციებში, სადაც კავ-
შირებითისა და მყოფადის მონაცვლეობა დღემდე გრძელდება, «ვეფხისტყაოსან-



ში» კავშირებითი საგრძნობლად სჭარბობს მყოფადს, დანარჩენ შემთხვევებში კი მომავალი დროის თხრობითი კილოს გადმოსაცემად დაახლოებით თანხმობა გვხვდება როგორც კავშირებითის მწკრივები (განსაკუთრებით II კავშირებითი), ისე მყოფადი. ამრიგად, ახალი სისტემა ამ დროისათვის უკვე ისე მძლავრია, რომ იგი აშკარად მეტოქეობას უწევს ძველს.

ყედარებით იშვიათად გვხვდება ახალი სისტემა «ამირანდარეჯანიანში». აქ მომავალი დროის გადმოსაცემად მყოფადის ხმარების ნიმუშია მაგალითი, დამოწმებული ა. შანიძის მიერ: «ანუ მოვკუდები მათ თანავე და ანუ ვიქსნე ივინიცა»¹. როგორც ამ ძეგლის გამომცემელი ლ. ათანელიშვილი აღნიშნავს, «XVII—XVIII საუკუნეების ცხრამეტი ნუსხიდან ჩვიდმეტში დასტურდება მოვკუდები ფორმა. სხვადასხვა წარმომავლობის ხელნაწერებში რომ ეს ახალი წარმოების ფორმა დატული, საეჭვოს არ უნდა ხდიდეს მის თავდაპირველობას ჩვენს ძეგლში»². მეკლავარს იქვე მოჰყავს მომავალი დროის ახლებურად გამოხატვის სხვა ნიმუშებიც:

იგი ნადიმად ზის და იცის დასტურად, რომე შენ მოჰკუდები (145, 3);

თუ ქნას ღმერთმან და აჯობოს დარეჯანისძემან, ჩავიცუამ ძოწუულსა, და ვჯდები ოქრო-ქსოვილთა საჯდომთა. და თუ ჰძლიონ ცოდვათა ჩემთა და აჯობოს იმა მესისხლემან, ჩავიცუამ იმა შავთა და დავჯდები საჯდომთა შავთა და აღარა მინდა საწუთრო (684, 5—13);

თუ რა მოგაქსენო, და გიმძიმდებისო? (267, 1);

გავგზავნოთ კაცი ნოსარ ნისრელსა თანა, რომელსა მოეწერა, ვითა. «მოვალ და ასულსა შენსა შევიერთაო» (76,9—10);

შაგრამ ამგვარი მაგალითების რიცხვი «ამირანდარეჯანიანში» დიდი არ არის, მომავალი დროის გამოხატვის ძირითად საშუალებას კავშირებითი წარმოადგენს.

სატილებით უფრო ხშირად გვხვდება მყოფადის მწკრივი «ვისრამიანში», სადაც ამ მხრივ დაახლოებით «ვეფხისტყაოსნის» მსგავსი სურათი გვაქვს. მოვიტანთ ზოგიერთ დამახასიათებელ მაგალითს:

შენისა სიძობისაგან უკეთესი ჩუენ არა წავგუეკიდების... აქამდინ მე ქალი არა მიშობია და თუ აწ მომეცეს, უღონიოდ თქუენ მოგაქსენებ (36,32—96)³;

საწუთრო ასრე ნასკუთა შეჰკრავს, რომელ ათასი ცნობა და გონება იუოს, ვედარ გაქსნის (37, 13—15);

ნუ შეიჭირვებ ზითევსა, ოქროსა, თუაღსა პატიოსანსა და მარგალიტსა, მით რომელ მე ევე მინდა არა ზითეთა. მაგას ერთსახე ნებიერად გავზრდი და დავიჭირავ. და ყუელასა ჩემისა საჭურჭლისა კლი-

¹ ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 280.

² ლ. ათანელიშვილი. მოსე სონელის «ამირანდარეჯანიანი» (ენობრივი მიმოხილვა): მოსე სონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, თბილისი, 1967, გვ. 071—072.

³ ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გვახარაიამ და მაგალითოლუამ, თბილისი, 1962.



ტესა ქელთა შეეჰვედრებ და შენცა ეგზომსა თუალსა, ოქროსა და მარგალიტსა გამოგიგზავნი, რომელ, თუ გწადდეს, ერთი ქალაქი ოქროისა ააგო და ზღუდენი თუალისანი უყო. შენ თუით განაღამცა საპატიოდ და გიჭირავ და თქუნეს ქუეყანასა მამულობით, მორჭმით და ახატად და გიწერ. ვიროს მმისაებრ და გიჭირავ და ჩემის გუარისა ცოლსა მივსცემ და მას ეგრე ვემზახები, რომელ საუკუნემდი თქუნისა სახელისა საწსენებელი იყოს (43, 20—29);

მომცემ სისარულსა და მაშინვე წამართმევ! თუ უკუდავებასცა შემასუამ, მაშინვე ერთსა ჭიქასა ნაღველსა უღონოდ მომცემ (137, 3—5) და მრავალი სხვა.

სანგრძლივი დროის განმავლობაში მყოფადი და კავშირებითის მწკრივები მომავალი დროის თხრობითი კილოს გაგებით პარალელურად იხმარებოდა, მაგრამ ისე, რომ კავშირებითის ხვედრითი წონა თანდათანობით მცირდებოდა, მყოფადისა კი შესაბამისად მატულობდა. ასე, მაგალითად, «ქელმწიფის კარის გარიგებაში» (XIV ს.)¹ მყოფადი კიდევ უფრო სშირია, ვიდრე «ვისრამიანსა» და «ვეფხისტყაოსანში» (შესაძლოა ეს ნაწილობრივ ძეგლის სპეციფიკურ ხასიათსაც მიეწეროს, მაგრამ ანალოგიური ხასიათის ადრინდელ ძეგლებში მყოფადის მწკრივი იშვიათად დასტურდება)², ხოლო «რუსუდანინში» კავშირებითის ხმარება თხრობითი კილოს ფუნქციით უკვე ძალზე იშვიათია და მომავალი დროის გამოხატვის ძირითად საშუალებას მყოფადი წარმოადგენს: «ზმნაში ასპექტის გამოხატვა არსებითად ახალი ქართულისებურია, თუმცა იშვიათად ძველი ფორმებიც გვხვდება».³

«რუსუდანინში» ზმნისწინიანი ფორმები აწმყოს გაგებით თითქმის აღარ გვხვდება (გარდა მიმართულების აღმნიშვნელი ზმნებისა), მყოფადთან ერთად საკმაოდ სშირად დასტურდება ხოლმეობითისა და მყოფადის კავშირებითის მწკრივებიც.

წოდებრივი კვლევა-ძიების თანახმად, «რუსუდანინი» XVII საუკუნეზე ადრე ჩანს შექმნილი. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მყოფადის წრის მწკრივები ამ დროისათვის ძირითადად უკვე ჩამოყალიბებულია. მაგრამ მყოფადის ფუნქციით კავშირებითი ჯერ კიდევ შეიძლება შეგვხვდეს. საგულისხმოა, რომ მომავალი დროის გამოხატვის ორივე ეს საშუალება ზოგჯერ ერთმანეთის გვერდით, ერთსა და იმავე ფრაზაშიაც კი გვხვდება; მაგალითად:

ენახოთ საეტლონო, თუ ანუ ჩვენ მივიდეთ უზიანოდ შინა და ანუ მშობელნი ჩვენნი და სასლელნი და გვხვდებიანო მშვიდობითო (405, 4)⁴;

წახდეს — ამასთან თქვენც თავს ნუ დაზოგავთო, და გაკეთდება და — ესეც გარდაიხდისო (413, 22);

¹ ე. თაყაიშვილი. ქელმწიფის კარის გარიგება, ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1920.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1965.

³ ი. გიგინეიშვილი. «რუსუდანინი» (გამოკვლევა, ერთვის გამოცემას), გვ. XXVI.

⁴ რუსუდანინი, ი. აბულაძისა და ი. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.



ოთხჯერ ომში გაუჭიბრდება, ასე რომე ღმთისაგან კიდევ მისი სიცოცხლე არავის ეგონოს; ერთხელ წამლისაგან ასრე გახდება, რომე სამს დღეს უსულოდ იდვას, განა ყველასაგან ღმერთი და იფარავს-მეთქი (419, 15);

სანამ შენ შინ მიხვიდოდე და იქაურს საქმეს დაიურვებდე და კიდევ აქ მოხვიდოდე, მე კი მოვკვდებიო და რაღას მარგებთ, რომ კიდევ მოხვიდეთო (477, 2);

რომელმან ღმრთიან ზაბუკმან ინებოს ამ გავსილისა მთვარისა ჯუფთობა, სხვას მოწიფულობას ნურას ეცდება, თვარა არცა რა ამ კლდეს გაეწყობა და ვერცა გამდელს შეუა (547, 6) და სხვა.

XVII საუკუნიდან მოვიდებული, კავშირებითი მყოფადის ფუნქციით კანტიკუნტადლა გვხვდება, თუმცა ძველი სისტემის ნაშთები საერთოდ კიდევ დიდხანს შემორჩა ენას და გამონაკლისის სახით დღევანდლამდეც კი მოაღწია.

საინტერესოა, რომ ცნობილი ქართველი გრამატიკოსი გაიოზ რექტორი 1789 წელს დაწერილ გრამატიკაში საჭიროდ თელის დამოძღვროს მკითხველი, მყოფადის ფორმები იხმარეთ და არა კავშირებითი: «ნუ იტყუ: მე შემდგომად და ვლიო, წარმოვიდე, არამედ: მე შემდგომად და ვლეე, წარმოვალ და სხუანი» (გაიოზ რექტორის გრამატიკა, გ 257). რომ ამ პერიოდში კავშირებითს ჯერ კიდევ იყენებდნენ მყოფადის ფუნქციით და მყოფადის პარალელურად, ეს კარგად ჩანს თეიმურაზ ბაგრატიონის წერილებიდან აკადემიკოს მარი ბროსესადმი; ¹ მაგალითად:

რადცა ჩემგან მონაწერები იყოს ხოლმე, კარგად, გულსმოდგინებით წაიკითხედე ორჯელ და სამჯერ და რომელსაც სიტყვას ანუ აზრს ვერ გაიგონებდე, მომწერდე, უფრო ადვილათ განგიმარტებ და ნათლად გიჩვენებ და ცხადად... ზოგს დასაბეჭდეს მე გამამართვინებდე და ეგრეთ დასაბეჭდინე, რომ ან მე და ან თქვენ არავინ დაგვზრახოს, რომ ფრთხილნი არ არიან ლიტერატურაშიო (გვ. 24);

და როდეს მოცალეულ ვიქმნე, გარდავთარგმნი ამას ქართულად, რათა ქართველთაცა წარიკითხონ ღირსსახსოვარისა მის კაცისა საქებლნი საქმენი სახსოვრად მისსა (გვ. 26).

შსვავს მაგალითებს შეიძლება შევხვდეთ კიდევ უფრო გვიან, XIX საუკუნის 60-იან წლებშიაც. მაგალითად, 1863 წელს ქურნალ «ცისკრის» რედაქციის ერთ-ერთ შენიშვნაში ვკითხულობთ:

ცმ სტატიის ავტორსა ვსთხოვთ, როდესაც სტატიას გზავნიდეს დასაბეჭდავთ, მდაბიურის ანუ გასაგონის ენით დასწერდეს, მაშინ უფრო დაუმაღლებთ ამ გვარის სტატიის გამოგზავნისათვის ².

ერთ-ერთ ცნობილ ხალხურ ლექსში, რომელიც «სხვათა მოჯამაგებობას» ეხება და, მაშასადამე, არც ისე შორეულ წარსულში უნდა იყოს შექმნილი, იკითხება:

¹ თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკადემიკოს მარი ბროსესადმი, გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა, თბილისი, 1964.

² რედაქციის შენიშვნა, ქურნალი «ცისკარი», № 10, 1863, გვ. 155.

თუ კურდღელი და იჭირო,
ტყავი — შენ, ხორცი — ჩვენაო,
და თუ მელასა და იჭერ,
ხორცი — შენ, ტყავი — ჩვენაო.

ამ ლექსში ერთსა და იმავე კონსტრუქციაში ერთ შემთხვევაში ნახმარი კავშირებითი (და იჭირო), მეორეში — მყოფადი (და იჭერ).

შყოფადისა და კავშირებითის პარალელური ხმარება დამახასიათებელია აგრეთვე გიორგი ლეონიძისათვის; მაგალითად:

ვიდრე ვწურავდე მწიფე რქაწითელს,
გულში სევდა ვერ გახელმწიფდე ბა.

ანდა:

როგორც ორაგულს კასპიის ზღვაში
არაგვის ჩქერი მოეწყურებდა,
ნაპირს ასკდება დაჭრილი ქვაში
და შეუღებონ მკერდი წულულებმა,
ისევე ვისწრაფი შენდა მარადღე,
მამულო, დაჭრილ სულისკვეთებით.¹

ამგვარი მაგალითები იმდროინდელი ვითარების ანარეკლია, როცა მყოფადი და კავშირებითი თავისუფლად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. დღეისათვის ამგვარი შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე კონსტრუქციაში პარალელურად იხმარება ორი სხვადასხვა მწკრივის ფორმა, ნორმალურად არ მიიჩნევა. მაგალითად, ჩვენთვის ცნობილია შემდეგი შემთხვევა: შექსპირის «მეფე ჰენრი მეექვსის» ერთი ადგილი ქართულად ასეა თარგმნილი:

რომ ან მთლიანად დავიბრუნო ჩემი ღირსება,
ან აქ საქმეთა კეთებაში მოვნახავ შევბას.

ამის გამო რეცენზენტები საგანგებოდ შენიშნავენ: აქ დრო შეუთანხმებელიაო². ცხადია, აქ დრო კი არ არის შეუთანხმებელი, მომავალი დროის გადმოსაცემად ფრაზის ერთ ნაწილში კავშირებითია ნახმარი (და ვიბრუნო), მეორე ნაწილში — მყოფადი (მო ვნახავ), რაც დღეს უკვე უფროს ეხამუშება.

ძველი ვითარების ანარეკლია ისიც, როცა თანამედროვე ქართულში აწმყოს ფუნქციით გვხვდება ფორმები, რომელთაც ასპექტის ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ დროის გაგება იცვალეს და აწმყოდან მყოფადში გადაინაცვლეს (ნახავს, ჰკითხავს, იტყვის, მოვა და სხვანი). მაგალითად, აწმყოა და არა მყოფადი ჰკითხავს ვაქას «ბასტრიონის» შემდეგ ფრაზაში:

¹ გ. ლეონიძე. შოთას გულიდან გამოვიძერწე (ლექსი): გაზ. «კომუნისტი», 23. IX, 1967.
² მ. ზაალიშვილი, თ. ჯანგულაშვილი. კეთილი შენიშვნები: გაზ. «ლიტერატურული საქართველო», 7. I, 1966.

ათრთოლებულის ხმით ჰკითხავს
 უცნობი უცნობს დიაცსა:
 — ვინა ხარ, ნეტარ, დედილო?
 ვისას რას მოსთქვამ ზიანსა? ¹

ქვე უწყვეტლის და არა ხოლმეობითის მნიშვნელობით გვხვდება ჰკითხავდა:

გულს იმჯილაედა, ჰკითხავდა
 ნანგრევებს ცრემლის დენითა. ²

შგვარი ფორმები ძველი მნიშვნელობით დაცულია მთის კილოებში და აქედან შესულან ისინი ვაქას ენაში. ძველი ვითარება ზოგჯერ დასაფლურ კილოებშიაც არის დღემდე შემორჩენილი. მაგალითად, გურულში ზმნა მუა (მოვა, მოვალს) გამოხატავს ჩვეულებრივ მომავალს, მაგრამ ზოგჯერ ახლანდელ დროსაც გვიჩვენებს, აწმყოს გაგებით იხმარება: «არ გასულა დიდი ხანი და დეინახეს, მღევი მუა» (= მოდის).

შგვარი მაგალითების რიცხვი შეიძლება კიდევ გაგვეზარდა, მაგრამ ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, რომ მომავალი დროის გამოხატვის მხრივ ძველი სისტემის ანარეკლი ახალ ქართულში აქა-იქ ჯერ კიდევ იჩენს თავს. მაგრამ ეს მხოლოდ გამოჩაქვს, ლიტერატურულ ნორმად კი დიდი ხანია იქცა მომავალი დროის გადმოცემა მყოფადის მწკრივით.

შგვარად, აწმყოს ზმნისწინიან ფორმებს მომავალი დროის შინაარსი დაუკავშირდა ძველ ქართულში თავდაპირველად ნუ ნაწილაკიან უკუთქმით ბრძანებითში. ძველ ქართულშივე გვხვდება ცალკეული შემთხვევები, როცა ზმნისწინიანი აწმყო, ნაცვლად კავშირებითისა, იხმარება მომავალი დროის თხრობითი კილოს გადმოსაცემად.

XI—XIII საუკუნეთა მანძილზე აწმყოს ზმნისწინიანმა ფორმებმა თანდათანობით დაკარგეს ახლანდელი დროის გაგება და გამოყენებულ იქნენ მომავალი დროის თხრობითი კილოს აღსანიშნავად. ამით მყოფადი უკვე დამოუკიდებელ მწკრივად იქცა. ამ მწკრივის ფორმები გაიჩინეს უზმნისწინო და ფუძემონაცველ ზმნებმაც.

შეოფადმა თანდათანობით წაართვა კავშირებითს მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოხატვის ფუნქცია. XVI საუკუნიდან კავშირებითი ამ ფუნქციით იშვიათადლა გვხვდება. მყოფადი საბოლოოდ იმარჯვებს. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მყოფადის ჩამოყალიბების პროცესი ამ დროისათვის პირითადად უკვე დამთავრებულია.

¹ ვაქა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, თბილისი, 1934, გვ. 143.

² იქვე, გვ. 142.

შუბეალა შანიძე

ქესავალი წერემ შცირის ფსალმუნთა თარგმანებისა

(ღექსტი და შენიშვნები)

1. ღექსტი

[C1] წ. შწვენითა უფლისა ჩუენისა ზესუ (ქრისტე)სითა.

ღაწყებაა მიზეზსა დ(ა ვითარებ)ასა, და თხრობაა წესსა და საწმარებასა წინა-მდებ(რი)სა ამის წიგნისასა, რომელ არს «თარგმანებაა ფსალმუნთაა»

[D] აღაცათუ კადნიერ არს ჟელ-[ყო]ფაა ესე, არამედ შესან[დ]ობელ [იუ]აენ 5
სწავლის-მოყუარე[თა] მიერ, რომელნი კეთილად მეცნიერ [არ]იან, ვითარმედ
(მ)ახლობელნი ბა[გი]თა, ხოლო შორიელნი ჳმითა და [უფ]როსლა მსხმნი და
წარ[მა]ვალნი * ქარტითა და მელ[ნითა] აუწყებენ ნათესავსა [მომ]ავალსა **
გულის-ზრახვა[თა] გულისა თვისისათა, რომელთა [თან]ა შერაცხილ იყუნ ჩუენ-
და[მო]¹ (შ)ენდობით ბრძანებული [ესე]² აღმწერელობაა, რაათა მე[ქმ]ნეს ჩუენ 10
აღწ(ერაა სიტ)ყუათაა [აღ]სარებ(ად) გულის-სიტყუათა. [ხოლო აღს]არებაა
გულის-სიტყუათაა [მიტყ]ევება ცთომილებათა [...]³ ესრეთ ზოგებით წარმო-
[ვითყო]დ(ი)თ უწყებასა [შინა მიზეზი]სასა სა(წმარების)ა[თუს...]⁴ ამის წიგ-
ნისა[მსა და] გან[.....]ებდ(ი)თ⁵ სიტყ(უ)[ათა...] ხ[.....]თა⁶
[...] (შ)[ე](ვ)ა... (ეთ)⁷ [...] იკო[...] (ნ)ოჲს[აჲ]თა [...] გან]აცხადოს⁸ (სიტ)- 15
ყუამან წინა-[მდებარე]მან, რომელი იწყებ(ის)⁹ ესრეთ: [ღიორგის]¹⁰ უკუე დიდ-
სა მას [სახელ-მო]დ(გ)ამსა¹¹ მუშაკობისასა] დ[ა მოუ]წყინებელად [მოქმედს]ა
ქრისტეს ვენაწისა[სა დიდი ღუა]წლი¹² (და შრო)მაა [თავს-ედვა]¹³ განა(ხ)ლე-
ბისა [თუს და ლად თარგმანებისა წიგნისა მის ფსალმუნთაჲსა]¹⁴ და არა ხოლო
ერთგზის, არამედ ორგზისცა ეთარგმნა იგი ბერძულს(ა)გან. და სსუათაჲე ნამუ- 20
შაკევეთა თუსთა ურიცხუებასა თანა ამათიცა ნაყო(ფთა) შუენიერებაა დაეუნჯა
ქართველთა ნათესაჲისა.

ტმისთსცა მე, უღირსმან ბრჭალმან პატიონისა მის გუამისა მისისამან,

¹ ჩუენდა[ცა] C. ² [ეს]ეC. ³ [რ]ქს C. ⁴ საწმარ(ები)სა[თს] წისაC. ⁵ გ-წ[ე]აზავედ(ეთ) C.
⁶ ს-ტყუა(ათა ს)ან[არ]ების(ათა) C. ⁷ და შ(ე)ვ[ა]მკობლეთ C. ⁸ [რ]ი აწ გ-წ[ა]ცხადოს C. ⁹ იწყე-
ბის C. ¹⁰ [გიორ]გის C. ¹¹ [სა]ხ(ე)ლმ(ო)დგამსა C. ¹² [დი]დ(ი ღუა)წლი C. ¹³ [თავს]ედ(ვა) C.
¹⁴ გ-წ[ა]ხ(ე)ლბ(ის)ათს [და უცთომ]ელად [თრგ]მანებისათს წიგნისა მის [ფსალმუნთაჲსა] C.
* ფს. 38, 13. ** ფს. 21, 31.




ბრძანებითა და ლოცვითა ბერისა ჩემისა საბა სულაჲს ძისა მუხარსლეოსა და მადლითა და მეოხებითა თვთ მისევე წმიდისა (მამისა) ლიორგი¹ შთაწმიდელი-საათა და ზოგად ჩუენ ყოველთა მამისა და წინამძღურისა ნფთ(ზ)მესითა კნინ ოდენი რაჲმე გულს-მოდგინებაჲ დავდევე, რაჲთა შევესძინო მის მიერ ახლად თარგ-
 5 მანებულსა წიგნსა ფსალმუნთასა წიგნი ესე მარგმანთა დავითისათაჲ, (რომ)-ლისა აღმწერელ არიან ტლექსანდრიით აღმობრწყინებულნი იგი ორნი მზენი ყოვლისა სოფლისანი ტთანასე და კვრილე სსუათავე თანა შემდგომთა მათთა.

ქოლო ამას რაჲ ვპყოფდ,² არა (თ)ვთ მოპოვნებულსა, არცა ჩემ მიერ ღონით განმზადებულსა, არამედ მისსავე მას მტკიცედ დადებულსა საფუძველ[სა]
 10 ზედა მაშენებელ ვიქმენ. ესე-იგი არს, რომელ ვიტყუ, ვითარმედ მუქლი ნავითისაჲ მის მიერვე თარგმანებული იგი არ(ს) ხ)არისხ საჰფიროვნისა და ჩემ მიერ [მას] ზედა შენებულ თა(რგმა)ნი მუქლისაჲ, ვითარცა [ზო]უედ პილოჲს ბუ[ალისა]³, [Cv]პლ მოქსენებულთა მათ წმიდათა მიერ აღწერილი ენასა ბერძენთასა შეწევ-
 15 ზედა-მდგომელობითა და საჭეთ-მპყრობელობითა მენავეთ-მოძღურისა ამის ჩემისაჲთა, რომელმან ესე მოუგო აფრად აღმართებულად მცირესა მას ჭუამალდ-სა უღირსებისა ჩემისასა, რაჲთა, ვითარცა-იგი წმიდათა მათ მღდელთმოდღუართა წინამძღურად სიტყუსა იჟუმის (ქ)ნარი იგი სიტყუათა ნავითისაჲ, ეგრეთვე მე მომემადლოს ძალ მწედ სიტყუათა მათთა თარგმანებისა ლოცვაჲ და მეოხებაჲ
 20 სათნობათა⁴ საუნჯისა მის მამისა ლიორგი⁵ შთაწმიდელისაჲ, რაჲმას არა ჩემსა, არამედ მის მიერ განმართებულსა მას ზედა საფუძველსა⁶ მტკიცესა ვიწყო შენებად და უნარჩევესობასა მოწუთობისა მისისასა კუალთავე მისთა მიდევნებითა ყოველთა შორის განცხადებად. ქოლო ვინაჲთგან შესავალად ნავითთა მისთა დაედვა მას შესავალი წმიდისა ტთანასეს «ნავითისა თარგმნისა», ამისთჳსცა მე
 25 არღარა მკადრე ვიქმენ წიგნსა ამას შინა დართვად მისდა, რაჲთა არა ორგზის თარგმანებულად საგონებელ იქმნეს, არამედ დაუტევე იგი მათ, რომელთაცა ენებოს სსუათა, უკუეთუ იპოვნენდა ვინ მოკლებასა ამას შინა ქამთა[სა] გარდამწერელნი ამა(თ ნავით)ისა თარგმანთანი, რაჲთა მათ (გ)ულს-იდგიონ შესავალიცა იქი ამასვე ადგილსა დაწერად, სადა-იგი უკუე წერილ არს [.....]
 30 და მაუწყებელ....] საწმარ(ებ)[ელობასა]....] და ჩემდა ესე(ც) [.....] წინა-მაუწყებელ გექმნეს სწავლის მოყუარეთა, თუ რაოდენნი არიან მარგმანება(ნი) ნავითისანი, ანუ თუ ჩუენი ესე მარგმანი ნავითისაჲ რაოდენთა წიგნთაგან ერთად შემოკრებულ არს.

საცნაურ იუაენ[ნ], ვითარმედ ვითარ-იგი პირველთა მათ ქამთა] არარაჲ
 35 აქუნდა სსუა[ჲ] საგალობელად საეკლესიო[დ] თვნიერ ფსალმუნთა წიგნისა, ვ[ითარ]-ესე აწ საცნაურ ჰყოფ[ენ] ეკლესიანი საპატრიარქ[ონი] და ყოველთა დიდთა დედა-ქალაქ[თანი], ეგრეთვე არცა რას სს[უასა] მეტყუელებდეს საეკლესიო-სა] წინამძღუარნი ეკლესი(ა)[თანი], არამედ რომელსაცა ფსალმუნსა ზედა დაე[მთხზ]ის ეკლესიად შესლვაჲ [წმიდათა]⁸ მათ მამათაჲ, იგიცა გამ[ოუ]თარგმან-
 40 ნიან ერსა — ვითარ-[იგი] ვისწავებთ წმიდისა ქასი[ლის] მიერ ადგილ-ადგილ თარგმანებულთა მათ ფსალმუნთა მიერ, ვითარმედ, [სა]დაცა რომელსაცა

1 გ-ი ტ. 2 ვ[იოფლებ?]დ ტ. 3 ან: ბუ[ალედი]. შდრ. ფს. 44, 9. 4 სათნბათა ტ. 5 გ-ი ტ. 6 საფუნძველსა ტ. 7 მაუწყე ტ. 8 წ[თა] ტ.



ფსალმუნსა ზედა და[ემ]თხუა ეკლესიად შესლ[ვაჲ] მისი, იგი(ცა გა)მოუთარგმან[ებულ]ნი¹ ერსა. Ⴀმის(თჳს)ცა ყ[ოველნი] ფსალმუნნი, ადგილ-ადგილ თარგმან[ებულ]ნი და ერთად წიგნად [შექ]რებულნი ენასა ბერ[ძენ]თასა, უნაკლულოდ [ითარგ]მნენს ენასა (ა)[მას] ¹ ჩუენსა] წმიდისა და ნეტარისა მ[ამისა]² Ⴀფთჳმ(ეს) მიერ. Ⴀა წ[მიდისა] Ⴀასილის] მიერ თარგმანებულ[ი სხუაჲ]³ არა არს, თჳნიერ მისა, რომელი]-იგი მოგუანიჲ(ა ჩუენ)⁴ [წმიდამან Ⴀფთჳმე][C2] [.....]⁵ და ყოველთა [თარგმანთა]მან⁶ და წ[ყარო]მან მეტყუელ[ე]ებისამან.

[ჴოლო სრულებ]ით მთარგმნელნი ფსალმუნთა [წიგ]ნისანი ესე არიან: Ⴀთანასის [ვიტყ]ჳ და ხჳრილეს, რომელთა-იგი ა[რ]ა ერთითა, არამედ Ⴀორითა [თარგ]მნითა უთარგმნია ყოველი მუ[ჯლი] Ⴀ[ავითის]აჲ: ერთი იგი შე-
 მოკლებულ]ად და ლიტონად მა[რ]ტივითაჲ და ლიტონთა, და მეორე Ⴀგი უფრცელესად და უ[ღ]რმე(ს)ად გამომეძიებელთა[თჳს] და [გულის]წმის-ყოფელთა. Ⴀრიან კუალად სსუანიცა მთარგმნელნი [Ⴀავითი]სანი: Ⴀესუქი ხუცესი სერუსალემელი⁷ და Ⴀსტერი ებსკო[პო]სი Ⴀმასიელი. ხუალად გუასმი[ეს] ვითეგანმე, ვითარმედ Ⴀოვანე Ⴀქ[როპ]ირისაცა მიერ თარგმნილ არს [Ⴀავითი ს]რულებით, გარნა არა [სრულად იპო]ების ყოველი, არამედ «მირის კა[ნონი]თგან» დაწყებული⁸ და ვიდრე [.....] მდე მიყვანებ[ული].....]უროდ⁹ აქუს [წმიდათა ეკლესი]ათა.

Ⴀრიან უ[კუე] სსუანიცა უმრავლესნი [პირველ მოწ]სენებულთასა მთარგმნელნი Ⴀავითი]სანი არა უეჭუელნი, არამედ ფრიად[ცა] საეჭუელნი. Ⴀა [მათოჳს] ესრეთ ვთ[ქ]ა, ვითარმედ ყოვლად უე[ჭუელნი] უღმრთობისა[თჳს] და [.....]ლნი წე[ა]ლებისათჳს [.....]თარგმან]ებანი ძუე[ლისა სჯულისანი] ფრიად (ღრმ)ა არიან [ძალითა და ა]მისთჳსცა შეწყნარებულ არიან ბერძენთა ნა[თესავეთა]გან, ვითარცა პირველ წვა[ლებ. . .]სა აღწერი[ლნი] იგი. . . .]ფაღნი¹⁰ [.....]ს ჩემდა [.....] ღრების¹¹ [.....] ავი¹² [.....] (მათ მიერ აღ)წერილი იგი თარგმანებაჲ წიგნისა მის ფსალმუნთაჲსაჲ, ვითარმცა წიგნებსა თანა წმიდათასა შევაერთე წიგნები მათი, რომელნი-იგი არიანოზთა და Ⴀოროგინიანთა თანა შეიჩუენებთან. Ⴀა ბერძენთასა მას შეწყნარებასა მათისა მის წიგნისასა მაქებელვე ვარ; რამეთუ მათ ძალ-უც წამლიანთაგანცა მწეცთა შემზადებაჲ წამლისა საკურნებელისაჲ. Ⴀა რომელნი-იგი ესოდენ სრულ არიან სიბრძნითა, რომელ წარმართთა მეკერპეთა სიბრძნესა წარმოსტყუენვენ სიმდიდრედ ეკლესიისა, რაჲ საკჳრველ არს, უკუეთუ მწვალებელთაჲცა რაჲმე კეთილად აღწერილი ძალად გულისწმის-ყოფისა იჳუმბონ¹³. Ⴀა ჩუენსა არავე მძაგებელ ვარ კრძალულებასა, რამეთუ «უძლურნი მწვალებელთა თანა ნუ ჳამენო,—იტყჳს ჩერილი, — ხოლო უკუეთუ ვითინიმე ძლიერ იყვენენ, სადიდებელად ღმრთისა მივიდოდენო». — ამასცა შესძინებს, და კეთილ! ზეთილ, რამეთუ მისღვაჲცა და არა-მისღვაჲცა წამებითა წმიდათათა არს და არა თჳთ-მჯულობით, არცა უწამებელად.

ღარნა მე, არა თუმცა სსუათა განგდებულთასა, არამედ ვერცაღა Ⴀევდორბიტესსა მას «მთარგმანსა Ⴀავითისასა» ჳელი შეეყაე მცირედისა მისთჳს სიტყჳს-გე-

¹ ამას] მ. ² მშისა ჩ[ნისა] მ. ³ (ს)ს(უ)აჲ მ. ⁴ ჩუენ]—მ. ⁵ სისარულ[ისა სესნამან] მ. ⁶ [თარგ]მანთა თუალმან მ. ⁷ [იშ]ლმელი Ⴀ. ⁸ კა[. . .] გნ [დავიწყ]ებული მ. ⁹ [ს]აზე(პ)უროდ მ. ¹⁰ [თვის]სუფაღნი მ. ¹¹ [კა]ღრებისა მ. ¹² [უ]ხილაგი მ. ¹³ იჳომბონ Ⴀ.



ბისა, რომელი იქმნა რეცა წინა-აღდგომით შორის მისსა და წმიდისა კვრთ-
 ლესსა, რომელი-იგი უკუანაასენელ დაიქსნა და უჩინო იქმნა, რაქამს [C]ვე-
 დორიტეს მიერვე შეიჩუენნეს ათორმეტნი იგი თავნი, რომელ აღ[დ]წერნეს
 მას წინა-აღსადგომელად ღმერთ-შემოსილისა ხვრილესსა). ნა ძევდორიტე
 5 ყოვლისავე [Cv]ბერძენთა ნათესავისა მიერ მამად მართლმადიდებლობისა შე-
 რაცხილ არს, ვითარცა სახელოვანი მთარგმნელობითა ყოველთავე ძუელისა შჯუ-
 ლისა წიგნთაათა და ყოვლით კერძო თანა-შემწე მართლმადიდებელთა.

1. არნა მე ვერეთცა ვპრიდევე და აღვრ-ვასხენ გულის-სიტყუასა თაფლებრ
 დამატკობელისა მისგან გონებათაჲსა «წალმუნთა თარგმნისა» მისისა და კმა-
 10 ვიყვენ მცირედნი ესე და შემოკლებულნი თარგმანნი უეჭუელობისათჳს და ღირ-
 სებისა სახელოვანთა მათ თარგმანთაჲსა. ნა რომელი ოდენ ვპოვე მართლმადი-
 დებელთა მიერ თარგმანებული სიტყუაჲ ნავითისი, ყოველივე ერთად წიგნად
 შევეკრიბე. სამეთუ რაოდენნიცა იყენეს წიგნის-საცავსა სვმეონ წმიდისასა
 «მარგმანნი ნავითისანი», ყოველივე დედად მქონდეს და ფრიადითა შრომითა
 15 მათ ყოველთაგან ერთად შევაერთე, რომელი ოდენ იპოებოდა მათ შინა მართლ-
 მადიდებელთა მიერ თარგმანებული. სამეთუ სხუად წიგნად მაქუნდა ტონან-
 სესი და სხუად ხვრილესი, ორნივე სრულებითნი და შემოკლებითნი «მარგ-
კმა ესერა გაქუს ¹⁹, სწავლის-მოყუარეო ²⁰, დაღაცათუ არა სრულებითი, არამედ ზოგებითი რამე გულისქმის-ყოფაჲ სიტყუათაჲ, რომელნი ღმრთისათვს ჯორციელად ითქუმიან და სულიერად გულისქმა-ყოფებიან.

ამს თანა ამასცა მეცნიერ იყავ, ვითარმედ ესრეთ აქუს ჩუეულებაჲ წიგნება ბერძენთასა, რაჲთა ანბანსა ზედა განაწყობდენ უოველთავე სიტყუათა გამოსამიებელთა და ღრმათა, რაჲთა ადვილ იყვენს საპოვნელად. ნა წიგნსა მას «ზექსიკონ» უწოდენ, რომელ არს ლექსთაჲ, ესე-იგი არს ღრმათა სიტყუათაჲ. ნა თითოეულსა წიგნსა — გარეშეთა გინა საეკლესიოთაგანსა — უოველივე ღრმაჲ და გამოსამიებელი სიტყუაჲ ანბანთა ზედა [45] განწყობილი და შეკრებული თავად და შესავალად წიგნისა უწერია, უკუეთუ ოდენ გამომეძიებელ და გულისქმის-მყოფელ უოფილ იყოს მომგებელი წიგნისაჲ, რომელთა კუალსა შედგომითა კნინი ესე სახე ჩუენცა გიჩუენთ ითქუნ.

¹ დამბადებლობისა კ, ო ჩამატებულია ზევიდან ტექსტის სელით, დამბადებლობისა კ, დამბადებლობისა კ. ² უფლისა] ღ-თისა კ. ³ იგი მისი] მისი იგი კ. ⁴ ვმასა]-შუჩ, ხ. ⁵ დაბადებულთა[.] კ, დაბადებულსა შუჩ, ხ. ⁶ ანგელოსთა შუჩ, ანგელოზთა ხ. ⁷ კაცთასა ხ. ⁸ წმიდათა შუჩ. ⁹ წყუ-ლთასა კ. ¹⁰ მოციქულთა შუჩ, ხ. ¹¹ უოველთა კ. ¹² დაფარულებასა კ. ¹³ შ-დმლოთა კ. ¹⁴ სახელ-იდების და]-კ. ¹⁵ იგი თავადი თავადი იგი კ. ¹⁶ შეცველ კ. ¹⁷ მშჯავრთა]+მისთასა კ. ¹⁸ მისთასა]-კ. ¹⁹ გუქუს კ. ²⁰ სწავლი-მოყუარეო კ.

* ნაბ. 1,26. ** კს. 28,7. *** კს. 18,2.

ღმით სახითა¹ განწყობილ არიან სიტყუს-გებანი მწვალებელთანი წმიდათა² მამათა და მნათობთა მათგან ყოვლისა სოფლისათა ღასილი³ ხესარიელისა და ღრიგოლი იმრთის მეტყუელისა და ჴონანე ჴამასკელისა, რაათა რაქამს ჴრსე-ბისათჳს სიტყუა-ვიგებდენ წინა-აღმდგომნი, მყის ჴნისაგან სიტყუა-უგო, ხოლო ჴუნებისათჳს — ჴანისაგან და ჴუამისათჳს — ჴანისაგან. ჴა⁵ ესრეთ ადვილ იყოს საქმარებელად ქამსა ჴირისასა ანბანსა ჴედა განწყობილი იგა წიგნები წმიდათა.

ღმითვე სახითა აღუწერიან თჳსნი ლექსიკონნი ღრმა[ღ]თა სიტყუათათჳს ბერძულთა ხოსტანტინე მეფესა სორფზროგენიტსა³ და დიდსა ხზრილეს ჴლექსანდრიელსა, რაათა რაქამს ეძიებდეს უმეცარი, თუ რაჲ არს შყისი ანუ შრჩობლი, შანსა შინა განუმარტონ, ვითარმედ შრჩობლ ეწოდების⁴ ორკეცსა, ხოლო შყის — ანაზდაითსა⁵. ჴა ესე აქამომდე იყავნ.

ჴოლო, რაათა ესეცა ცხად იყოს, სწავლისაებრ წმიდათა წერილთაჲსა, ვითარმედ თჳს არს წინაჲსწარმეტყუელისა არა ხოლო ყოფადთა⁶ საქმეთათჳს წინაჲსწარმეტყუელებჲა, არამედ მის ქამისათა და გარდასრულთაცა⁷ საქმეთა წარმოთქუჲა, ვითარ-იგი ღმრთის-მხილველმან შოსე იწყო სიტყუად ღმრთივ-სწაველულსა მას მისდა დასაბამსა⁸ სოფლის შესაქმისასა⁹ და მოიყვანა სიტყუად თჳსი მის ქამისასა¹⁰ მას თანა ფარაოჲს მძლავრებასა და შეუდგინა გამოსლვაჲ ძეთა ისრაელისათაჲ მოკლებითურთ ჴორცისაჲთ¹¹ და მოცემით¹² მანანაჲსაჲთ¹³; მიეჩრთვან იწყო მოსწავებად ყოფადთა, მოსლვასა მეუფისა ჴრისტესსა¹⁴ და განთესვასა ჴურიათასა და ცხორებასა წარმართთასა.

ღრეთვე ჴყოფს ღმრთივ-აღძრულიცა ესე ქნარი სიტყუათა ჴავითისთაჲ: ყოფადთათჳს წინაჲსწარმეტყუელებს და გარდასრულთა ქველის-მოქმედებათა ღმრთისათა მოიქსენებს; მის ქამისათა მათ წარმოიტყუს და შემდგომად მრავალ-თა ქამთა აღსრულებადას ვითარცა აღსრულებულსა წარმოაჩინებს. ჴრა ხოლო წინაჲსწარმეტყუელებითთა სიტყუათა იქუმევს, არამედ მოძღურებითთაცა და სწავლითთაცა, შჯულის-ღებითთა და მცნებითთა. ოდესმე ჴურიათასა ეგლოფს განგდებულებასა და ოდესმე წარმართთასა იხარებს მოწოდებასა მრავალ-მოქცე-ვობითა¹⁵ წინაჲსწარმეტყუელებისაჲთა¹⁶, მსმენელთა¹⁷ გულსა¹⁸ გულისქმის-ყოფად განაქრძალებს და ვნებათა და აღდგომისა¹⁹ ჴრისტესისა მოსწავებითა წინა-აღმდგომთა ჴრახვასა განაქარევე[ღ]ებს²⁰.

ღა ამას ყოველსა თანა სახარულევან და ტკბილ ექმნების ყოველთა მუქლე-დად²¹ იამბიკოდ შემოკლებითა სიტყუსაჲთა. რამეთუ უმრავლესთა ფსალმუნთა რიცხუედობაჲ და მარცხუედობაჲ ცხად არს საფსალმუნეთა შინა ებრა-ელთასა, დაღაცათუ სსუათა ენათა შინა ვერ დაუცავს თარგმინთა რიცხვ მარცხულისაჲ. ჴომლისათჳსცა გუასმიეს უბადრუკისა ჴპოლინარისთჳს, ვითარ-მედ ბერძულად ესევითარითა სიტყუთა აღწერა²². ჴავითი, რომელ ძალი არა დაშთებოდა, არცა კუალად განიყოფებოდა სსუათა ჴავითთა ძალისაგან. ჴა იამბიკოდ თორმეტ მარცხუედობაჲ ყოვლისა მუქლისაჲ არცა აღემატებოდა, არცა

¹ სახით ღ. ² ბასილის ღ. ³ პორფზროგენიტსა ღ. ⁴ ი ჩამატებულია ტექსტისავე ხელით. ⁵ ეწო-ღებს ღ. ⁶ ანაზდაითსა ღ. ⁷ ყოფადთა ღ. ⁸ გარდასრულთაცა ღ. ⁹ დასაბამსა] + მის ღ. ¹⁰ შესაქმისსა ღ. ¹¹ ქმისსა ღ. ¹² ჴორცისაჲთა ღ. ¹³ მოცემითა ღ. ¹⁴ მანანაჲსაჲთა ღ. ¹⁵ ქს მფ-ისსა ღ. ¹⁶ მოქცე-ობითა ღ. ¹⁷ წყულებისაჲთა] + და ღ. ¹⁸ მენელთა ღ. ¹⁹ ეს სიტყუა ჩამატებულია ღ-ში. ²⁰ აღდგო-მისა ღ. ²¹ განაქარევე/ებს ღ. ²² მუქლეულად ღ. ²³ აღ-წერა ღ.



რიოთგანი¹ ვიდრე სამეოცდამეათერთუმეტედმდე² მეორედ; და მიერითგან³ ვიდრე ოთხმეოცდამერვედმდე მესამედ წიგნად; და მიერითგანი ასდამეცხუთედმდე მეოთხედ; და მიერითგანი ასორმოცდა მეთაღმდე მესუთედ წიგნად.

ჴოლო ბერძენთა და ქართველთაჲ წიგნი ფსალმუნთაჲ ყოველივე სწორ არს და ერთ წიგნ შეწევნითა ღმრთისაჲთა და მოსწრაფედ მოღუაწებითა დიდისა მის მნათობისა ჴიორგი³ შთაწმიდელისაჲთა, ვინაჲცა მისითავე ლოცვითა და მადლითა ბერისა ჩუენისაჲთა ყოველსავე ამას შავითისა თარგმანსა შინა არცა ერთსა მუჴლსა სადა ეჴმარა ცვალებაჲ, არამედ მისივე თარგმნილი მუჴლი დავწერეთ მის მიერითა ოხითა⁴ განმჴნობილთა. ძომლისა იჴაჴნ საუკუნოჲ ნეტარებაჲ და ჴსენებაჲ მისი! ამინ⁵.

II. პენიშვნები

ღერემ მცირის ორიგინალურ თხზულებათაგანია შესავალი, რომელიც მან წარუმძღვარა მის მიერ ქართულად გადმოღებულ ფსალმუნთა თარგმანებას. მისი სათაურია: «უწყებაჲ მიზეხსა და ვითარებასა, და თხრობაჲ წესსა და საქმარებასა წინა-მდებარისა ამის წიგნისასა, რომელ არს «თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ». ეს თხზულება, რომელიც (ისევე, როგორც თარგმანება მთლიანად)⁶, 1080 წლამდეა დაწერილი, ბრწყინვალე ნიმუშია იმდროინდელი ქართული სალიტერატუროსი და სამეცნიერო ენისა. გარდა ამისა, იგი უაღრესად საყურადღებოა, როგორც ისტორიული ძეგლი: «შესავალი» მნიშვნელოვანი დოკუმენტია ქართული მეცნიერული აზროვნების ისტორიის; იგი გვაცნობს როგორც თვითონ ეფრემის, ისე სხვა ქართველ მოღვაწეთა მთარგმნელობით მუშაობასა და მის მეთოდებს; ამ თხზულებაში მოცემულია ცნობები ფსალმუნის ტექსტის ქართულად თარგმნის შესახებ. გარდა ამისა, ეფრემის ამ ნაწარმოებს გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართული (და რამდენადმე ბიზანტიური) ლექსიკოგრაფიის ისტორიის შესასწავლადაც.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არა ერთგზის ყოფილა მსჯელობა ამ თხზულების დიდი მეცნიერული ღირებულების შესახებ, მაგრამ ყოველმხრივ შესწავლილი იგი დღემდე არ არის. პირველი ცნობები შესავლის ტექსტის უძველესი ხელნაწერის შესახებ ეკუთვნის თ. ქორდანის⁷. ე. თაყაიშვილმა სამეცნიერო მიზნით მოიარა სამეგრელო 1913 წელს, მარტვილშიც იყო და აღწერა იქაური ხელნაწერები, მათ შორის ფსალმუნთა ორი თარგმანება, რომელთაგან ერთი (მეოთხე ნომრად აწერილი) გადაწერილია 1091 წელს. ამ ხელნაწერთა აღწერილობასთან ერთად ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა თარგმანების ავტორის — ეფრემისა და გადაწერის — იოანე მთავარაჲსძის ანდერძები⁸. მანვე გამოაქვეყნა პირველად ფსალმუნთა თარგმანების შესავლის ტექსტი⁹. ე. თაყაიშვილთან

¹ ამიერიოთგანი 4. ² ასეა 4.
³ გ-ი 4. ⁴ უხითა 4. ⁵ სწერია სრულად 4-ში. ასეთივე სრული დაწერილობა არის C-ში «თარგმანების» ტექსტის ბოლოს (233v).
⁶ ე. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 237.
⁷ თ. ქორდანია, ქრონიკები, I, 1892, გვ. 214.
⁸ ე. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში («ძველი საქართვე.» III ტ. განუ. I, გვ. 81—82).
⁹ შესავალი ეფრემ მცირის შრომისა «თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ»: ძველი საქართველო, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, 1914, განუ. I, გვ. 243—269.



ერთად მუშაობაში მონაწილეობას იღებდა პ. ინგოროყვა, რომელმაც მარტვილის ხელნაწერის ტექსტი გადაწერა და წარუწინილი ადგილების წაკითხვები ვარაუდით აღადგინა. ეს გამოცემა ბოლონაკლულია: თხზულების დასასრული არ არის არცერთ იმ ხელნაწერში, რომელიც მათ ჰქონდათ ხელთ. ტექსტის ბოლო ნაწილი (ჩვენ გამოცემის გვ. 98,3—99,10) გამოაქვეყნა რ. ბლექმა¹ იერუსალიმის ხელნაწერის მიხედვით.

ღირევე ზემოთ აღნიშნული გამოცემა დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. გარდა ამისა, ნუსხები, რომელიც ე. თაყაიშვილმა გამოიყენა მარტვილის ხელნაწერის ნაკლული ადგილების შესავსებად და რომელთა მიხედვით გამოსცა მნიშვნელოვანი ნაწილი ტექსტისა, XIX საუკუნისაა: მათში ენის ნორმები ძალზე შერყენილია და ტექსტიც ალაგ-ალაგ დამახინჯებული.

ამჟამად ჩვენ საშუალება გვაქვს გამოვიყენოთ იერუსალიმის ხელნაწერიც, რომელიც ძალზე ახლოა უძველეს ტექსტთან ენობრივად და რედაქციულად, და ზოგი სხვა ნუსხაც; ამიტომ საჭიროდ მივიჩნით ხელახლა გამოვაქვეყნოთ «ფსალმუნთა თარგმანების» შესავალი ყველა ხელმისაწვდომი ნუსხის მიხედვით.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ე ბ ი

«ფსალმუნთა თარგმანების» შესავალი მოღწეულია ჩვენამდე რამდენიმე ხელნაწერის სახით, რომელთაგან ყველა ნაკლულია ამჟამად, ან გადაწერილია უკვე ნაკლული დედნიდან.

«შესავალი» სრული სახით წინ უძღოდა «ფსალმუნთა თარგმანების» ეფრემისეულ ტექსტს. გარდა ამისა, «შემოკლებული თარგმანების» ხელნაწერებში შეტანილია ამ თხზულების ერთი ნაწილი (ლექსიკონი).

ბ. ჩეკელიძის მიხედვით, ეფრემისეულ თარგმანებას შეიცავს შემდეგი ხელნაწერები: ა) პეტერბურგის სააზიო მუზეუმისა, № 137; ბ) გელათის ხელნაწ. № 29, გ) საეკლესიო მუხ. № 14, დ) მარტვილის, ე) ჯრუჭისა და ვ) იერუსალიმის № 1². დასახელებულ ხელნაწერთაგან უძველესია მარტვილისა (C ჩვენი გამოცემით), რომელიც, ისევე, როგორც იერუსალიმის ხელნაწერი (4), მართლაც შეიცავს ეფრემის თარგმანებას. C და 4-ს სათაურში ნათქვამია, რომ თხზულების მთარგმნელი არის ეფრემი: «წმიდათა და ნეტართა მამათა ჩუნთა ოლექსანდრიელ მთავარებისკობოსთაჲ ოთანასესი და ხვრილესი და სხუათა შემდგომთა მათთაჲ მარგმანებაჲ ფსალმუნთა წიგნისაჲ, რომელ არიან ასორმოცდაათნი ფსალმუნნი ოავითისნი, ხოლო ბერძულისაგან ქართულად ითარგმნა ნეტარისა მამისა ეფრემის მიერ» (C 8r, 46v).

პეტერბურგის სააზიო მუხ. ხელნაწერი (ამჟამად სსრკ-ის მეცნ. აკად. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფ. ხელნაწ. H—18) რამდენიმეჯერაა აღწერილი³. ამ ხელნაწერის სათაური განსხვავდება C4-ს სათაური-

¹ რ. ბლექიკი. «ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან»: მიმოხილველი, 1, 1926, გვ. 159—160.

² ვ. კეკელიძე. ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, გვ. 8.

³ პირველი აღწერილობა ეკუთვნის მ. ბროსეს (წიგნში: B. Dorn, Das Asiatische Museum.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საგან; მასში აღნიშნული არაა, რომ იგი ღერემის ნათარგმნია: «წმინდა ნეტართა მამათა ჩუენთა აღექსანდრიელ მთავარებისკობოსთაა ტონასესი და ზურილესი და სხუათა წმიდათა «მარგმანებაჲ ფსალმუნთა წიგნისაჲ», რომელ არიან (ას)ორმეოცდაათნი ფსალმუნნი დაფითისნი». მიუხედავად ამისა, თარგმანების ტექსტი, როგორც აღნიშნულია ე. მეტრეველის აღწერილობაში, ეფრემს ეკუთვნის, ტექსტის დასაწყისიც, რომელიც აღწერილობაშია მოყვანილი, თითქმის სიტყვა-სიტყვით ემთხვევა Ⴀ-სას. თარგმანების შესავალი ამ ხელნაწერს აკლია.

ბ. ზეკელიძის მიერ დასახელებულ ხელნაწერთაგან ყველა არ წარმოადგენს ეფრემისეულ თარგმანებას. საეკლ. მუზ. № 14 ხელნაწ. (ბ ჩენი გამოცემისა) შეიცავს ეფრემის შრომისაგან შედგენილობისა და მოცულობის მიხედვით განსხვავებულ ტექსტს და სათაურიც სხვაგვარი აქვს: «სიტყუანი ფსალმუნთანი, შემოკლებით თარგმანთაგან გამოკრებულნი მრავალთა წიგნთაგან». ¹ ამავე ტიპისა უნდა იყოს გელათის ხელნაწ. № 29 (ამჟამად — ქუთაისის სახ. მუზეუმის № 29 ხელნაწერი). ეს ხელნაწერი, რომელიც XIII—XIV საუკუნისაა, თავ-ნაკლულია; მაგრამ ცალკეულ ფსალმუნთა თარგმანების დასაწყისები, რომლებიც აღწერილობაშია მოყვანილი ², ბ-სას ემთხვევა.

ჯრუჯის ხელნაწერს ვერ მივაგენით; ეს არის ე. თაყაიშვილის გამოცემის B ხელნაწერი. გამომცემელი წერს მის შესახებ, რომ იგი C-საგან (ჩვ. გამოცემის ბ-საგან) მხოლოდ ორთოგრაფიით განსხვავდება ³.

ღარდა ზემოთ ჩამოთვლილებისა, «შემოკლებული თარგმანება» გვაქვს ხელნაწერთა ინსტიტუტის S—1472(ღ), Q—558(ჩ) და Q—675(ბ) ხელნაწერებში (აღწერილობა ნახე ქვემოთ). იმავე ხასიათის ტექსტი, ოღონდ უშესავლოდ, მოიპოვება ხელნ. ინსტიტუტის H—815, Q—38-სა და ქუთ. მუზეუმის № 417 ხელნაწერებში.

1846). А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, II, 1889, гл. 46; т. ქორღანიი. ქრონიკები, I, 1892, გვ. 128. გარდა ამისა, ჩვენ ხელთ გვექონდა გამოუქვეყნებელი აღწერილობა ე. მეტრეველისა, რომელიც ავტორმა გაგვაცნო (ამისთვის მალლობას მოვასხენებთ). ამ ხელნაწერის შესახებ კ. ჯეკელიძე სხვაგანაც მსჯელობს (კ. ჯეკელიძე, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმურნელისაჲ, 1920, გვ. XIV), ოღონდ აქ ის არ ამბობს, რომ თარგმანების ტექსტი, რომელსაც ეს ხელნაწერი შეიცავს, ეფრემს ეკუთვნის. ეს ხელნაწერი ნახსენები არაა ეფრემისეული თარგმანების ხელნაწერთა შორის, არც მისი «ქართული ლიტერატურის ისტორიის» I ტომში, რომელიც 1960 წ. გამოვიდა. ამ ნაშრომში ნათქვამია, რომ არსებობს ეფრემის ფსალმუნთა თარგმანების ოთხი ხელნაწერი: მარტვილისა (ოღონდ ამ ხელნაწერის ნომრად Q-37-ის მაგიერ შეცდომით მითითებულია S-37), გელათისა, ჯრუჯისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის A-14 (გვ. 257).

¹ ხელნაწერი აღწერილია თ. ქორღანიას მიერ (Описание рукописей... церковного музея, I, გვ. 10). თ. ქორღანიას ამ აღწერილობაში არ მოჰყავს არც სათაური ხელნაწერისა, არც ტექსტის ნიმუში, ოღონდ ამბობს, თარგმანება, ალბათ, ეფრემს ეკუთვნისო. შესაძლოა, კ. ჯეკელიძე სწორედ ამ აღწერილობამ შეიყვანა შეცდომაში.

² ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, შედგენილი ე. ნიკოლაძის მიერ. ქუთ. 1953, გვ. 119.

³ ძველი საქართველო, III, გვ. 242, 253.



«შემოკლებული თარგმანების» ტექსტი, როგორც მისი სათაურიდანაც ჩანს, სხვადასხვა წიგნიდანაა გამოკრებული; ეფრემის შრომა მის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს (თვითონ ამ თხზულებათა ტექსტების ურთიერთდამოკიდებულებათა შესახებ მსჯელობა სხვაგან ვეყენება). ეფრემის თარგმანების შესავლიდან «შემოკლებულ თარგმანებაში» შეტანილია მისი ერთი, შუა ნაწილი.

სმრიგად, ჩვენს განკარგულებაში ამჟამად არის «ფსალმუნთა თარგმანების» შესავლის ექვსი მეტ-ნაკლებად სრული ნუსხა, რომელთა მოკლე აღწერილობას აქვე ვიძლევი.

C

ეს ხელნაწერი წინეთ ეკუთვნოდა მარტვილის მონასტერს და აღწერილია ე. თაყაიშვილის მიერ, როგორც მარტვილის ხელნაწერი № 4¹. ის ნაწილი ხელნაწერისა, რომელიც «შესავალს» შეიცავდა, ე. თაყაიშვილს გამოუცალკევებია და თბილისში ჩამოუტანია². შემდეგ «შესავლის» შემცველი ნაწილი შევიდა საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების კოლექციაში H—1758 ნომრით³. მარტვილის ხელნაწერის ძირითადი ნაწილი მუზეუმს გადმოეცა უფრო გვიან და Q—37 ნომერი მიიღო⁴. ამჟამად H—1758 და Q—37 ხელნაწერები შეერთებულია (ხელნაწერთა ინსტიტუტის Q—37).

ს არის უძველესი ნუსხა ეფრემის ფსალმუნთა თარგმანებისა. იგი გადაწერილია 1091 წელს ნუსხიდან, რომელიც იმავე გადამწერს დაახლოებით თერთმეტი წლის წინეთ (1080 წელს) დაუწერია თვითონ ეფრემისათვის: ეფრემი თავის ანდერძში ამბობს⁵: «წაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი ჭაფსა მთასა, სანახებსა წმიდისა სუმეონისსა, მონასტერსა მამისა უზრახსა, ჳელითა [ოვანე] ხუცისა შთავარაჲს ძისაჲთა. Ⴀფალმან მიეცინ სასუიდეღი გულსმო[დგინელ] წერისაჲ... ჸრონიკონი იყო E. Ⴀფალო ღმერთო, შვიწუაღენ... Ⴀნტონი Eბელი და ხზრიკე Ⴀლექსანდრ[იელი, რომელნი სიტყუთ] და საქმით ძალ-მწე მეყვენეს თარგმნასა ამის წიგნისასა...» (323v). გადამწერის ანდერძში ნათქვამია: «ოფრემ თარგმნისა მიერ ზემოწესენებულმან და პირველისა წიგნისა მისთჳს დამწერელმან, Ⴀოვანე ხუცესმან შთავარაჲსქემან ესე აწ ჩემთჳს გარდამოვიწერე, ვითარ ვჳგონებ უნაკლულოდ და მართლად... ჸრონიკონი იყო ETC. წაიწერა ხასტანას, Ⴀფრემის მამობასა» (324r).

ეს ხელნაწერი ერთ-ერთი პირველთაგანია ჩვენთვის ცნობილთა შორის, რომლის საწერ მასალად ქაღალდი გამოყენებული⁶. მაგრამ სწორედ ამიტომ ხელნაწერი, რომელიც, ეტყობა, ცუდ პირობებში ყოფილა შენახული, ძალზეა და-

¹ ე. თაყაიშვილი. არხელოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში; ძველი საქართველო, III, განუ. I, გვ. 81.

² იქვე, გვ. 242.

³ ხელნაწერთა აღწერილობა, H კოლექცია, ტ. IV.

⁴ ხელნაწერთა აღწერილობა, Q კოლექცია, ტ. I, შედგენილი ე. მეტრეველისა და ქ. შარაშიძის მიერ. 1957, გვ. 43.

⁵ იგივე, გვ. 44. აღწერილობაში ეს ანდერძი გადამწერისადაა მიჩნეული.

⁶ შდრ. ი. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, 1951, გვ. 38.

ზიანებული. იგი დალაქავებულია ნესტისაგან; მისაკისფერი მელანი ალაქ-ალაქ ბალზეა ამოხუნებული, ზოგან კი სულ ამომქრალა. განსაკუთრებით გაფუჭებულია სწორედ პირველი ფურცლები, რომლებზეც შესავლის ტექსტია მოთავსებული. ზოგი ფურცლის კიდეები ისეა შემოჭმული და დასეული, რომ ცალკეულ სვეტებში (ტექსტი ნაწერია ნუსხური ხელით ორ სვეტად) მთლიანადა დაკარგული სტრიქონების დასაწყისი ან ბოლო ნაწილები. ზოგიერთი სვეტის თავსა და ძირში სტრიქონები ისეა გადალეული, რომ ტექსტის ამოკითხვა შეუძლებელია. განსაკუთრებით დაზიანებულია პირველი ორი ფურცელი: 1ra,vb და 2ra,vb¹.

თარგმანების შესავალს უჭირავს 1r—7v². ტექსტი ნაკლულია. შემორჩენილია შესავლის წინა ნაწილი და ლექსიკონის დასაწყისი («ადგილ ღმრთისა» — «ბეჭ-საშუალ ღმრთისა»-მდე): ეს ნაწილი წყდება 4v-ზე. 4v-5r-ს შუა ხელნაწერს აკლია არანაკლებ სამი ფურცლისა: 5rv-ზე მოთავსებულია ლექსიკონის ნაწილი «რქა ცხორების» — «ფერჯ ღმრთისა» 89,12—91,16); შემდეგ აკლია ერთი ფურცელი. 6r—7v-ზე თავსდება ლექსიკონის ბოლო («ყურ ღმრთისა»-დან) და შესავლის დასკვნითი ნაწილი (93,21—98,3). ამის შემდეგ C-ს აკლია კიდევ ერთი ფურცელი. ამრიგად, ხელნაწერის იმ ნაწილს, რომელიც თარგმანების შესავალს შეიცავს, აკლია, სულ მცირე, ხუთი ფურცელი. უფრო ზუსტად განსაზღვრა დანაკლისისა არ ხერხდება, რადგან «შესავლის» ტექსტის ერთი ნაწილი—ლექსიკონი («ბეჭ-საშუალი»-დან «ელვა»-მდე) არცერთ ამჟამად ჩვენთვის ცნობილ ხელნაწერში არ მოიპოვება. ეს ნაწილი ერთი ფურცელი უნდა ყოფილიყო. თხზულების სათაური მხოლოდ ამ ხელნაწერშია დაცული³.

ეს ხელნაწერი გამოყენებული აქვს ე. თაყაიშვილს თავის გამოცემაში (A). როგორც ჩანს, ხელნაწერი იმ დროს უკეთეს მდგომარეობაში ყოფილა, კიდეები ისე შემოცრეცილი არ იყო, როგორც დღეს არის; ზოგჯერ თავი და ბოლო სტრიქონებისა, რომელიც მაშინ ოდნავ მაინც იკითხებოდა, დღეს სულ აღარ არის ხელნაწერში⁴.

¹ ხელნაწერი ამჟამად რესტავრაცია-ქმნილია, ფურცლები გამაგრებულია.

² ასლანდელი პაგინაციის მიხედვით, რომელიც აღწერილობაში გამოქვეყნებულს არ ეთანხმება (პაგინაცია შეცვლილია H—1758 და Q—37 ხელნაწერების შეერთების გამო).

³ ეს ვრცელი სათაური, რომლის მსგავსი ეფრემს სხვაგანაც აქვს ნახმარი («უწყება მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიქნენების». ტექსტი გამოსცა... თ. ბრეგაძემ, 1959), სრული სახით თხზულებაში არ იხმარება. ერთგან ეფრემი წერს: ზოგებით წარმოვიტყუოდეთ უწყებასა შინა მიზეზისასა 77,18. სხვაგან კი იგი შრომის ძირითადი ნაწილის წინ წამძღვარებულ ტექსტს «შესავალს» უწოდებს (თავისასაც და სხვისასაც): წინა შესავალსა ამის წიგნისა ჩუენისასა დაწერა 82,37; შესავალად წიგნისა უწერია 96,28; შესავალად დავითთა მისთა დაეღვა შესავალი წმიდისა ათანასეს დავითისა თარგმნისა 78,24. ამიტომ ჩვენც სიმოკლისათვის თხზულებას «შესავალს» ვუწოდებთ.

⁴ ისეთ შემთხვევებში, როდესაც C-ს ტექსტი ამჟამად ნაკლულია ან სულ აღარ იკითხება, ხოლო ე. თაყაიშვილის გამოცემაში წაკითხულია პ. ინგოროყვას მიერ, შესაბამისი მონაკვეთები ტექსტისა სქოლიოებშია ჩამოტანილი და C ლიტერით აღნიშნული. ე. თაყაიშვილის გამოცემის ზოგიერთი ადგილი სქოლიოებში ზოგჯერ ნაჩვენებია მაშინაც, როცა ჩვენი ვარაუდი ტექსტის აღდგენისა განსხვავებულია პ. ინგოროყვას წაკითხვისაგან. სწორ ფრჩხილებში ჩასმულია დაკლებული ადგილების. სავარაუდო წაკითხვები, მრგვალ ფრჩხილებში — ის ნაწილი ტექსტისა, რომელიც ძნელად იკითხება.

ამ ლიტერით აღნიშნულია იერუსალიმის საპატრიარქო წიგნთსაცავის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ხელნაწერი № 1¹.

ხელნაწერი აღწერეს რ. ბლეიმა² და ნ. მარმა³. რ. ბლეიკის დათარიღებით, ხელნაწერი XIII საუკუნისაა⁴. ხელნაწერი შეიცავს ფსალმუნთა თარგმანების ეფრემისეულ რედაქციას შესავლითურთ. «შესავალი» თავ-ნაკლულია; აკლია თვითონ თარგმანებასაც; თარგმანების ფურცლები ძალიან არეულადაა აკინძული, რაც რ. ბლეიკსაც აღუნიშნავს.

«თარგმანების შესავალს» უჭირავს ხელნაწერის 1r—6r⁵. ტექსტი იწყება სიტყვებით: «[მხოლოდ]-შობილისაჲ და კუალად უსრულესი-რე მალლად მოქცევაჲ არს...» (87,7). ამის შემდეგ «შესავლის» ტექსტი სრულია. ეს ხელნაწერი ერთად-ერთია, რომელსაც შემოუნახავს «შესავლის» ბოლო ნაწილი სრული სახით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რ. ბლეიმა გამოაქვეყნა ამ ხელნაწერის მიხედვით «შესავლის» ბოლო, რომელიც ე. თაყაიშვილის გამოცემას აკლდა. რ. ბლეიკს ამ ხელნაწერის ტექსტი შეუდარებია გამოცემულთან, მაგრამ შედარების შედეგები არ გამოუქვეყნებია⁶.

4 ხელნაწერის ენობრივი თავისებურებანი ქვემოთაა დასახიათებული. აქ აღვნიშნავეთ მხოლოდ, რომ 4 ძალიან ახლოა C-სთან, ენის მხრივ მათ შორის განსხვავება თითქმის სრულებით არ არის. ტექსტობრივადაც 4 თითქოს პირ-წმინდად იმეორებს C-ს. სხვაობები სულ თითზე ჩამოითვლება:

C

4

ბრძანებათა

მუქლელად

ყოველთა

ჩუენისამდეცა

შვილ-ყოფად ღმრთისა

მშჯავრთა და განკითხვათა

მისთასა

წამებათა 95,1 (აგრეთვე 1077)

მუქლელად 97,32

ყოველთავე 89,24

ჩუენისამდე 91,13

შვილ ღმრთისა ყოფად 94,1

მშჯავრთა მისთასა და განკითხვა-

თა 96,20

ასეთი სახსლოვე მოწმობს, რომ 4 გადაწერილია ძველი და სანდო წუსხიდან.

¹ ჩვენ ესარგებლობდით ფოტოპირებით, რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში და საქ. მეცნ. აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში.

² R. Blake. Catalogue des Manuscrits géorgiens de la Bibliothèque Patriarcale grecque à Jérusalem, 1924, გვ. 12.

³ ნ. მარმა, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, 1955, გვ. 9.

⁴ ნ. მარმა ხელნაწერი თვითონ არ დაუთარიღებია. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული დათარიღება, რომელიც მის აღწერილობაში მოიპოვება, შეტანილია წიგნის რედაქტორის მიერ რ. ბლეიკის აღწერილობიდან.

⁵ რ. ბლეიკის მიხედვით, «შესავალი იწყება 2r-ზე. ხელნაწერის პირველი ფურცელი დაკარგულია; მაგრამ მასზე, ბლეიკის სიტყვით, სხვა ტექსტი უოფილა ნაწერი.

⁶ «მომომხსილველი», I, გვ. 158 შწშ. რ. ბლეიკის მიერ გამოცემულ ნაწყვეტში გამოჩენილია სიტყვები: «ზედა აღუწერიან და თვსთა მგალობელთ». ერთგან მას ტექსტი სწორად ვერ აღუდგენია (160, 7—8).

ღ

ღ ლიტერით აღნიშნულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი S—1472. იგი ყველაზე ძველია «შემოკლებული თარგმანების» ხელნაწერთაგან, რომელნიც «შესავალს» შეიცავენ. გადაწერილია 1786 წელს¹ მხედრული ხელით. «შესავალს» უჭირავს 1r—4v. «შესავალის» ტექსტი თავნაკულია, როგორც «შემოკლებული თარგმანების» ყველა სხვა ხელნაწერში: იგი ყველგან იწყება ლექსიკონის «ელფა ღმრთისა» სტატიიდან და მთავრდება ლექსიკონის ბოლოს. ამიტომ საფიქრებელია, რომ «შემოკლებული თარგმანების» ყველა ნუსხა საერთო წარმომავლობისაა და მომდინარეობს (უშუალოდ თუ შუალობით) არქეტიპიდან, რომელიც თავნაკული იყო.

ღ ხელნაწერი ამ ჯგუფის ხელნაწერთაგან ყველაზე უფრო ახლია C და Կ ხელნაწერებთან. მაგალითად, მასში არის მთელი წინადადება, რომელიც ԾVI-სა და Ծ-ს აკლია: «ესე-იგი არს მესია, ხოლო ბერძულად ქრისტე არს ნაცვალად ცხებულისა» (92,27), გარდა ამისა, ორთოგრაფიული სიჭრელე მასში ისე თვალში საცემი არაა, როგორც დანარჩენებში.

ფ

ფს არის ხელნაწერთა ინსტიტუტის A—14. იგი გადაწერილია 1816 წ.² მხედრული ხელით. «შესავალს» უჭირავს 1r—4v. ეს ხელნაწერი, როგორც უკვე იყო თქმული, გამოყენებული აქვს ე. თაყაიშვილს (C).

ჟ

ჯ ლიტერით აღნიშნულია ხელნაწერთა ინსტიტუტის Q—558. გადაწერილია 1817 წ.,³ მხედრული ხელით. «შესავალს» უჭირავს 4r—7v.

ჩ

ჩ ლიტერით აღნიშნულია ხელნაწერთა ინსტიტუტის Q—675, რომელიც გადაწერილია 1901 წელს მხედრული ხელით⁴. «შესავალს» უჭირავს 3r—5v; სათურად აქვს «ფსალმუნთა განმარტებანი».

ც

ქს ხელნაწერი გამოუყენებია ე. თაყაიშვილს (აღნიშნულია B ლიტერით), მაგრამ მას ჩვენ ვერ მივაგენით. იგი ყოფილა XIX საუკუნისა და ტექსტობრივ C-ს მსგავსი. ჩვენს გამოცემაში ამ ხელნაწერის ვარიანტული სხვაობები დამოწმებულია ე. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით.

¹ ხელნაწერთა აღწერილობა... S კოლექციისა, შედგენილი ა. ბაქრაძის, თ. ბრეჯაძის, ე. მეტრეველისა და შხ. შანიძის მიერ. ტ. II, 1961, გვ. 228.

² Д. Жордания. Описание рукописей церковного музея, გვ. 10.

³ ხელნაწერთა აღწერილობა... Q კოლექციისა, შედგენილი თ. ბრეჯაძის, თ. ენუქაძის, ნ. კასრაძის, ე. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ. ტ. II, 1958, გვ. 38.

⁴ იქვე, გვ. 153.



«შესავლის» დასკვნითი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ლტოქის ხელნაწერებში არ არის. საფიქრებელია, რომ «შემოკლებულ თარგმანებას» თავიდანვე წინ დართული უნდა ჰქონოდა მხოლოდ შუა ნაწილი «შესავლისა», ესე-იგი საკუთრივ ლექსიკონი, რომელიც, ეტყობა, დამოუკიდებელ თხზულებად იყო მიჩნეული. ოქსფორდის ხელნაწერები რომ საერთო წარმომავლობისაა, ამას მათ ტექსტზე დაკვირვებაც მოწმობს. მაგალითად, ოთხივეში აკლია სიტყვები: «ესე-იგი არ მესია, ხოლო ბერძულად ქრისტე არს ნაცვალად ცხებულისა» (92,28). ასევე, ყველას (მათთან ო-საც) აკლია სიტყვები: «და ეგრეთვე... მპყრობელისა ყოველთაჲსა» (90,9—90,11), ლტოქაში ადგილიცაა საგანგებოდ დატოვებული დანაკლისის შესავსებად. ოქსფორდში, შესაძლოა, უშუალოდ ერთი დედნიდან ან ერთი-მეორიდანაც კი იყოს გადაწერილი. ხ. კი აქა-იქ რამდენადმე განსხვავდება დანარჩენთაგან.

ლტოქა და ხ ხელნაწერები, როგორც მოსალოდნელი იყო, ენის თვალსაზრისით ძალზე შერყენილია, სხვათა შორის, ანტონის ორთოგრაფიითაც; ყველასათვის დამახასიათებელია ქართულ ენაში საერთოდ არარსებული ან XI საუკუნისთვის შეუძლებელი ფორმები: ჰხედუად, ჰსწავლა, მგსგავს, ეკლესია, ღვთიჲ, შემოუხუამსთ, მკუჭთელობა იგი სიტყვისა და სხვ.

ლტოქა და ხ ხელნაწერების მიხედვით იბეჭდება მხოლოდ ერთი მონაკვეთი შესავლისა (84,31—87,7) და აქაც ტექსტი გასწორებულია იმ ორთოგრაფიული და გრამატიკული ნორმების მიხედვით, რომლებსაც ოქსფორდის ხელნაწერები გვიჩვენებს. ამის შემდეგ ლტოქა და ხ ხელნაწერთა უმთავრესი მორფოლოგიური და ტექსტობრივი სხვაობები (ოქსფორდთან შედარებით) სქოლიოებშია ჩატანილი. წმინდა ორთოგრაფიული სხვაობები და დამახინჯებული დაწერილობანი კი არც აქა-ნაჩვენები.

ზოგი რამ ტექსტის ენის შესახებ

პოგორც უკვე აღვნიშნეთ, უძველესი ხელნაწერი შესავლისა არის ო, რომელსაც თითქმის უცვლელად მისდევს ო. მსჯელობა ტექსტის ენის შესახებ მხოლოდ ამ ორი ხელნაწერის ჩვენებას ემყარება, ვინაიდან გვიანდელ ხელნაწერებში ენის ნორმები ძალზე შერყენილია და ტექსტიც ზოგან დამახინჯებული¹.

ორთოგრაფია

ქ. ეს ასო არ იხმარება არსად, გარდა ერთი შემთხვევისა: უმარცვლო უ-ს შემდეგ მოსალოდნელი ე-ს ნაცვლად ყოველთვის მ არის: უშწნიერებაჲ 77,21C, ურცხუშებასა 77,21C; გუშპოვა 81,26C; მსხუჭრბლ 87,16C. ასეთი შემთხვევები გამოცემაში ყველგან გასწორებულია. მ არ გვხვდება არც ე ხმოვან-ფუძიანი სახელების სათანადო ბრუნვებში (ნ. ქვემოთ), არც ზმნიზედებსა და უფრობითი ხარისხის ფორმებში: ესრეთ 77,12C; ეგრეთვე 97,22; უსრულესი 95,26; უმრავლესნი 79,19C.

¹ მაგალითების დასახელებისას ლიტერები არაა ნაჩვენები მაშინ, როცა ფორმა ორსავე (C და ო) ხელნაწერშია დადასტურებული. თუ ლიტერი მითითებულია, ეს ნიშნავს, რომ მაგალითი გვხვდება ამ ლიტერით აღნიშნულ ხელნაწერში, მეორეში კი არ არის საერთოდ (ტექსტის ნაკლებობის გამო). თუ C-სა და ო-ს შორის რაიმე სხვაობაა, ეს საგანგებოდაა აღნიშნული.



3. ეს ასო მეტწილად იხმარება წესისამებრ იქ, სადაც აა და ოა დიდობნის შესაბამისი დაწერილობა იყო მოსალოდნელი. 4-ში გვაქვს თითო-ორი მემტხვევა უჩვეულო დაწერილობისა: ებრაელოთასა 92,204, საადუმლოთა 96,94 (C-შია: საიდუმლოთა).

4. ეს ასო ჩვეულებრივ უი გგუფს გამოხატავს: სიტყვთა 97,37; სიტყვსაა 91,4. აქა-იქ 4-ში ჳ უმარცვლო უ-ს ნაცვლადაა ნახმარი: განგვცცხადების 98,134; ათ-რიცხვდსა 88,144. ჳ იხმარება ბერძნული წარმოშობის სახელებსა და სიტყვებში ო-ს გადმოსაცემად: კვრილესსა 80,11; პორფუროგენიტსა 97,9.

ჟ. მისი ხმარება ნორმების მიხედვით ხდება: გვაქვს იქ, სადაც ძველ ქართულში არის: ვენაქისასა 77,18C; მუქლი 78,10C; იჟუმის 78,18C; განმწნობილთა 99,94. გულისწმა-სა და მისგან ნაწარმოებ ფორმებში ყოველთვის ჳ იწერება: გულის-წმა-იყოფების 90,28.

ღ-სა და უ-ს მონაცვლეობა. იშვიათად გვხვდება ო-სა და უ-ს გრაფიკული მონაცვლეობა: იკომიონ 79,34C; უხითა 99,94; შემოსრვილსა 87,174.

რ თ ნ ა ი რ თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ თ ა და წ ე რ ი ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს. ორი ერთნაირი თანხმოვანი (სს, თთ) ჩვეულებრივ უკლებლადაა დაწერილი, ე. წ. თემდიდური დაწერილობები არ ჩანს: წარმართთასა 97,21; ამისსაცა 82,31C. აღსანიშნავია, რომ ორი ს იწერება ზოგჯერ მაშინაც, როცა ერთია საჭირო ამ ტიპის სინტაგმებში: ამაღლება მისსა 84,11; ფერჯ მისსა არს 91,174. ასეთი შემთხვევები ძველ ქართულშიც არის¹.

ზ ო გ ი ე რ თ ს ი ტ ყ ვ ა თ ა და წ ე რ ი ლ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს და ქ ა რ ა გ მ ა თ ა გ ა ხ ს ნ ი ს ა თ ვ ი ს. რამდენიმე სიტყვა, რომელთა დაქარაგმებული დაწერილობა სხვადასხვაგვარად შეიძლება გაიხსნას, ტექსტში ზოგჯერ სრულადაა დაწერილი. ქარაგმებიანიც სრულ დაწერილობათა შესაბამისად არის გახსნილი.

ცხორება	შდრ. სრული დაწერილობები: ცხორებად 94,12C; ცხორებასა 94,28C (ცხრბდ, ცხრბსა4)
წმიდა	სიწმიდესა 94,24; არა-წმიდებასა 92,44.
წინააღმართურობა	საწინააღმართურობათა 81,18C
უკუანაესენელ	უკუანაესენელისა 83,40C.
უფროს	უფროს და 77,7C
თითოეულ	თითოეულსა 95,25.

თქუ ფუძის შემცველი სიტყვების უქარაგმო დაწერილობებში უ ყოველთვის მოიპოვება: აღმოთქუმა 84,15C; ითქუმის 89,44; 91,254; აღთქუმანი 91,204.

გ-ი ყოველთვის შემოკლებულად არის ტექსტში: 78,2C; 78,20C და სხვა. ქარაგმის გახსნისას ვწერთ: გიორგი, რადგან ეს სახელი ცოცხალ მეტყველებაში უფრო ადრეც, ჩანს, ამგვარად გამოითქმოდა (თუმცაღა მწიგნობრულ ენაში უფრო მოგვიანებითაც შემონახულია გეორგი)².

¹ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. სახელთა ბრუნება და ბრუნვითა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 332.
² ა. შ ა ნ ი ძ ე. გიორგი მთაწმიდლის ენა. ცხორებად იოვანესი და ეფთჳმისი; ძველი ქართული ენის ძეგლები, 3, 1946, გვ. 70.



სხვა ქარაგმები გახსნილია ასე: რა—რაათა, რაქს—რაქამს, იმე—¹⁴⁴რეტუსა-
ლემ, იმელ—ისრაელ. დანარჩენ ქარაგმათა გახსნა ჩვეულებრივი წესით ხდება.

ჰორფოლოგიის საკითხები

ჩ რ ფ ე ლ ო ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ა. იგი ხშირად იხმარება ტექსტში: ფარ არა
ეჭმარების 91,274; არა თუ ღმერთ კერპთა, არამედ ღმერთ ბუნებით 93,34
განსაკუთრებით ბევრია წრფელობითი ბრუნვის ხმარების მაგალითები ლექსი-
კონში; სადაც ასახსნელი ერთეულები ჩვეულებრივ ამ ბრუნვაშია დასმული: ალაგ
ღმრთისა 84,5C; არგან ღმრთისა 84,7C; ბაგე მამისა 84,23C; რქა ცხორე-
ბის 89,114.

ძედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი უმრავლეს შემთხვევაში წრფე-
ლობით ბრუნვაშია: გუამი შენაწევრებულ და შემტყიცებულ არს 89,21; მიმოგან-
ფენილ არს წიგნსა ამას შინა და ძნელ საპოვნელად 82,35C. აქა-იქ შედგენილია
შემასმენლის სახელადი ნაწილი შეიძლება სახელობით ბრუნვაშიც იყოს: რქა
გამომსახველი არს 89,14.

ძოდესაც შედგენილი შემასმენლის მრავლობითობის გამოსატყუა საჭირო
მაშინ მისი სახელადი ნაწილი ან მხოლოდით რიცხვშია, ან ებ-ან მრავლობითში:
ფრთე ღმრთისა არიან 91,204; ასოებ ვართ 89,20.

ჩ ო დ ე ბ ა ზმნასთან წრფელობითი ბრუნვა იხმარება: ცეცხლ ეწოდების
94,9; ძილ ეწოდების 94,15; ზმნიზედური მნიშვნელობით ნახმარი სახელები
წრფელობით ბრუნვაშია: პირველ მოქსენებულთა 78,13C. ეს ბრუნვა გვხვდება
კომპოზიტებში და ფსევდოკომპოზიტ ზმნებში: ღმერთ-შემოსილი 82,9C;
სირცხვლ-იჩინა 93,28; შვილ-ყოფად ღმრთისა 94,1C (შვილ ღმრთისა ყოფად 4).

ფ უ ძ ი ს კ უ მ შ ვ ა. ხმოვანთა ამოღება ფუძიდან აქა-იქ დასტურდება.
მაგრამ სახელთა უმრავლესობას ფუძის ხმოვანი მაინც შენახული აქვს: შესავა-
ლად 78,23C; ნაცვალად 92,284; აღსაშენებელად 98,274; სარგებელისა 93,23;
სამღერელად 90,30; ფუძის კუმშვის მაგალითებია: საქმრად 92,224; შემოკლები-
თი იგი თარგმნები 81,29C; ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იგივე ფუძე გვაძ-
ლევს ხან შეკუმშულს, ხან შეუკუმშავ ფორმებს: ქამისა 97,18C, ქმისა 4; საგა-
ლობელად 78,35C და საგალობლად 98,204; შეურყეველობასა 96,20 და შეურყე-
ვლობად 91,174.

ქ მ ო ვ ა ნ - ფ უ ძ ი ა ნ საზოგადო სახელთა ბუნება. ა ხმოვან-
ფუძიან სახელებს ბრუნვის ნიშანი სახელობითში შენარჩუნებული აქვთ: თხრობა
77,2C; შემზადებაა წამლისა, საკურნებელისა 79,30C; სიტყუაა წმიდათა მახ-
რებელთა 81,39C; გუამი კაცად-კაცადისა 91,8.

ო ხ მოვან-ფუძიან სახელებშიც სათანადო ბრუნვებში ო-ს შემდეგ არის:
საუკუნოა 94,12; პილოას 78,12C; უსულოასა 96,12.

ე ხ მოვან-ფუძიანი საზოგადო სახელები სახელობით ბრუნვაში ყოველთვის
უნიშნოდ არის და ე-ზე ბოლოვდება: სათნოება და სიბრძნე, გინა თუ საქმე და
ხედვა 91,234; სიმრავლე კეთილთა საქმეთა ჩუენთა 92,124; გზა მარჯუ-
ნე 94,11.

ს ა კ უ თ ა რ სახელთა ბ რ უ ნ ე ბ ა. მოთხრობით ბრუნვაში საკუთარი
სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი: მოსე იწყო სიტყუად 97,16.

ა ხმოვან-ფუძიანი სახელები სათანადო ბრუნვებში უკვეცვლია: იერუსალიმისა 92,334; საბა სულაჲს-მისა 78,1C.

ე ხმოვან-ფუძიანი საკუთარი სახელები ყველგან ე-ს გვიჩვენებენ იქ, სადაც ბრუნვის ფორმებში მ არის მოსალოდნელი: ათანასეს მიერ და კვრილეს 83,7C; თარგმანები ათანასესი და კვრილესი 80,21C; ეფთუმესითა 78,3C.

ქრისტე-ც სათანადო ბრუნვებში ყველგან ე-ს გვიჩვენებს მ-ს ნაცვლად: მოქმედსა ქრისტეს ვენაქისასა 77,17C; ქრისტეს მოყუარეო 83,3C; ორთა მათოვს მოსლვისა ქრისტესთა 83,40C.

საკუთარი სახელები ემფატიკურ ხმოვანს არ დაირთავენ: ბასილის მიერ 82,6C; თევდორიტესსა მას თარგმანსა 79,40C; ათანასესი და კვრილესი, ევსუქსი და ასტერისი 81,8C. ემფატიკური ა არა აქვს ტრადიციისამებრ არც ფარაო სიტყვას: ფარაოჲს მძღაფრებასა 97,18.

ბ ა ვ ი თ ს ა ხ ე ლ ი ს ბ რ უ ნ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. როცა დავით პირის სახელად იხმარება, იგი საკუთარი სახელის ნორმების მიხედვით იბრუნვის: წინაჲს-წარმეტყუელსა დავითს 98,264; დავითის მიერ თქმულ არიან 98,194; სიტყუაჲ დავითისი. 80,12C; რიცხუდობაჲ... ფსალმუნთა დავითისთაჲ 98,134; სახელგვარულ სინტაგმებში ეს სახელი ფუძის ფორმით შეიძლება შეგვევდეს: დავით წინაჲსწარმეტყუელისანი 81,17C.

ტ მ ა ე დ რ ო ს დ ა ვ ი თ - ი ს მ ი რ ა დ ი ხ მ ა რ ე ბ ა რ ო გ ო რ ც სა ხ ე ლ ი ფ ს ა ლ მ უ ნ თ ა წ ი გ ნ ის ა. ამ შემთხვევაში ეს სიტყვა იბრუნვის საზოგადო სახელის კვალობაზე: დაირთავს ბრუნვის ნიშნებს (სახელობითში) და ემფატიკურ ხმოვანს; მას უჩნდება მრავლობითი რიცხვიც: ესევეთართა სიტყუთა აღწერა დავითი, რომელ ძალი არა დაშთებოდა, არცა კუალად განიყოფებოდა სსუათა დავითთა ძალისაგან 97,37; დავითთა შინა 92,294; თარგმანებაჲ დავითისაჲ 81,6C; თარგმანი დავითისანი 80,14C¹.

ტ რ ქ ა უ ლ ი ფ ო რ მ ა ნ ტ ი. ი ვ, როგორც ცნობილია, უკვე ძველ ქართულშიც იშვიათად გვხვდება (ცხოვლივ შთაქდენ ფს. 54,164). ეფრემი თავის თხზულებაში ამ ფორმანტს ხმარობს კომპოზიტებში, რომლის პირველი ნაწილია ღ მ ე რ თ ფ უ ძ ე: ღმრთივ-აღბრული 97,22; ღმრთივ-სწავლულისა 97,16. ი ვ დადასტურებულია აგრეთვე კაცობრივ-ში (—კაც-ებ-რივ²): კაცობრივ მოპოვნებულ იქმნებიან 96,19. გვხვდება აგრეთვე ზმნიზედები, სადაც ი ვ აფიქსიანი სახელები ხელახლადაა ნაწარმოები (ასეთი ფორმები მრავლადაა დადასტურებული ძველ ქართულში³): მართლიად 95,7; მალიად 92,34.

შ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი რ ი ც ხ ვ ი. იგი იწარმოება ჩვეულებრივ ნ/თა სუფიქ-

¹ ეფრემ მცირე ხმარობს დავით სიტყვას სახელობით ბრუნვაში მრავლობით რიცხვში, როგორც წიგნის სახელს, მაგრამ ეს ფორმა მისთვის ჯერ კიდევ რეალური მრავლობითის შინაარსს გამოხატავს, რადგან ზმნაში პირდაპირი ობიექტის ნიშანი ჩანს: «პირველნი დავითნიცა რომელ ახლად ეთარგმნენს, მრავალი სიტყუაჲ ძუელისა ჩუეულებისაჲ მიეყვანა» («განწესებაჲ თავთაჲ წმიდათა მოციქულთა საქმისაჲ». იერუსალ. ხელნ. № 16, ფ. 2v. წიგნი: ნ. მარო. იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, 1955, გვ. 57). ახალ ქართულში ამ სიტყვაში (დავითნი), როგორც ცნობილია, მრავლობითის ფორმას ფუნქცია მხოლობითისა აქვს (ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართ. გრამატიკის საფუძვლები, გვ 80).

² ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართ. გრამ. საფუძვლები, გვ. 148.

³ ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი. სახელთა ბრუნება..., გვ. 744.



სებით: მახლობელი 78,7C; ეკლესიანი 78,36C. აქა-იქ გვხვდებიან მრავლობითი მრავლობითი: ასობე ვართ 89,20. ებ-იან მრავლობითი სიტყვა, როდესაც მას მსაზღვრელი ახლავს, ზოგჯერ ამ უკანასკნელს ითანხმებს რიცხვში: უფრცვლესები იგი თარგმანები 80,20C, მაგრამ: განწყობილი იგი წიგნები წმიდათა 97,6. ებ-იანი მრავლობითის სხვა მაგალითებია: სცავს ყოველთა ასოთა კაცად-კაცადისა გუამებისათა 89,19; წიგნებსა ბერძენთასა 96,25.

მ რ მ ა გ ი ბ რ უ ნ ე ბ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი. ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელის ბრუნებისას დაცულია ძველი ქართულის ნორმები, ოღონდ 4-ში ზოგჯერ ასეთ მსაზღვრელს მხოლოდ რიცხვში ნათ. ბრუნვის ფორმა გაუვრცობელი სახით აქვს წარმოდგენილი, რის გამოც საზოგადო სახელი ბრუნებაში საკუთარ სახელს ემსგავსება: დასაბამსა სოფლისა შესაქმისსა 97,174 (სწერია სრულად; შესაქმისასა C); ქცევასა კილოასა საგალობელისსა 98,254 (სრულად); ეკლესიასა შინა დიდსა მერმისა მის საუკუნოასსა 92,154 (სრულად). მსგავსი მაგალითები დადასტურებულია XIII ს. ტექსტებში¹. C ხელნაწერში ასეთი შემთხვევები არა გვაქვს.

ზ ო გ ი ე რ თ ი თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი ს უ ე ს ა ხ ე ბ. სშირია -ებრ თანდებულის სმარება, როგორც წრფელობითის ფორმასთან, ისე ნათესაობითისასთან: თაფლებრ 80,8C; მტურებრ... კუამლებრ 92,54; სიტყუსაებრ 83,32C; 90,25: სწავლისაებრ 97,13; სსუებრ და სსუებრ 93,184; საზომისაებრ და მოსწრაფებისა 90,12; მეტყუელისა მისებრ 91,9; თქმულისა მისებრ 93,184.

მეფარდებითი სისშირე ამ თანდებულის სმარებისა დიდია; მაგალითად, ოთხთავის შატბერდულ ტექსტებში -ებრ სულ თექვსმეტჯერა ნახმარი, ეფრემის ამ შრომაში კი, რომლის მოცულობა ოთხთავისაზე რამდენჯერმეა ნაკლები, -ებრ თანდებულის სმარების ათამდე შემთხვევა გვაქვს.

ღვხვდება -უ რ თ თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი: მოკლებითურთ 97,19; მეცნიერებითურთ 94,25; ყოვლითურთ 83,25C.

ეექსტში დასტურდება -და თანდებულის სმარება: მგალობელთ-მთავართადა 98,204; თითოეულისადა 95,28; ჩემდა 78,30C; მისდა 78,25C; ჩუენდა 96,1; მათდა 90,33; ეს თანდებული იმავე მნიშვნელობის მქონეა უმეტესად, როგორისაცაა თ ვ ი ს დღევანდელ ქართულში. იგი გვხვდება როგორც პირიან ზმნასთან — ირიბი ობიექტიდან მიღებულ უბრალო დამატებასთან მესამე სერიაში (მგალობელთ-მთავართადა... მიუცემიან)², ისე უპიროსთანაც (საციენლად მიცემულსა მას მათდა, დართვად მისდა).

წითარებითი ბრუნვის დაბოლოება -მ დ ე თ ა ნ დ ე ბ უ ლ თ ა ნ ს რ უ ლ ი ა: ვიდრე მეორმოცდამდე... ვიდრე სამეოცდამეათერთმეტდამდე... ვიდრე ოთხმეოცდამეორვედამდე... ვიდრე ას და მეხუთედამდე 98,38—99,34. -მ დ ე თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა ნათესაობითი ბრუნვის ფორმას დაერთოს: მოიწვევის ჩუენისამდეცა 91,13 (აქ კუთვნილებითი «ჩუენი» ნახმარია «ჩუენ» პირის ნაცვალსახელის ნაცვლად). -მ დ ე თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი გ ვ ხ ვ დ ე ბ ა დ არ თ უ ლ ი ნ არ -თ ა ნ ი ა ნ ი მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ს ფ ო რ მ ე ბ ზ ე: მ და ბ ა ლ თ ა მ დ ე 91,11; 91,16.

¹ ა ბ უ ს ე რ ი ს ძ ე ტ ბ ე ლ ი. ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში. 1233 წ. ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. 1941, გვ. 39.

² ა. შანიძე. გიორგი მთაწმიდის ენა, ცხორება იოვანესი და ეფთჳესი, 1946, გვ. 79.



78,357

წესდება თანდებული თვნიერ: თვნიერ ფსალმუნთა წიგნისა. თვნიერ მისა 79,57.

წმირია მიერ თანდებულის ხმარება: მცირისა მიერ 83,117, ამათ ყოველთა მიერ 83,167. ეს თანდებული ხმირად გვხვდება ვნებითი გვარის ხმირებთან (პირიან და უპირო ფორმებთან) დაკავშირებულ კონსტრუქციებში: ითარგმნეს... ეფთვმეს მიერ 79,37; მართლმადიდებელთა მიერ თარგმანებული 80,11, 80,157; ბასილის მიერ აღწერილი 82,67. ამავე ფუნქციით შეიძლება აქა-იქ გან თანდებული იყოს ნახმარი: მისეფ და ერთისა სულისაგან მეტყუელებდეს 82,27; შეუხავე-ბელ არს ბოროტთაგან 95,6.

თანდებულები -ებრ, მიერ სიტყვამაწარმოებელი აფიქსის ფუნქციითაც იხმარება (ნ. ქვემოთ).

სახელთა წარმოქმნა. შესავლის ენისათვის დამახასიათებელია დიდი რაოდენობით ხმარება წარმოქმნილი სიტყვებისა. მათ შორის გვხვდება როგორც ქართულისათვის ჩვეულებრივი, საყოველთაოდ გავრცელებული წარმოქმნილი სახელები, ისე ზოგიერთი თავისებური, რომლებიც, შესაძლოა, ყველა არ იყოს ეფრემის მიერ შექმნილი, მაგრამ ძალიან სპეციფიკურ იერს კი აძლევს ტექსტის ენას.

ქონების სახელები ნაწარმოებია -ეფ, -ოვან, -იერ, -იან აფიქსებით: მუქლედად (მუქლეულად 4) 97,32; მრავალ-თუალოვანი 98,64; სახელოვანთა 80,117; მრავალ-ველოვანსა 98,74; ჯეროვნად 98,134; შჯულიერსა 88,144; სიტყურნი 96,10; ამ სუფიქსებით ნაწარმოები ზედსართავი სახელი ზოგჯერ თავის მხრივ წარმოადგენს აბსტრაქტულ სახელთა ნაწარმოებელ ფუძეს: რიცხუედობად და მარცულედობად 97,34; ნაყროვნებისათა 94,22. -იან სუფიქსი აღნიშნავს როგორც ქონებას, ისე მიმღევრობას: წამლიანთაგანცა მკეტთა 79,307; ოროგინიანთა თანა 79,287.

აბსტრაქტული სახელები იწარმოება უპირატესად -ება და -ობა სუფიქსებით; იშვიათად გვხვდება სი-ო, სი-ე და სი-ო-ება აფიქსები.

-ება აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს ა) არსებით სახელთაგან: ღმრთეებამან სცხო კაცებასა 89,27; მეუფებისა 83,247; ქსოვილება 83,117; ბ) სხვადასხვა ზედსართავთაგან: მსგავსებისა 82,97; ამპარტავანებისათა 94,23; ველოვნება 98,2; გუამოვნებისა 88,304; ნაყროვნებისათა 94,22; მეცნიერებითურთ 94,25; გ) სხვადასხვა მიმღეობათაგან: დაფარულებასა 95,16; 96,9; წურთილებისა 90,4; ენებულებისა 89,44; განგდებულებასა 97,28; თქუმულებისა 98,324; განგებულებათა 95,31; თხზულებასა 98,2; დ) კომპოზიტთაგან; სულგრძელებათა 83,387; კაცთ-მოყუარებითა 95,11; სამ-გუამოვნებასა 89,32.

სხევე, -ობა აწარმოებს აბსტრაქტულ სახელებს ა) არსებით სახელთაგან: მუშაკობისასა 77,177; მოწუობისა 78,207; ბ) ზედსართავ სახელთაგან: უმეტესობად 98,94; უნარჩვევსობასა 78,207; რიცხუედობად და მარცულედობად 97,34; გ) სხვადასხვა გვარის მიმღეობათაგან: აღმწერელობა 77,107; დამბადებლობისა 96,2; მთარგმნელობითა 80,67; მტანჯველობათა 83,327; მზუაობობისა 94,23; განყოფილობად 82,17; საჭუელობად 82,17; საგონებელობასა 81,357; დ) კომპოზიტთაგან: ზედა-მდგომელობითა და საჭეთ-მპყრობელობითა 78,157; თვთ-შჯულობით 79,397.

ღ. ძარყოფითი შინაარსის აბსტრაქტული სახელები ნაწარმოებია ზედსართავ-



თა და მიმდევრებათა უკუთქმითი ფორმებისაგან -ე ბ ა და -ო ბ ა სუფიქსებით: ურიცხვებასა 77,21ც; უღირსებისა 78,17ც; აღუსრულებელობასა 91,5; უბრძოლველობა 95,20; უქცევლობისა 91,18ლ; უეჭუელობისათჳს 80,10ც; შეურყევლობასა 96,20.

ღარდა ამისა, უარყოფითი შინაარსის აბსტრაქტულ სახელთა საწარმოებლად გამოიყენება უარყოფითი ნაწილაკი არა, რომელიც წინ ერთვის აბსტრაქტულ სახელს: მსგავსება და არა-მსგავსება 81,36ც. ასე საწარმოებ ზედსართავთაგან ცნობილია არა-წმიდა: არა-წმიდათაგან 82,12ც. ეფრემი ხმარობს ამგვარად წარმოქმნილ ფორმებს უკუთქმით საწყისთათვისაც: მისლვაცა და არა-მისლვაცა 79,38ც; არა-დაყოვნებად 83,35ც; არა-სმენად 91,2; არა-შთავრდომად 95,3 (შდრ. არ-დავიწყება, არ-გაწირვა, არ-იეფობა, არ-ორგულობა, არ-გაშვებული, არ-ყმაწვილი და სხვ. «ვეფხის-ტყაოსანში»).

შვიათად, როგორც უკვე იყო აღნიშნული, სხვაგვარი წარმოებაც გვხვდება აბსტრაქტული სახელებისა: სი-ე აფიქსითაა საწარმოები სიბოროტე: ყოველთა მიღევნებულთა სიბოროტისათა 95,4; შდრ. იქვე ბოროტ არსებითი სახელის (ჰაო) მნიშვნელობით: შეუზავებელ არს ბოროტთაგან ბუნება მისი 95,6; გვაქვს აგრეთვე სიჭო 98,28ლ; სიწრფობა 95,3; სიტკობებისა 83,8ც.

ზოგჯერ -ე ბ ა და -ო ბ ა აფიქსები ერთმანეთს ენაცვლება: ჩუეულებითა 95,18ც, ჩუეულობითა ლ.

ახსტრაქტული სახელის საწარმოებლები -ე ბ ა და -ო ბ ა ფუძეს უმეტეს შემთხვევაში არ კუმშავს: აღმწერელობა 77,10ც; საგონებელობასა 81,35ც; აღუსრულებელობასა 91,5. უფრო იშვიათად ფუძე შეიძლება შეკუმშული იყოს: უდებით 93,21ლ; წელოვნება 98,2; მოწფობისა 78,22ც; დამბადებლობისა 96,2. ერთმანეთის პარალელურად გვხვდება შეკუმშავი და შეკუმშული ფორმები: შეურყეველობასა 96,20 და შეურყეველობა 91,17ლ; ნაყროვნებისათა 94,24ც და ნაყროვანებისათა ლ; შდრ. იქვე ამპარტავანებისათა ც (ლ-ში დაქარაგმებულია).

ჴარისხის სახელები იწარმოება უ-ე ს აფიქსით: უმჯობესსა 91,3; უსრულე-სი 95,31; უვრცელესები 80,20ც; უმრავლესნი 98,3ლ.

ღ რ უ ნ ვ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი მ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ა ფ ი ქ ს ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ . ბ რ უ ნ ვ ი ს ფ ო რ მ ი ს გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ა ხ ა ლ ფ უ ძ ე თ ა წ ა რ მ ო ს ა ქ მ ნ ე ლ ა დ დ ა მ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ე ლ ი ა ტ ე ქ ს ტ ი ს ე ნ ი ს თ ვ ი ს . ა ხ ა ლ ფ უ ძ ე ე ბ ს ა წ ა რ მ ო ე ბ ს მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი და ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ფ ო რ მ ე ბ ი , ა გ რ ე თ ვ ე ა რ ქ ა უ ლ ი - ი ვ ა ფ ი ქ ს ი .

ქველახე ხშირად ამათგან მოქმედებითი ბრუნვის აფიქსით საწარმოები ზედსართავი სახელები გვხვდება: აჰა ესერა გაქუს არა თუ სრულებითი, არამედ ზოგებითი გულისწყმის-ყოფა 96,22; სრულებითნი და შემოკლებითნი 80,17ც; შეწვენა ნუგეშინისცემითი, გინა თუ სწავლა ტანჯვითი 84,7ც; შემოკლებითითა 81,19ც; განვრცელებითნი 80,19ც; მართლ-მსაჯულებითი 89,6ლ; არა სოლო წინააღმართუელებითთა სიტყუათა იქუმევს, არამედ მოძღურებითთაცა და სწავლითთაცა, შჯულის-დებითთა და მცნებითთაცა 97,25ლ. ხშირია ბუნებითი: ბუნებითისა 83,33ც; საკუთრებითა ბუნებითითა 90,17; ბუნებითითა მით სიმად-ლითა 91,12.

ჩითარებითი ბრუნვის ნიშნით საწარმოებ სახელთა მაგალითებია: ყოფადთა 97,14; აღსრულებადსა ვითარცა აღსრულებულსა წარმოაჩინებს 97,25; დღითი-დღედითა მოქმედებითა 84,2ც.



ივე აფიქსი აგრეთვე გამოიყენება სიტყვამაწარმოებელ ელემენტად. მცირე შემთხვევაში: კაცობრივი 89,44; კაცობრივისა 91,4; 91,254.

თანდებულთა საშუალებით წარმოქმნილი სახელები. სახელთა წარმოსაქმნელად გამოყენებულია თანდებულები მიერ, -გან, -ებრ. მიერ: მის მიერთა 90,16; 99,94; ღმრთისა მიერისა 80,28C; მრავალთა პირთა მიერთა ქადაგებითა 90,2.

ღანსაკუთრებით მრავლადაა -გან თანდებულის საშუალებით ნაწარმოები ფუძეები: ზრქელთაგანი 82,32C; რქისაგანითა საცხებელითა 89,154; რაჲსაცა კეთილთაგანისა 90,13; საეკლესიოთაგანსა 96,29; თჳსთა მიმდგომთაგანნი 98,4; პირველით ფსალმუნითგანი 98,384; გავრცელებულისა მისგანი 81,25C; თარგმანთა მათთაგანი 81,30C; მიერთგანი 99,14.

პოგორც ცნობილია, -გან თანდებულით ნაწარმოები სახელები ძველ ქართულში მეტია, ვიდრე ახალში, სადაც ამგვარი წარმოება შეზღუდულია¹. ეფრემ მცირეც ძველი ქართულის კვალობაზე თავისუფლად აწარმოებს ამ თანდებულით სახელებს სხვადასხვა ფუძეთაგან.

-ღბრ მაწარმოებლად გვხვდება ისეთ სიტყვებში, როგორცაა ანგელოზებრნი 99,5.

კომპოზიტები. საკმაოდ ხშირია კომპოზიტები, რომელთა შემადგენლობაში შედის ღმერთ ფუძე სხვადასხვა ბრუნვაში: ღმერთ-შემოსილისასა 82,9C; ღმერთ-ქმნულთა 93,44; ღმრთივ-აღძრულიცა 97,21; ღმრთივ-სწაელულსა 97,16.

სხვა კომპოზიტებია: მრავალ-წელოვანსა 98,74; მრავალ-თუალოვანი 98,64; ერთ-ჳმა 98,184; ზედა-მდგომელობითა და საჭეთ-მპყრობელობითა 78,15C; თვთ-შჯულობით 79,39C.

პირის ნიშნები. მესამე ობიექტური პირის ნიშანი მეტწილად შენარჩუნებულია: ვჰრიდევ 80,8C; შეესძინო 78,4C. სისინა და შიშინა ბგერების წინ იგი არ ჩანს: შუენოდა 81,20C; ზრახავს 96,4. ასევე, გვაქვს შიის 93,24.

ყოფა ფუძის ზმნებში ობიექტური პირის ნიშანი პირველ სერიაში ყოველივის გვაქვს: ჰყოფს 81,41C; 97,22; ჰყოფენ 78,36C; ვჰყოფდ 78,8C; ჰყოფდეს 88,284; მესამე ობიექტური პირის ნიშანი აკლავს: ქადაგებს 96,11.

პირველი ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი მეტწილად გუარის: გუეტუჳს 91,8; გუფარავს 91,214; გჳქადაგებს 89,31; ერთგან გვხვდება მ: მომენიჳა ჩუენ 94,13. ერთხელ მარის ციტატაში: აღმიდგინა ჩუენ რქაჲ ცხოვრებისაჲ 89,124 (ლ. 1,69).

სხვაობა ოდ და დსავრცობიან ზმნებს შორის. ოდსავრცობიანი ზმნები გვიჩვენებენ იმ თავისებურებებს, რომლებიც ამგვარ ზმნათა უღლებას ახასიათებს | სერიის მწკრივებში ძველ ქართულში: უწყოდე, ვითარმედ 82,3 (| ბრძანებ.); ჯერ-არს უკუე, რაათა უწყოდით 98,164 (| კავშ.); რაათა ოდესმე ცხებულსა ვიტყოდით 92,344; რომლისაგანცა... ღმერთი იქადაგებოდის 96,13.

შესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი უწყვეტელში. ეს ნიშანი ყოველთვის -ეს არის: განაღჳებდეს

¹ ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 117.



მოწაფენი... და გუასწაფებდეს 94,19; ურთიერთასა ივასხებდეს 81,41^{საქციხელ-ლითა იცხებოდეს მღღელნი 89,15.}

შუოფადის წარმოება. მეოფადი უმეტეს შემთხვევაში კავშირებითის მწკრივებით არის გამოხატული: რაქამს ვიხილოთ... აღვადგენდეთ 94,20; რაქამს კაცნი განსწავლენეს მან 94,26; მერმესა მას საუკუნესა ნათელ-ილონ 93,11^{ლ.}

ერთხელ აწმყოს ფორმა გვხვდება მომავლის გამოსახატავად: პატივ-გუცემს ჩუენ, რაქამს ვიქებოდით მის მიერ ეკლესიასა შინა დიდსა მერმისა მის საუკუნოხსასა 92,14^{ლ.}

ითურმეობითის ფორმები. | თურმეობითში უმეტესად ძველი ფორმებია დადასტურებული, ისევე როგორც სტატიკურ ვნებებში: აღუვისეს 96,17; შეურაცხის 90,32; მიუღიეს 98,33^{ლ.}; გვსწავიეს 92,34^{ლ.}; ჰგონიეს 82,11^{ლ.}; გუასმიეს 92,16^{ლ.}

ხოგჯერ ახალი, -ია დაბოლოებებიც გვხვდება: დამიგდია 80,25^{ლ.}; უთარგმნია 79,10^{ლ.}; უწერია 96,31 (სტატ.).

ჩნებითი გვარის ზმნების აწმყო. ვნებითი გვარის ზმნებს აწმყოში მხოლოდითი რიცხვის მესამე პირის ნიშნად ყოველთვის -ს აქვთ: სახელ-ედების 96,20; მიემადლებს 95,29; ითქუმის 96,15.

ჩნებითი გვარის ზმნათა ფორმების სმარებისათვის. ამ თხზულებაში ეფრემი საკმაოდ დიდი რაოდენობით იყენებს ვნებითი გვარის ზმნათა პირიან და უპირო ფორმებს: ითარგმნენს... ეფთუმეს მიერ 79,3^{ლ.}; ოქროპირისაცა მიერ თარგმნილ არს 79,15^{ლ.}; ოროგინიანთა თანა შეიჩუენებთან 79,28^{ლ.}; უკუანაჰსკენელ დაიქსნა და უჩინო იქმნა, რაქამს თეოდორიტეს მიერვე შეიჩუენნეს 80,2^{ლ.}; მსგავსება და არა-მსგავსება განგუემარტების 81,36^{ლ.}; შეიერთების... და განიყოფების სიტყუაჲ 81,37^{ლ.}; მუქლი... დაიწერა 81,24^{ლ.}; თანა-შეეტყუების მისსა მას ევსევისიცა 82,7^{ლ.}; შემოკრებულ იქმნა... და წინა-შესავალსა ამის წიგნისა ჩუენისასა დაწერა 82,36^{ლ.}; ჰურიანთა შორის სუთ წიგნად განიყოფებთან 98,37^{ლ.}

ჩნებითი გვარის მიმღეობები სშირად გამოიყენება ზედსართავებად: ფსალმუნნი... თარგმანებულნი და ერთად წიგნად შეკრებულნი 79,2^{ლ.}; შემოკლებულნი თარგმანნი 80,10^{ლ.}; მართლმადიდებელთა მიერ თარგმანებული 80,12^{ლ.}; წმიდათა მიერ მოპოვნებულნი 80,26^{ლ.}

ჩნებითი გვარის მიმღეობები იხმარება აგრეთვე შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად: შერაცხილ არს 80,5^{ლ.}; არა პოვნილ არს 80,33^{ლ.}; თარგმანებულ არიან 80,36^{ლ.}; შემოკრებულ იქმნა 82,36^{ლ.}; მიმოგანფენილ არს 82,35^{ლ.}; მომრწყველ არს 88,7^{ლ.} განსაკუთრებით სშირად იხმარება ვნებითი გვარის ზმნები ლექსიკონში განსამარტავი ერთეულების განსაზღვრისას: ეწოდების 87,32^{ლ.}; 88,10^{ლ.}; 92,9^{ლ.}; წოდებულ არს 87,11^{ლ.}; ითქუმის 84,1^{ლ.}; 88,3^{ლ.}; 89,4^{ლ.}; სახელ-ედების 84,12^{ლ.}; 88,15^{ლ.}; სახელ-იდების 88,24^{ლ.}; 88,30^{ლ.}

ჩნებითი გვარის ფორმათა სიმრავლე ამ თხზულებაში საზოგადოდ ბერძნული ენის გავლენით უნდა აიხსნას, ლექსიკონში კი იმით, რომ განსამარტავი ერთეულები ეფრემს სშირად მოცემული აქვს ისეთიანიად, რომ მასთან ზმნა სწორედ ვნებით გვარში უნდა იყოს ნახმარი: ქრისტე ცხებულად გამოითარგმანების 92,16^{ლ.}; მშუღლ ღმრთისა ეწოდების 88,10^{ლ.}; ნათელ სახელ-ედების 88,15^{ლ.}



წიგნებითი გვარის ზმნათა წარმოებისათვის. ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, თხზულებაში უმეტესად ე-ნიანი და ე-ნიანი ვნებითებია ნახმარი. სხვა ვნებითები შედარებით იშვიათია: განვრცნა 81,28ჯ; განცხადნეს 88,28ჯ. ერთგან ერთმანეთის პარალელურად გვხვდება ერთისა და იმავე ფუძისაგან ნაწარმოები ორნაირი ვნებითი: მატლი მათი არა დაესრულებოდის¹ და კუამლი ცოდვილთა არა დასრულებოდის 93,12ჯ.

ერთგან ტექსტში ნახმარია ნასახელარი საშუალო გვარის ზმნა: ვმეკეცეობთ 83,4ჯ.

ერთი მიმდევობის შესახებ. «ქმნილი» უმეტესად სწორედ ასეა, - ილ სუფიქსით ნაწარმოები: ქმნილ 93,23; ქმნილი 90,32; 88,14; მაგრამ შეიძლება შეგვხვდეს ქმნულ-იც: ქმნულთა 93,4ჯ.

საინტერესო ფორმაა მკადრე: არღა მკადრე ვიქმენ 78,25ჯ.

სინტაქსის საკითხები

შსაზღვრელ-საზღვრულისათვის. ამ თხზულების ენისათვის დამახასიათებელია განსაზღვრებათა სიმრავლე; ხშირად ერთ საზღვრულს ერთზე მეტი მსაზღვრელი უკავშირდება — როგორც შეთანხმებული, ისე მართული ან მართულ-შეთანხმებული: ზედა-მდგომელობითა და საჭეთ-მპყრობელობითა მენავეთ-მომღურისა ამის ჩემისადათა, რომელმან ესე მოუგო აფრად აღმართებულად მცირესა მას კუამალდსა უღირსებისა ჩემისასა 78,15ჯ; ლოცვაჲ და მეოხებაჲ სათნობათა საუნჯისა მის მამისა გიორგი მთაწმიდელისაჲ 78,19ჯ.

შსაზღვრელ-საზღვრულის ორივე რიგი გვხვდება: პოსტპოზიციურიც და პრეპოზიციურიც (როგორც შეთანხმებული, ისე მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელის ხმარების დროს).

შსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს: სულსა შემუხრვილსა და გონებასა მდაბალსა 87,17ჯ; აფრად აღმართებულად 78,16ჯ; წიგნებსა ბერძენთასა 96,25; ჭამსა ჭირისასა 97,5; განთესვასა ჰურიათასა 97,21.

შსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს (განსაკუთრებით მაშინ, როცა მსაზღვრელი შეთანხმებულია; ასეთი მაგალითები საკმაოდ ბევრია): მცირედნი ესე და შემოკლებითნი თარგმანნი 80,10ჯ; წმიდაჲ შესაწირავი 87,16ჯ; ღმრთის-მხილველმან მოსე 97,16; უბადრუკისა აპოლინარისთჳს 97,36; მართლმადიდებელთა მამათაჲ 80,24ჯ; ფრიადითა შრომითა 80,14ჯ; წამლიანთაგანცა მკეცთა 79,30ჯ; წინა-აღმდგომთა ზრახვასა 97,31.

ღანსაკუთრებით ხშირია წინ დასმული მსაზღვრელი, როცა მსაზღვრელად ნაცვალსახელი ან ნაწევარი იხმარება: თითოეულსა წიგნსა 96,29; სსუად წიგნად 80,16ჯ; ამითვე სახითა 97,7; მისი იგი სამჭედური 98,1; ჩუენთა ამათ ერთა 98,4ჯ.

ძოდესაც ერთ საზღვრულს ახლავს შეთანხმებული და მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელები, პირველი ჩვეულებრივ წინ უსწრებს, ხოლო მეორე მოსდევს საზღვრულს: მცირესა მას კუამალდსა უღირსებისა ჩემისასა 78,16ჯ; მის მიერ ახლად თარგმანებულსა წიგნსა ფსალმუნთასა 78,4ჯ; უერცყელსები იგი თარგმანები ათანასესი და კვირილესი 80,20ჯ.

¹ ეს ციტატა: მარკ. 9,48.



ღ ბ ი ე ქ ტ ი ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ო ბ ი ს გ ა მ ო ხ ს ა ტ ვ ა. პირდაპირი კონკრეტის მრავლობითობა II და III სერიაში ყოველთვის ჩანს: უმრავლესნი... შეაერთან 98,44; კაცნი განსწავლნეს 94,26; კეთილნი... შეურაცხიან 94,27; რომელნიმე... აღუწერიან და მიუცემიან 98,194; აღუწერიან თჳსნი ლექსიკონნი 97,8; მგალობელნი დაედგინნეს 98,26.

შ წ კ რ ი ვ ი მ ც ა ნ ა წ ი ლ ა კ თ ა ნ. ზმნა მ ც ა ნ ა წ ი ლ ა კ თ ა ნ თ ხ რ ო ბ ი თ კ ი ლ ო ა ნ მ წ კ რ ი ვ შ ი ა: ვითარმცა წინა-აღუდგებოდეს ურთაერთას 81,40C; ვითარმცა ურთიერთასა ივასხებდეს 81,41C; ვითარმცა წიგნებსა თანა წმიდათასა შეაერთე წიგნები მათი 79,27C.

ღ ბ ი ე ქ ტ ი ს ა ხ ე ლ ზ მ ნ ა ს თ ა ნ. საწყისი და მიმღეობა ზოგჯერ ზმნურ ძალას იჩენს ობიექტის მიმართ: შესაძლებელ არს... სიტყუასა თქუმად 92,314; მსმენელი ვედრებასა 93,174; ყოველსავე მუჯლსა სახის-მეტყუელებაჲ შესაძლებელ არს 82,23C. 4-ში ერთხელ სახელზმნასთან ნათესაობითი ბრუნვაც გვხვდება: მოკუეთად ასოჲსა მაცთუნებელისა 87,27, მაგრამ 407 ხელნაწერებში იმავე ადგილას ასე იკითხება: მოკუეთად ასოსა მაცთუნებელსა.

წ ი თ ა რ ე ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ა შ ი დ ა ს მ უ ლ ი ს ა წ ყ ი ს ი. იხმარება ე. წ. ინფინიტიურ კონსტრუქციაში: იწყოს შურის-გებად და სჯად 94,16; იწყო მოსწავებად 97,19; იწყო სიტყუად 97,16; გზბრძანებს მოკუეთად 87,274.

ს ხ უ ა თ ა ს ი ტ ყ ვ ი ს ო. იხმარება მაშინ, როცა დამოწმებულია სხვისი ნათქვამი ან ციტატები ტექსტიდან: ნუ ჭამენო, იტყვს წერილი 79,35C; არავინ არსო 90,144; სადიდებელად ღმრთისა მივიდოდენო 79,36C.

ც ხ ზ უ ლ ე ბ ი ს ს ტ ი ლ ი ს ს ა ე რ თ ო დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ა. ფსალმუნთა თარგმანების შესავალი სამეცნიერო თხზულებაჲ; ამით აიხსნება როგორც საკმაოდ დიდი რაოდენობა საგანგებოდ ნაწარმოები ფორმებისა, ისე ერთგვარი სირთულე სინტაქსისა: წინადადებები საკმაოდ ვრცელია, მათში მრავლადაა განსაზღვრებები, ჩართული სიტყვები და წინადადებები; მაგრამ ამ შრომაში სინტაქსი არსად მძიმე არ არის: ენის ვირტუოზული ფლობა საშუალებას აძლევს ეჭრემს იხმაროს ვრცელი, მაგრამ ამავე დროს მსუბუქი, აზრობრივად სავსებით ნათელი წინადადებები, რომლებიც სტილისტურად ძალზე ფაქიზია: მოვიყვანთ მაგალითს: ვინაჲცა შენ, ქრისტეს მოყუარეო, ეძიებდე თუ ამას გულს-მოღვინებით, მეცნიერ იქმნე და სცნა ჩუენთჳს, ვითარმედ მისვე თიქისაგან ვმეკეცეობთ და ამათვე წიგნთა მიერ მოღებულთა ძალითა განვაძლიერებთ უძღურებასა სიტყვსა ჩუენისასა 83,3C.

წექსიკა

ცხზულების ლექსიკას თავისებურ იერს აძლევს სიმრავლე წარმოქმნილი ფორმებისა, რაზეც ზემოთ იყო მსჯელობა. გარდა ამისა, შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი საინტერესო სიტყვა: აფრა 78,16C; განკარგული 83,1C (მოწესრიგებული, დაწყობილი), კუარცხბეკი 83,21C.

«ჯივი», «ერთი და იმავე»-ს მნიშვნელობით იხმარება იგი და ერთი: მისვე და ერთისა სულისაგან მომღებელნი 82,20C; მისვე და ერთსა მუჯლსა 82,18C.

ყვრამულიდან ნასესხებ სიტყვათაგან აღსანიშნავია: მელანი 77,82, 77,83, 77,84, 77,85, 77,86, 77,87, 77,88, 77,89, 77,90, 77,91, 77,92, 77,93, 77,94, 77,95, 77,96, 77,97, 77,98, 77,99, 77,100, 77,101, 77,102, 77,103, 77,104, 77,105, 77,106, 77,107, 77,108, 77,109, 77,110, 77,111, 77,112, 77,113, 77,114, 77,115, 77,116, 77,117, 77,118, 77,119, 77,120, 77,121, 77,122, 77,123, 77,124, 77,125, 77,126, 77,127, 77,128, 77,129, 77,130, 77,131, 77,132, 77,133, 77,134, 77,135, 77,136, 77,137, 77,138, 77,139, 77,140, 77,141, 77,142, 77,143, 77,144, 77,145, 77,146, 77,147, 77,148, 77,149, 77,150, 77,151, 77,152, 77,153, 77,154, 77,155, 77,156, 77,157, 77,158, 77,159, 77,160, 77,161, 77,162, 77,163, 77,164, 77,165, 77,166, 77,167, 77,168, 77,169, 77,170, 77,171, 77,172, 77,173, 77,174, 77,175, 77,176, 77,177, 77,178, 77,179, 77,180, 77,181, 77,182, 77,183, 77,184, 77,185, 77,186, 77,187, 77,188, 77,189, 77,190, 77,191, 77,192, 77,193, 77,194, 77,195, 77,196, 77,197, 77,198, 77,199, 77,200, 77,201, 77,202, 77,203, 77,204, 77,205, 77,206, 77,207, 77,208, 77,209, 77,210, 77,211, 77,212, 77,213, 77,214, 77,215, 77,216, 77,217, 77,218, 77,219, 77,220, 77,221, 77,222, 77,223, 77,224, 77,225, 77,226, 77,227, 77,228, 77,229, 77,230, 77,231, 77,232, 77,233, 77,234, 77,235, 77,236, 77,237, 77,238, 77,239, 77,240, 77,241, 77,242, 77,243, 77,244, 77,245, 77,246, 77,247, 77,248, 77,249, 77,250, 77,251, 77,252, 77,253, 77,254, 77,255, 77,256, 77,257, 77,258, 77,259, 77,260, 77,261, 77,262, 77,263, 77,264, 77,265, 77,266, 77,267, 77,268, 77,269, 77,270, 77,271, 77,272, 77,273, 77,274, 77,275, 77,276, 77,277, 77,278, 77,279, 77,280, 77,281, 77,282, 77,283, 77,284, 77,285, 77,286, 77,287, 77,288, 77,289, 77,290, 77,291, 77,292, 77,293, 77,294, 77,295, 77,296, 77,297, 77,298, 77,299, 77,300, 77,301, 77,302, 77,303, 77,304, 77,305, 77,306, 77,307, 77,308, 77,309, 77,310, 77,311, 77,312, 77,313, 77,314, 77,315, 77,316, 77,317, 77,318, 77,319, 77,320, 77,321, 77,322, 77,323, 77,324, 77,325, 77,326, 77,327, 77,328, 77,329, 77,330, 77,331, 77,332, 77,333, 77,334, 77,335, 77,336, 77,337, 77,338, 77,339, 77,340, 77,341, 77,342, 77,343, 77,344, 77,345, 77,346, 77,347, 77,348, 77,349, 77,350, 77,351, 77,352, 77,353, 77,354, 77,355, 77,356, 77,357, 77,358, 77,359, 77,360, 77,361, 77,362, 77,363, 77,364, 77,365, 77,366, 77,367, 77,368, 77,369, 77,370, 77,371, 77,372, 77,373, 77,374, 77,375, 77,376, 77,377, 77,378, 77,379, 77,380, 77,381, 77,382, 77,383, 77,384, 77,385, 77,386, 77,387, 77,388, 77,389, 77,390, 77,391, 77,392, 77,393, 77,394, 77,395, 77,396, 77,397, 77,398, 77,399, 77,400, 77,401, 77,402, 77,403, 77,404, 77,405, 77,406, 77,407, 77,408, 77,409, 77,410, 77,411, 77,412, 77,413, 77,414, 77,415, 77,416, 77,417, 77,418, 77,419, 77,420, 77,421, 77,422, 77,423, 77,424, 77,425, 77,426, 77,427, 77,428, 77,429, 77,430, 77,431, 77,432, 77,433, 77,434, 77,435, 77,436, 77,437, 77,438, 77,439, 77,440, 77,441, 77,442, 77,443, 77,444, 77,445, 77,446, 77,447, 77,448, 77,449, 77,450, 77,451, 77,452, 77,453, 77,454, 77,455, 77,456, 77,457, 77,458, 77,459, 77,460, 77,461, 77,462, 77,463, 77,464, 77,465, 77,466, 77,467, 77,468, 77,469, 77,470, 77,471, 77,472, 77,473, 77,474, 77,475, 77,476, 77,477, 77,478, 77,479, 77,480, 77,481, 77,482, 77,483, 77,484, 77,485, 77,486, 77,487, 77,488, 77,489, 77,490, 77,491, 77,492, 77,493, 77,494, 77,495, 77,496, 77,497, 77,498, 77,499, 77,500, 77,501, 77,502, 77,503, 77,504, 77,505, 77,506, 77,507, 77,508, 77,509, 77,510, 77,511, 77,512, 77,513, 77,514, 77,515, 77,516, 77,517, 77,518, 77,519, 77,520, 77,521, 77,522, 77,523, 77,524, 77,525, 77,526, 77,527, 77,528, 77,529, 77,530, 77,531, 77,532, 77,533, 77,534, 77,535, 77,536, 77,537, 77,538, 77,539, 77,540, 77,541, 77,542, 77,543, 77,544, 77,545, 77,546, 77,547, 77,548, 77,549, 77,550, 77,551, 77,552, 77,553, 77,554, 77,555, 77,556, 77,557, 77,558, 77,559, 77,560, 77,561, 77,562, 77,563, 77,564, 77,565, 77,566, 77,567, 77,568, 77,569, 77,570, 77,571, 77,572, 77,573, 77,574, 77,575, 77,576, 77,577, 77,578, 77,579, 77,580, 77,581, 77,582, 77,583, 77,584, 77,585, 77,586, 77,587, 77,588, 77,589, 77,590, 77,591, 77,592, 77,593, 77,594, 77,595, 77,596, 77,597, 77,598, 77,599, 77,600, 77,601, 77,602, 77,603, 77,604, 77,605, 77,606, 77,607, 77,608, 77,609, 77,610, 77,611, 77,612, 77,613, 77,614, 77,615, 77,616, 77,617, 77,618, 77,619, 77,620, 77,621, 77,622, 77,623, 77,624, 77,625, 77,626, 77,627, 77,628, 77,629, 77,630, 77,631, 77,632, 77,633, 77,634, 77,635, 77,636, 77,637, 77,638, 77,639, 77,640, 77,641, 77,642, 77,643, 77,644, 77,645, 77,646, 77,647, 77,648, 77,649, 77,650, 77,651, 77,652, 77,653, 77,654, 77,655, 77,656, 77,657, 77,658, 77,659, 77,660, 77,661, 77,662, 77,663, 77,664, 77,665, 77,666, 77,667, 77,668, 77,669, 77,670, 77,671, 77,672, 77,673, 77,674, 77,675, 77,676, 77,677, 77,678, 77,679, 77,680, 77,681, 77,682, 77,683, 77,684, 77,685, 77,686, 77,687, 77,688, 77,689, 77,690, 77,691, 77,692, 77,693, 77,694, 77,695, 77,696, 77,697, 77,698, 77,699, 77,700, 77,701, 77,702, 77,703, 77,704, 77,705, 77,706, 77,707, 77,708, 77,709, 77,710, 77,711, 77,712, 77,713, 77,714, 77,715, 77,716, 77,717, 77,718, 77,719, 77,720, 77,721, 77,722, 77,723, 77,724, 77,725, 77,726, 77,727, 77,728, 77,729, 77,730, 77,731, 77,732, 77,733, 77,734, 77,735, 77,736, 77,737, 77,738, 77,739, 77,740, 77,741, 77,742, 77,743, 77,744, 77,745, 77,746, 77,747, 77,748, 77,749, 77,750, 77,751, 77,752, 77,753, 77,754, 77,755, 77,756, 77,757, 77,758, 77,759, 77,760, 77,761, 77,762, 77,763, 77,764, 77,765, 77,766, 77,767, 77,768, 77,769, 77,770, 77,771, 77,772, 77,773, 77,774, 77,775, 77,776, 77,777, 77,778, 77,779, 77,780, 77,781, 77,782, 77,783, 77,784, 77,785, 77,786, 77,787, 77,788, 77,789, 77,790, 77,791, 77,792, 77,793, 77,794, 77,795, 77,796, 77,797, 77,798, 77,799, 77,800, 77,801, 77,802, 77,803, 77,804, 77,805, 77,806, 77,807, 77,808, 77,809, 77,810, 77,811, 77,812, 77,813, 77,814, 77,815, 77,816, 77,817, 77,818, 77,819, 77,820, 77,821, 77,822, 77,823, 77,824, 77,825, 77,826, 77,827, 77,828, 77,829, 77,830, 77,831, 77,832, 77,833, 77,834, 77,835, 77,836, 77,837, 77,838, 77,839, 77,840, 77,841, 77,842, 77,843, 77,844, 77,845, 77,846, 77,847, 77,848, 77,849, 77,850, 77,851, 77,852, 77,853, 77,854, 77,855, 77,856, 77,857, 77,858, 77,859, 77,860, 77,861, 77,862, 77,863, 77,864, 77,865, 77,866, 77,867, 77,868, 77,869, 77,870, 77,871, 77,872, 77,873, 77,874, 77,875, 77,876, 77,877, 77,878, 77,879, 77,880, 77,881, 77,882, 77,883, 77,884, 77,885, 77,886, 77,887, 77,888, 77,889, 77,890, 77,891, 77,892, 77,893, 77,894, 77,895, 77,896, 77,897, 77,898, 77,899, 77,900, 77,901, 77,902, 77,903, 77,904, 77,905, 77,906, 77,907, 77,908, 77,909, 77,910, 77,911, 77,912, 77,913, 77,914, 77,915, 77,916, 77,917, 77,918, 77,919, 77,920, 77,921, 77,922, 77,923, 77,924, 77,925, 77,926, 77,927, 77,928, 77,929, 77,930, 77,931, 77,932, 77,933, 77,934, 77,935, 77,936, 77,937, 77,938, 77,939, 77,940, 77,941, 77,942, 77,943, 77,944, 77,945, 77,946, 77,947, 77,948, 77,949, 77,950, 77,951, 77,952, 77,953, 77,954, 77,955, 77,956, 77,957, 77,958, 77,959, 77,960, 77,961, 77,962, 77,963, 77,964, 77,965, 77,966, 77,967, 77,968, 77,969, 77,970, 77,971, 77,972, 77,973, 77,974, 77,975, 77,976, 77,977, 77,978, 77,979, 77,980, 77,981, 77,982, 77,983, 77,984, 77,985, 77,986, 77,987, 77,988, 77,989, 77,990, 77,991, 77,992, 77,993, 77,994, 77,995, 77,996, 77,997, 77,998, 77,999, 77,1000.

ჟურნალის მცირის ლექსიკონისათვის

ფსალმუნთა თარგმანების შესავლის შუა ნაწილი წარმოადგენს ლექსიკონს, რომლის სახელწოდებას, შედგენის მიზეზსა და წესებს, აგრეთვე დანიშნულებას ჟურნალის მცირე შესავლის დასაწყის და დასკვნით ნაწილებში გვამცნობს.

ჟურნალი წერს, რომ მას ლექსიკონი შეუდგენია ბერძენთა მიზამით: «ესრეთ აქუს ჩუეულებაა წიგნებსა ბერძენთასა, რაათა ანბანსა ზედა განაწყობდენ ყოველთავე სიტყუათა გამოსაძიებელთა და ღრმათა, რაათა ადვილ იყენენ საპოვნელად, რომელ არს ლექსთა, ესე-იგი არს ღრმათა სიტყუათა» (96,25). იგი ასახელებს ბერძენ ავტორებს—ლექსიკონთა შემდგენლებს და დასძენს, რომ მრავალ ბერძენულ წიგნს ლექსიკონი აქვს დართულიო: «თითოეულსა წიგნსა — გარეშეთა გინა საეკლესიოთაგანსა ყოველივე ღრმა და გამოსაძიებელი სიტყუა ანბანთა ზედა განწყობილი თავად და შესავლად წიგნისა უწერია» (96,28). აღსანიშნავია, რომ ჟურნალი სხვაგანაც განმარტავს, თუ რა არის ლექსიკონი¹. ასეთი არა ერთგზის გამოკრებული ახსნა-განმარტება გულისხმობს, რომ იმდროინდელი მკითხველისათვის ეს ცნობები ახალი იყო. ესეც ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ფსალმუნთა თარგმანების შესავლის შუა ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ენაზე შედგენილ პირველ ლექსიკონად, რომელშიც «მცირედი მრავლისაგან ერთად შემოკრებულ იქმნა მეძიებელთათვის და წინა-შესავალსა ამის წიგნისა ჩუენისასა დაეწერა არა ლიტონად, არცა ურთიერთას აღრეულად, არამედ ასოთა ზედა ანბანისათა განწყობილად და განკარგულად, რაათა მარჯუე და ადვილ იყენენ საპოვნელად მეძიებელთათვის» (82,36).

ამასთან უნდა გაითვალისწინოთ ერთი გარემოება: ჟურნალს ამ ლექსიკონის შედგენისას არ ჰქონია საკუთრივ ლექსიკოგრაფიული ამოცანები; ავტორის მიზანი სულ სხვაა და იგი მკაფიოდა გამოთქმული შესავალში. ჟურნალის ლექსიკონს აქვს დამხმარე წიგნის დანიშნულება. ავტორის სიტყვით, როდესაც მკითხველს დავა მოუხდებოდა ქრისტიანული დოგმების საკითხებზე მწვალებლებთან, ანბანზე დაწყობილი სიტყვები ადვილად საპოვნელი და გამოსაყენებელი იქნებოდა: «რაქამს არსებისათვის სიტყუა-გიგებდენ წინა-აღმდგომნი, მყის წინსაგან სიტყუა-უგო, სოლო ბუნებისათვის — ლანისაგან და გუამისათვის — ლანისაგან» (97,3).

ეს სპეციალური დანიშნულება განსაზღვრავს აგრეთვე ლექსიკონში შეტანილი ერთეულების როგორც შერჩევას, ისე მათი განმარტების ხასიათს.

შეუხედავად ამისა, ჟურნალის ლექსიკონი ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის თვალსაზრისითაც არაა მნიშვნელობას მოკლებული: სიტყვათა დალაგების წესი, განსამარტავი ერთეულის სალექსიკონო ფორმა, განსაზღვრებისათვის გამოყენებული ხერხები — ეს ყველაფერი გარკვეულ ფაქტობრივ მონაცემებს იძლევა ჟურნალის ლინგვისტური კონცეფციის შესასწავლად.

¹ «ლექსიკონნი — ესე არიან ღრმათა წიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა განწყობილი სიტყუანი». ეს განმარტება ამოღებულია სამოციქულოს თარგმანების შესავლიდან. «მიმოხილველი», 1, 1926, გვ. 161.



ზექსიკონში შეტანილია, ჩვენამდე მოღწეული ტექსტის მიხედვით განსამარტავი ერთეული (აკლია ლ, ო ასოები მთლიანად და სავარაუდოა, 4-სა და 7-ს ნაწილი¹).

სალექსიკონო ერთეული ყველაზე სშირად მსაზღვრელ-საზღვრულია. პირველადგილზე თავსდება საზღვრული, მას მოსდევს მსაზღვრელი, რომელიც ჩვეულებრივ არის ღმერთ სიტყვა: ალაგ ღმრთისა, არგან ღმრთისა, ბნელ ღმრთისა; ზოგჯერ ღმრთისა სიტყვას ნაცვალსახელი ცვლის. ასულ მისა, მოქცევა მისა. იშვიათად სალექსიკონო ერთეული ცალკე სიტყვაა: სიწმიდე, ქრისტე, ძილ, წრფელ.

ღანსამარტავი ერთეულები დალაგებულია ანბანის რიგზე². შინაგანი რიგი დაცული არაა: ნათელ... ნება... ნადირ...; ფერჯ... ფრთე... ფარ...; ანბანური პრინციპი ერთეულების დალაგებისა ყველგან თანმიმდევრულად გატარებული არაა, აქა-იქ შინაარსობლივ დაგჯუფებასაც აქვს ადგილი: ასე, მაგალითად, «უცნაურება» მოთავსებულია არა უ-ზე, არამედ ც-ზე, სადაც ჯერ განმარტებულია ცნობა ღმრთისა: «ცნობა ღმრთისა ითქუმის არსებით დამკვდრება მისი გულსა შინა, ხოლო ცნობა ურება მისა არს, რაჟამს...» ასევე, ძილვა პირისა ღმრთისა მოცემულია პ-ზე, სადაც განმარტებულია სირი ღმრთისა.

ღანსამარტავი ერთეულები მეტწილად წრფელობით ბრუნვაშია; განმარტება სშირად იწყება «არს» ან «ეწოდება» სიტყვებით: 4 ნელ ღმრთისა არს; 7 ტლ ღმრთისა არიან; 4 უერთხ ღმრთისა ეწოდების; 1 ქა ცხორების უწოდინ. მართალია, ამ ზმნებთან წრფელობითი ბრუნვის სმარება მოსალოდნელი იყო, მაგრამ, ეტყობა, ეფრემი საგანგებოდ ცდილობს უპირატესად ისეთ კონსტრუქციითა სმარებას, სადაც განსამარტავი ერთეული წრფელობით ბრუნვაშია. წრფელობითი ბრუნვა ზოგჯერ იქაც გვხვდება, სადაც სხვა ბრუნვა იყო მოსალოდნელი: 7 დგილ ღმრთისა ცაჲ ითქუმის; 1 ისხვა ღმრთისა ითქუმის; 1 ფარ ღმრთისა ითქუმის; 1 ნათელ სახელ-ედების (შდრ. 1 ზოდ შემწყენარებელად სათნოებათა სახელ-ედების). იშვიათად განსამარტავი ერთეული სახელობით ბრუნვაშია დასმული, თუ წინადადების კონსტრუქცია საგანგებოდ არ მოითხოვს წრფელობით ბრუნვას: 1 ოხედვა ღმრთისაჲ ორთა მიზნითათჳს იქმნების; 1 სიცილი ღმრთისაჲ ესრეთ გულისწმა-იყოფების.

1 ოცა განსამარტავი ერთეული ზმნა, ის ლექსიკონში ყოველთვის უპიროფორმით არის შეტანილი: 1 დღგომა ღმრთისა, 1 ხრახვა უფლისა, 1 ქუმა ღმრთისა, 1 შეუფება ღმრთისა, 1 ისხვა ღმრთისა, 1 სიცილი ღმრთისაჲ, 1 წავლა უფლისა. სავარაუდებელია, რომ საწყისი ეფრემს მოცემული აქვს ასახსნელად მაშინაც, როცა შე-

¹ მართალია, ლექსიკონში ზოგ ასოებზე სულ არ არის განსამარტავი ერთეულები (ღ-ზე, ჩ-ზე), მაგრამ მნელი საფიქრებელია, რომ ლ და ო ლექსიკონში არ ყოფილიყო: ჯერ-ერთი, ცნობილია, რომ სწორედ ამ ასოებზე იწყება მრავალი ზმნისწინი, რომელიც აუარებელ ფორმას აწარმოებს ზმნებისას; გარდა ამისა, ერთ ადგილას შესავალში ჩამოთვლილია ზოგიერთი სიტყვა, რომელიც, საფიქრებელია, განმარტებული იქნებოდა ლექსიკონში: განდძება, გულის წყრომა, დაიწყება, დაძინება 82,26. რომ, ჩ-ზე სიტყვები თავიდანვე არ ყოფილა ტექსტში, ამას მოწმობს შესაბამის ადგილას ტექსტის ხელით მინაწერი 4-ში: «ჩ უქმ არს».

² ანბანის ასოები (ტ, 4, 7 და სხვ). თავ-თავის ადგილას ლექსიკონში ჩვენ მიერაა შეტანილია.

ეროვნული
ცენტრალი

საბამის ადგილას ტექსტში პირიანი ზმნა არის. ასე, მაგალითად, «სფსალმუნში სულ არ გვხვდება, გვაქვს მხოლოდ პირიანი ფორმები: ეცინოდის ფს. 2,4; მეცინიან ფს. 24,2; ეცინინ ფს. 36,13; იცინოდიან ფს. 51,8. ეცინოდი ფს. 58,9¹. «აღდგომა» ფსალმუნის გიორგისეულ ტექსტში ორჯერ გვხვდება, და არც ერთ შემთხვევაში ღმერთზე არაა ლაპარაკი (არღარა ნუ შესძინოსა აღდგომა ფს. 40,9; შენ სცან დაჯდომა ჩემი და აღდგომა ჩემი ფს. 138,2). პირიქით, ყველგან, სადაც ღმერთის ადგომა იგულისხმება, ფსალმუნის ტექსტში პირიანი ზმნა არის (აღდგებოდა ღმერთი ფს. 75,10; აღდეგ, ღმერთო ფს. 73,22; მ1,8; აღდეგ, უფალო ფს. 3,8; 7,7; 9,20; 9,33; 16,13; 131,8; აღდეგინ ღმერთი ფს. 67,2; აწ აღდეგე, იტყუხ უფალი ფს. 11,6; შენ აღსდგე და შეიწყალო სიონი ფს. 101,14 და სხვ.). ეს გვაფარაუდებინებს, რომ ეფრემს საწყისი მიაჩნია სალექსიკონო ერთეულისათვის ყველაზე შესაფერის ფორმად ზმნისათვის. გასარკვევია მხოლოდ, რა ვითარება იყო ამ მხრით ბერძნულ წყაროებში, რომლებიც ეფრემს ხელთ ჰქონდა და რომელთა მიხედვით ის თავის ლექსიკონს ადგენდა.

გასარკვევია აგრეთვე ეფრემის ლექსიკონის წყაროები და განმარტებათა შედგენის პრინციპები. შესავალში ეფრემი წერს, რომ მან სახსიმეტყუელებითა, ესე იგი ალეგორიული განმარტებების ნიმუშები, რომლებიც თარგმანების ტექსტში აქა-იქაა გაბნეული და საპოვნელად ძნელი, შეკრიბა და წარუმიძღვარა თარგმანებას: «ხოლო თუ ვითარ სახსიმეტყუელებენ სიტყუათა ამათ წმიდანი ესე მამანი, მთარგმნელნი დავითისანი, ესე ადგილ-ადგილ მიმოგანფენილ არს წიგნსა ამას შინა და ძნელ საპოვნელად. ამისთვისცა მცირედი მრავლისაგან ერთად შემოკრებულ იქმნა გამოძიებელთათვის და წინა შესავალსა ამის წიგნისა ჩუენისასა დაეწერა» (82,34).

შაშასადამე, ამ განცხადების მიხედვით, ლექსიკონის განმარტებათა წყარო თვით თარგმანებაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ ეფრემის ფსალმუნთა თარგმანება სრული სახით ჩვენამდე მოღწეული არაა. ო ხელნაწერში, რომელიც უძველესია არსებულითა შორის, დაცულია მხოლოდ ნახევარი ტექსტისა (თარგმანება 76 ფსალმუნისა). ეფრემის ანდერძშიც ასევეა ნათქვამი: «დიდებამ და პატივი... წმიდასა სამებასა, რომელმან ჯერ-იჩინა მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისა და ყოველთა წმიდათა მისთაათა და ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთა, ეფთუძმესითა და გიორგისითა, თანა-დგომითა და უფროჲსა ოხითა და წინა-ძლომითა ბერისა ჩუენისა საბა სულაჲს ძისა თუხარსელისაათა, განზოგება წიგნისა ამის, რომელსა უწოდიან თარგმანნი დავითისანი...» (323v). განზოგება, როგორც ცნობილია, ძველ ქართულში განახევრებას, შუაზე გაყოფას ნიშნავს და ამავე მნიშვნელობით უფრო გვიანაც იხმარება, მაგალითად, გიორგი მთაწმიდლის მიერ (მის ნარედაქციევ ოთხთაფში ვკითხულობთ: და ვითარცა დღესასწაული იგი განოდენ-ზოგებულ იყო, ადვიდა, იოვ. 7,14. ასევეა DE-შიც, C-ში: განზოგებასა ოდენ... *Ἡδη δὲ τῆς ἐορτῆς μεσσησῆς ἀνέβη*. გიორგისეულ ფსალმუნშიც გვაქვს ეს სიტყვა: ნუ განზოგუნენ დღენი ფს. 54,24 ὅς μὴ ἡμῶσθησῃς τὰς ἡμέρας). ლენინგრადის ხელნაწერშიც მარტო 76 ფსალმუნის თარგმანებაა მოცემული, 4-ში

¹ მაგალითები დასახელებულია გიორგი მთაწმიდლის თარგმანის მიხედვით, რადგან სათარგმანებელი ტექსტი ფსალმუნისა, როგორც თვითონ ეფრემი აცხადებს, მას გიორგისეული აუღია; უკვლევარი ცვლილების გარეშე.



კი ამდენიც აღარ არის ამჟამად: ხელნაწერი დაზიანებულია და მასში დარჩენილი ისიც შიგადაშიგ ნაკლები და არეულად აკინძული, თარგმანებად 1-60 ფსალმუნისა.

ღვრემის ანდერძი და სათაური თხზულებისა გვაფიქრებინებს, რომ მას თარგმანების ტექსტის მთლიანად თარგმნა ჰქონდა განზრახული. ზოგიერთი ფაქტი გვაფარაულებინებს, რომ მას ეს განზრახვა შეუსრულებია და უთარგმნია ტექსტის მეორე ნაწილიც (ამის შესახებ სხვაგან გვექნება მსჯელობა). მაგრამ იგი ჩვენამდე მოღწეული არაა, რაც ლექსიკონის წყაროთა ძიებას, რა თქმა უნდა, აძნელებს.

შესავალში მოცემული ზოგიერთი განმარტების შედარებამ თარგმანების შესაბამის ადგილთან გვიჩვენა, რომ მათ შორის საგრძნობი სხვაობაა. განმარტება, რომელიც შესავალშია, არ ემთხვევა თარგმანებისას არც შინაარსეულად, არც მოცულობით. მაგალითად, «არგან ღმრთისა» შესავალში განმარტებულია შემდეგნაირად: «არგან ღმრთისა არს შეწვენა ნუგეშინის-ცემითი, გინა თუ სწავლა ტანჯვითი». «არგანი» ფსალმუნის ტექსტში მხოლოდ ერთხელ გვხვდება: «კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან ამან ნუგეშინის-მცეს მე» ფს. 22,4. ეს მუხლი თარგმანებულია შემდეგნაირად: «თარგმანი ათანასესი: სიტყუა ესე ითქუმის ჩუენ მიერ მამისა მიმართ სამადლობელად ძისა მისისა მოვლინებისათჳს. რამეთუ მას უწოდს კუერთხად [...] და კუალად სხუასა ადგილსა, რაჟამს-იგი თქუა: «კუერთხი ძლიერებისა გამოგივლინოს შენ უფალმან სიონით» [ფს. 109,2] და კუალად სხუათაცა წერილთა მიერ ეწოდების ქრისტესა კუერთხ სიქადულისა და კუერთხ დიდებულებისა. ხოლო არაგინ შესცთეს ჭეშმარიტებისაგან, უკუეთუ ცხოველს-ყოფელისა ჯუარისათჳსცა გულისწმა-უენეს სიტყუანი ესე, რომლისა ნებითა და წსენებითა ეშმაკისა ბრძოლათაგან განვთავისუფლდებით და გზათა მიმართ მშჳდობისათა წარეემართებით. კ ჳ რ ი ლ ე ს ი. ორთა ამათ ერთბამად მოწსენებითა — კუერთხისა და არგნისათა ქადაგებაჲ წმიდისა სამებისა საცნაურ იქმნების, ვითარმედ მამამან მომაქცინა ჩუენ მოვლინებითა ძისათა და მოცემითა სულისა წმიდისათა. და კუალად სხუებრცა გულისწმა-ყოფების ძალი სიტყუათაჲ ამათ. რამეთუ კუერთხი სახე არს წურთისაჲ და შიშისაჲ, ხოლო არგანი — განმტკიცებისა და თანაშეწენისაჲ. ერთი იგი მომაქცეველ არს ბოროტისაგან, ხოლო მეორე ესე მმართლებელ და არაოდეს მიმდრეკელ სათნოებათა მიდევნებისაგან. მისი თჳნიერ ცემისა ხედვაჲ ოდენ კმა არს შემადრწუნებელად, ხოლო ამისი მიყრდნობაჲ ოდენ-ნუგეშინის-საცემელად, რათა მისგან გუეშინოდის, დადათუ სულ-გრძელებით დრო-გუცემდეს ცემად. ხოლო ამას ზედა მიყრდნობითა განვმტკიცებოდით, დადაცათუ ჯერეთ ვერ ძალ-გუედვას, რათამცა თანა-შემწედ გზისა ვიწუმიეთ იგი» (C, 90v).

ზოგჯერ კი ლექსიკონში მოცემული განმარტება პირდაპირ არის ამოღებული სათანადო ადგილის თარგმანებიდან. მაგალითად, «ასულ» სიტყვის განმარტება ლექსიკონში ასეთია: «ასულ მისა არიან სულნი წმიდათანი». ამ განმარტების წყარო უნდა იყოს ფს. 44,10-ის თარგმანება: «ასულნი მეუფისანი პატივითა შენითა; დადგა დედოფალი მარჯუენით შენსა, სამოსლითა ოქრო-ქსოვილითა შემკულ და შემოსილ პირად-პირადად. კ ჳ რ ი ლ ე ს ი. ა ს უ ლ ა დ მ ე უ ფ ი ს ა უ წ ო დ ს ს უ ლ ე ბ ს ა წ მ ი დ ა თ ა ს ა, ხოლო დედოფლად — ეკლესიასა»



წარმართთასა. და ყოველთა ეკლესიათა ვითარცა ერთსა სახელს-სდგეს...» (C201r).

ხოვ შემთხვევაში შეიძლება ვიფარაუდოთ, რომ განმარტებები ლექსიკონში ეფრემს კომპილაციის წესით აქვს შედგენილი «თარგმანების» სხვადასხვა ადგილების მიხედვით. მაგალითად, «სიცილ ღმრთისა»-ს განმარტებაში გვხვდება ფრაზა: «ამისთვისა არა თქუა წინაჲსწარმეტყუელმან, ვითარმედ «ეცინოდა», არამედ «ეცინოდისო». ეს ფრაზა თითქმის სიტყვა-სიტყვითაა ამოღებული ფს. 2,4-ის თარგმანებიდან: «რომელი დამკვდრებულ არს ცათა შინა, ეცინოდის მათ და უფალმან შეურაცხ-ყენეს ივინი. თარგმანი ათანასესი: ვითარცა აღმრჩეველთა სიკუდილისათა და დამტყვევებელთა ცხორებისათა სძულობდეს და ვითარცა მოქმედთა უწესობისათა გარე-მიაქცევდეს. სხუა თარგმანი ეესუქისი: არა თქუა, ვითარმედ «ეცინოდა», არამედ ვითარმედ «ეცინოდის», არცა ვითარმედ «შეურაცხ-ყენა», არამედ «შეურაცხ-ყენეს ივინი». ესე-იგი არს, ვითარმედ მაშინ განაქიქნეს საქმენი სირცხვლისანი ჰურიათა და წარმართთანი, რაჟამს განბრწყინდენ შჯულნი ქრისტეანეთანი, რამეთუ ერთთა მათ უმეტეს შეჰრაცხეს მსახურებაჲ ეშმაკთაჲ უფროჲს ღმრთის-მსახურებისა, ხოლო მეორეთა აჩრდილთა ჰურობაჲ აღირჩიეს უფროჲს ჭეშმარიტებისა. და თითოეულსა მათგანსა ეპურა მსხუერპლები და საკუერტხები ჰირუტყუთა ნაცვალად სიტყუერისა მის მსხუერპლისა ქრისტესისა. ვარნა ცუდად და ამაოდ ჰპასრობდეს ივინი ვნებათა ქრისტესთა. რამეთუ ვერ ვინაჲთ სხუთ შესაძლებელ არს ცხორებაჲ თვნიერ ძალისა და სარწმუნოებისა მისისა» (C, 10r).

ხემათქმულიდან ჩანს, რომ ლექსიკონის განმარტებათა წყაროების გარკვევა მოითხოვს საგანგებოდ კვლევას როგორც თარგმანების ჩვენამდე მოღწეული ტექსტისას, ისე მისი ბერძნული დედნებისას. არ არის გამორიცხვული აგრეთვე შესაძლებლობა, რომ ამ განმარტებების წყარო სხვა რაიმეც აღმოჩნდეს¹.

ხოგიერთი განმარტება ლექსიკონში თვითონ ეფრემს შეიძლება ეკუთვნოდეს. ამას მოწმობს განმარტება ქრისტე სიტყვისა. იგი არსებითად წარმოადგენს მსჯელობას სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ. ეფრემი აღნიშნავს, რომ ქრისტე ბერძნულად «ცხებულს» ნიშნავს, ხოლო იმავე მნიშვნელობის სიტყვა ებრაულში «მესია» არისო. (ებრაული სიტყვა ეფრემს ისევე ბერძნული ფორმით მოჰყავს, წინააღმდეგ შემთხვევაში. იქნებოდა არა «მესია», არამედ «მეშია» ან «მშია»²). აქვე იგი მსჯელობს ებრაული და ბერძნული სიტყვების სესხების შესახებ ქართულში.

¹ შდრ. რ. სირაძე. ეფრემ მცირის «ფსალმუნთა თარგმანების» შესახებ. თსუ ფილოლოგიის ფაკ. XII სამეცნიერო სესია, თეზისები, 1968. ავტორის აზრით, ფსალმუნთა თარგმანებაში საღვთო-ატრიბუტები (ესე იგი «აღღვომა ღმრთისა» და მისთანანი, რომლებიც ლექსიკონშია შეტანილი), არეოპაგიტულ წიგნებში შემუშავებული პრინციპების მიხედვით არის განმარტებული. არ ჩანს, რას ემყარება ავტორის ეს დებულება, რომელიც გაშლილი და კონკრეტული მაგალითებით დამტკიცებული არ არის.

² ა. შანიძე. სინური მრავალთავი 864 წლისა და მისი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 1959. გვ. 328.



ისტორიული ხასიათის ცნობები

«ყესავალი», როგორც ისტორიული წყარო, საგანგებო შესწავლას მოითხოვს. მასში ეფრემი იძლევა საუურადღებო ცნობებს ქართული ფსალმუნის თარგმნის ისტორიის შესახებ. ამ საკითხის განხილვას ცალკე ვაპირებთ შემდგომში.

საინტერესოა აგრეთვე ეფრემის ცნობები ბიზანტიური ლექსიკოგრაფიის შესახებ.

ერთგან, «ფსალმუნთა თარგმანების» ტექსტში, ეფრემი თვითონ ასახელებს ათანასი აღექსანდრიელის თარგმანებას 67-ე ფსალმუნისას, რომელიც დავით ტბელს უთარგმნია. იგი წერს: «თარგმანი წმიდისა ათანასესი ამის ფსალმუნისაა ეინათგან პირველ თარგმნილ იყო ნეტარისა მამის დავით ტბელის მიერ, ამის-თუსცა არლარა საჭირო იყო კუალად თარგმნაა მისი» (C282v). არ ჩანს, რომ ეს თხზულება¹ ჩვენამდე მოღწეული იყოს; ეფრემის შენიშვნა (რომელიც თარგმანების ძირითად ტექსტშია შეტანილი) ჯერჯერობით ერთადერთი ცნობაა ამგვარი თარგმანის არსებობის შესახებ.

¹ დავით ტბელის ნათარგმნ თხზულებათა შორის იგი დასახელებული არ არის (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 180—182).

პორნელი მანელია

ძველი ქართულის ლექსიკიდან

1. ჩ უ ჩ ლ უ ბ ა, ჩ უ ჩ უ ლ ე ბ ა

ჩ უ ჩ ლ უ ბ ა იშვიათი ხმარების სიტყვაა ძველ ქართულში და ეს იმიტომ, რომ იგი მცდარი ფორმაა სხვა სიტყვისა. რეალურად «ჩუჩლუბა» სიტყვა არც უნდა გვექონოდა ქართულში; იგი შეცდომითაა მოხვედრილი ლექსიკონებში და, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველგან განმარტების გარეშეა დატოვებული. დიაცხე მნელი იყო არარსებული სიტყვის განმარტება!

ჩ უ ჩ ლ უ ბ ა მ (ჩ უ ჩ უ ლ ე ბ ა მ) ჩვენი ყურადღება მიიპყრო დავით აღმაშენებლის თხზულებაში «გალობანი სინანულისანი». ამ ძეგლში «ჩუჩლუბა» ისეთ კონტექსტშია ნახმარი, რომ შეიძლება კაცმა იგი ცუდი საქციელის აღმნიშვნელ სიტყვად მიიჩნიოს. დავით აღმაშენებელი გულწრფელად, მაგრამ ზედმეტი გულახდილობით აღიარებს მარიამ ღვთისმშობლის წინაშე იმ შეცოდებებს, რომლებიც მას ჩაუდენია, როგორც მეფეს და როგორც მიწიერ, მომაკვდავ არსებას. დავითი აღნიშნავს: ღმერთმა მომანიჭა მეფობის გვირგვინი (შარავანდელი), ხოლო «მე ვნებათა ბილწთა მონებად მივჰყიდე თავი... კაენის მკულელებრი ცნობაჲ, სეთის ძეთა ღირწებაჲ, გმირთა სილოდით მავალობაჲ, ხუთქალაქელთა შევივნებისა მწკრე უფროხსად ვამრავალწილე, ვითარცა რაჲ დაღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან.

შევვბტური გულმძიმობაჲ, ქანანელთა ჩ უ ჩ ლ უ ბ ა ნ ი, მსხუერპლგაჲ ნაშობთაჲ, ზმნაჲ და სახრგაჲ, კოწოლი თმათაჲ და სხუანი, რომელთაჲ შენ ჰბრძანე არამსგავსებაჲ, უწარმდებესად მრვიგენ თვთ მათ პირმშოთა სახეთასაცაჲ».

ციტატი მოგვეყავს ს. ყუბანეიშვილის გამოცემიდან¹. გამომცემელი აღნიშნავს, რომ «გალობანი სინანულისანი» როგორც ხელნაწერებში (A-85, ფ. 178v—190r, A-290, ფ. 245v—247v), ისე გამოცემებში, დამახინჯებულია. «ყოველგვარი მონაცემების გათვალისწინებით, ქვემომოყვანილი ტექსტი გამართა აკად. კ. კეკელიძემ»².

თერ ვიტყვით, რომ კ. კეკელიძის მიერ დადგენილი ტექსტის ყუბანეიშვილისეულ გამოცემაში «ჩ უ ჩ ლ უ ბ ა ნ ი» ხელნაწერთა მონაცემებს ემყარე-

¹ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 374.

² იქვე, გვ. 373.



ბოდეს. არა. ორივე ხელნაწერში (A-85, A-290), რომლებიც კ. კეკელიძის მოუყენებია, სწერია «ჩუჭულებანი».

ძნელია იმისი თქმა, თუ რატომ მოუვიდა სახელგანთქმულ მკვლევარს, რომ ამ სახით დაბეჭდა სიტყვა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში იგი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს დაეყრდნო და ნაწილობრივ — თ. ქორდანის «ქრონიკებში» გამოქვეყნებულ ტექსტსაც.

თ. ქორდანის მიერ გამოცემულ ტექსტში «ჩუჩულებანი» იკითხება. მაგრამ გამომცემელი დაეჭვებულა ამ ფორმის სისწორეში და «ჩუჩულებანის» გვერდით ფრჩხილებში მოუთავსებია კითხვის ნიშნის ქვეშ «ჩუჭულებანი»¹.

ტლახანიშვილი, რომ საბინის, რომელმაც პირველად გამოსცა ზემოხსენებული ტექსტი, «ჩუჭულებანი» აქვს დაბეჭდილი².

შეიძლება, კ. კეკელიძემ თ. ქორდანის «ჩუჩულება»-ს ახსნა ვერ მოუძებნა, რადგან ასეთი ფორმის სიტყვა არც ერთ ლექსიკონში არ მოიპოვებოდა. ამიტომ იგი შეცვალა «ჩუჩულება» ფორმით, რომელიც სულხან-საბას ლექსიკონში იყო შესული.

შინელი ჭაბაშვილს ს. ყუბანიშვილის ქრესტომათიაზე დართულ ლექსიკონში შეტანილი აქვს «ჩუჩულება» (364(?)). ჩანს, ჭაბაშვილს შეუსწორებია ტექსტისეული წაკითხვა, სალექსიკონო ერთეულად გამოუტანია არა ჩუჩულება, როგორც მოსალოდნელი იყო გამოცემული ტექსტის მიხედვით, არამედ ჩუჩულება, თუმცა ამ უკანასკნელის სისწორეშიც დაეჭვებულა და განმარტების გარეშე დაუტოვებია კითხვის ნიშნის ქვეშ.

მოგორც ზემოთ აღნიშნეთ, დავით აღმაშენებლის თხზულებაში «გალობანი სინანულისანი» «ჩუჩულებანი» კ. კეკელიძისეული კონიექტურაა, რომელიც, თუ არ ვცდებით, საბას ლექსიკონში დაცულ «ჩუჩულება»-ს გათვალისწინებით უნდა იყოს შეტანილი. საქმის ნამდვილი ვითარების გასარკვევად საჭიროა ვიცოდეთ, საიდან, რომელი თხზულებიდან აიღო საბამ «ჩუჩულება» და რას აღნიშნავს იქ ეს ფორმა.

საბას «ჩუჩულება» დამოწმებული აქვს ნემესიოს ემესელის თხზულებიდან «ბუნებისათვის კაცისა», იქიდან მოჰყავს ციტატი, მაგრამ განმარტებას არ იძლევა.

«ჩუჩულება» (30 ნემესიო). ქ. «ვინათაგან მიზეზი დასაბამი თვთ თვთ შორის უპყრიეს მათ ლირწთა ჩუჩულებათაგან ვნებათა და ადვლად წარტყუშენილ იბაგებანს»³.

საბას თავისი ლექსიკონის ერთი აღრინდელი (D) რედაქციის ნუსხაში (S-2498), რომელსაც ვახტანგ VI ნაწერად მიიჩნევენ, ამ სიტყვის განმარტებაც უცდია: ჩუჩულება 29 ნემეს: «უპყრიეს მათ ლირწთა ჩუჩულებათაგან(!) ვნება» CaqD. ჩუჩა მგონია D⁴.

¹ თ. ქორდანია. ქრონიკები, II, 1889, გვ. 104.

² საბინისი. საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 544.

³ სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა, ს. თორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1949, გვ. 426.

⁴ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული: თხზულებანი, ტ. IV₂, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, 1965, გვ. 325.



რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, მათ შორის ჩვეულებას, სადღეობას ადნიშნავს (поведение, образ жизни)¹.

შაშასადამე, ჩუჩლუბა||ჩუჩლუბა ენაში არარსებული სიტყვაა, რომელიც წარმომდგარია «ჩუჭლუბა» სიტყვის მცდარი წაკითხვის საფუძველზე. ამდენად, მისი ლექსიკონებში შეტანა გაუმართლებელია.

2. აღდაჭი

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შესულია მეტად იშვიათი ხმარების სიტყვა «აღდაჭი», სახელოვანი ლექსიკოგრაფი განმარტავს: «აღდაჭი (17,6 იერემ.) ბიცი ZABC»². ხოლო «ბიცი» შესახებ ადნიშნავს: «ბიცი (106,34 ფსალმ.) ესე არს მიწა, სადა სიმლაშით ნაყოფი არა იქმნების, რომელ არს აღდაჭი»³. მაშასადამე, საბას აზრით, «აღდაჭი» და «ბიცი» სინონიმებია და ადნიშნავს მლაშობს, უნაყოფო მიწას.

საიდან გაჩნდა საბას ლექსიკონში «აღდაჭი», როდესაც განსამარტავ სიტყვასთან მითითებულ წყაროში სხვა ფორმის სიტყვაა? წყაროში ასეთი ვითარებაა: ქართული ბიბლიის ათონურსა და იერუსალიმურ ვერსიებში «აღდაჭის» ნაცვლად «ბიცოანსა» იკითხება: და იყოს იგი, ვითარცა გრიკი ველისაჲ უდაბნოსა შინა, და არა იხილოს მან, რაქამს მოიწიოს კეთილი, დაეშენოს იგი ბიცოანსა, ქუეყანასა უდაბნოსა, ქუეყანასა მარილოვანსა, რომელსა ვერვინ დაეშენის⁴.

სელათურ ვერსიაში ეს ადგილი ამ სახით გვხვდება: და იყოს ვითარ ველური გრიკი უდაბნოს შინა, რომელი არა იხილავს, ოდეს მოვიდენ კეთილნი, და დაეშენოს აღდატსა, ქუეყანასა უდაბნოსა, ქუეყანასა შინა მარილიანსა, რომელი არ დაიმკვდრების (A-1108, 226v).

შოსალოდნელი იყო, რომ საბას თავის ლექსიკონში შეეტანა არა აღდაჭი, არამედ აღდატი, რადგან ცნობილია, რომ გელათური ბიბლია (A-1108) საბას ხელთ ჰქონია, დაუმუხლავს კიდევ იგი. ეს ის ხელნაწერია, რომელიც საფუძვლად დაედო თბილისში, ვასტანგ VI სტამბაში, დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა წიგნებს, რომლის რედაქტორადაც სულხან-საბა ორბელიანს მიიჩნევენ⁵. დღეისთვის ამ ნაბეჭდი ტექსტის სამად სამი ცალია ცნობილი: ერთი

ინახება თბილისის კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში $\left(F \frac{135}{4} \right)$,

მეორე უნივერსიტეტის ფუნდამენტალურ ბიბლიოთეკაში (F19578), მესამე — კ. კვეციძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A-51). სამსავე ცალში აღდატი იკითხება და არა აღდაჭი.

¹ И. Дворецкий. Древнегреческо-русский словарь, т. I, 1958, გვ. 29.

² სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული: თხზულებანი, ტ. IV₁, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, 1965, გვ. 79.

³ იქვე, გვ. 109.

⁴ Patrologia Orientalis, t. XXIX, f. 4, Paris, 1961 (ბლეიკისა და ბრიერის გამოცემა).

⁵ კ. ინგოროყვა. ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: მნათობი, 1932, № 4, გვ. 125; ქ. შარაშიძე. პირველი სტამბა საქართველოში, 1955, გვ. 174—177.

1743 წელს მოსკოვში გამოცემულ ბაქარისეულ ბიბლიაში თითქმის უცვლელად შევიდა თბილისში დაბეჭდილი (1710—1723) წინასწარმეტყველთა ტექსტი, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მოსკოვურ გამოცემაშიც აღდატი გვექონოდა ზემოთ დასახელებულ ადგილას. მაგრამ არა, არც 1743 წლის და არც მისგან მომდინარე 1884 წლის გამოცემაში აღდატი კი არ იკითხება; არამედ აღდაჭი. გასარკვევია, საიდან გაჩნდა ბაქარისეულ ბიბლიაში აღდაჭი, ან მოსალოდნელი აღდატი რატომ არ არის შესული საბას ლექსიკონში? სანამ ამანე ვუპასუხებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ სხვა ლექსიკოგრაფთა მოსაზრებანი ამ სიტყვაზე.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ნიკო ჩუბინაშვილს, რომელიც საბას ლექსიკონს ემყარებოდა, თავის ქართულ-რუსულ ლექსიკონში აღდატიც აქვს შეტანილი და აღდაჭიც. როგორც ჩანს, ნიკოს შეუმოწმებია საბას მიერ აღდაჭთან მითითებული წყარო და მის მიხედვით განუმარტავს აღდატი, მაგრამ მას ანგარიში გაუწევია საბას ავტორიტეტული ნაშრომისათვის და აღდაჭიც შეუტანია. ნ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს: «აღდატი აღქატი ანუ ბიცი (იერემ. 17,6) сухота. ს. აღდაჭ»¹.

ღღაჭი აღდატი, ბიცი (იერემ. 17,6) сухота².

ნ. ჩუბინაშვილის განმარტებაში რამდენიმე უზუსტობაა: 1) აღდატი სომხურ აღდაჭ სიტყვად მიაჩნია³. არა! სომხურშია აღტალტი|აღტალტი და არა აღდაჭ, 2) აღდატი ან აღდაჭი არ არის сухота. 3) აღდატი იგივე არ არის, რაც აღქატი. გაუგებარია, რატომ აქვს ნიკოს აღდატი და აღქატი სინონიმებად მიჩნეული, მაშინ როდესაც აღქატს იმავე ლექსიკონში განმარტავს, როგორც «მსუბუქი, მჩატე, დამშხალული (ვეფხ. 249 და 1455) рыхлый, дряблый»⁴. ნიკოს «აღქატი» რუსთველის ტექსტზე დაყრდნობით აქვს განმარტებული, მაგრამ არასწორად. «აღქატს» საერთოდ და «ვეფხისტყაოსანშიც» აქვს არა მსუბუქის, მჩატის მნიშვნელობა, არამედ ღარიბისა, უქონელისა⁵. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ სიტყვას (սղքաս-ს) სომხურში⁶, საიდანაც არის ის ქართულში შემოსული.

ბავით ჩუბინაშვილი, რომელიც იყენებდა სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებს, ასეთ განმარტებას იძლევა: «აღდატი (arm. սղոսպ) сухая, неплодородная земля, lieu aride, terre improductive, stérile იერ. XVII, ნ»⁷.

¹ ნიკო ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი, აღ. დლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, 1961, გვ. 135.

² იქვე, გვ. 142.

³ «აღდატის» განმარტებისას ნ. ჩუბინაშვილს აღნიშნული აქვს: ს. აღდაჭ. (ს. აღნიშნავს «სომხურია»). ნიკო თვითონვე განმარტავს ლექსიკონის შესავალში: «განსარჩევლად სომხურთა ლექსთა (ე. ი. სიტყვათა — კ. დ.) წინ უზისთ ასო ს და თურქთა — ასო თ: დასახ. ნაშრომი, გვ. 130.

⁴ ნიკო ჩუბინაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 135.

⁵ ა. შანიძე. ლექსიკონი: შ. რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, აღ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედაქციით, 1957.

⁶ А. Худабашев Армяно русский словарь I, 1836, გვ. 24.

⁷ ნ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსულ-ფრანგული ლექსიკონი, 1840, გვ. 12.

სომხური *აყსაყი*-ისგან ქართული *ა ლ და ტ*-ის მიღება გასაგებია: *ალტალტი* > *აღლაღტი* > *აღლატი*. საჟურადღებოა, რომ სომხურ *ჟ*-ს გადმოსცემს *ლ*. მოსალოდნელი კი იყო *ღ*, რადგან გელათური ნუსხა XII—XIII საუკუნეთა მიჯნას მიეკუთვნება, ხოლო სომხურში *ჟ*-ნიშნით გადმოცემული ბგერის *ღ*-ში გადასვლა XI საუკუნისათვის უკვე დამთავრებულად მიიჩნევა. ეს ფაქტი შეიძლება ორგვარად აიხსნას: ან იმით, რომ *ჟ*-ს შენარჩუნებული აქვს ძველი ბგერობლივი მნიშვნელობა (*ღ*-სი) ლიტერატურული ტრადიციის ძალით, ან კიდევ: გელათური ნუსხა, მართალია, XII—XIII საუკუნეთა მიჯნას მიეკუთვნება, მაგრამ მას საფუძვლად ისეთი ძველი ქართული თარგმანი უძევს, რომელიც, შესაძლებელია, სომხურ წყაროზე ყოფილიყო დამოკიდებული¹. ამიტომ ბუნებრივია, *ჟ* ძველი ბგერობლივი მნიშვნელობით იყოს გადმოღებული ქართულ თარგმანში. ჩვენ უფრო სარწმუნოდ მეორე ახსნა მივგაჩნია.

შესაძლოა ვიფიქროთ, რომ «აღლაჭი» დიალექტური ფორმა იყოს «აღლატისა», სადაც *ჟ*-ს ახალი გამოთქმაა დაცული (*ჟ*-ღ), ხოლო *ტ*-სა და *ჭ*-ს მონაცვლეობა სომხური კილოებისთვის არ არის უცნობი. მაგრამ არა. ასეთი ვარაუდი უნდა გამოირიცხოს. ჯერ ერთი, სომხური, თუ არ ვცდებით, არ იცნობს «აღლაჭ» ფორმას და, მეორეც, სომხური ბიბლია, საიდანაც ეს სიტყვა მოხვედრილა ქართული თარგმანის გელათურ ვერსიაში (იერ. 17,6), შეიცავს მხოლოდ *აყსაყი* ალტალტიუკ || აღლაღტიუკ ფორმას. ხოლო ამ უკანასკნელს, ცხადია, ქართველი ავტორი «აღლაჭად» არ გადმოიღებდა.

ტ ლ და ტ და აღ და ჭ ფორმათა ურთიერთმიმართების გარკვევას ის გარემოება აძნელებს, რომ ძალზე შეზღუდულად არის ეს ფორმები ფიქსირებული წერილობით წყაროებში. *ა ლ და ტ* ფორმას საბას მიერ მითითებულ წყაროს გარდა (იერ. 17,6) ვერსად მივაკვლიეთ. სომხური ბიბლიის სიმფონიის ჩვენებით, *აყსაყი* სიტყვა მთელს სომხურ ბიბლიურ წიგნებში მხოლოდ სამ ადგილას ყოფილა ნახმარი: იობ. 39,6; ფს. 106,34; იერ. 17,6. დასახელებული ადგილებიდან გელათური ვერსია, სამწუხაროდ, მხოლოდ უკანასკნელს შეიცავს (იობის წიგნი და ფსალმუნი აკლია), ხოლო სხვა წყაროებით ასეთი ვითარებაა:

იობ. 39,6: და დაუდვა საყოფელი მისი უდაბნოსა და საყოფელი მისი სიმლაშესა² (შდრ. სომხ. *სე ზამ ჯაკანა ღაიოყარა, ს რასიღქჩან ზამ აყსაყი*).

ფს. 106,34: შექმნა ქუეყანა ნყოფიერი ბიცად უკეთურებისა მკვდრთა მისთაჲსა.³ ბიცად იკითხება ბაქარისეულ ბიბლიაშიც (შდრ. სომხ. *Արամ գերկիր պოყარერ კაყსაყი*), *ქსან ჯარიღქან რასჯავ ზირა*.

იერ. 17,6: და დაემენოს აღ და ტ ს ა, ქუეყანასა უდაბნოსა, ქუეყანასა შინა მარილიანსა, რომელი არა დაიმკვდრების (A-1108, 226v). ძველ ვერსიებში⁴ «ა ლ და ტ ს ა»-ს ადგილზე «ბ ი ც ო ა ნ ს ა» იკითხება. შდრ. სომხ.

¹ Р. Блэйк, დასახ. ნაშრომი, გვ. 35, შდრ. კ. დანელია, იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართულ ვერსიები და მათი ენა (სადისერტაციო ნაშრომი), 1966.

² ბაქარის ბიბლიის 1743 წლის გამოცემიდან. ათონურ ბიბლიას აკლია ეს ადგილი.

³ ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები X—XVIII სკ. ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა მ. ზეკელა შანიძემ, თბილისი, 1960.

⁴ ათონური და იერუსალიმური რედაქციების წაკითხვები წინ არის დასახელებული.



საქართველოს კავშირის დასრულების შემდეგ, კერძოდ ავსტრალიაში, რომელიც უკანასკნელი მთავარი სომხური რედაქციაში ორჯერ არის ნახმარი *ავსტრალია*, რის შესაბამისადაც ქართულ თარგმანში პირველად «აღდატსა» გვაქვს, მეორედ — «მარილიანსა».

მასხელებული მაგალითებიდან ჩანს, რომ სომხური *ავსტრალია*-ის ბადაც ქართულ თარგმანებში გვაქვს: ბ ი ც ი || ბ ი ც ო ა ნ ი, ა ლ და ტ ი || ა ლ და ჭ ი, ს ი მ ლ ა შ ე, მ ა რ ი ლ ო ვ ა ნ ი || მ ა რ ი ლ ი ა ნ ი. ამათგან სომხური *ავსტრალია*-ის ქართული ბადაცია ბ ი ც ი (ბიცოანი), ა ლ და ტ ი კ ი ქართულში შეცვლილი სომხური *ავსტრალია* სიტყვაა, ხოლო მ ა რ ი ლ ო ვ ა ნ ი, ს ი მ ლ ა შ ე შესაბამისი სომხური სიტყვის თარგმანი.

რაც შეეხება ა ლ და ჭ -ს, რომელიც გვხვდება ბაქარის და 1884 წლის გამოცემაში, ის ა ლ და ტ -ის შერყენილი ფორმა უნდა იყოს, წარმომდგარი გრაფიკული მსგავსების ნიადაგზე: *ა* (ლ)-ს მარჯვენა ნაწილმა რომ სიმკვეთრე დაკარგოს *ა* (ლ)-ს მოგვეცემს, ასევე ნუსხური *ა* (ტ) და *ა* (ჭ) მსგავსებაც საგრძნობია, ასე რომ *აღდატ* → *აღდაჭ*. ბევრი მაგალითია ცნობილი, რომ გადამწერთ გრაფიკულად ნაკლებად მსგავსი სიტყვებიც კი ერთმანეთში. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ ა ლ და ჭ ი ა ლ და ტ -ისგან განსხვავებული დამოუკიდებელი სიტყვა არ უნდა იყოს.

ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა ს ა ც კარგად სკოდნია, რომ ქართული ა ლ და ტ ი ს ა (შეცდომით, ა ლ და ჭ ი ს) და ბ ი ც ი ს შესატყვისად სომხურში ა ლ და ჭ ფორმა კი არ იყო, არამედ ა ლ ტ ა ლ ტ უ კ. საბას ქართულის უცხო სომხურ შესატყვისობებთან ბ ი ც ი სიტყვასთან მიწერილი აქვს: ს. ჭ ა ჰ ი ჭ Z A a, ა ლ ტ ა ლ ტ უ კ B C D¹.

საბას, როგორც ჩანს, ბიბლიის რამდენიმე, და მათ შორის, დღეისთვის ჩვენთვის უცნობი ნუსხა უნდა ჰქონოდა ხელთ, როდესაც განსამარტავ სიტყვებს წყაროზე მითითებას უკეთებდა. ან რომელიღაც ნუსხაში იყო მცდარი ფორმა «აღდაჭი» და საბამ იქიდან ამოიწერა, ანდა ხელნაწერისეული ა ლ და ტ -ი თვითონ საბამ ამოიკითხა მცდარად. მსგავსი შემთხვევები საბას ლექსიკონში სხვაგანაცაა შენიშნული². ჩანს, საბას გელათური ნუსხის მიხედვით არ შეუმოწმებია ბიბლიური (კერძოდ, წინასწარმეტყველთა) წიგნებიდან ადრე გაკეთებული დამოწმებანი, თორემ, ცხადია, ლექსიკონში ა ლ და ტ ი მოხდებოდა. საბას უსარგებლია ბიბლიის ისეთი ნუსხითაც, რომელიც «დიდად არ უნდა ყოფილიყო დაშორებული გელათურ ვერსიას»³.

საკითხავია, საიდან განჩნდა «აღდაჭი» ბაქარის ბიბლიაში, სადაც წინასწარმეტყველთა წიგნები ვახტანგ VI სტამბაში (თბილისში) დაბეჭდილ ტექსტს იმეორებს? ამ უკანასკნელში ხომ «აღდატი» გვაქვს? საქმე ისაა, რომ ბაქარს, როგორც გამოცემის წინასიტყვაობაშიც აღნიშნავს, რედაქცია გაუკეთებია

¹ ს უ ლ ხ ა ნ -ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ლექსიკონი ქართული, თსულებანი, ტ. IV₂, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ე მ, 1966, გვ. 484.

² ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. XXX—XXXI. ლ. ქ უ თ ა თ ე ლ ა ძ ე. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, 1957, გვ. 206; კ. დ ა ნ ე ლ ი ა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო: ს.მ.ა. საზოგ. მეცნ. განყოფილების მაცნე, № 2, 1964, გვ. 205—220.

³ კ. დ ა ნ ე ლ ი ა. დასახელებული ნაშრომი, გვ. 213.

არჩილ მეფის ხელნაწერი ბიბლიისათვის, და, შესაძლებელია, ვახტანგ VI-ის ხელნაწერში დაბეჭდილ წინასწარმეტყველთა ტექსტისათვისაც. ბაქარი წერს: «ორთა ამათ მეფეთა ნამუშავენი ცუდად მდებარე» იყო და «მოვიღვეით მეფის არჩილის ნამუშავენი დაბადება ჳელით წერილი და შევამოწმეთ დედანსა ფრიად კეთილსა და სარწმუნოსა მრავალთა წმიდათა და ფილოსოფოსთა და ღმრთისმეტყველთა მიერ გამოძიებით თარგმნილსა და გამართულსა ბერძენთა სარწმუნობასა ზედა და განვმართეთ ახლად ყოველნივე სიტყვა მეტნაკლებნი თავად თავად და რიცხვ რიცხვად სამოწმთა ესრეთ უნაკლულად»...

ანდა ვიფიქროთ: «აღდაჭი» ბაქარის გამოცემაში ან რომელიღაც ნუსხის ჩვენებას ემყარება, ან წინასწარმეტყველთა თბილისური (ვახტანგ VI) გამოცემის «აღდატ»-ის მცდარად წყაითხვას. ასეა თუ ისე, ამ «აღდაჭი» ფორმამ არათუ ლექსიკონებში, არამედ მწერლობაშიც შეაღწია. დ. გურამიშვილი წერს:

მე ვარ, ვითა აღდაჭი, ბიცი და მლაშობი,
დედისგანვე ცოდვასა შინა ნაშობი;
უშრტო და უნაყოფო, ვით გალი განჯმარი,
უწეო, უასულო, არარად საქმარი! (267,3).

წდვილად შესამჩნევია, რომ დავით გურამიშვილის ზემოდასახელებული სტროფი პოეტური პერიფრაზია ბიბლიის იმ ადგილისა (იერ. 17,6), სადაც აღდაჭია ნახმარი. საეჭვო არ უნდა იყოს, რომ დ. გურამიშვილს «აღდაჭი» ბაქარის ბიბლიიდან აქვს აღებული.

ბ. ლურამიშვილის თხზულებიდან «აღდაჭმა» ორ ლექსიკონშიც შეაღწია: დ. გურამიშვილის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაზე დართულ ლექსიკონში², რომელიც ივ. გიგინეიშვილს ეკუთვნის, და ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში³. ორივეგან აღდაჭი განმარტებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონზე დაყრდნობით.

ბასკენა: აღდაჭი გრაფიკულ ნიადაგზე წარმომდგარი შერყენილი ფორმაა აღდატ სიტყვისა. ეს უკანასკნელი ჯერჯერობით მხოლოდ ერთხელ არის დადსტურებული გელათურ ბიბლიაში (იერ. 17,6). ქართულ თარგმანში ეს სიტყვა სომხურიდან არის შესული (*აყսაყს* || აღდატი) და მისი მნიშვნელობაა: მარლიანი; მლაშობი ადგილი; მწირი, უნაყოფო ნიადაგი. აღდატ-ის ბაღდად ქართული ბიბლიის თარგმანებში ზემოდასახელებულ და სხვა ადგილებშიც ნახმარია: ბიცი||ბიციოანი, სიმლაშე, მარილოვანი||მარილიანი.

ზემოთ განხილული ორივე სიტყვის განხილვა (ჩუჩლუბისა და აღდაჭისა) გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე, რომ სიტყვის მცდარი ფორმა გაუგებრობის ნიადაგზე დამოუკიდებელი მნიშვნელობის ერთეულად მიიჩნევა, ასე ვთქვათ, მოქალაქეობას იძენს: გზას იკაფაეს სამწერლო ენასა და ლექსიკონებში. ერთხელ დაშვებული უნებლიე შეცდომა დიდხანს რჩება გამოუსწორებელი ტრადიციის ძალით.

¹ დ. გურამიშვილი. თხზულებათა სრული კრებული, 1955 (საქ. მეც. აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა).

² იქვე, გვ. 326.

³ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი I, რედაქტორი პროფ. არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 743.

ნამანა შელიქიშვილი

ზოგი საკავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის მნიშვნელობისათვის ლოანე სეტრიწის ნაწერებში

ლოანე სეტრიწის ნაწერებში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება საკავშირებელი სიტყვები ვინაჲ და ვიდრემე. იმის გამო, რომ მათი მნიშვნელობა გარკვეული არ იყო, მათი სშირი ხმარება ისედაც რთულ აზრს კიდევ უფრო აბუნდოვნებდა. ისეთი შთაბეჭდილებაც კი რჩებოდა, თითქოს ეს სიტყვები მხოლოდ სამკაულია.

რკვევა, რომ ვინაჲ და ვიდრემე საკავშირებელი სიტყვებია, რომლებიც აზრის ნათლად და გარკვევით გადმოცემას ემსახურებიან. ამ სიტყვათა უეჭველი მნიშვნელობის დადგენის საშუალებას იძლევა მათი სშირი ხმარება იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომებში.

საერთოდ მეცნიერული ხასიათის ნაწერებში სშირად შევხვდებით გარკვეული ტიპის სიტყვებს, რომელთა დანიშნულებაა, კავშირი გააბან წინამავალ მსჯელობაში წარმოდგენილ აზრთა მსგელობასთან. ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, დანასკვი უკავშირდება წინამავალ მსჯელობებს — წინამძღვრებს. თანამედროვე ქართულში ასეთ საკავშირებელ სიტყვებად იხმარება ამ გ ვ ა რ ა დ, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, მ ა შ. იოანე პეტრიწის ნაწერებში ამავე მნიშვნელობით ვ ვ ი ნ ა ჲ, ვ ი დ რ ე მ ე, მ ა შ ა და უ კ უ ე ს ი ტ ყ ვ ე ბ ს.

ღანვისილოთ ისინი სათითოდ.

რ ვ ი ნ ა ჲ

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულში ზმინზედბად და კავშირებად ვ ვ ი ნ ა ჲ სიტყვის მრავალი ვარიანტი იხმარება და მათ შორის ძირითადია თვით ვ ვ ი ნ ა ჲ¹, რომლის ძირითადი მნიშვნელობა იყო «საიდან».

პოგორც ფ. ერთელიშვილი აღნიშნავს, «არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ეს გარემოება, რომ ვ ვ ი ნ ა ფუძე მნიშვნელობით «საიდან» ახლოს დგას ვ ვ ი ნ ფუძესთან სხვა მნიშვნელობით: «ვინ» (წ ლ, კ ტ ო). ვ ვ ი ნ ფუძე ამ უკანასკნელი

¹ ფ. ერთელიშვილი. რთული წინადადების ისტორიისათვის ძველ ქართულში, I, პაპოტაქსის საკითხები, თბილისი, 1963, გვ. 95.



მნიშვნელობით იზვიათად, მაგრამ მაინც იჩენს თავს გავრცელებულ ფორმებში «ვინა»¹. ავტორი ამის დამადასტურებელ სამიოდე მაგალითს იმწმებს ძველი ქართული ენის ძეგლებიდან. აღსანიშნავია, რომ იოანე პეტრიწი ვინა ფუძეს სწირად ხმარობს სწორედ «ვინ», «რომელ» და «რა» ნაცვალსახელთა მნიშვნელობით. ბერძნული დედნის შესაბამის ადგილას ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ ტვ ნაცვალსახელია.

ყერძნული ტვ შეიძლება კითხვითი ან მიმართებითი ნაცვალსახელი იყოს (ე. ი. ზმნასთან იყოს შეწყობილი) და ნიშნავდეს «ვინ»-ს ან «რა»-ს; შეიძლება იგი სახელთან იყოს დაკავშირებული და ნიშნავდეს «რომელს»; ისიც შესაძლებელია, რომ იგი განუსაზღვრელი ნაცვალსახელი იყოს და ნიშნავდეს «ვინმე»-ს, «რამე»-ს. სწორედ ამ ნაცვალსახელს, ამა თუ იმ მნიშვნელობით, იოანე პეტრიწი ვინაჲ, ვინაჲვე და ვინაჲმე სიტყვებით თარგმნის. მაგალითები:

Πᾶσα μὲν ἀϊδιότης ἀπειρία ტვ *ἔστιν*: Plot გ 94, 37 ყოველი სამარადისობაჲ უსაზღვრო ვინაჲვე არს: პეტრიწ. I 58, 11 («ყოველი მარადიულობა რაიმე (რადაც) უსასრულობაჲ»);

Εἴπερ γὰρ εἷς τὸν θεὸν αὐτὸν ἀφικνοῖτο μοῖρα ტვ *ἡ θύναμις* Migne P. G. 640, 30-31 უკუეთუმცა თუალად მოუვიდოდა ნაწილი ვინაჲ, გინათუ ძალი: ბუნებ. 76, 10-11; — «თვლით რომ დაინახებოდეს რაიმე ნიშანი (საგნისა) ან შესაძლებლობა (პოტენცია)».

ამკუთქმით წინადადებაში, სადაც ბერძნულში არის *μηδέν, οὐδέν* («არც ერთი, არავინ, არაფერი»), თარგმანში შესაბამისად გვექნება არ ვინაჲ: *Ἄλλ' εἷς μὲν μηδέν ἀμύπηστοτατον, ἐν οὐδένι τὸ ἀνταρχεῖ ἕστα: κατ' ἀλήθειαν*: Plot. § 40 ხოლო თუ არ იყოს თვთმდგომი, არ ვინათა შორის იხილვოს უხადოდ უმოქენებაჲ: პეტრიწ. I, 30, 15-16 («ხოლო თუ არ არის თვითმყოფადი, ვერაფერში ვერ ვიხილავთ წმინდა თვითმარობას»).

ვინაჲ სიტყვას «რომელიმე», «ვინმე»-ს მნიშვნელობით ვხვდებით პეტრიწის ორიგინალურ ნაწარმოებშიც, «განმარტებაში»:

ჯერ-არს, რათა იყოს საშუალ ამათსა სხუაჲ ვინაჲ არსებაჲ: პეტრიწ. II 152, 1—«საჭიროა, რომ მათ შორის იყოს სხვა რაიმე (რომელიმე) არსება».

ვინათათჳს იტყუს ჩუენი ესე მნათი: პეტრიწ. II, 213, 14—«ჩვენი მნათობი ვინმეებზე (=ზოგიერთებზე) ამბობს» და სხვ.

შაგრამ ვინაჲ ფორმას და მის სხვადასხვა ვარიანტს (ვინაჲვე, ვინაჲმე), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოანე პეტრიწის ნაწერებში ძალიან ხშირად ვხვდებით საკავშირებელი სიტყვის ფუნქციით. ამ შემთხვევაში მისი მნიშვნელობაა: «საიდანაც», «ამიტომ» (←ამისთვის), «რის გამოც», «ამგვარად», «მაშასადამე». ამ მნიშვნელობით ნახმარი ვინაჲ ხშირად იწყებს წინადადებას და ასეთ შემთხვევაში იგი ლოგიკურად, აზრობლივად დამაკავშირებელია წინადადებათა რიგისა. პროკლე დიადოხოსის თხზულებაშიც და იოანე პეტრიწის «განმარტებაშიც» ხშირადაა გამოყენებული მტკიცების გზა სილოგიზმების («თან-შესიტყუათა») საშუალებით. ჩვეულებრივ მოცემულია დასამტკიცებელი დებულება, მას მოსდევს მტკიცება და ბოლოს დანასკვი, რომელიც მტკიცებასთან

¹ ფ. ერთელიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 93.

დაკავშირებულია სპეციალური საკავშირებელი სიტყვით. მაგ., პროკლე დასკვნამდე:
სი უარყოფადი მტკიცების გზით მიდის შემდეგ დასკვნამდე:

Πάν ἄρα πλῆθος, μετέχει πῆ τὸν ἕνός: Plot. § 1 ვინაჲ უოველი სიმ-
რავლე ეზიარების რაჲთავე ერთსა: პეტრიწ. 1, 3, 21 («ამგვარად, უოველი
სიმრავლე რითიმე (როგორღაც) მონაწილეა ერთისა»).

ან: Ἐπέχεινα ἄρα ἔν τὸν νοῦ: Plot. § 20 იმრრე ვინაჲვე და უზესთაეს
ერთი გონებასა — «მაშასადამე ერთი გონებაზე უმაღლესია» (აქ ἐπέχεινα
თარგმნილია ჰენდიადისით: იმრრე და უზესთაეს); ასევე, იხ. 1, 30, 14 და სხვ.

რინაჲ საკავშირებელი სიტყვის შემცველი წინადადება, ჩვეულებრივ,
მისი წინამავალი მტკიცების შედეგად მიღებულ დანასკვს წარმოადგენს. თვით
ვინაჲ უფრო ხშირად ბერძნული ἄρα ნაწილაკის შესატყვისია.

ღშირად ვინაჲ რაიმე პირობასა და მისგან გამომდინარე შედეგს შორის
არსებულ (მიზეზ-შედეგობრივ) კავშირს გამოხატავს და ასეთ შემთხვევაში იგი
ბერძნულ ἄσπε-ს შეესაბამება, მაგ.:

Ἐπεὶ καὶ ἡ σπαρξὶς καὶ ὁ ἀρισμὸς καὶ τὸ εἶδος περατοειδῆ πάντα
ἔσπει· ἄσπε τὰστη σῆσσει: Plot. § 157 ვინაჲთჳან აობაჲ და
რიცხვ და გუარი საზღვრის გუარ უოველნი არიან, ვინაჲ ესე თანმოდასე ურ-
თიერთს: პეტრიწ. 1, 95, 8-10 («რადგანაც არსებობა (ყოფობა), რიცხვი და
ფორმა, ყველა საზღვრის მქონეა, ამიტომ (აქედან) ისინი მონათესავენი
არიან ერთმანეთისა»).

«განმარტებიდან»: უოველი თვთმდგომარე აღუგებელ, ვინაჲ დაუქსნელ-
ცა: პეტრიწ. 11, 104, 4 — «უოველი თვითმყოფი შეუქმნელია (აგებული არ არის),
ამიტომ არანგრევადიცა».

რინაჲვე

რინაჲ ფორმა იოანე პეტრიწთან ხშირად ვე ნაწილაკ-დართული
გვხვდება:

ხოლო რომელთან ძალნი არა გუქონდინ, ამათნი არცა ვინაჲვე საქ-
მენი: ბუნებ. 139, 24-25 — «ხოლო რომელთა შესაძლებლობა (პოტენცია) არა
გვაქვს, მაშასადამე, იმათი არც მოქმედება გვექნება».

ვითარ ვინ თქუას ესრეთ, ვითარმედ არარაჲ ცხოველთაგანი იდრეკს ზედა-
თა ყბათა — არამედ ხვთქი ზედათა ყბათა იდრეკს — არა ვინაჲ იყოს ცხო-
ველ კროკოდილოჲ — ხვთქიცა», არამედ ტყუვილ ვინაჲვე არს პირველ
დაწესებული: ბუნებ. 29, 17-20 — «მაგალითად, ვინმემ რომ თქვას: «არც ერთი
ცხოველთაგანი ზედა ყბას არ ანძრევესო — ნიანგი კი ზედა ყბას ანძრევეს — და
ამიტომ კროკოდილო-ნიანგიც ცხოველი არ იქნებაო», მაშასადამე, მცდარია წა-
ნამძღვარი» და სხვ.

სოგორც ვხვდავთ, როთულ ვინაჲვე-ს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც
მარტივ ვინაჲ-ს.

რინაჲმე

სივე ვინაჲ გვხვდება მე ნაწილაკითაც:
რომლისთვისცა ჩანს, ვინაჲმე ერთსა შორის რიცხვ არა შეერთებული,



არამედ ერთებრი: პეტრიწ. II, 13,31—«რომლის მიხედვითაც ჩანს, ამაგენსადამე (მაშასადამე), რომ ერთი არის არა შეერთებული რიცხვი, არამედ ერთეულებრივი». სხვა მაგალითები:

მხოლოდ სხეულებრივნი ვინაამე არიან: ბუნებ. 102,5—«მაშასადამე მხოლოდ სხეულებრივნი (ნივთიერნი) არიან»; სიმჭურვალეცა ვინაამე უპყრიეს: ბუნებ. 123,13—«მაშასადამე, სიმჭურვალეცა გააჩნიათ»; ესევიითარი ვინაამე აქუს სახე: ბუნებ. 110,3—«მაშასადამე (ამგვარად), ასეთი სახე აქუს» და სხვ.

ჰაკი ვინაამე-ს იგივე მნიშვნელობა აქუს, რაც ვინაამე ფორმას, ეს თითქო იმას ადასტურებს, რომ ვე და მე ნაწილაკების მნიშვნელობაზე თავდაპირველად ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო.

წინააცა

XI საუკუნის მოღვაწეთა ენაში, სახელდობრ, გიორგი მთაწმიდლისა და ეფრემ მცირისაში ვინაამე გვხვდება ცა ნაწილაკით. აღსანიშნავია, რომ, მაგ., პავლეს ეპისტოლეებში, იქ, სადაც გიორგი მთაწმიდლისეულ და ეფრემ მცირისეულ რედაქციებში არის ვინაამეცა, ძველი რედაქციის ხელნაწერებში იკითხება: ამის გამო, ამის თვს, რომლისაგანაც. მაგალითები:

ვინაამეცა ვერლარა დათმეთ: I თესალ. 3,1 (ძვ. რედაქციის ხელნაწ.: ამის გამო...); ვინაამეცა, მმანო წმიდანო: ებრ. 3,1 (ძვ. რედაქ. ამის-თვს..); ვინაამეცა არცა პირველი იგი თვნიერ სისხლისა განახლდებოდა: ებრ. 9,18. ამ ადგილას ძველ რედაქციებშია რომლისაგან. ასევეა: ებრ. 7,25; 8,23 და სხვაგან.

წიდრემე

უსევე, როგორც ვინაამე და ვინაამევე, ვიდრემე-ც საბოლოო, დასკვნითს დებულებაში მოცემულ აზრს მტკიცებაში წარმოადგენილ აზრთა მსვლელობასთან აკავშირებს და ასეთ შემთხვევაში ნიშნავს: «ამგვარად, ამიტომ, მაშასადამე». მტკიცების ტიპიური გზაა: წინასწარ მოცემულია დასამტკიცებელი დებულება, რომ «ყოველსა საუკუნოასა პირველ მზიარებელსა არსებაცა და მოქმედება საუკუნოა აქუს» (პეტრიწ. I 54,26). შემდეგ, მთელი ეს თავი ეძღვნება ამ დებულების მტკიცებას. ბოლოს, როდესაც ავტორს მიაჩნია, რომ დებულება დამტკიცებულია, ასკვნის: «ყოველსა ვიდრემე საუკუნოასა პირველ მზიარებელსა არსებაცა და მოქმედება საუკუნოა აქუს» (პეტრიწ. I 65,8). (ბერძნ. Ἐπει δὲ τὰ πρῶτον ἀνύσιν τῆς τε οὐσίας ἔχει καὶ τῆς ἐνέργειας ἀνύσιν: Plot. § 104)—«მაშასადამე, ყოველ პირველად მარადიულობის მონაწილეს არსებაც და მოქმედებაც მარადიული აქუს»;

ან მოცემულია, ვთქვათ, დებულება: «ყოველი თვთმდგომი სამარადისო არს», მას მოსდევს მტკიცება და ბოლოს იგივე დებულება დასკვნის სახითაა განმეორებული: «სამარადისო ვიდრემე არს» (პეტრიწ. I 34, 11; Ἄνεσιν ἔπει ἔπει: Plot. § 49);—«მაშასადამე, მარადიულია». ან მოცემულია, ვთქვათ, უარყოფადი მტკიცება, რომლის ჩვეულებრივი დამსრულებელია ფრაზა: «მაგრა ესე

შეუძლებელ», ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მტკიცდება წამოყენებული დებულება, მაგ.: «იქმნას ვიდრემე მოქმედება უმჯობეს არსებისა» (პეტრიწ. 1, 65, 1—2).

ჭოყეყვანთ ასეთი მტკიცების ტიპიურ მაგალითს: «ყოველი თვთმდგომი უხრწნელ არს. ხოლო თუ განიხრწნას, განეყენოს თვთებასა თვსსა და იქმნეს კიდე თვთობისაგან. მაგრა ესე შეუძლებელ». (პეტრიწ. 1, 33, 2—4); შემდეგ მოცემულია მსჯელობა, თუ რატომაა ეს შეუძლებელი და ბოლოს მოსალოდნელი დასკვნა: «უხრწნელ ვიდრემე არს ყოველი თვთმდგომი» (პეტრიწ. 1, 33, 10).

შდგომარო მნიშვნელობით ვიდრემე-ს ისევე ხშირად ვხვდებით, როგორც ვინაავე-ს. ერთსა და იმავე წინადადებაში ისინი შეიძლება კიდევაც შეენაცვლონ ერთმანეთს. შდრ., მაგ.: «ტყუილ ვიდრემე პირველ დაწესებული», ბუნებ. 143, 5 და: «ტყუილ ვინაავე არს პირველდაწესებული»: ბუნებ. 29, 20. ისინი შეიძლება ერთ წინადადებაშიც შეგვეხვდეს: ვინაავე, რაა-იგი არა არს წინააღრჩევაა, თქუმულა, ვიდრემე: ბუნებ. 136, 13—«ამგვარად, თუ რა არ არის წინასწარი განზრახვა, მაშასადამე, უკვე ითქვა».

ჭმთხვევითი არ უნდა იყოს ვინაავე-სი და ვიდრემე-ს ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარება. ორივე უკავშირდება კითხვით ვინ ნაცვალსახელს, რომლის ვინა(ა) ვარიანტი იხმარებოდა «საიდან» სიტყვის მნიშვნელობით.

შდგვარად, ვინაა=«საიდან», ვინაავე, ვინაამე და ვიდრემე=«საიდანაც». ეს კი, როგორც ჩანს, იმას მიუთითებს, რომ ძველ ქართულში ვე და მე ნაწილაკებს მიმართებითობის ფუნქციაც შეიძლებოდა ჰქონოდათ.

ხემოთ დასასხელებული მნიშვნელობით ვიდრემე ძველ ქართულშიც გვხვდება. მაგ., ხოლო უკუეთუ თქვენ ქრისტიანენი ხართ, აბრაჰამისნი ვიდრემე შეილნი ხართ და აღთქმისა მისგან მკვდრნი: გალატ. 3, 29. აქ ვიდრემე უდრის ბერძნ. ἄρα-ს («მაშასადამე»).

სეთივე მნიშვნელობა აქვს ვიდრემე-ს აგრეთვე ეფრემ ასურის «იოსებისთვს» თხრობის თარგმანში. პეტეფრეს ცოლი, გამოუტყდება რა თავის ცოლვაში ქმარს, უყვება მას, თუ როგორ მოიწადინა მან იოსების ცთუნება და მისი უარით გაბოროტებულმა ცილი დასწამა იოსებს და საპურობილეში ჩაასმევიანა იგი. ცოლი ეუბნება ქმარს:

«აწ მე ვიდრემე ვარ მომატყუებელ და მიზეზ მეფობისა მისისა და დიდებისა», რადგანაც «უკუეთუმცა მე არა ვეტრფიალე იოსებს, არამცა შევრდომილიყო საპურობილედ. არამედ მადლიერდა იყავნ ჩემდა, რომელი მიზეზ ვექმენ დიდებასა მისსა» (საკითხ. 11, 70, 7—10).

შდ ნაწყვეტში ვიდრემე-ს მნიშვნელობაა «მაშასადამე», და არა «რამდენად, როგორ, როგორღა», როგორც ლექსიკონშია მოცემული.

ჴიდრემე-ს არა აქვს არც მეორე მნიშვნელობა — «ც, ც-კი, უფრო მეტად». რომელსაც ლექსიკონი გვაწვდის შემდგომ წინადადებათათვის (ზოგ შემთხვევაში ვიდრემე გაძლიერებულია უკუე-ს დართვით): ჰრქუა მას ლეონტიოს: უკუეთუ ჴეეს ღმერთი არს, უკუე ძლიერ ვიდრემე არს და არა უქმს მას მსახურება თქუენებრთა უსამართლოჴსა მყოფელთა (საკითხ. 11, 77, 1—2), რაც ნიშნავს: «თუ ჴეესი ღმერთია, მაშასადამე, ის ძლიერია და არ შეჴფერის მას. თქვენებრ უსამართლობის ჩამდენთა მსახურებაო»;



ტრაიანოს ჰრქუა: ვითარ-ევე შენ იტყუი, უკუე ჩუენ ვიდრემე ვართ ლორნი? (იქვე, 38,6), რაც ნიშნავს: ტრაიანოსმა უთხრა: როგორც შენ ამბობ, მაშ, ჩვენ ღორები ვართ?» უკუეთუ არა კაცი იყო, ვსნა ჩუენი ვიდრემე იტყუილ არს, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, სასოება ჩუენი ვიდრემე ამო არს (იქვე 12,5), რაც ნიშნავს: «თუ არა კაცი იყო, მაშ ჩუენი ხსნა იტყუილია, და თუ არა ღმერთი იყო, მაშ ჩუენი სასოება ამოა».

შავე «მაშ, მაშასადამე»-ს მნიშვნელობით გვხვდება ვიდრემე გიორგი მთაწმიდლისეულ «ექუსთა დღეთა»-ს თარგმანში და არა «როგორ»-ის მნიშვნელობით, როგორც იგი ამ ძეგლის გამოცემის ლექსიკონშია ახსნილი:

უკუეთუ ბოროტებაა იგი მათი ბუნებით არს, შემოქმედი ვიდრემე არს დამბადებელი ბოროტისა? ეს ნიშნავს: «თუკი მათი ბოროტება თანდაყოლილია, ბუნებითია, მაშ, შემოქმედი ბოროტის დამბადებელი?» ასევეა მომდევნო ნაწყვეტშიც:

ხოლო უკუეთუ ნეფსით განბოროტდებიან, პირველად უკუე ვიდრემე არიან იგინი ცხოველნი მნებებელნი: ექუსთა (გ.) 72,9—10: აქ ვიდრემე-ს მნიშვნელობაა «მაშ»: «ხოლო თუ ნებსით ბოროტდებიან, მაშ ისინი თავიდანვე დამოუკიდებელი (არსებანი) არიან».

სევე აქაც: «ნამეტნავ ვიდრემე არიან მსაჯულნი, რომელნი-იგი სათნოებასა პატივ-სცემენ და უკეთურებასა სტანჯავენ», ექუსთა (გ.) 72,29, რაც ნიშნავს; «მაშასადამე ამეტებენ მსაჯულნი, რომელნიც სიკეთეს პატივს სცემენ და უკეთურებას სტანჯავენ».

შგვარად, ვიდრემე სიტყვას იოანე პეტრიწი ხმარობს იმავ მნიშვნელობით, როგორითაც იგი ძველ ქართულ ძეგლებში გვხვდება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იოანე პეტრიწის ნაწერებში მას ძალიან ხშირად ვხვდებით, ძველი ქართული ენის ძეგლებში კი აქა-იქ (ისევე, როგორც ზოგ სხვა ენობრივ მოვლენას ვხვდებით გარკვეული ჯგუფის ძეგლებში, სხვებში კი არა). ასე, მაგ., ძალაუნებურად იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს გიორგი მთაწმიდელი ანგარიშს უწევდეს «ექუსთა დღეთა»-ს ძველი ქართული თარგმანის ჩვენებას, როდესაც მოცემულ კონტექსტებში ვიდრემე-ს ხმარობს. ამგვარი რამ გამორიცხული არ არის, რადგანაც ძველი ქართული თარგმანის გამოყენების მსგავსი შემთხვევები სხვაც გვხვდება გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში. იგი თვითონვე აცხადებს ძეგლის ანდერძში: «ჩუენგან ამისი ჭკრობაა ცა შეუძლებელ იყო, არა თუ თარგმნა... ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანნი აკურთხენ, დიდად ჯელი აღმიპყრნეს»-ო (ექუსთა (გ.) 114,31; 115—1—3).

ოკუე, ვიდრემე უკუე

სოგორც ჩანს, ვიდრემე-ს მნიშვნელობა ყოველთვის მთლად ნათელი არ იყო და ამიტომ მის გვერდით, მნიშვნელობით მასთან უთუოდ ახლო მდგომ უკუე სიტყვასაც ხმარობენ. აღსანიშნავია, რომ, სადაც ძველ ქართულ თარგმანში ვიდრემე და უკუე ერთადაა ნახმარი, გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანშიც ასევეა გადმოტანილი (საერთოდ ყველა შემომოყვანილი მაგალითი ერთ ადგილასაა თავმოყრილი). ამასთან აღსანიშნავია, რომ მოცემულ ადგილას «ექუსთა დღეთათჳს» წიგნის ძველ ქართულ თარგმანში ვიდრემე ბევრჯე-



რაა ნახმარი და ყველა შემთხვევაში «მაშ, მაშასადამე»-ს მნიშვნელობით (იხ. ექუსთა ძვ. 87,29; 88,1—9):

«უკუეთუ ბოროტი იგი მათი ბუნებით არს, ღმერთი დამბადებელი ვიდრემე არს ბოროტისაჲ! უკუეთუ ბოროტი ნებითა მათითა არს, ცხოველნი ვიდრემე უკუე არიან იგინი, და აქუს მათ ნებაჲ და იძრვიან იგინი ჳელმწიფებითა თვისისაჲთა?!» (იქვე, 87,7—10); «ტყუეა ვიდრემე უკუე შჯულმან, რაქამს-იგი განასაზღვრა და თქუა, ვითარმედ კეთილი და ბოროტი ჩუენგან არსო» (ექუსთა ძვ. 87,27)».

უკუე რომ იმავე მნიშვნელობით იხმარება, რომლითაც ვინაჲ და ვიდრემე, ამას ბევრი მაგალითი ადასტურებს იოანე პეტრიწთან:

...რომელნი არიან სულიერ, ხოლო უსისხლო, საცნაურ უკუე, ვითარ არა არს სული სისხლ: ბუნებ. 27,24—25; ამათ მიერ უკუე საჩინო, ვითარმედ ღოვლობასა საშუალო აქუს წესი: პეტრიწ. 1,48,20; საჭირო არს უკუე, რაჲთა ცუთმდგომარე იყოს შემდგომად პირველისა: პეტრიწ. 1,30,25 (ბერძნულში შეესაბამება ἄρα: Ἄνθρωποι ἄρα τὸ ἀψύχιστατοι εἶναι μετὰ τὸ πρῶτον: Plot. გ 40) და სხვ.

ტმსვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ, მაგ., პავლეს ეპისტოლეთა ძველი რედაქციების უკუე სიტყვას ახალ რედაქციებში (გიორგი მთაწმიდლისეულსა და ეფრემ მცირისეულში) შეესაბამება ვინაჲცა:

აწ უკუე საკადრებელ არს ესე თქუმად: ებრ. 13,6 (ძვ. რედ.).
ვინაჲცა საკადრებელ არს ჩუენდა თქუმად: ებრ. 13,6 (ეფრ. რედ.).
ტმგვარად, ვინაჲ; ვიდრემე, უკუე საკავშირებელ სიტყვებს გარკვეულ შემთხვევაში მსგავსი მნიშვნელობები აქვთ: «ამიტომ» (←ამისთვის), «საიდანაც», «რის გამოც» (←ამის გამო); «მაშასადამე», «მაშ», «ამგვარად».

უე ნაწილაკ-დართული ნაცვალსახელები

ვე ნაწილაკის ფუნქცია, როგორც ცნობილია, ძირითადად იდენტურობის, იგივეობის გამოხატვაა. იოანე პეტრიწიც ხშირად ხმარობს მას ამ ფუნქციითაც («იწარმოებთან მიზეზთაგან მიზეზთავე მიმართ»: პეტრიწ. 11, 27,1). მაგრამ ნაცვალსახელებზე დართვისას ვე ნაწილაკი მათ ზოგჯერ განუსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს.

ტაჲც-რაჲვე

ვე ნაწილაკის განუსაზღვრელობითი ფუნქცია აღნიშნული აქვს თინათინ ყაუხჩიშვილს, რომელიც წერს: «ვე ...განუსაზღვრელობას ანიჭებს იმ სიტყვას, რომელსაც დაერთვის»¹. ავტორს ამის მაგალითად მხოლოდ ყოველივე მოჰყავს: «ყოველივე მის მიერ იქმნა»: ი. 1,3. ამ წინადადების მიხედვით ძნელია თქმა, ვე ნაწილაკს მართლაც განუსაზღვრელობითი ფუნქცია აქვს თუ არა. იოანე პეტრიწი კი ამ ნაწილაკს ხშირად ხმარობს სწორედ განუსაზღვრელობითი ფუნქციით. მის ნაწერებში რაჲც მიმართებით ნაცვალსახე-

¹ თ. ყაუხჩიშვილი. ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში: ივე, ტ. I, გვ. 271.



ლიანი ქვეწოვის დროს უურადლებას იქცევს ის შემთხვევები, როდესაც ერთვის რა ან რა ავე, რომელსაც ისევე, როგორც მსგავს შემთხვევებში იგი ნაწილს, მიმართებითი ნაწილს ფუნქცია აქვს. ამ რა აც-რა ავე მიმართებითი ნაცვალსახელის (წევრ-კავშირის) მნიშვნელობაა «რაც კი რამ». მაგალითები:

რა აც-რა ავე აქუს თითოეულსა ბუნებით, მათ მიერ აქუს: პეტრიწ. I, 89, 14-15—«რაც კი რამ აქუს თითოეულს (ბუნებით) თანდაყოლილი, მათგან აქუს»; რა აც-რა ავე ბუნებითა სედათა შორის ზედშემოსრულად და შემთხვევითად ხედო, მუნ არს და ტომ არს: პეტრიწ. II, 54, 22-23 — «რაც კი რა იმეს ფიზიკურ თეორიებში გარედან შეთვისებულად და შემთხვევითად დაინახავ (ჩათვლი), იქ (მეტაფიზიკურ, მიღმა სამყაროში) არსი და გვარობაა».

ცხადია, აქ ვე ნაწილაკი განუსაზღვრელობითი ფუნქციითაა ნახმარი.

ტ ა ა ვ ე

ტავე ფუნქციით ვე ნაწილაკი იოანე პეტრიწის ნაწერებში გვხვდება არა მხოლოდ წევრ-კავშირის ფუნქციით ნახმარ რა ნაცვალსახელთან, არამედ მაშინაც, როდესაც იგი წინადადების დამოუკიდებელი წევრის ფუნქციითაა ნახმარი:

ყოველი სიმრავლე ეზიარების რა ათ ავე ერთსა: პეტრიწ. I, 37—«ყოველი სიმრავლე რითიმე ერთში მონაწილეობს». (ბერძნულშია: *πᾶς πλῆθος μετέχει πῦ τῶν ἐν ἑνὶ*: Plot. § 1). ვითარ იგი არს რა ავე ღმრთებრივი განმწმედლობა: პეტრიწ. II, 88, 28—«როგორც არის, მაგ., რა იმე განმწმედლობითი ღვთაება» (ბერძნულშია: *Ὅτιον εἰς τὴν ἕσταν θείαν καὶ ἀρταιῆ* (Plot. § 145) ვითარ-იგი ოდეს ვლამოდი რა ს ავე: პეტრიწ. II, 7, 2 — როგორც, მაგ., როცა რა იმეს ვცდილობდე; გუარი, ვითარ იყოს რა ავე გუარი, აღარ იქმნების: პეტრიწ. II, 104, 26 — «გვარი, რადგანაც იგი რა იმე გვარია, აღარ იქმნება (აღარ მოძრაობს)»; ყოველი უდიდოა, ესე იგი არს, რომელსა არა ჰქონდის რა ა-ზომივე გუამებრი სიდიდე რა ავე, უსახელო არს: II, 187, 22, 24 — «ყოველი უდიდო, ე. ი. რომელსაც არა აქვს რა იმე ზომის რა იმე სხეულებრივი სიდიდე, უსხეულოა»; იხ. ასევე, II, 52, 1; 52, 34; 216, 25-27; 73, 7 და სხვ.

ა დ ე ს მ ე, ო დ ე ს ვ ე

შოსალოდნელი იყო, რომ ვე ნაწილაკი ზმნიხედლებშიც დადასტურდება და განუსაზღვრელობითი ფუნქციით. იოანე პეტრიწთან ასეთი შემთხვევაც გვხვდება. იგი პარალელურად ხმარობს ო დ ე ს მ ე და ო დ ე ს ვ ე ფორმებს ერთი და იმავე მნიშვნელობით: «ოდესმე», «ოდესღაც», «ზოგჯერ». მაგ:

ვითარ ო დ ე ს ვ ე მყოფი სამარადისოდ წარმოდგომილსა გაეყოფის: პეტრიწ. I, 37, 4—«როგორც ოდესღაც მყოფი განსხვავდება სამარადისოდ დადგენილისაგან».

7. სეტრიწთან ვხვდებით ო დ ე ს ზმნიხედისაგან ნაწარმოებ სიტყვებს როგორც მ ე, ისე ვ ე ნაწილაკიანს, ერთი და იმავე მნიშვნელობით: ო დ ე ს-

მე და ოდესვე; ესენია: ოდესმეობა და ოდესვეობა.
 ლითები:

აქა განსაზღვრებულად ძალად ოდესმეთა ძალთა იტყვს, რამეთუ ოდესმეობაა საზღუარ მათდა არს: პეტრიწ. II, 143,20; მაგრამ: ოდეს-რად ეზიარებოდის ოდესვეობასა შორის შეცვულნი, საუკუნითთა ნიადაგ და სამარადისოდ ქმნადისა მიერ ეზიარებიან, რამეთუ საშუვალ ოდესვეთა (არიან) სამარადისოდ ქმნადნი: პეტრიწ. II 120,33-34; 121,1.

ეს ფაქტი, რომ ვე ნაწილაკს განუსაზღვრელობითი ფუნქცია ნაცვალ-სახელებთან და ზმნიზედებთან აქვს შემორჩენილი, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თითქოს ლაპარაკობს ვე და მე ნაწილაკების მნიშვნელობათა თავდაპირველ იდენტურობაზე (შესაძლებელია ისინი სხვადასხვა დიალექტური მონაცემებიც იყოს). მათი ფუნქციების დიფერენცირება მეორეული უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, იოანე პეტრიწის ენაში ისე ღრმად და ფესვ-მოკიდებული ნაცვალსახელებთან და ოდეს ზმნიზედასთან ვე ნაწილაკის განუსაზღვრელობითი მნიშვნელობით ხმარება, რომ, როგორც ჩანს, მისი დროის სალაპარაკო ენაში ამ ნაწილაკს ნაცვალსახელებთან ჯერ კიდევ შემორჩენილი უნდა ჰქონოდა თავისი ძველი, მე ნაწილაკთან საზიარო ფუნქცია.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

1. პეტრიწ. I, — იოანე პეტრიწის შრომები, I, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940.
2. პეტრიწ. II, — იოანე პეტრიწის შრომები, II, განმარტება პროკლესთს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათს, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.
3. ბუნებ. — ნემესიოს ემესელი, ბუნებისათს კაცისა, ბერძნულითგან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-სამიებლები დაურთო ს. რ. გორგაძემ, ტფილისი, 1914.
4. გალატ. — გალატელთა მიმართ, ახალი აღთქუმა (საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა). თბილისი, 1963.
5. ებრ. — ებრაელთა მიმართ, ეპისტოლენი წმიდისა მოციქულისა პავლესნი. ვისარგებლეთ დოც. კ. დანელიას მიერ გამოსაცემად გამზადებული ტექსტით.
6. ექუსთა (ძვ.) — ბასილი კესარიელი, «ექუსთა დღეთათს» უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის «ექუსთა დღეთათსა» და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა «კაცისა აგებულებისათს», X—XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1964.
7. ექუსთა (გ.) — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 2), თბილისი, 1947.
8. თესალ. I — თესალონიკელთა მიმართ, I (იხ. ებრ.).



9. ლ. — (ლუკა) ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატავის რედაქციის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, 1945.
10. ლიმ. — იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, 1960.
11. საკითხ. II — საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. იმნაი-შვილმა, თბილისი, 1966.
12. Plot.- Πρόβλος Διαδόχου πλατωνικῶν Στοιχειώσεως φιλοσοφική. Plotini Enneades, Parisiis, MDCCCLV.

А. ШАНИДЗЕ

ГРУЗИНСКАЯ НАДПИСЬ XI—XII вв. ИЗ АРМЕНИИ

В Государственном историческом музее АН Армянской ССР (в Ереване) имелся камень с грузинской надписью, который, по любезному сообщению бывшего директора этого музея профессора К. Г. Кафадаряна, поступил сюда из Эчмиадзинского церковного музея примерно в 1931 г., но неизвестно, когда, кем и откуда доставлен он в Эчмиадзин.¹

Надпись, врезанная в тесаную поверхность строительного камня, сделана древнегрузинским округлым письмом ровными строками, от которых сохранились три, первоначально содержавшие по 17 букв. От камня отломана, с правой стороны, незначительная часть, что повлекло за собой исчезновение девяти букв (по три в каждой строке).

Размеры камня в современном его состоянии 50×20×12 см, высота букв 3—4 см, ширина 2—3 см.

Надпись дефектна. Хотя легко восстановить пропавшие буквы отломанной правой части камня,² но надпись первоначально несомненно имела продолжение на параллельном камне нижней кладки, где, вероятно, указано было с какой целью, где и когда была построена (церковь). Трудно сказать, скольких строк недостает в конце, но, судя по сохранившейся части, где факт построения передан лаконично, их было, вероятно, не больше трех-четырех.

Из особенностей орфографии надписи можно отметить употребление пятеричного е (ⴒ) вместо восьмеричного е (ⴓ) в первом слоге слова ႠႢႣႤႥ и ошибочно высеченную вторую букву Ⴇ в последнем сохранившемся слове ႠႢႣႤႥ(ႧႩ) вместо ႠႢႣႤႥ(ႧႩ). В надписи употреблены знаки сокращения (титла); впрочем, забыто о нем при сокращенном написании первого слога последнего сохранившегося слова ႠႢႣႤႥ(ႧႩ).

Надпись по фотоснимку выглядит так, как показано на прилагаемой отдельной таблице³.

С раскрытием тител надпись в мхедрульной транскрипции примет та-

¹ Означенная лапидарная надпись Государственным историческим музеем Армении передана в дар Государственному музею Грузии ко дню 100-летнего юбилея последнего (10 мая 1967 г.) и сейчас находится в Отделе истории материальной культуры феодального периода этого музея в Тбилиси.

² Возможно, от камня отломался кусочек и с левой стороны, где в начале первой строки должен был стоять крест.

³ Фото прислано профессором К. Г. Кафадаряном в 1960-ом году, за что приношу ему искреннюю благодарность.



кой вид: სახელითა ღმრთისაჲთა მე, მირიან, ღირს ვიქმენ. შენაჲსაჲსა...
ოსნ(ისა ეკლესიისა)...

В переводе это значит:

«Именем бога я, Мириан, удостоился построить честн(ую) церковь...»


Отсутствие даты, которая в грузинских надписях обычно бывает в конце, нас заставляет прибегнуть к палеографическим данным надписи, которые говорят, что она могла появиться не раньше XI в., по всей вероятности во второй половине XI в. или в первой половине XII-го.

Печально, что пропала часть надписи, которая указывала на то, где была построена церковь, но зато хорошо сохранилось имя строителя. Это — Мириан, вероятно, местный феодал, который в надписи себя называет скромно, только по имени, без всякой титулатуры. Трудно по этому одному имени установить его личность, но ясно одно: «Мириан» является грузинской формой персидского имени, по-армянски звучащего Mihran (*Միրան*).

Тбилиси, 12-го мая 1960 г.

სრტიკა და ბიბლიოგრაფია

შ.ზია ტნდრონიკაშვილი, ჩარკვეევი
სრანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I. ძელოსის
ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 11, 1986, გვ. 83-84



Грузинская надпись из Армении

1) მსახურის სტუდიის გადაცემის სახსრებს და ქართულს (1986, გვ. 83-84)



кой вид: სახელითა ღმრთისაჲთა მე, მირიან, ღირს ვიქმენ. შენუბად...
ოსნ(ისა ეკლესიისა)...

В переводе это значит:

«Именем бога я, Мириан, удостоился построить чести (ую) церковь...»

Отсутствие даты, которая в грузинских надписях обычно бывает в конце, нас заставляет прибегнуть к палеографическим данным надписи, которые говорят, что она могла появиться не раньше XI в., по всей вероятности во второй половине XI в. или в первой половине XII-го.

Печально, что пропала часть надписи, которая указывала на то, где была построена церковь, но зато хорошо сохранилось имя строителя. Это — Мириан, вероятно, местный феодал, который в надписи себя называет скромно, только по имени, без всякой титулатуры. Трудно по этому одному имени установить его личность, но ясно одно: «Мириан» является грузинской формой персидского имени, по-армянски звучащего Mihran (*Միրան*).

ზრტიკა და ბიბლიოგრაფია

შზია ცნდრონიკა შვილი, ჩარკვევები
რანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან I. ძილისის
ინივერსიტეტის გამომცემლობა. ძილისი, 1966, 636 გვ.

შზია ცნდრონიკა შვილის ნაშრომი შედგება შესავლისა (გვ. 5—10) და სამი თავისაგან:

- თ. I. ძველი ირანული ლექსიკური ელემენტები ქართულში (გვ. 11—141);
- თ. II. საშუალო ირანული სიტყვები ქართულში (გვ. 142—416);
- თ. III. ირანული წარმომავლობის პირის საკუთარი სახელები (გვ. 417—517).
ბოლოს ახლავს რეზუმე რუსულად (გვ. 419—543) და ინგლისურად (გვ. 545—571), აგრეთვე შემოკლებათა სია (გვ. 572—588) და სიტყვათა საძიებლები (გვ. 589—633).

I და II თავი ქვეთავებად არის დაყოფილი.

პირველშია: 1) მიდიური ელემენტების შესახებ ქართულში (გვ. 11—20). აქ განხილულია ორი საკუთარი სახელი (არტავაზ და ფარნავაზ) და სუთი საზოგადო (ბაგინი, მოგვ, განძი, სპილენძი, მასპინძელი).

2) ძველი სპარსული ლექსიკური ელემენტები ქართულში (გვ. 20—32), სადაც განხილულია ოთხი საკუთარი სახელი (არტაბან, ამაზასპ, ვაშტაშაბ, არმაზი) და რამდენიმე საზოგადო სახელი ან საზოგადო სახელების ფუძე.

3) ავესტური ელემენტების შესახებ ქართულში (გვ. 32—40), სადაც განხილულია რამდენიმე საკუთარი სახელი (აფრიდონ-თრიითინო, სავარსამ, სიაუშ) და სუთი საზოგადო:

4) სკვითურ-სარმატული და ალანურ-ოსური ელემენტები ქართულში (გვ. 40—130), სადაც განხილულია 108 საზოგ. სახელი.

5) სკვითურ-ალანურ-ოსური წარმომავლობის სახელები (130—141), სადაც განხილულია 18 პირის სახელი.

II თავში შედის:

1) შესავალი (142—143);

2) ირანსა და საქართველოს შორის ისტორიულ-პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ არშაკიდებისა და სასანიდების ეპოქაში (გვ. 144—157);

3) ცნობები დიალექტური მიმართების შესახებ პართულსა და საშუალო სპარსულს შორის (გვ. 157—159);

4) პართული ბგერების გადმოცემა სომხურსა და ქართულში (159—167);

5) სომხურ-ქართული ბგერითი შესატყვისობანი პართულიდან შემოსული სიტყვების მიხედვით (გვ. 167—175);

6) ზოგადი ცნობები საშუალო სპარსულის (სასანური ფალაურის) შესახებ (გვ. 175—181);

7) ფონეტიკური შესატყვისობანი საშუალო სპარსულსა და ქართულს შორის (გვ. 182—215);

შემდეგ მოდის:

8) პართული წარმოშობის სიტყვები ქართულში (გვ. 216—278), სადაც განხილულია 66 სიტყვა.

9) საშუალო სპარსული სიტყვები ქართულში (გვ. 279—416) — 160 სიტყვა.

III თავში («ირანული წარმომავლობის პირის საკუთარი სახელები», გვ. 417—517) განხილულია 89 სახელი.

წარმოდგენილი თხზულება მეტად სასურველი მოვლენაა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, თემა ძალიან აქტუალურია. ქართული ენა ათასეული წლების მანძილზე მჭიდრო კავშირში იყო ირანულ ენებთან და ამ კავშირს თავისი დალი აქვს დასმული ქართული ენის ლექსიკურ შედგენილობაზე.

ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის დარგში საკმაოდ დაგროვდა მასალა წინამორბედი მკვლევარების მიერ, რასაც ხელი შეუწყო, ერთი მხრით, თვით ირანული ენების მეცნიერული შესწავლის გაფართოებამ და გაღრმავებამ და, მეორე მხრით, სომხური ენის ლექსიკური მარაგის ეტიმოლოგიურმა კვლევა-ძიებამ, რასაც ქართულისათვისაც აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ქართულსა და სომხურს ბევრი საერთო სიტყვა აქვს შეთვისებული ირანული ენებიდან.

ირანულ პირთა სახელების წიგნი იუსტისა და ეტიმოლოგიური ძიებანი პ. ჰეიბშმანისა, ნ. მარისა, პ. აჭარიანისა, გ. ახვლედიანისა, ვ. აბაევისა და სხვებისა საკმაო შუქს ჰყვანენ ირანულ ენებიდან შემოსულ სიტყვებს ქართულში. თვით მზია ანდრონიკაშვილსაც მიუძღვის გარკვეული ღვაწლი ამ მიმართულებით. ოღონდ არ იყო აქამომდე შემაჯუმლებელი ნაშრომი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ყველაფერს, რაც გაუკეთებიათ ამ დარგში. ამ ნაკლს რამდენადმე ავსებს ეს წიგნი, რომლის პირველი ტომი დაბეჭდილია, მეორეს კი მოველით.

ემ პირველ ტომში განხილულია ძველი ფონდის სიტყვები, რომლებიც გვხვდება ქართულ წერილობით ძეგლებში მე-5 საუკუნიდან მოყოლებული მე-16 საუკუნემდის.

სადისერტაციო ნაშრომში ყველა ძველი ირანული წარმოშობის სიტყვა არ არის განხილული, მაგ., საკუთარ სახელთაგან თ ა თ ვ ა რ ა ზ (უკანგორის წარწერაში) და ა ზ ა რ უ ხ ტ (ბოლნისის წარწერაში); განხილულია ს ა გ დ უ ხ ტ, მაგრამ არ მოიპოვება ს ა ჰ ა კ დ უ ხ ტ, რომელიც ერთი ხატის წარწერიდანაა ცნობილი. ს ა ჰ ა კ დ უ ხ ტ კი უფრო ძველი ფორმაა, ვიდრე ს ა გ დ უ ხ ტ. საზოგადო სახელთაგან შეიძლება დავასახელოთ ძ ი რ ა კ ი (მათ., 23, 23. შდრ. ახ. სპ. ايرك), პ ა ტ რ უ ჭ ა კ ი და სხვ.

ცეტორის თქმით, ეს მისი ნაშრომი «წარმოადგენს მრავალი წლის მუშაობის შედეგს. მისი მიზანია, გამოავლინოს ქართულ ენაში არსებული ირანული ელემენტები მისი განვითარების მთელ გზაზე და შეძლებისდაგვარად განსაზღვროს



მათი შემოსვლის გზები» (გვ. 7). ავტორის დასასული მიზანი მეტად ირანული სიტყვა შეიძლება შემოსული იყოს რომელიმე ირანული ენიდან უშუალოდ, ან სხვა ენის მეშვეობით, ვთქვათ, სომხურისა, არაბულისა, თურქულისა და სხვათა. თანაც დასადგენია, რა დროს არის შემოსული სიტყვა. მაგ., ვარდი და გულ-ი ორივე სპარსულია, ორივე ერთისა და იმავე საგნის აღმნიშვნელია, მაგრამ პირველი ძველ ფორმას წარმოადგენს, მეორე ახალს, წარმოშობილს პირველისაგან ბგერათა ცვალების ნიადაგზე. ვარდი ძველი ნასესხობაა და ამჟამადაც ჩვეულებრივია ქართულში, გულ-ი კი («ვარდის» მნიშვნელობით) შედის კომპოზიტ გულაბ-ში, რომელიც «ვარდის წყალს» ნიშნავს და ქართულშიც იხმარება. სად ვარდი-ი და სად გულ-იო, შეიძლება იფიქროს ვინმემ, მაგრამ უეჭველი ფაქტია, რომ ვარდი-ი წინანდელი ფორმაა, გულ-ი — მერმინდელი. ამიტომ, მიუხედავად სიძნელისა, რომელიც ახლავს ამგვარი საკითხების კვლევა-ძიებას, მაინც შეიძლება ბევრი რამის გარკვევა და ნათლად წარმოჩენა.

სირველ ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ ავტორი სშირად ქართულისა და ირანული ენების სიტყვათა გარეგნული მსგავსების გამო სრულიად შეუფერებელ დასკვნებს აკეთებს:

«**ღევეჯა**» საშ. სპარსული ხუეშ-ისაგან მოდისო, რომლის მნიშვნელობაა «თავისი, თვისი». ხვეჯა «მითვისება» არისო (212). ჯერ ერთი: საშ. სპ. შ შინადვე გადმოდის ქართულში (შიმშერი, ნიში, ნიშანი, ხუაიშნობა, ჯავშანი, არშაქი და სხვ.; მერმე: ხუეჯა კავშირშია სხვა სიტყვებთან ქართულში, როგორცაა: ხუეტა, ხოჯა, ხუეჯა.

ზარი («შიშის» მნიშვნელობით) საშ. სპარსულის zahr-ი არისო (სპ. ზაჰრ ნიშნავს «მაკვდინებელ შხამს». სხვათა შორის, ზახრუმაო, რომ იციან ჩვენში წყევლად, ეს არის სპარსული ზაჰრი მარ «გველის შხამი»): ძნელია კაცი დაეთანხმოს ასეთ ახსნას, იმიტომ რომ ქართ. ზარ-ს («შიშის» მნიშვნელობით) საერთო არაფერი აქვს იმ ზაჰრ-თან, რომელიც შხამს ნიშნავს, არამედ იგი კავშირშია *qar*-თან, რომლისგანაც ნაწარმოებია *qarax* («შეშინება»), *qarax* («საშინელი») და სხვ. ამ სიტყვების ფუძის თავიდან **ზ**-ს განიხილავენ როგორც გამამდიერებელ ნაწილაკს და ძირი დაჰყავთ არჰ-ამდე, რომლისგან სომხურში უმეტესად რ-დაკარგული არჰ იხმარება: არჰაორ, არჰაგინ («საშინელი»), არჰაბეკ («შეშინებული») და მისთ. ე. ბენვენისტს მიაჩნია, რომ ეს არჰ ირანულიდან სომხურშია შემოსული და დაჰყავს ავესტის *ar*-მდე, რომელსაც Bartholomae თარგმნის Verderben, Unheil, Leid, მაგრამ მას «შიშის» მნიშვნელობა (crainte-ისა) უფრო აქვსო (Études iraniennes, 68).

ტრის შემთხვევაო, ამბობს მზია ანდრონიკაშვილი, რომ ოსური **a** გადმოცემული იყოს ე-თი ი-ს წინ, მაგ. ქართ. დენა=ოს. don (<dan) «წყალი, მდინარე». დის მიღებულია დინს ფორმისგანო (59,85). დიდად საეჭო ამბავია, რადგანაც ქართ. დენა-ში ძირად გამოიყოფა დ, ენ კი კაუზატიობის მაწარმოებელია: ვალ-ს — ა-ვლ-ენ-ს, წევ-ს — აწვ-ენ-ს, დგ-ას — ად-ა-დგ-ენ-ს. ამავე რიგში შემოდის დენა ზმნის ენ სუფიქსიც: დ-ის — ა-დ-ენ-ს. დის გარდაუვალია, როგორც ვალს, წევს, დგას, ადენს კი — გარდამავალი, როგორც ზემორე მოყვანილი ზმნებია: ავლენს, აწვენს, აღადგენს.

ტეტორი გაბედულად მსჯელობს და ირანული წარმოშობისად თვლის ისეთ ქართულ სიტყვებსაც, რომელთაც კოლხურ-სვანურში შესატყვისობა აქვთ.



ქ ე ე. ამ სიტყვას შესაძლოა ოსურ ყდ და ღაღა-სთან ჰქონდეს კავშირი (ყდა, ღაღა ოსურში «ხეს, მორს, ტყეს» ნიშნავს, 110). თუ ვგრეა, ეს ნიშნავს, რომ ოსურიდან ნასესხებ სიტყვაში გადაისვა თანხმოვნები და ქართულიდან შემდეგ მეგრულში ტყა გაკეთდა. ძნელია, დავიჯეროთ.

ს გა ვ ს სიტყვაში რომ ძირია გ, ეს უკვე ვ. თოფურიამ აღნიშნა, რომელმაც მას სვანურ შესატყვისად ხა-ჯ-ემუ («ჰვავს») ამოუყენა გვერდით. ეს იცის მზია ანდრონიკაშვილმაც, მაგრამ საეჭოდ მიაჩნია და ფიქრობს, რომ «ფუძე გა ვ შესაძლებელია დაუკავშირდეს ოსურ გა ჯ ზ ნ ზ მნას, რომელიც «უურებას, ხედვას» ნიშნავსო (82—83). რომ აქ ძირია გ, ეს უეჭველია და მისი ისეთ ოსურ ზმნასთან დაკავშირება, როგორც «ხედვას, უურებას» აღნიშნავს, მეტად საეჭოა. მეტიც შეიძლება ითქვას: უფრო ფანტაზიაა, ვიდრე სინამდვილე.

ძ ი რ-ი მზია ანდრონიკაშვილს ირანული წარმოშობის სიტყვად მიაჩნია ქართულში და სავ. სპ.-ის azīr, zīr-ისგან გამოჰყავს, რაც «ფსკერს, ქვედა ნაწილს» ნიშნავს (214, 404-5). ქართ. ძ ი რ-ი კი აღნიშნავს ფესვს, რომელიც მცენარის მიწაში აქვს გადგმული. მას თავისი შესატყვისი აქვს მეგრულში (*ჯ ი ჯ-ი > ჯინჯი, სადაც პირველი ჯ არის ძ-ს შესატყვისი, მეორე ჯ კი რ-სგან არის მიღებული). ეს კოლხური ჯ ინჯი სომხურშია შესული: *ჯინჯი, რნაჯინჯ არსი*, რაც «მოთხრას, ძირ-ფესვიანად ამოღებას, მოსპობას» ნიშნავს. მზია ანდრონიკაშვილს რომ დავუჯეროთ, ისე გამოდის, რომ ქართულს იმ დროს შეუთვისებია სიტყვა სპარსულიდან, რომ მეგრულის ჩანასახიც კი არ ყოფილა ქვეყანაზე და შემდეგ მომხდარა მისი გამოყოფა ქართულისაგან, თვით ქართული კი არ შეცვლილა.

წ ე ვ ა (მი-წევა, და-წევა). ანდრონიკაშვილი ფიქრობს, რომ ეს ფუძე უკავშირდება ოსურ caewyn-ს, რაც «წასვლას, გამგზავრებას» ნიშნავსო (66). აქ ე ვ სუფიქსია, ძირი კი არის წ, რომელსაც სვანურში ჰ შეესატყვისება: ადჰე — მიაღწია, მივიდა.

ჩ ს ფუძეს, რომლისგან გვაქვს ს ა-ვ ს-ე, ანდრონიკაშვილი ოსურ aefsis, aefses სიტყვას უკავშირებს, რომელიც «გაძღომას, გავსებას» ნიშნავსო (74,87). კეთილი, მაგრამ, რა ვქნათ, როცა მას მეგრულშიც აქვს შესატყვისი და სვანურშიც? (მ. ე-ფ შ-ა «სავსე», სვ. გ ო შ ი < *გა-უ შ ი < *გ ა-ფ შ ი = ძე. ქართ. განსავსე).

შ ა რ ჯ უ ე ნ ა-ში მზია ანდრონიკაშვილი შესაძლებლად თვლის გამოჰყოს არჯ ფუძე (23, 27, 28) და დაუკავშიროს იგი ფალაურ arž-სა და ახალ სპარსულ arj-ს, რომელიც ამას ნიშნავს: «ღირსი, მნიშვნელოვანი, ფასეული» (28). დავუჯერებდით, რომ არ გვექონდეს მეგრ. შ ა რ ძ გ ვ ა ნ ი და სვანური ლ ე რ ს-გ ვ ე ნ, რომლებიც მოითხოვენ, რომ ანდრონიკაშვილმა ჯერ გაარკვიოს მათი ურთიერთობა.

შ კ ე ლ ო ბ ე ლ ი. ძველ ქართულში იყო «მკელობელი», რომელიც «კოჭლს» ნიშნავდა. მოხეურში ესლაც იხმარება კ ე ლ ო ბ ს («კოჭლობს»). ამ სიტყვის ფუძეა კ ე ლ, რომელიც, ანდრონიკაშვილის აზრით, ოს. kыл, kыл-ს მოუცია, რაც «ნაკლულს, ნაკლს» ნიშნავსო (69; 90—91). მაგრამ იქვე შენიშნავს: «ეს სიტყვა ოსურიდან შემოვიდა ქართულში, თუ პირიქით, ძნელი სათქმელიაო» (91). მოდი, ვიდრე ოსურს მივმართავდეთ, უნდა ვიცოდეთ, რომ კ ე ლ ფუძის კოლხური შესატყვისი კ ა ლ იქნება, რომელიც ნასესხებია სომხურში: *კაჲ* (კ ა ლ, დღეს კი კ ა ლ-ად გამოითქმის) და ნიშნავს «კოჭლს». მკელობელის ფუძის კ ე ლ-ისა

და სომხური *ჰაი*-ის იდენტობა უკვე მარს აქვს აღნიშნული (სახისმეტყველებული § 12, გვ. XXXIII).

სახელი, ზახილი და ძახილი ირანულიდან შემოსული სიტყვებია, მიუხედავად იმისა, რომ ზახ/ძახ ძირს პარალელები მოეპოვება ქართველურ ენებში, ამტკიცებს მზია ანდრონიკაშვილი (107). ამ პარალელებმა უნდა დააფიქროს მკვლევარი, რომელსაც მოეთხოვება მეტი საბუთიანობა, რომ დამტკიცდეს, ფუძე ირანულიდან არის ნასესხები. ისე გამოდის, რომ სიტყვა ჯერ ქართულმა ისესხა, შემდეგ პარალელები გაუკეთდა კოლხურსა და სვანურში. ძნელი დასაჯერებელია.

გრება. მზია ანდრონიკაშვილმა ისეთ სიტყვაზედაც კი მიიტანა ირანული იერიში, როგორცაა კრება. როგორც ცნობილია, ეს ზმნა ხმოვან-მონაცვლეობას იჩენს უღლების დროს (ეკრებ-ვკრიბე) და ერთ-ერთი უძველეს ფუძეთაგანია, რომელიც კოლხურშიც არის წარმოდგენილი (მ. კორობუა, ჭ. ოკორობუ). მზია ანდრონიკაშვილი ფიქრობს, რომ იგი შეიძლება დაუკავშირდეს ოსურ *kaeraeb* სიტყვას (ვარიანტი *xaelaei* უოფილა), რომლის მნიშვნელობაა «ხარბი, ანგარი, ე. ი. შემკრებელი» (91). ნეტარ არიან მორწმუნენი!

პატრუჭაკი. ანდრონიკაშვილს არა აქვს შეტანილი თავის ნაშრომში აშკარა ირანული წარმოშობის სიტყვა პატრუჭაკი, რომელიც გვხვდება ძველ ძეგლებში. ამ სიტყვისთვის სულხან-საბა ორბელიანს დამოწმებული აქვს მფ. 25,11, სადაც ათონური ხელნაწერის მიხედვით იკითხება: «და მოვილო პური ჩემი და ღვინო ჩემი და პატრუჭაკი ჩემი, რომელ დაუკალ მრისუველთა მათ». გვხვდება იგი აგრეთვე დანიელის წიგნში: «ხოლო იყენეს მღუმესა მას შინა შუდნი ღომნი და მიეცემოდეს მათ დღევ ორისა კაცისა¹ გუამნი და ორნი პატრუჭაკნი» (დან. 14,31 ბაქარის გამოცემის მიხედვით). სულხანის თანახმად, პატრუჭაკი არის «ტარიგი გინა თხა საქორცე». როგორც ვხედავთ, ეს პატრუჭაკი არა აქვს შეტანილი მზია ანდრონიკაშვილს, მაგრამ შეტანილი აქვს პატრუცაგი, რომელიც ერთხელ გვხვდება «ქართლის ცხოვრებაში» (I, 158,13), სადაც ნათქვამია: ჰურმიზდ მეფემ მოსწერა ვახტანგ მეფეს «წიგნი, რომელსა პატრუცაგსა წერილ იყო ესრეთ». ზოგიერთ ხელნაწერში (CMm) ეს სიტყვა გამოტოვებული უოფილა. მე მგონია, რომ პატრუცაგი გადამწერთაგან შემოტანილი შერყენილი ფორმაა: ტაგ-ის ნაცვლად ცაგი წაუკითხავთ (ღ და ე ასოების მსგავსების გამო ნუსხა ხუცურში), ხოლო თავკიდური ჰ (ჰ) ჰ-დ (ჰ-დ) მიუღიათ. ამასთანავე საფიქრებელია, რომ ო-ს ნაცვლად ხელნაწერში უ იჯდა (ამ ასოთა აღრვეის ნიადაგზე, რაც სშირი მოვლენაა X—XII საუკუნეთა ძეგლებში). ასე თუ ისე, ჰრუარტაგ-ის (ანუ ჰროარტაგ-ის) ნაცვლად პატრუცაგი გაჩენილა². ეს საეჭო სიტყვა, რომელიც ანდრონიკაშვილის წიგნში ახსნილია ასე «მიწერილობა, ხელითწერილი» (173), ან ასე: «ეტრათი, წერილი მეფისა მეფესთან» (201), ავტორს გამოჰყავს საშ. სპარსული *patrōnak*-ისგან (189), რომელიც ნიშნავს «ყოველდღიურ საზრდოს, ცხვარს, საქონელს» (189) ან «დღიურ საზრდოს, ცხოველს» (201). აშკარაა, რომ ანდრონიკაშვილს აურევია უეჭველი პატრუჭაკი საეჭო პატრუცაგ-თან, რომელიც არა ერთხელ არის მო-

¹ გამოცემაში შეცდომით დაბეჭდილია: მიეცემოდა... ორი კაცისა.

² «პროარტაგს» ავტორი ეხება 367 გვერდზე.



ყვანილი წიგნში იმისთვის, თუ როგორი ბევრით არის გადმოცემული ქართულში ირანული ბგერა ქართულში (პ 191, რ 207, უ 207, ც 173, 201, გ 197).

წ. ცბაევი დაყრდნობით ავტორს შესაძლებლად მიაჩნია, რომ სვან-ლიზალ სიტყვის ფუძე ზა («შობა») და ქართ. ზე (რომელიც შედის ნე-ზე-ში და უ-ზე-ში) ოსური წარმოშობისად მიიჩნიოს (55, 58, 62). შეექალა შანიძემ უკვე აღნიშნა, რომ ეს არ არის სწორი («ნეზვის ეტიმოლოგიისათვის»: «ორიონი», 306—310).

კოლტი. ანდრონიკაშვილი ამბობს, რომ კოლტი შემოსულია ოსურიდან, სადაც k'ord, k'war, k'ward «ჯგუფს, გუნდს» ნიშნავს და დასძენს: შეადარე სომხ. *կიკა* (69).¹ *კიკა*-ი არა და *კიკა* კი მოჰყავდა ნ. მარს კოლტის შესადარებლად (მაგ., სახისმეტყველი, გვ. XXXVII).

ზოგჯერ ძნელია იმის გარკვევა, თუ რომელი სპარსულიდან არის ნასესხები ქართული სიტყვა, საშუალიდან თუ ახლიდან (ახალი სპარსული, სულ ცოტა, IX საუკუნიდან იწყება). მაგრამ არის ზოგჯერ ნიშნები, რომელთა მიხედვით შეიძლება ითქვას, თუ რომლიდან მოდის.

შობა ანდრონიკაშვილი ფიქრობს, რომ ჩარხ-ი და ჩოგან-ი საშუალო სპარსულიდან არის (200). მე კი მგონია, რომ ერთიცა და მეორეც ახლიდან არის, რადგანაც გვაქვს არა ჩარხ-ი, არამედ ჩარხ-ი (როგორც ახალ სპარსულში). რაც შეეხება ჩარხ-ის საშუალ სპარსულ ფორმას, იგი უთუოდ, ჭახ-რაკ-ში გვაქვს შემონახული.

ჩოგან-ი რომ საშუალი სპარსულიდან მოდიოდეს, თავში გვეჩვენოდა ჭ, როგორც სხვა შემთხვევებში (ჭაბუკი, ჭარმაგი და სხვ.). სამაგიეროდ, უთუოდ საშუალი სპარსულიდან მოდის ბავშვების ერთგვარ თამაშობაში სახმარებელი ჯოხის სახელი ჭაკუნი. გურიაში იგია ხის ბურთის გასაკრავი მოკალი ჯოხი და მიღებულია, ალბათ ხმოვნების გადასმით, ჭუკანი-საგან, ან ჭოკანი-საგან, რაც საშუალი სპარსული ფორმაა ახალ სპარსული ჩოგან-ისა.²

სხევე ვერ მივიჩნევთ საშუალ სპარსულიდან შემოსულად სუბუქ-ს, რომელიც საშ. სპარსულის sapūk-ამდე აჰყავს ანდრონიკაშვილს (187, 193, 211, 374). ეს სიტყვა გვიან შემოსულია ქართულში და თავისი ბანით შუაში და ქანით ბოლოში უფრო ახალი სპარსულიდან შემოსული უნდა იყოს.

კოშკი ანდრონიკაშვილს გამოჰყავს საშუალი სპარსულიდან. Košak «სასხლე» (334). მაგრამ ეგრე რომ იყოს საქმის ვითარება, მაშინ გვეჩვენოდა კოშაკი და არა კოშკი, რომელიც ახალი სპარსულიდან უნდა მოდიოდეს.

ქართ. ბზიკი ოსურმა aevzaek'ae-მ მოგვცაო, ამბობს ანდრონიკაშვილი (74, 75, 79). მისი მნიშვნელობაა ოსურში «ფუტკრები, რომლებსაც უმატებენ მცირე-რიცხოვან სკას გასაძლიერებლად», aevzaek'ae > ბზეკი, ბზიკი» (79). ფოქვათ, ეს ასეა, მაგრამ რად არ გადმოჰყვა ნასესხებ სიტყვას თავიიდური ხმო-

¹ შეცდომით *კიკა* არის დაბეჭდილი და ბეჭდვითი შეცდომების სიაში არ არის შეტანილი.

² ჭაკუნობია მეც მითამაშნია 7-8 წლის ბავშვს ჩემ ამხანაგ ალექსანდრე კანდელაკთან (მის ეზოში, სოფ. აბაშაში, გამოჩინებულის ძირს, ნოლიდან 4-ილიე კილომეტრის დაშორებით), ოღონდ ხის ბურთის ნაცვლად კენჭი გვექონდა. ერთხელ გაეჰკარი, კენჭი თვალში მოჰხვდა ამხანაგს და კინაღამ დაუზიანდა. აი, ეს ჭაკუნი ნამდვილად საშუალი სპარსულიდან მოდის. ზმნაც არის მისგან: გაიჭაკუნა («გათამაშა»).

ვანი? აკი ამბობს ავტორი, რომ ა-ს დაკარგვა სიტყვის თავში არ არის დაშვებული თებელი ქართულისთვისო! (366). მერმე არ უნდა გაეწიოს ანგარიში დეეტერსს, რომელსაც ქართული ბზიკი სლაური ენების სიტყვებისათვის დაუკავშირებია (IF 61, 1954, 112), რუს. бзык (слепень), უკრ. бзык «ბორა», პოლ. bzik ბუზანკალი». საყურადღებოა, რომ ამ სიტყვის ეტიმოლოგიურ ბადალს სერბულ-ხორვატულში «კრანანას» მნიშვნელობა ჰქონია (Ф а с м е р, Этимологич. словарь русского языка, I, 164).

საყურადღებოა ანდრონიკაშვილის მოსაზრება აზნაურ სიტყვის შესახებ, რომლის ფუძედ მას აზნ მიაჩნია (220). არა, ურ სუფიქსის მოკვეცის შემდეგ ვერჩება აზნა, რომლისგანაც ნაწარმოებია, როგორც აზნა-ური (ფუძის ბოლოკიდურის შენახვით), ისე უ-აზნ-ო (ფუძის ბოლოკიდურის მოკვეცით). თანაც, როცა ვკითხულობთ სადისერტაციო ნაშრომში «სხვა ქართველურ ენებში ამ სიტყვას შესატყვისი არ მოეპოვებაო», ვერ დავეთანხმებით მის ავტორს, რადგანაც მეგრულად «აზნაური» ქინოსქუა (ქინოსკუა) არის (სიტყვა-სიტყვით «აზნაურისშვილი»), რომელიც კომპოზიტია და თავში ხმოვანი აკლია, მაგრამ მისი პირველი ნაწილი სრული შესატყვისია ქართული აზნა-სი (*ოქინოსკუა). მაგალითად, ასეთი ლექსი ჩამიწერია სამეგრელოში:

ართი ვარდი ქომიჩანდუ
ზოთონჯიში მათალუჲ.
ძლაბი ჯგირი ვორდი, მარა
მზითი მჟთა მაპალუჲ.
ქინოსკუას მეგვორუნდი,
მარგალქ მიდმოსარგალუჲ.

ერთი ვარდი მეღა («მეცენა»),
ზამთარში რომ ხარობდა.
გოგო კარგი ვიყავი, მაგრამ
მზითევი არაფერი გამაჩნდა.
აზნაურს ვეძებდი,
გლეხმა წამათრია.

ჟეადი¹. ეს კარგა ცნობილი სიტყვაა, რომელიც «ვეფხისტყაოსანშიც» გვხვდება: «ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ჟეადია» (39,4). მ. ანდრონიკაშვილი ამბობს, რომ ამ სიტყვას ქართველურ ენებში შესატყვისი არ უჩანსო (410). ავტორს უნდა მოეგონო, თუ რას ამბობდა ი. ყიფშიძე ნახევარი საუკუნის წინათ დაბეჭდილ წიგნში ერთი მეგრული ზმნის შესახებ: можно полагать, что груз. ჟეადი одного с нашим словом корня (Грамм. мингр. языка с хрестоматией и словарем, 1914, стр. 405).

სულხან ორბელიანის ლექსიკონის თანახმად, კაპოეტი თევზიც არის, ბალახიც, წელიწად-გამოვლილი ფრინველიც, ზურმუხტიც (ქვა კაპოეტი, დაბ. 2,12)². ამათგან «ქართ. განმარტებით ლექსიკონში» კაპოეტისთვის მარტო ფრინველისა და თევზის მნიშვნელობაა ნაჩვენები. ყველა ესენი და აგრეთვე სომხ. *կაპიკო* სპარსულია წარმოშობით და აღნიშნავს თავდაპირველად «ლურჯს». ანდრონიკაშვილის აზრით კი კაპოეტი, როგორც ერთგვარი თევზის სახელი, ოსურიდანაა შემოსული. ოსურში kaef «თევზია (მსხვილი)». ქართული კაპოეტისთვის ამოსაყალიბდა *kap, «რომელიც წარმოადგენს საერთო აღმოსავლურ-ირანულ სიტყვასო» (90). კეთილი, მაგრამ ოეტი რაღა? ეს არისო: «კაპ-ი — კაპო-ედ-ი, შდრ. კაპოედი—კაედიან» (90). მაგრამ, ჯერ ერთი, გამოსაყალიბდა ყოფილა კაპ და არა კაპო; მერმე: ედ-ი კი არა გვაქვს, არამედ ეტი-ი (კაპოეტი).

¹ ამ სიტყვის ძველი ფორმაა სუადი: სუადი კიც: «სახსიმეტყუელი». კანჯრისათვის, XII.

² ეს ადგილი ათონის ბიბლიას აკლია. ბაქარის გამოცემაში იკითხება «ქვა მწვანე».



საზოგადოდ ჩვენი ავტორი ძალიან ადვილად და უბრალოდ წყვეტს ჩვენს საკითხებს, რომლებიც ყოველი მხრით უნდა იყოს შემოვლილი და დასაბუთებული.

დ რ ო შ ა. ეს სიტყვა, ანდრონიკაშვილის აზრით, მოდის საშ. სპარსული *drafs*-ისაგან (198, 203), რომელიც ახალ სპარსულში დირაქშ-ად გამოითქმის. აგრე რომ იყოს, მაშინ გვექნებოდა დ რ ა ვ შ-ი ან დ რ ა ფ შ-ი. ეს ო საიდან მივიღეთ? ან ა საიდან გაჩნდა ბოლოში (დროშა)? თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ სომხურში ა უ იქცევა ო-დ, გასაგები იქნება, თუ რად გვაქვს სომხურში დრაჭშ (*դրաշ*) და დრაჭშაკ (*դրաշაკ*), რომელიც შემდეგ დროშ და დროშაკ-ად იქცა. ამიტომ სომხურის მეშვეობას ამ შემთხვევაში თითქო ვერ გამოვრიცხავთ.

ქ უ ლ ბ ა გ ი ც საშუალო სპარსულიდან გამოჰყავს ავტორს (საშ. სპ. *kurpak, kulpak* «ქოხი, სენაკი», 187, 193, 197, 390). ახალი სპარსული *كل* ვერ მოგვეცემდა ქ უ ლ ბ ა გ ს ა ო, ამბობს იგი ერთგან. კეთილი, მაგრამ საშუალო სპარსული *k* და *p* მოგვეცემდნენ კი ქ-სა და ბ-ს? და მერმე როგორ არის ქ უ ლ ბ ა-ს მრ. რიცხვი ახალ სპარსულში: ქულბაგ-ან, არა? აღდგა გ. მაშასადამე, უფრო სავარაუდებელია, ქ უ ლ ბ ა გ-ი ახალი სპარსულიდან მოდიოდეს და არა საშუალიდან. საშუალიდან მოდის უთუოდ სომხური კ ჯ რ პ ა კ, სადაც, რ-ს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სამივე თანხმოვანი მკვეთრია, ქართულში პირველი ფშინივიერია (ქ), ორი დანარჩენი კი — მქლერი. აი ეს გვაფიქრებს, რომ იგი უფრო ახალი სპარსულიდანაა შემოსული ქართულში.

ც ც ხ ო ბ გ ე რ ა თ ა გადმოცემის სისტემაში ანდრონიკაშვილი ზოგჯერ ვერ არის კარგად გარკვეული. მაგ., ამბობს: «*ჩ* ირანულ თავიიდურ კომპლექსში *fr* (=სომხ. *hr*-ს) ქართულში გადმოცემულია, როგორც უ: ურაკპარაკი — *հրապարակ*», (173), სხვაგან ნათქვამია: «საშ. სპარს. *fr* უდრის უ რ-სო» (203), რაც არსებითად იგივეა. თავი დაფანებოთ იმას, რომ ასახსნელია კანის გაჩენის მიზეზი სიტყვის შუაში (ურა-კ-პარაკ-ი), რასაც ანდრონიკაშვილი გვერდს უვლის. განა შეიძლება *fr* ჯგუფმა უ მოგვეცეს? ვერა, ვერ მოგვეცემს. მართლაც, *frazān*-იდან ან *frazānak*-იდან მას ბ რ ძ ე ნ-ი გამოჰყავს (185, 189, 296), და არა უ ძ ე ნ ი, ხოლო *framān*-იდან — ფარმანი (164) და იმავე *frazān*-იდან ბ რ ძ ა ნ ე ბ ა (295) და როგორ მოხდა, რომ უ რ ა კ პ ა რ ა კ-ში *fr*-მ უ მოგვეცა? ასეთი რამ უჩვეულოა და დასაბუთება უნდა. საბუთი კი ანდრონიკაშვილის წიგნში არ ჩანს. ხოლო ნამდვილად საქმის ვითარება ასეთია: *հր* კომპლექსი სომხურში გამოითქმის ჰ ჯ რ, რომლის გ ქართულში გადმოვიდა უ-ს სახით, როგორც ეს არის ანალოგიურ შემთხვევებში, მაგ., *Մարատ* (გამოითქმის *Մարათ*) — ს უ მ ბ ა ტ. მაშასადამე, მივიღეთ ჰ უ რ ა პ ა რ ა კ ი, რომელსაც თავში დაეკარგა ჰ და წარმოდგა უ რ ა პ ა რ ა კ-ი, რომელიც გორკვეცებულ ფუძედ იქნა გაგებული ხმოვნის შენაცვლების წესით და ჩაერთო კ: უ რ ა კ-პ ა რ ა კ-ი. ასე რომ, აქ სულ სხვა ბგერითი პროცესია და არა ის, რასაც ანდრონიკაშვილი იძლევა. სომხურის მეშვეობა აქ უეჭველია.

შსგავსი ვითარებაა უ ნ ა ს ი ს შემთხვევაშიც. მზია ანდრონიკაშვილს იგი შეტანილი აქვს პართული წარმოშობის სიტყვათა სიაში 64 ნომრად და ამბობს «შღრ. პართ. *vinās* «ცოდვა, ბოროტება, სიღვე» (274). აგრე რომ იყოს, მაშინ

გვექნებოდა არა უნასი, არამედ ვინასი ან გუინასი, ან ვინასი (იმავე სიტყვისაგან ახალ სპარსულში გვაქვს გუნაჰ). საქმე ის არის, რომ სომხურში *վաս* სიტყვა გამოითქმის ორ მარცვლად ვე-ნას. ქართულში 2 გადმოვიდა უ-დ და მან გამოიწვია წინამავალი ვინის დაკარგვა: (ვ)უნას > უნას-ი, სადაც იგივე ვითარებაა, რაც უტევან-ში: *վտևան* (*վտասան*) → (ვ)უტევანი. მაშასადამე, თუ ურაკ-პარაკ-ის შემთხვევაში უ-ს წინ ჰ დაიკარგა, აქ იმავე უ-ს წინ დაიკარგა ვ. ცხადია, პართულიდან სესხებისას აქაც სომხური მეშვეობა იგულისხმება.

ონას სიტყვას ანდრონიკაშვილი უკავშირებს ნას-ს, რომელიც «ვეფხისტყაოსანში» გვხვდება «გონჯის» მნიშვნელობით (190), მაგრამ არას ამბობს ნავს-ის შესახებ, სადაც ვ გადასმული ჩანს: ვნასი — ნავსი, მსგავსად ზემო იმერული ნავსე-სი, რომელიც მიღებულია ვნახე-საგან.

რაჰკანი. ანდრონიკაშვილის მტკიცების თანახმად, ეს სიტყვა მოგვცა საშ. სპარსულის *dahkan*-მა, რომელიც მეთედს ნიშნავს (195, 215, 313, 314). ქართულ ფორმაში რ განვითარებულია, ალბათ, «დრამა»-სთან ანალოგიით (გვ. 314). არა! დრაჰკანი-ი მიღებულია დარეჰაკანი ფორმისაგან. თავდაპირველად იგი აღნიშნავდა დარეჰ მეფის სახელით (ანუ დარიოზ მეფის სახელით) მოჭრილ ფულს, როგორც უკვე აღვნიშნე, ჰ. აჭარაინის ლექსიკონზე დაყრდნობით, ერთ-ერთ ნაშრომში («გიორგი მთაწმიდლის ენა», გვ. 96). სათანადო სომხურ სიტყვას არა აქვს რ (რჰ კომპლექსიდან, საზოგადოდ, სომხურში რჩება ჰ), მაგრამ იგი შემონახულია, მაგ., ბერძნულში (*δραχμή*), სირიულში (დარბ-კუნ: *Lexicon syriacum auctore C. Brockelmann, 1928, 107a*). ეს იყო ძველი სპარსული ოქროს მონეტა, რომელს ცალ მხარეს მეფის გამოსახულება იყო და მეორე მხარეს — ისარი (*А. Поспишиль, Греческо-русский словарь, Киев, 1890*).

ჟურდი თუ ჯურთი? ევსტათი მცხეთელის «ცხოვრებაში» მოთხრობილია მოკლედ ძველისა და ახალი აღთქმის წიგნებში მოთავსებული ზოგი ამბავი, სხვათა შორის, ქრისტეს ჯვარცმისაც (მათეს და მარკოზის სახარებათა მიხედვით). პროფ. ი. იმნაიშვილმა თავის «ისტორიულ ქრესტომათიაში» შეიტანა ევსტათი მცხეთელის წამების ტექსტიც (II გამოც., 160—175) და ქრისტეს ჯვარცმის ამბავში დაბეჭდა ეს: «და რომელიმე სცემდა ჯურთითა თავსა მისსა», თანაც აღნიშნა, ხელნაწერში აქ «სურდითა» იკითხებაო (გვ. 171). გასწორების საფუძველი ის არის, რომ ჯრუჭის ოთხთავში (936 წ.), პარხლისაში (972 წ.) და აღიშისაში (897 წ.), აგრეთვე ათონისაში (913 წ.) სათანადო ადგილას (მათ. 26,67; მარკ. 14,65) ჯურთითა იკითხება, ტბეთისაში კი (995 წ.) ჯურთითა სწერია: ჯურთითა სცემდეს თავსა მისსა (მათ. 26, 67), ჯურთითა ცემად (მარკ. 14, 65); ამიტომ იმნაიშვილის გასწორება უსაფუძვლო არ არის. ხელნაწერებში საზოგადოდ სიტყვის თავიკიდური ბგერაა ჯ. მზია ანდრონიკაშვილი არ ენდობა იმნაიშვილის გასწორებას და თავის გამოკვლევაში ეს სიტყვა შეაქვს სურდ ფორმით და ხსნის: სურდი არის «ნაგლეჯი, ნამტვრევი, წვრილმანი რამ», თანაც მოჰყავს ნაწყვეტი ევსტათი მცხეთელის წამებიდან (ს. კვაპაძის გამოცემის მიხედვით): «ღა იწყეს ცემად და კიცხევად მისსა და რომელიმე სცემდეს სურდითა თავსა მისსა და რომელიმე ლერწმითა სცემდა». ანდრონიკაშვილი ამ



სიტყვას ეტიმოლოგიურად უკავშირებს საშ. სპარსულის xurtak-ს, რომელიც ნაგვს «მცირეს, პატარას». ამისგან ახ. სპარსულში გვაქვს ხურდა (خرده), რომელიც ქართულშიც იხმარება. «წვრილი ფულის» მნიშვნელობით. საკითხავია: რითი სტემდნენ ქრისტეს თავში: ნამსხვრევით? რისი ნამსხვრევით? ხურდა ფულით ზომ არა, ან სხვა რამით? რა თქმა უნდა, ანდრონიკაშვილი ცდებდა, სწორად ვერ გაუგია ადგილი ვესტათი მცხეთელის «ცხოვრებაში». იმნაიშვილს შეიძლება შევედოთ იმაში, თუ როგორ უნდა იყოს წაკითხული სიტყვა: ქვრთითა თუ ქურთითა, მაგრამ რომ თავიკიდურად ქ უნდა, ამაში ეჭვი არ არის. არც იმაშია ეჭვი, თუ რას ნიშნავს ქურთი (ან ქვრთი). ი. იმნაიშვილი სწორად აღნიშნავს, რომ, რომ იგია «მჯილი» (გვ. 544). სომხურ ვერსიაში იკითხება *կուჩი* ზმნა «მჯილით ცემა» (*կուჩի* «მჯილი»), ბერძნულში კი *χιλαφιν* ზმნის ფორმებია (*ἐχιλαφισαν*, *χιλαφίνε*). მაშასადამე, ირკვევა, რომ «მჯილის» აღმნიშვნელი სიტყვა ქურთი ხურდა-დ გაიგო მზია ანდრონიკაშვილმა და მცდარი გზით წარმართა ეტიმოლოგიური ძიება.

ჯეშინა ხევსურული სახელია, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი ვახტანგ-ფშაველას ერთი პოემის წყალობით («გოგოთურ და აფშინა»). ანდრონიკაშვილის თანახმად იგი წარმოადგენს უძველეს ფორმას ოსური სიტყვისას, რომელიც «დაიასხლისს» აღნიშნავს (*aefsin*, *aefsinae*, გვ. 140). «ის გარემოება, — დასძენს ავტორი, — რომ ეს სიტყვა კაცის სახელად არის გამოყენებული, მოწმობს იმას, რომ ოს. *aefsin* იხმარებოდა სახლის პატრონის, კაცის აღსანიშნავადაც, რასაც ადასტურებს სოლდურში დადასტურებული სიტყვა *afšin* «მმართველი, მთავარი», რომელსაც აბაევი სკვითური წარმოშობის სოციალურ ტერმინად თვლის, შეთვისებულად სოლდურში» (140). აქედან მკითხველი იმ დასკვნას გააკეთებს, რომ აფშინას საკითხში აბაევს, მხოლოდ ის უქნია, რომ მან სოლდური სიტყვა *afšin* («მმართველი, მთავარი») სკვითური წარმოშობის სოციალურ ტერმინად მიიჩნია. ნამდვილად კი აფშინას საკითხში ანდრონიკაშვილი მთლიანად აბაევს იმეორებს, რომელიც ასე მსჯელობს: „Весьма возможно, что термин *aefsin* восходит к массагетскому матриархату и служил первоначально наименованием массагетских правительниц типа знаменитой Томирис, а затем из массагетского был заимствован в соседние области Средней Азии уже в применении к правителям мужчинам. И Усрушана и Согдиана непосредственно примыкают к массагетской территории... В качестве собственного имени *aefsinae* попало также к некоторым соседям осетин; ср. хевсур. *Apšina* мужское собственное имя (Важа Пшавела. Гоготур и Апшина). В этом хевсурском имени можно видеть указание на то, что и ос. *aefsinae* могло в прошлом относиться также к мужчине“ (В. И. Абаев, Историко-этимол. словарь осетинского языка. I, 1958, стр. 111).

სოგორი წარმოშობისაც უნდა იყოს ეს სახელი, ვერ დაფუძვრებთ ვერც აბაევს და ვერც ანდრონიკაშვილს, რომ აფშინა ოსურიდან იყოს შემოსული ქართულში. აბაევს აცთუნებს, ალბათ, ამ სახელის ბოლოკიდური ა, რომელიც, ჩემი ფიქრით, იგივეა, რაც ა სხვა ქართულ სახელებში: გიორგა, ეფრემა, ლევანა, იობა და სხვ., რომლებიც გაისმის თბილისის გარშემო მდებარე სოფ-

ლებში. აფშინ კი, თავისი შინით უთუოდ სპარსულიდან არის შემოსული, სდაც იგი კაცის სახელია (აფშინ). ერთი აფშინ-ი თავის სიუხვით ყოფილა განთქმული (I. A. Vullers. Lexicon persico-latinum etymologicum. I, 1855). იგივე სახელი სომხურშიც იყო გავრცელებული *საქინ*-ის ან *ოქინ*-ის ფორმით (Justi, Iran. Namenbuch 253, ჯ. *შაბაკან, ჯაყიყ ანაზანონსხერქ რაპარან*, V, 1962). ჰრ. აჭარაის აღნუსხული ჰეავს 51 კაცი, რომლებიც სახელად ატუშინ-ს (*საქინ*-ს) ან ოშინ-ს (*ოქინ*-ს) ატარებდნენ XI—XIV საუკუნეებში. ამათგან ხუთია ატუშინ-ის (*საქინ*-ის) ფორმით (№№ 10, 14, 38, 39, 43). იგივე მკვლევარი აღნიშნავს, რომ ალფარსლანის (1071 წ.) *Afsin* სპასალარი ბაგრატუნთან წრეში აფშინ-ად (*საქინ*-ად) იყო ცნობილი და შემდეგ რუბენთან წრეში ოშინ-ი (*ოქინ*) გახდა.

ტპარეკა. მეორე ხევესურული კაცის სახელიც აპარეკა ოსურიდან მოდისო, ვვამცნობს ანდრონიკაშვილი და ფიქრობს, რომ სათანადო სიტყვა ოსურში არისო *abyraeg, abaereg* («აბრაგს» ნიშნავს, გვ. 140).

შეკი მგონია, რომ იგია ის ირანული წარმოშობის სიტყვა, რომელიც სომხურში *აყაიჩქ*-ად გამოითქმის და ნიშნავს ნისიას. *საყაიჩქ იკიქინ* («ნისიად არავისო»), მინახავს ძველად გაცხადება თბილისის სომეხთა ღუქან-მაღაზიებში. ნისია, ანუ, უფრო სწორად, ნასია არაბულ-სპარსული სიტყვაა (*نيسيه*) და იგი საკუთარ სახელად გამოეგონია ფშავში. აპარეკა მე მისი ბაღალი სახელი მგონია.

შ. ცნდრონიკაშვილი გვარწმუნებს, რომ სტევე-ი, რომელიც «აქლემის მატყლს» ნიშნავს, ოსური *tewa*-სგან მოდისო (65). ამ სტევე-ის შესახებ სახარებაში ვკითხულობთ: «ხოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა სტევე-ისაგან აქლემისა» (მათ. 3,4). ასეა ჯრუჭის ოთხთავში, ხოლო სხვა ხელნაწერებში ამავე ადგილას თმა იკითხება, მაგ., ათონისა და ტბეთისაში სწერია: «ხოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა»; აღიშნისაში: «ხოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსელი თმისაგან აქლემისა».

ჯერ ერთი, ვიკითხოთ: თუ ეს სტევე-ი ოსური *tewa*-საგან მოდის, რად გაუჩნდა სიტყვას თავში ს?

შეორე: არის კი ეს სტევე-ი ქართული სიტყვა? ამბობენ, სომხურიდან მოდისო. ალბათ, თვით სომხურში იგი, ერთ-ერთი ქართველური ენიდან შევიდა, რომელიც სვანურის ახლოს მდგომი იყო (სტევე<ლდევე.<*მდევე *თემ, თამ, თმა, მ. თომა).

შესამე: არის კი თვით *tewa* ოსური სიტყვა? მე მგონია, არა. იგია თურქულიდან შესული ოსურში: ანატოლიური თურქული გამოთქმით ეს არის დევე; (დევე-ე-უ-შ-უ «სირაქლემი»), აზერბაიჯნულით კი — დევა. ასე რომ, ანდრონიკაშვილი ერთმანეთს ადარებს ორ სიტყვას, რომელთაგან ერთია თურქულიდან ოსურში შესული, მეორეა სომხურიდან ქართულში შემოსული და დასკვნას აკეთებს ამათ მიხედვით ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობის შესახებ.

სეროქავრი. ეს ქალის სახელი ცნობილია წმ. ნინოს «ცხოვრებიდან»: «და ეტყოდეს სალომე უქარმელი და პეროქავრი სივნიელი». ანდრონიკაშვილს ჰგონია, რომ იგი ნაწარმოებია პეროქ სიტყვისაგან, რომელიც ძლევას ნიშნავს და დართული აქვს ვარ (მიღებული ბარა-სგან) და მთელი სიტყვა ნიშ-



ნაეს «ძღვეით მოსილსო» (გვ. 489). ანდრონიკაშვილს გამორჩა მსხველმძღობიდან რომ ამ სახელს ბოლოში ი აქვს, რომელიც ფუძის კუთვნილებაა: არა პეროქაეარ ან პეროქაეარ, არამედ პეროქაერი, რომელიც კომპოზიცია და ასე დაიშლება: პეროქ-აერი. ეს აერი კი იგივეა, რაც აჭრი სომხურ აჭრიორდ (*აქრიორდ*) სიტყვაში, რომელიც «ქალიშვილს» ნიშნავს.

ესე წიგნში, როგორც არის წარმოდგენილი ნაშრომი მზია ანდრონიკაშვილისა, საჭიროა, რომ, როცა ავტორი მსჯელობს ქართ. სიტყვის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, იგი მიმართავდეს ძველი ქართული ენის ფორმებს. მაგრამ ამას სწორად ვერ ვხედავთ. მაგ., ანდრონიკაშვილისთვის თითქოს არ არსებობს უმარცვლო უ, რომელიც მკვეთრად გარჩეული იყო ძველ ქართულში ვინისაგან, და ქართულ სიტყვებს ახალი ორთოგრაფიით აწვდის მკითხველს: ბორცვი (187, 198), მოგვი (188), ხვასტაგი (203), ხვაიშნობა (203), ხვადი (410) და სხვ.; ანდრონიკაშვილი ჰ-საც აკლებს: ამბორი (222).

სამოკვლევების ტექნიკურ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს, რომ განხილული ქართ. სახელების სახელობითი ბრუნვის ნიშანი ი დეფისით არ არის გამოყოფილი ფუძისგან.

ზოგ შემთხვევაში ანდრონიკაშვილის მსჯელობას აკლია სიმტკიცე და დამაჯერებლობა. აი, მაგ., ბაგინის შესახებ რასა ვკითხულობთ: «ნ. მარი და ჰ. აჭარიანი ქართულ ფორმას სომხურიდან შემოსულად თვლიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორივე ენაში იგი მიდიურიდან შევიდა» (გვ. 17). გარკვეული დებულებაა წამოყენებული, მაგრამ მას ავტორი ეჭვის ქვეშ აყენებს მომდევნო სიტყვებით: «არ არის გამორიცხული სომხური მეშვეობაც, თუმცა უეჭველი საბუთი ამისათვის არა გვაქვს».

ბამოწმება. ანდრონიკაშვილის წიგნში ხანდახან არ არის სათანადო დამოწმება. მაგალითები:

«შაზრა» სიტყვის შესახებ ნათქვამია, რომ «ვეფხის ტყაოსნის ლექსიკონში მაზრა განმარტებულია, როგორც «ფაცხა, ალაჩუხი», რაც, ჩვენ ვფიქრობთ: არ არის სწორი» (გვ. 339). რადგანაც ვეფხის ტყაოსნის ლექსიკონი სხვადასხვა პირს აქვს შედგენილი (ბროსეს, ჩუბინაშვილს, კარიჭაშვილს, კაკაბაძეს, აბულაძეს, შანიძეს) საჭირო იყო ზუსტად მითითება. შემოწმებით ირკვევა, რომ ასეთი ახსნა ჰქონია ი. აბულაძეს (პოემის 1926, 1937, 1941 და 1951 წლის გამოცემებზე დართულ ლექსიკონში).

ერთგან ვკითხულობთ: «საინტერესოა ამ თვალსაზრისით აგრეთვე დაპირისპირება ფორმებისა ჰრომაელერ და ფრომინერ, ე. ი. «რომაულად» (ოთხთავში)» (გვ. 512). შეიძლება მხოლოდ ოთხთავის სპეციალისტმა იცოდეს, რომ ფრომინერ იგივეა, რაც ჰრომაელერ და რომ ეს სიტყვა გვხვდება ადიშის სახარებაში (ლ. 23,38; ი. 19,20).

წიგნის ღირსებად მიგვაჩნია, ზოგიერთი ეტიმოლოგია, რომლებიც პირადად ავტორს ეკუთვნის, მაგალითად გუსნ ფუძის ახსნა («შექგუსნეს მათ» — მოჰშიედეს მათ: მარკ. 8,3 ადიშის ოთხთავში), აგრეთვე მოსაზრებანი ვარცხნისა (127), შფოთისა (400) და სხვათა შესახებ.

საერთოდ, რაგინად არის გაკეთებული პირთა სახელები, რომლებიც სპარსულიდან არის შემოსული (გვ. 417—517), თუმცა ზოგი რამის თქმა ამ ნაწილის შესახებაც შეიძლება.

ხოვ შემთხვევაში შეიძლება ავტორის მოსაზრება გაეაზროთ კიდევ უფრო მეტად. ის ლაპარაკობს მარხ ძირის ირანულ წარმოშობაზე და მოჰყავს ამ ძირისაგან ნაწარმოები ფორმები: მარხეა, მმარხველნი, დამარხვა, დაემარხე, დამარხულ, დაჰმარხეთ და სხვ. (256—257). ირანულში მას შეესატყვისება pahr («არშაკი-დული ფორმა, რომელიც ნასესხებია აგრეთვე საშუალო სპარსულში», 256).

საზოგადოდ ცნობილია, რომ ირანული ჰრ ჯგუფიდან ქართულში რ რჩება, სომხურში კი ჰ. ამ შემთხვევაში ჰრ გადასმულია და რჰ-ს რხ მოუცია ქართულში, რის გამოც ჰ გადაჩენილა ხანის სახით, მაგრამ ამასთანავე ერთად გვაქვს არა მარტო სა-მ არხ-ი, სა-მ არხ-ო, არამედ სა-მ არ-ე-ც, სადაც ჰ დაკარგულია.

ცეტორი კრიტიკულად არის განწყობილი ლიტერატურაში მოცემული ცნობებისადმი და ხშირად ასწორებს მათ, ან სხვაგვარ ახსნას იძლევა; მაგ., ფარნავაზ-ის ახსნისას მას მოჰყავს იუსტის ახსნა, რომლის მიხედვით სიტყვის მეორე შემადგენელ ნაწილში თითქო «ბზუ» იყოს («ხელი») და თითქო მთელი სიტყვა აღნიშნავდეს «ბრწყინვალე ხელის მქონეს, ხელ-ბედნიერს», არაო, ანდრონიკაშვილი ამბობს, ამ სახელის განხილვისას ბერძნული ფორმიდან კი არ უნდა გამოვიდეთ (Φαρναξιας), არამედ ქართულ-სომხურიდან, სადაც ვ გვაქვს: ფარნავაზ, *Φαρναξ* (გვ. 16).

უნა გამოკვლევისა საერთოდ რიგიანია, თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ქართული სინტაქსის ერთი წესის დარღვევის შემთხვევები თავიდან ბოლომდე გასდევს ნაშრომს. ეს მოვლენა მარტო ანდრონიკაშვილის ნაწერებს არ ახასიათებს. იგი საერთოდ ძალიან გავრცელებულია სამეცნიერო და სხვა სახის ლიტერატურაში. ეს არის ე. წ. სახელგვარული სინტაგმების ბრუნების წესი (ქართ. გრამ. საფუძვლები, გ 127). რუსული ენის გავლენით შემოვიდა და განმტკიცდა ასეთ სინტაგმებში მსაზღვრელ-საზღვრულის გადასმა და საზღვრულის უბრუნებლად დატოვება. ამის მაგალითებია:

სახელისათვის ამაზასპ ამოსავალია (24); მას ჩვენ ვხედავთ ფორმაში არდამ (23); ამოსავლად სახელისათვის ვანი უნდა ვიგულისხმოთ (29); აღნიშნული თავისებურება სიტყვისა მონა გვაფიქრებინებს (99); სახელს დიპაჩავ შეიძლება მოეძებნოს ეტიმოლოგია (134); სახელში დორლოლელი შეიძლება გამოიყოს ფუძე დორლოლ (135); ქართულ სიტყვისათვის შარავანდი (398); ფ. იუსტი ქართულ სახელს არჩილ აიგივებს სპარსულ Artasir-თან (436); სახელი ბალენ არის აღბათ Balan—ახალი სპარს. ფორმა სახელისა Wardan (445).

ჩვეულებრივ ასეთი სინტაქსური წყობით არის წარმოდგენილი მთელ წიგნში ამ ტიპის სინტაგმები. გამონაკლისი იშვიათია.

ჰქიძლებოდა კიდევ ბევრ რამეზე შეგვეჩერებინა მკითხველის ყურადღება. ამოდენა მონოგრაფიაში, რომელიც 600-ზე მეტ გვერდს მოიცავს და ესება მეტად



რთულ საკითხებს ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის სფეროში არ შეიძლება ნაკლი არ იყოს. მაგრამ უთუოდ აღსანიშნავია, რომ ავტორმა შეძლო თავი მოეყარა სამეცნიერო ლიტერატურაში გაბნეულ მოსაზრებათათვის ამა თუ იმ სიტყვის წარმომავლობის შესახებ და თავისი აზრი გამოეთქვა. ეს აზრი შეიძლება ყოველთვის არ იყოს საკმაო სიცხადით დასაბუთებული, მაგრამ მრავალ შემთხვევაში მაინც საყურადღებო დასკვნებია მიღებული, რომელთაც უთუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს.

ჯაკი ყანიძე

სომან შიმინო შვილი. ლიანე ბამასკელის «წარდამოცემის»
ქართული თარგმანები. გამომც. «შეცნიერება», 1966, 196 გვ.

«წარდამოცემა», რომელსაც ძველად სრულად «გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისა» ერქვა, წარმოადგენს იოანე დამასკელის ცნობილი დოგმატიკური შრომის «ცოდნის წყაროს» (Πηγὴ γυνῶσεως-ის) მესამე ნაწილს, სადაც ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატები გადმოცემული სისტემის სახით. ხოლო პირველი ნაწილი, ასე ვთქვათ, ფილოსოფიური შესავალი, ესაა «დიალექტიკა», რომლის სრული თარგმანებიც მოიპოვება ქართულად. იოანე დამასკელმა ბრწყინვალედ გამოიყენა ანტიკური ფილოსოფიის დებულებანი ქრისტიანული დოგმების დასამტკიცებლად. «ცოდნის წყაროს» მეორე ნაწილი «წვალებათათჳს» არის ისტორიული შესავალი «გარდამოცემისა», სადაც გადმოცემულია სხვადასხვა ერესის წარმოშობა და თავისებურება. ეს ნაწილი არ არის ქართულად თარგმნილი.

1966 წელს გამომცემლობა «მეცნიერებამ» გამოსცა რომან მიმინოშვილის მონოგრაფია «გარდამოცემის ქართული თარგმანები». ავტორს შეუსწავლია ქართული თარგმანები, გამოსაკვლავად მოუშადადებია ტექსტი და საკმაო სისრულით განუხილავს ქართულ თარგმანებთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის ქართული თარგმანები «გარდამოცემისა», ამ თარგმანთა ურთიერთმიმართება, ქართული ვერსიების ბერძნულ დედანთან დამოკიდებულება, ქართული ტექსტის მნიშვნელობა ი. დამასკელის თხზულების ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გამოსაკვლევად და სხვა.

ტლსანიშნავია, რომ «გარდამოცემის» სამი თარგმანია ქართულად მოდღეფებული: ეფთვიმე ათონელისა (ესაა გამოკრებილი რედაქცია), ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელისა. სამივე ვერსია ბერძნულიდან მომდინარეობს. ყოველმა შემდგომმა მთარგმნელმა იცოდა, რომ არსებობდა ადრინდელი თარგმანი (თუ თარგმანები): ეფრემ მცირე იცნობდა ეფთვიმეს თარგმანს, ასევე არსენიც იცნობდა ეფრემისას, მაგრამ მან მაინც ხელახლა თარგმნა «გარდამოცემა». ეს ფაქტი ძალზე საყურადღებოა და მნიშვნელოვანი მთარგმნელობითი მეთოდისა და ლიტერატურულ მიმდინარეობათა შესასწავლად საქართველოში, ასევე ენობრივი საკითხებისა, განსაკუთრებით კი სიტყვათ-წარმოებისა და ლექსიკის ისტორიის გასარკვევად.

«წარდამოცემის» ქართულ თარგმანთა გამოცემა, რომელსაც ახლო მომავალში გვპირდება ავტორი, უთუოდ მნიშვნელოვან მასალას შესძენს როგორც ლიტერატურისა და ფილოსოფიის მკვლევრებს, ასევე ქართული ენის ისტორიისას. ჩვენი გულწრფელი სურვილია, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი გამოიცეს



თანამედროვე ქართული ფილოლოგიის დონის შესაფერისად. ეს სურვილი გვეუწყნარებს, რომ ზოგიერთი მოსაზრება გავუზიაროთ ავტორს ტექსტის გამოცემამდე. ავტორის მიერ შრომაში დამოწმებული ადგილები «გარდამოცემის» ძველი თარგმანებიდან გვაფიქრებინებს, რომ გამომცემელს ტექსტის დასადგენად ზოგიერთი სხვა გარემოების გათვალისწინება მოუხდება დამატებით. ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ჯერ კი ორიოდ სიტყვა საერთოდ შრომის შესახებ.

ბ. შიმინოვილის დასახელებული ნაშრომი, რომელიც 194 გვერდს შეიცავს, შედგება შესავლისა (გვ. 5—12) და სამი თავისაგან, პლუს რეზუმე რუსულ ენაზე (გვ. 173—194).

პირველ თავში (გვ. 13—58) ავტორი მოკლედ ეხება იოანე დამასკელის ცხოვრებასა და შემოქმედებას, «გარდამოცემის» ბერძნულ დედანს და მის წყაროებს, აგრეთვე დამასკელის თხზულებათა პოპულარობას ქართულ მწერლობაში.

შეორე თავი (გვ. 59—115) ეთმობა «გარდამოცემის» ბერძნულ-ქართული ვერსიების ტექსტობრივ შედარებას. ამ თავში მსჯელობაა არა მარტო იმაზე, თუ რას წარმოადგენს თვითნაირი ქართული თარგმანი, რა დამოკიდებულებაა ეს თარგმანები ბერძნულ წყაროსთან, არამედ იმის შესახებაც, თუ რას იძლევა ახალს ქართული თარგმანები თვით «გარდამოცემის» ბერძნული წყაროსთვის. ავტორის დაკვირვებით, ქართულ თარგმანებში ბევრი ისეთი წაკითხვაა დაცული, რაც «გარდამოცემის» დღეისათვის ცნობილს არც ერთ ბერძნულ რედაქციას არ დაუცავს, რაც a priori მიგვანიშნებს ბერძნული დედნის განსხვავებულ რედაქციაზე (გვ. 59—60, 113).

შემდეგ ავტორის ცალკეული დაკვირვებანი ამ მხრივ საგულისხმოა, მაგრამ საბოლოო დებულების ვაზიარება ძნელია. ეს იმიტომ, რომ ქართული ტექსტების დედანთან შედარებისას აღებულია «გარდამოცემის» ბერძნული ტექსტი (*Patrologia Graeca*, ტ. 94), რომელიც გადაბეჭდილია ლეკიენის 1712 წლის პარიზული გამოცემიდან. საეჭვოა, რომ Migne-ისეული გამოცემის ტექსტი სრულსა და უეჭველ ფითარებას ასახავდეს ბერძნული დედნისას.

ავტორის მოჰყავს ადგილები, როცა ქართველი ავტორები ტექსტს თვითონ ავრცობენ ან ამოკლებენ (ე. ი. უმატებენ ან აკლებენ) დედანთან შედარებით. აქვე იხილავს იგი ისეთ შემთხვევებს, როცა არსენი ასწორებს ეფრემის «შეცდომას» ან როცა არსენი თვით უშვებს «შეცდომას» (გვ. 82—87). საკითხავია, რამდენად მართებულია, რომ, თუ ქართული ტექსტი ბერძნულ დედანს არ ემთხვევა, ეს მიჩნეულ იქნეს შეცდომად? მაგ., ავტორი არსენის «შეცდომად» თვლის ღმრთის ეპითეტების რიგის აღრევას (30-მდე ეპითეტია მიყოლებით), მაგრამ იქვე (გვ. 85) აღნიშნავს, რომ ეპითეტთა სხვადასხვა რაოდენობა და რიგის აღრევა დამახასიათებელია თვით ბერძნული ხელნაწერებისათვისო. თუ ასეთია საქმის ვითარება, შეიძლება კი ასეთ შემთხვევაში «შეცდომებზე» ვილაპარაკოთ?

შესამე თავი (გვ. 116—172) ეხება ქართულ თარგმანთა თავისებურებას და სქოლიოებს. აქვეა მსჯელობა ქართულ თარგმანთა ტერმინოლოგიასა და გამომდებთა მთარგმნელობითს მეთოდზე. ეს უკანასკნელი საკითხები მოკლედ და სქემატურადაა განხილული.

ავტორის ცოტა შრომა როდი გაუწევია წიგნზე, მაგრამ დასამუშავებელი თემა იმდენად დიდია და რთული, რომ გაწეული შრომა ვერ ამოწურავს მას. სამწუხაროდ, წიგნში ბევრი საჭირო საკითხი სულ არ არის განხილული, ან ზო-



გიერთ ძირითად საკითხზე გაკვრითაა ლაპარაკი, თანაც რამდენიმე მკვლევარის შეკვრის შედეგებიც მოცემულია. შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

1. შრომაში სუსტადაა დამუშავებული ერთ-ერთი ძირითადი საკითხი — ქართული თარგმანების ურთიერთმიმართება. არ არის წარმოჩენილი თვითიული ვერსიის თავისებურებანი და არც კვალიფიცირებულია რედაქციული სხვაობანი.

2. ნაშრომში სრულებით არაფერია ნათქვამი ქართულ თარგმანთა ენობრივ თავისებურებათა შესახებ. მერე და როგორი სხვაიანი მასალა ჰქონდა ავტორს! მოსალოდნელი იყო, თუ წმინდა გრამატიკულ საკითხებზე არა, «გარდამოცემის» ლექსიკაზე, კერძოდ სიტყვათა წარმოების საშუალებებზე, მაინც იქნებოდა შრომაში ლაპარაკი, მაგრამ არა! ამ ნაკლს ვერ ასწორებს მოკლე მსჯელობა ქართული ტერმინოლოგიის შესახებ (გვ. 143—147), სადაც ბევრი რამაა სადავო. ავტორს მსურს გვიჩვენოს, თუ როგორ არის ეფრემ მცირისეული ტერმინები შეცვლილია არსენი იყალთოელისეულ თარგმანში და მოჰყავს სათანადო მაგალითები, რომელთა შესახებ წერს: «ქვემოთ მოყვანილ ნუსხაში მარცხნივ არსენი იყალთოელის მიერ შემოღებული ტერმინებია, ხოლო მეზობლად — მათი შესატყვისობანი ეფრემ მცირის «თარგმანში» (გვ. 45). ამ სიტყვებისა და ავტორის მიერ დასახელებული მაგალითების შესახებ შემდეგი უნდა ითქვას:

ა) საჭირო იყო, რომ ავტორს ჯერ ეფრემისეული თარგმანიდან მოეყვანა სიტყვები, ხოლო მის გვერდით — არსენისეულისა, ე. ი. ჯერ ყოფილიყო ის, რაც შეიცვალა, ხოლო შემდეგ ის, რითაც შეიცვალა (ეფრემის თარგმანი ხომ უსწრებს არსენისას!).

ბ) ავტორს 170-ზე მეტი ტერმინი მოჰყავს, რომელთაც არ ასლავს დამოწმება, რის გამოც შეუძლებელია მათი ტექსტში მონახვა და სათანადოდ გაგება. ამ ტერმინებს არც ბერძნული შესატყვისობანი ასლავს, რომ მკითხველს მაინც შეეძლოს იმის წარმოდგენა, თუ რომელ ქართულ მთარგმნელს როგორ გადმოაქვს დედნის ესა თუ ის სიტყვა. მიმინოშვილი გრძნობს, რომ სამეცნიერო შრომაში მოყვანილ მაგალითებს დამოწმების გარეშე დიდი ფასი არა აქვს და ამიტომ სქოლიოში აღნიშნავს: უფრო სრული ნუსხა, სათანადოდ დოკუმენტირებული, წარმოდგენილი იქნება ქართულ-ბერძნულ ლექსიკონში, რომელიც დაერთვის ქართულ თარგმანთა ტექსტებსო (გვ. 145). არა, მეცნიერულ ნაშრომს მოეხსოვება ზუსტი დოკუმენტაცია.

გ) ავტორი, ალბათ, ვერ დაამტკიცებს, რომ მის მიერ მოყვანილი ყველა ტერმინი არსენ იყალთოელის შემოღებული იყოს. მაგალითად, არსენის შემოღებულად ვერ მივიჩნევთ ასეთ ტერმინებს (თუ სიტყვებს): გამოძიება, განვრდომა, გუარი, ელენი, ზესთა-არსება, თვთება, მეცნიერება, მიმოცვალება, ნებსით, უსახურება, უქუემოესი, ღმერთ-მთაერობა, ჯორცი და სხვა. ყველა ეს სიტყვა ეფრემ მცირეს არსენიზე აღრე აქვს ნახმარი პეტრე ქართველის შრომების ქართულ თარგმანში და თვით «გარდამოცემაში»¹.

ტრსენის შემოღებული ვერ იქნება ისეთი სიტყვები, რომლებიც ძველი ქართულის ადრინდელ ძეგლებში ჩვეულებრივ იხმარება: სასიერი, სმენა, ქმნილი, უკუდავი, შეყოფა, შიში და სხვა. იქნებ ეფრემი ან არსენი ამ სიტყვებში განსხვავებულ

¹ პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეობაველი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი. გამოსცა ს. ენუქაშვილმა, 1961.



შინაარსს სდებენ, ტერმინის მნიშვნელობას აძლევენ მათ? ეს არ ჩანს გამკაცრებულიდან და დამოწმების გარეშე ძნელია ვამტკიცოთ, რომ ეს სიტყვები განსხვავებული მნიშვნელობით იყოს გამოყენებული.

ტრსენი იყალთოელი რომ ეფრემისეულ ტერმინს ცვლის, ამის საილუსტრაციოდ არ გამოდგება ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითები:

ა რ ს ე ნ ი	ე ფ რ ე მ ი
ემვლიზმოს	ემვლისმოს
ზესთა-ღმერთი	ზეშთა-ღმერთთაჲ
კომიტი	კვმატი

ცხადია, ასეთ შემთხვევებში არსენი ტერმინებს კი არ ცვლის, არამედ ეფრემის თარგმანში ნახმარ სიტყვებს იყენებს, ოღონდ განსხვავებული ორთოგრაფიით. ესაა და ეს.

ღ) ავტორი აღნიშნავს, არსენიმ შემოიღო ესა და ეს ტერმინებიო. ტერმინი ცნების აღმნიშვნელი სიტყვაა და წინადადების გარეშე ძნელი დასაჯერებელია, რომ ტერმინები იყოს ეს სიტყვები: მლაშე, ბალღამი, სახიერი, სმენა, ტბა, ტანი, ტყენი და სხვა.

ე) ზემოაღნიშნულ ტერმინებს მოსდევს ავტორის მსჯელობა: «ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ არსენ იყალთოელს ხელმეორედ თარგმნას აიძულებდა არა მხოლოდ ის, რომ მისი დედანი რედაქციულად განსხვავდებოდა ეფრემის დედნისაგან, არამედ ფილოსოფიური და მეცნიერული ტერმინოლოგიის გაზრდილი მოთხოვნილება» (გვ. 148). უფრო ადრე კი (გვ. 114) ავტორი ეფრემისა და არსენის თარგმანების მინისეულ ბერძნულ ტექსტთან შედარების საფუძველზე ასკვნის: «ეფრემისა და არსენის წყარო, მართალია, იყო ერთი რედაქცია, მაგრამ არა ერთი ნუსხა, არამედ სხვადასხვა გგუფის ორი ნუსხა». ეს უზუსტობაა, რადგან ნუსხათა სხვაობა არ დაიყვანება რედაქციულ სხვაობამდე.

3. ავტორს მოჰყავს ბერძნული დედნის ის ადგილები, რომლებიც «გარდამოცემის» ქართულ ვერსიებს არ დაუცავთ, და თარგმნის მათ. ერთი ასეთი ადგილია: «ხალხები, რომელნიც ცხოვრობენ დედამიწაზე, შემდეგნი არიან: ევროსთანინდოელები, ფინიკსთა¹ (χατὰ Φινικια) — შავი ზღვა არის (ἔρσπρὰ θάλασσα) და ეთიოპია»... (გვ. 94).

თერ დავეთანხმებით ავტორს, რომ ἔρσπρὰ θάλασσα შავი ზღვა იყოს. არა, აქ მეწამულ ზღვაზეა ლაპარაკი, წინააღმდეგ შემთხვევაში უაზრობა იქნებოდა ფინიკიისა და ეთიოპიის ვევრდით შავი ზღვის დასახელება. კონტექსტის გარეშეც ἔρსპρὰ θάλασσα ბიბლიურ წიგნებში (მაგ. იერ. 49,21) მეწამულ ზღვას აღნიშნავს. შეცდომის წყარო ხომ არ არის ძვ. რუსული თარგმანი, სადაც ბერძნული ἔρსპρὰ θάλασσα გადმოდის როგორც Черное море, რომელიც «მეწამულ ზღვას» ნიშნავს და არა შავ (Черное) ზღვას?

4. ავტორი აღნიშნავს, რომ ეფრემ მცირის თარგმანში გვაქვს ისეთი მსჯელობა, რომელიც არც არსენისეულ თარგმანშია და არც ბერძნულ დედანში. ასეთია: «და ამათდავე შესწორებულად მიუღიეს სახელის დებაჲ დღეთა შვდეულისათა: კვრიაკესა უწოდენ მზისად და არს იგი სახე ოქროსაჲ, ხოლო ორშაბათსა —

¹ ასეა!



მთოვარისად და არს იგი სახე ვეცხლისაჲ, სამშაბათსა — არესდად და არს იგი სახე რკინისაჲ, ოთხშაბათსა — ერმისად და არს იგი სახე ეკლისაჲ, ხუთშაბათსა — დიოსდად და არს იგი სახე ვეცხლ-წყლისაჲ, პარასკევსა — აფროდიტესდად და არს იგი სახე რვალისაჲ, შაბათსა — კრონოსდად და არს იგი სახე ბრპენისაჲ» (გვ. 65).

უფრემი აღნიშნავს, რომ დღეების სახელწოდებანი ცდომილების აღმნიშვნელია და ეს უკანასკნელი რომელიმე ელემენტის გამოხატულებაა (სახე): მზე — ოქროსი, მთვარე — ვერცხლისა, არესი — რკინისა, ერმესი — ეკლისა, დიოსი — ვერცხლისწყლისა, აფროდიტე — სპილენძისა (რვალისა), კრონოსი — ტყვიისა (ბრპენისა). აშკარაა, რომ ოქროს, ვერცხლის, რკინისა და სხვა ლითონების გვერდით ეკალი არ უნდა იყოს. აქ ეკალზე კი არაა ლაპარაკი, არამედ კალაზე. მართლაც, ხელნაწერში იკითხება: სახე კალისაჲ (A—24,57r) შესაძლოა, უნებლიე შეცდომად მიგვეჩინა ეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელნაწერის მცდარად წაკითხვის შემთხვევები ნაშრომში რამდენჯერმე გვხვდება, რაც ხშირად უმართებულო მსჯელობის მიზეზი ხდება. შევეხოთ რამდენიმეს:

5. სირველი სქოლიო, რომელსაც ეფრემ მცირე «გარდამოცემის» სათაურის შესახებ აკეთებს, ავტორს ასეთი სახით მოჰყავს: «თარგმანი: გარდამოცემა ეწოდების წიგნსა ამას. რამეთუ არა საკითხავთა სახე აქუს შესავალთანი და დაბოლოებული, არამედ მსგავს არს გარდაცემულსა მას მწიგნობრისსა, რომელსა შეიქმან ნუსხად და დასდებენ ნივთად პირად-პირადთა წიგნთა დაწერისა, რათა ვისთანაცა ვის უნდეს, დაწერ[...]. ბდეს ძალსა სიტყუსასა, ვგრეთვე წმიდასა ამას [...] მოკლე-მოკლედ აღუწერია ყოვლისავე მართლმადიდებელთა სარწმუნოებისათჳს, რათა ამიერ აქუნდეს მორწმუნეთა ძალი პირად-პირადისა წინააღმდეგობთა სიტყუსა გებისაჲ ამიერ მიიღო» (გვ. 116).

ცეტორი არაფერს ამბობს სქოლიოს შინაარსზე, ალბათ იმიტომ, რომ ტექსტი არ არის სწორად ამოკითხული და, ცხადია, ძნელი იყო მისგან სწორი შინაარსის გამოტანა. ტექსტის სწორად წაკითხვის საფუძველზე დასახელებული ნაწიევეტი ასე უნდა გასწორდეს:

ა) ავტორის მიერ სქოლიოს ბოლოში მოყვანილი «ამიერ მიიღო» უნდა ჩაისვას იქ, სადაც პირველად არის კაეები ნახმარი ამოუკითხავი (დაკლებული) ასოების თუ სიტყვის აღსანიშნავად (ეს სიტყვები სტრიქონს ზევითაა ჩახვეულად დაწერილი, და ავტორს ისინი სქოლიოს დასასრულად მიუჩნევია (თანაც «ამიერ»ის ანი წინა «დაწერ» ფორმას უნდა მიეკუთვნოს (ე. ი. იქნება: დაწერა), ხოლო «მიიღო» სიტყვის ო უნდა გადასწორდეს ე-დ (მიიღე) და ეს «მიიღე» შეუერთდეს მის ნაწილს «ბდეს»-ს (ე. ი. მიიღებდეს). ასეთი ოპერაციის შემდეგ სტრიქონი ასე გაიმართება: ვისთანაცა ვის უნდეს დაწერა, მიერ მიიღებდეს ძალსა სიტყუსასა.

ბ) იქ, სადაც ავტორს მეორედ აქვს კაეები ნახმარი, უნდა ჩაისვას «თავად-თავად», რაც ხელნაწერში დაუბრკოლებლად იკითხება.

გ) «მწიგნობრისსა» კი არ უნდა იყოს, არამედ «მწიგნობრისსაჲ» (ეს სიტყვა ხელნაწერში დაქარაგმებულია).

დ) «სიტყუსა გებისაჲ» კი არ უნდა იყოს, არამედ «სიტყუს-გებისაჲ», როგორც ხელნაწერშია.

ღმ შესწორებათა შემდეგ სქოლიოს შინაარსი ნათელია. ეფრემ მცირე ამ-



ბობს: ამ წიგნს «გარდამოცემა» ეწოდება, რადგან მას ჩვეულებრივი წიგნის სახე (შესავლით, დასასრულით) კი არა აქვს, არამედ მწიგნობრის მიერ გადმოცემულს (მონათხრობს) ჰგავს, რომელსაც პირველ წყაროდ («ნუსხად») მიიჩნევენ და სხვადასხვა («პირად-პირადთა») წიგნების დასაწერ მასალად («ნივთად») იყენებენ, რათა ვინმეს რამეს დაწერა თუ უნდოდეს, სიტყვის ძალას მიიღებდეს მისგან, ამ თხზულებაში ავტორს თავებად («თავად-თავად») მოკლემოკლედ აღუწერია ყოველივე, რაც მართლმადიდებელთა სარწმუნოებას ეხება, რათა აქედან (ე. ი. ამ წიგნისგან) ჰქონდეთ მორწმუნეებს ძალა სხვადასხვა მოწინააღმდეგეთათვის პასუხის გაცემისა («სიტყუს-გებისა»).

ნეშმარტივად მაღალი შეფასებაა «გარდამოცემისა»!

ნ. ავტორს მოჰყავს ეფრემისეული სქოლიო, სადაც ბიბლიურ წიგნებზე აღაპარაკი: «შეისწავე, რათა რაა-ქამს ეზრაჲ პირველი და მეორე გესმინე, უწყოდო, ვითარმედ მისვე ერთისა ეზრა ზორობაბელი სწიგნთა იტყუს პირველად და მეორედ, პირველსა და მეორესა თავსა, ხოლო სხუაჲ იგი ეზრაჲ სულელი, რომელ ქართულად არს, არავისგან აღრიცხული არს წიგნთ თანა და არცა საჩინოდ იპოების ბერძენთა თანა, ვინაჲცა ნუჟკუე დაფარულთაგანი რაჲმე არს და არა საეკლესიოჲ»...

ძ. შიმიანოვილი სპეციალურად მსჯელობს «სულელ ეზრაზე», რომ მას იდენტიფიკაცია უყოს ლიტერატურაში ცნობილ რომელიმე ეზრასთან (ეზრა მესვეტისთან, ეზრა ანჩელთან თუ ეზრა მთაწმიდელთან). სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: მკვლევარს არასწორად ამოუკითხავს ეს სიტყვა ეფრემის სქოლიოდან. ხელნაწერში იკითხება არა «სულელი», არამედ «სუთელი». ავტორს რომ ცოტაოდენა სიფრთხილე გამოეჩინა, ისედაც მიხვდებოდა, რომ სქოლიოში აღაპარაკია არა ავტორზე — პიროვნებაზე, არამედ წიგნზე: ეზრა სუთელი «არავისგან აღრიცხულ არს წიგნთა თანა და არცა საჩინოდ იპოების ბერძენთა თანა», რადგანაც ეს წიგნი აპოკრიფულია («დაფარულთაგანი») და არა კანონიკური საეკლესიოო. ეს მიმე შეცდომა, სამწუხაროდ, შრომის რუსულ რეზუმეშიც არის გადაბეჭდილი, რაც კიდევ უფრო ამძიმებს საქმის ვითარებას.

სქოლიოებში ზოგიერთი სიტყვა გადასულია და ძნელად იკითხება, რომელთაც ავტორი ხშირად ამოუკითხავად ტოვებს, მაგალითად: «რამეთუ ბერძენთა ოდენ ვნითა მსგავს არიან სიტყუანი ესე აგებული და შობილი და აგებულსა «გენიტონ» ჰქვან, რაქამს ერთითა ნ-ართა დაიწეროს, ხოლო, რაქამს ორითა ნ-ართა დაიწეროს, ვითარმედ გენნიტონ, მაშინ «შობილად» გამოითარგმანების [...] ბერძნულად ამათი და [...], არცა კუალად სიტყუსა დაგდებაჲ [...] უღონო იყო, შემინდევით» (გვ. 133).

ძ. შიმიანოვილის მიერ სამჯერ ნახმარ კავების შიგნით უნდა ჩაისვას შემდეგი სიტყვები: პირველად «და უკუეთუ»(?), მეორედ — «წერაჲ», მესამედ «ჩემგან». ძნელად წასაკითხი სიტყვების ამოკითხვას ავტორი უთუოდ შესძლებდა, რომ მეტი გულმოდგინება გამოეჩინა.

პრობაში დამოწმებულ სქოლიოებში იშვიათად როდია მცდარი ფორმები, რაც იმით თუ აიხსნება, რომ ავტორი ტექსტს სათანადო სიფრთხილით არ მოპაურობია. მაგ., 117-ე გვერდზე მოყვანილი სქოლიოებიდან გასასწორებელია შემდეგი ფორმები: «ბერძნულთა» (ხელნაწერშია: ბერძულთა), «იტყუთ შობასა ძისასა ღმრთისასა» (ხელნაწერშია: ძისა), «სრულად» (ხელნაწერშია: სრულიად).

ან კიდევ: ამისთვისცა შეიწუნა 119,34 (ხელნაწერშია: შეიჩუნა), «ბევრეული ურწმუნოთასა» (გვ. 124, 15) (ხელნაწერშია: ურწმუნოთასა).

8. შრომაში აღრეულია ბიბლიური წიგნების სახელები, მაგ., 85-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს, რომ არსენს მოუყვანია ციტატა სახარებიდანო, და დასახელებულია: რომ. VIII, 29. არა, პავლეს ეპისტოლე რომაელთა მიმართ სახარება არ არის. მსგავსი რამ სხვაგანაცაა. შრომის 105-ე გვერდზე სახარებადაა მოხსენებული I კორინ. 7,25. შრომაში წერია: ქართულ თარგმანებში ციტატა რომელთაზე მითითებით, «სინამდვილეში კი ეს ციტატა არის სახარების სხვა ადგილიდან, კერძოდ, I კორინთელთადმი, თავი მეთერთმეტე, მუხლი მეორე» (გვ. 111). არა, სახარება სინონიმი არ არის ახალი აღთქმისა და არც ეპისტოლეებისა. საჭიროა მეტი სიზუსტე.

9. შრომაში დამოწმებული ტექსტების ორთოგრაფია გასამართავია. მაგ.,

ა) მიღებულია, რომ ესე, ეგე, იგი ნაცვალსახელებს კითხვით სიტყვებზე დართვისას ცა ნაწილაკის მნიშვნელობა აქვთ, და ასეთ შემთხვევაში მათ კითხვით სიტყვებთან ერთად წერენ დეფისით; ავტორი კი ამ წესს არ იცავს და ესე, ეგე, იგი ნაწილაკებს დამოუკიდებელი ნაცვალსახელებივით ცალკე ბუჯდავს: რომელი იგი (=რომელიც) 27, 20, 28, 35, 119, 32; რომელი ეგე (=რომელიც) 64,18; რომელი ესე (=რომელიც) 28, 30, 128, 15;

ბ) დეფისი აკლია: ჭელეწიფებოდა 52,14; 53,14; სახელედებოდენ 53,23; დეფისი ზედმეტია: განმგებელ-ყო 30,4; საოცარ-ყონ 30,21. დეფისების უსისტემო ხმარების ნიმუშია ასეთი ადგილი: (დმერთი) «ვითარცა სახიერი, წინა-განაგებს, რამეთუ რომელ არა წინა განაგებდეს, იგი არა სახიერ არს. რამეთუ კაცნიცა და ცხოვარნი თვსთა შეცლთათვს ბუნებით წინა-განაგებენ; და რომელიცა არა წინა განაგებდეს, იგიცა იგმობვის» (გვ. 75). რატომაა ეს სიტყვები ხან დეფისით, ხან ცალ-ცალკე დაწერილი? ერთი რთული ზმნა სამნაირი ორთოგრაფიით არის დაბეჭდილი: სახელიდების 97,34; სახელ ედვა 107,21; სახელ-ედების 119,1. ტექსტის გამომცემელს მოეთხოვება გარკვეული ორთოგრაფიული პრინციპების დაცვა.

გ) ქრისტეს სახელი შრომაში ასეთი ფორმითაა მოყვანილი: იესუ 32,20; ისუ 76,26, რაც არ არის სწორი: მართალია, ეს სიტყვა ხელნაწერებში აღრიდანვე იესუს სახით ქარაგმდება, მაგრამ, თუ გაეხსნით, იგი უნდა გაიხსნას ასე: იესუ (და არა იესუ!).

ძველი აღთქმის წიგნი «წინაწარმეტყულებაჲ ესაიაჲსი» შრომაში ასეა დამოწმებული: «ისაია». აჯობებს «ესაია», როგორც ს. ორბელიანი იმოწმებს; «ისაია» გვიანდელი ფორმაა.

ლაუსწორებელია ფორმები: სიყვარულითა 62,9, მეტყველებისათვს 64,33, ჩვეულებანი 74,19 და სხვ.

სოგორც ზემოთ აღნიშნეთ, რ. მიმინოშვილს განზრახული აქვს, გამოსცეს ახლო მომავალში «გარდამოცემის» ძველი ქართული თარგმანების ტექსტი. ამ ჩვენი შენიშვნების ძირითადი მიზანია, რომ გამომცემელმა თავი დაიზღვიოს მსგავსი შეცდომებისაგან მომავალში. ჩვენი გულწრფელი სურვილია, რომ რ. მიმინოშვილი მეტი სიფრთხილითა და გულსიყურით მოეკიდოს ძველ ტექსტებს და მეტი ანგარიში გაუწიოს ქართული ტექსტოლოგიის მიღწევებს.

ძველი ქართული ენის კათედრის შრომები
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა)

შ ა ი ბ ჯ ღ ა :

1. სსრულ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ოლია ტბულაძემ: თბილისი, 1955, XXXII + 222 გვ.
2. ტ. ყანიძე, ქართული ენის გრამატიკა. I. შორფოლოგია. თბილისი, 1955, 08 + 330 გვ. გამოცემა მეორე, შესწორებული. თბილისი, 1962, 335 გვ.
3. ზუფხისტუაოსნის სიმფონია, შედგენილი ტ. ყანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბილისი, 1956, 039 + 431 გვ.
4. ო. ონიანი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში. თბილისი, 1957, 028 + 784 გვ.
5. სინური მრავალთავი 864 წლისა. სამოსაცემად მოამზადეს კათედრის წევრებმა. ტ. ყანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბილისი, 1959, 020 + 338 გვ.
6. გ. ბერიძე, ძუძური კილო. თბილისი, 1960, 08 + 236 გვ.
7. ბ რ ე ბ უ ლ ი.
ოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანები. ძველი ქართული ვერსია. ექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ო. ონიანი.
ტ. ყანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნისთან ქართულში.
ზ. ბერიძე, აწვევტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში. თბილისი, 1961.
8. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში. სამოსცა ო. ონიანი.
თბილისი, 1963, VIII + 64 გვ.
9. ბ რ ე ბ უ ლ ი.
ტ. ყანიძე, ტნტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე და ძველი ქართული ენის ძეგლების ვითარება სხალი ტლქმის წიგნების გამოცემებში (გვ. 1—94).
ზ. ბერიძე, ზოგიერთი ტიპის მეშველ-ზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში (გვ. 95—150).
ზ. ბერიძე, საკუთარ სახელთა ბრუნება სვანურში (გვ. 151—157).
ბ. ბერიძე, ზერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი (გვ. 159—184).
შ. ბერიძე, ადაბნოს მრავალთავის ერთი ადგილის იდენტიფიკაციისათვის (გვ. 185—186).



ხრიტიკა და ბიბლიოგრაფია (გვ. 187—209).

სეტრე ზერიელი (ფსევდო-ბიონისე ტრეობაგელი). პრომები. შრომები. შტეტინი
შტეტინის თარგმანი. ლამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურბო
წიგნების სახლი. თბილისი, 1961 (აქცენზია ტ. ყანიძისა).

10. საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II. ლამოსცა ნ. წინაიშვილი.
თბილისი, 1966, 08+239 გვ.

11. საიუბილეო.

ტ. ყანიძე, რგასეულის წლისთავზე (გვ. VII—VIII).

ტ. ყანიძე, შესავალი სიტყვა, წარმოქმნილი დისერტაციის დაცვისას თბილისის უნივერ-
სიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1920 წლის 9 მაისს (გვ. 1—6).

ტ. ყანიძე, ტერი სუფიჯიანი ქალის სახელები ძველ ქართულში (გვ. 7—16).

ტ. ყანიძე და უ. ცისკარიშვილი, ჭარანის ციხის წარწერა (გვ. 17—26).

А. Шанидзе и В. Цискаришвили, Надпись Баранской крепости (Резюме)
(стр. 26).

ნ. წინაიშვილი, უნებოთი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში (გვ.
27—54).

ბ. ნუმბურიძე, შუაუფადის წარმოქმნის ისტორიისათვის ძველ ქართულში (გვ. 55—75).

შ. ყანიძე, შესავალი ზურემ შტეტინის ფსალმუნთა თარგმანებისა (ექსტრი და ჟე-
ნიშვნები) (გვ. 77—122).

ყ. ბანელია, ძველი ქართულის ლექსიკიდან (გვ. 124—131).

ბ. შელიშვილი, ზოგი საკავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის მნიშვნელობასა-
თვის ლანე სეტრის წიგნებში (გვ. 133—142).

А. Шанидзе, Грузинская надпись XI—XII вв. из Армении (стр. 14—144)

ხრიტიკა და ბიბლიოგრაფია (გვ. 145—165).

შოია ტნდრონიკაშვილი, ჩარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურ-
თიერთობიდან. I (აქცენზია ტ. ყანიძისა).

ქომან შიმინოვილი, ლანე შამასკელის «ლარდამოცემის» ქართული
თარგმანები (აქცენზია ხ. ბანელიასი).



Тбилисский государственный университет

ТРУДЫ КАФЕДРЫ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА. II.

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1968

გამომცემლობის რედაქტორი ლ. გამცემლიძე
ტექნორედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ე. თოფჩიშვილი

სელმონწერილია დასაბეჭდად 13/XII-68
ქაღალდის ფორმატი 70×108/16
ნაბეჭდი თაბახი 15,4
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,54
ფასი 1 მან. 15 კაპ.

უე 12163 ტირაჟი 625 შეკვეთა 1350

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი,
ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Тбилисского университета,
Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.

